ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1
1985/2

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4. 1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1985, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1985

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-86-82 Телефон

გადაეცა წარმოებას 20.IX.85; შეკ. № 3035; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.XI.85;
ანაწყობის ზომა 7×11; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირობ. ნაბეჭდი 16 8;
პირ. საღ. გატარება 17. 1; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.9;

უე 15340; ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1905—1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავი

თ. კალმახელიძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში და მისი ასახვა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში 5
ვ. ჯანჯღავა, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1902—1904 წლებში 16

წერილები

ნ. ავალიანი, ფუტუროლოგია ბურჟუაზიული იდეოლოგიის სამსახურში . . 31
ა. ჩარკვიანი, სახალხო დეპუტატების საბჭოები პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში 46
ო. აგუთიძე, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის სრულყოფისა და მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1926—1929 წწ.) 56
მ. სიორიძე, გერმანია-თურქეთის სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ. 70
ა. გამყრელიძე, ვაჭრობის პრობლემები რომაელ-პართელთა ურთიერთობებში . . 82

ცნობები და შენიშვნები

ე. ხოშტარია (ბროსე), ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის . . . 113
გ. ქავთარია, რეფორმისტული მოძრაობა ტიბერიუსიდან გაიუსამდე . . . 113
ნ. ბრეგაძე, ბერიკათა ნიღბები 128
მ. ქადაგიძე, ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში 138
ვ. ვაშაკიძე, შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე 144
რ. რუსიშვილი, ძველი ანაგის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხი 150

დისკუსია და განხილვა

ა. გოგვერაძე, ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან 159

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

ნ. ლომოური, მეცნიერი, აღმზრდელი, მოქალაქე 178

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ჯ. ოდიშელი, ა. სონღულაშვილი, საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი 186

ქრონიკა და ინფორმაცია

ზ. ჯამბურია, მ. ხარბედია, ახალგაზრდა მეცნიერთა სესია 189
ვ. გაბაშვილი (ნეკროლოგი) 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

К 80-ЛЕТИЮ РЕВОЛЮЦИИ 1905—1907 гг.

Т. КАЛМАХЕЛИДЗЕ, Революция 1905—1907 годов в Грузии и ее изображение в советской историографии 5
В. ДЖАНДЖГАВА, Революционное движение крестьян в Самегрело в 1902—1904 годах 16

СТАТЬИ

Н. АВАЛИАНИ, Футурология на службе буржуазной идеологии . . . 31
А. ЧАРКВИАНИ, Советы народных депутатов в борьбе за осуществление решений XXVI съезда партии 46
О. АБУТИДЗЕ, Из истории борьбы по повышению авторитета и совершенствованию работы местных органов Советской власти (1926—1929 гг.) 56
М. СИОРИДЗЕ, Подрывная разведывательная деятельность Германии и Турции в Батумской области в период Первой мировой войны . . 70
А. ГАМКРЕЛИДЗЕ, Проблемы торговли в римско-парфянских взаимоотношениях 82

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Э. ХОШТАРИЯ (БРОССЕ), О взаимосвязи дошедших до нас рукописей судебника Бека и Агбуга и интерпретация его некоторых статей . . 99
Г. КАВТАРИЯ. Реформистское движение от Тиберия до Гая . . . 113
Н. БРЕГАДЗЕ, Маски «берика» (ряженых) 128
М. КАДАГИДЗЕ, Вопросы хронологии в сочинении второго историка царицы Тамар 138
В. ВАШАКИДЗЕ, Из истории внутриполитической борьбы на начальном этапе становления Картлийского царства 144
Р. РУСИШВИЛИ, Среднебронзовый могильник из с. Дзвели Анага . 150

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

А. БОГВЕРАДЗЕ, Разыскания по истории Грузии V века 159

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Н. ЛОМОУРИ, Ученый, воспитатель, гражданин 178

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Дж. ОДИШЕЛИ, А. Сонгулашвили, Социально-экономический профиль советской деревни 186

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

З. ДЖАМБУРИА, М. ХАРБЕДИА, Сессия молодых ученых . 189
В. Габашвили (некролог) 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამთა კალმახელიძე

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში და მისი ასახვა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში

18/115

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია — ჩვენი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე ფურცელია. რევოლუციამ აამოძრავა რუსეთის იმპერიის მშრომელი მასები, შეარყია მეფის თვითმპყრობელობა და მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისაკენ მიმავალ გზაზე.

რევოლუცია ფართოდ გაიშალა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაშიც, რაც გამოწვეული იყო ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობებით, რომლებმაც, როგორც, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ხელი შეუწყო იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“[1]. რევოლუციის პერიოდში საქართველოს მშრომელი მასები იდეურად საიმედოდ იყვნენ შეიარაღებული. აქ ვრცელდებოდა რევოლუციის დიდი ბელადისა და ხელმძღვანელის ვ. ი. ლენინის შრომები.

ვ. ი. ლენინი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს 1905—1907 წლების რევოლუციის განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხობის თავდადებულ რევოლუციურ ბრძოლას, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობას.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველმა სწორუპოვარი სიცხადით გააშუქა იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სპეციფიკური თავისებურებანი, გვიჩვენა მისი მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ თავის გენიალურ ნაშრომში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა რუსეთის პროლეტარების მსოფლიო ისტორიული როლი და ამოცანები, დაასაბუთა რევოლუციაში პროლეტარიატის კავშირის აუცილებლობა საზოგადოების დემოკრატიულ ძალებთან, კერძოდ გლეხობასთან. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „როდესაც მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეებს, როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშებს შორის შეიქმნებიან მტკიცე

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 497. დაწვრ. იხ. ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბ., 1959.

ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციები, რომლებიც მუშების დღევანდელ დაქსაქსულ ეკონომიკურ ომს გარდაქმნის შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, — მაშინ რუსი მუშა აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ"[2].

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" აღნიშნა, რომ პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, დაამხოს თვითმპყრობელობა, რისთვისაც საჭირო არის არა მარტო მთელი გლეხობის შეერთება, არამედ ბურჟუაზიის მერყეობის პარალიზება და დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა. „ჩვენ მთელი ძალღონით დავეხმარებით მთელ გლეხობას მოახდინოს დემოკრატიული რევოლუცია, რომ მით უფრო ადვილი იყოს ჩვენთვის, პროლეტარიატის პარტიისათვის, რაც შეიძლება მალე გადავიდეთ ახალ და უმაღლეს ამოცანაზე — სოციალისტურ რევოლუციაზე... ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით"[3].

ვ. ი. ლენინის იდეა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ საფუძვლად დაედო კომუნისტური პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

რევოლუციის გენიალურმა სტრატეგმა, ვ. ი. ლენინმა, 1905—1907 წლების რევოლუციისადმი მიძღვნილი ნაშრომებით საფუძველი ჩაუყარა იმ რევოლუციურ სტრატეგიასა და ტაქტიკას, რომლითაც ჩვენმა ქვეანამ 1917 წელს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მისი ზოგადი და კონკრეტული დებულებები 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა.

რუსეთის პირველი რევოლუცია როგორც ცნობილია, თავისი ხასიათით ბურჟუაზიულია, ამასთანავე იგი პროლეტარულიცაა, ვინაიდან რევოლუციის ბელადად პროლეტარიატი გამოდიოდა.

რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში. „1905 წლის გენერალური რეპეტიცია" რომ არა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა"[4].

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მრავალეროვანი რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელები უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და გაერთიანდნენ დიდი რუსი ხალხის მეთაურობით საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინის ნაშრომებს, რომლებიც მან მიუძღვნა რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, ისეთივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, როგორც რუსეთის ისტორიისათვის. საქართველო აღე-

---

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 355—356.
[3] ვ. ი. ლენინი თხზულებანი, ტ. 9, გვ. 286.
[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ხანაში რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეა. აქაც იგივე საფეხურები გაიარა რევოლუციამ რაც რუსეთში.

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსეთის სახალხო რევოლუციის შემადგენელი, ორგანული ნაწილია.

ვ. ი. ლენინს რევოლუციის პერიოდში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, მათ საქმიანობას წარმართავდა ბრძნული რჩევა — დარიგებებით და დირექტივებით.

ვ. ი. ლენინის ნაშრომებმა უდიდესი გავლენა იქონია მთელ რევოლუციურ მოძრაობაზე რუსეთში, მის განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოში.

ვ. ი. ლენინის უდიდესი როლი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში სპეციალურად გაშუქებულია ა. მელიხოვის, ვ. ესაიაშვილის[5] და სხვათა ნაშრომებში.

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობის გაშუქებას მრავალი მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი და ფასეული კონკრეტული თუ განმაზოგადებელი გამოკვლევა და ნარკვევი მიეძღვნა. გამოიცა თემატური კრებულები და განხორციელდა საისტორიო წყაროების პუბლიკაცია. დაიწერა მრავალი საკვალიფიკაციო ნაშრომი. კვლევა-ძიების სფეროში მოექცა 1905—1907 წლების რევოლუციის ყველა ასპექტი. დაიწერა ნაშრომები ამ დიდი პროცესის მიმდინარეობაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (მაზრებში, ორივე გუბერნიაში). გაშუქდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის როლი, ასევე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის როლი რევოლუციაში. ფუნდამენტურ გამოკვლევებთან ერთად შეიქმნა პოპულარული ნარკვევები, სადაც წარმოდგენილია რევოლუციის მსვლელობა, შეფასებულია მისი შედეგები და გაკვეთილები. ყოველივე ამას მძლავრ სტიმულს აძლევდა რევოლუციის იუბილეები. წინამდებარე სტატიის მიზანია მთელი ამ დიდი მუშაობის მოკლე ისტორიოგრაფიული განხილვა.

ზემოაღნიშნული მიღწევების მიუხედავად, საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესწავლაში, ჩვენი აზრით, გარკვეული ხარვეზებიც შეინიშნება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს რევოლუციის ობიექტური წანამძღვრების შემდგომი კვლევის საჭიროება, ისევე როგორც დიდი ისტორიული პროცესის ზოგიერთი სხვა ასპექტის შემდგომ შესწავლის აუცილებლობა.

ჩვენში 1905—1907 წლების რევოლუციის ღრმად გაშუქებისათვის ერთერთი აუცილებელი პირობაა რევოლუციის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრების გაშუქება, მათ შორის რევოლუციის წინ და მის მსვლელობაში კლასობრივ ძალთა განლაგების სურათის წარმოჩენა, ურომლისოდაც შეუძლებელია რევოლუციის კანონზომიერებისა და სპეცი-

[5] А. Мелихов, В. И. Ленин и революция 1905 года в Закавказье, Автореферат, Тб., 1940; ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიკის მართებულად გაანალიზება. ამავე დროს, რევოლუციის ისტორიული წანამძღრების გაშუქებისათვის საჭიროა საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რევოლუციის დროისათვის შექმნილი ეკონომიკური ურთიერთობისა და სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის დასურათება, რასაც რევოლუციისადმი მიძღვნილ ნაშრომებში იშვიათად ვხვდებით, იმ სირთულის გამო, რომელსაც ასეთი სამუშაოს ჩატარება უკავშირდება. ამავე დროს, ახლო წარსულამდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში „მტკივნეულად იგრძნობოდა კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიული პროცესის არა ერთი კარდინალური პრობლემის მცდარი, ვულგარულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაცია“[6].

სამაგიეროდ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი ისტორიოგრაფიის ეს ხარვეზი ძირითადად დაძლეულია. საქართველოს ცხოვრება XIX ს. რეფორმების შემდგომ პერიოდში და XX ს. დამდეგს, იმპერიალიზმის ეპოქაში, გაშუქდა მრავალ გამოკვლევაში (პ. გუგუშვილი, გ. ბაქრაძე, ე. ხოშტარია, გრ. მარგიანი, ა. ბედიანიშვილი, ი. უთურაშვილი და სხვა), აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V და VI ტომებში, გამოქვეყნდა ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომი „სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში (თბ., 1971).

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიოგრაფია განხილულია ი. კაჭარავას და გრ. მარგიანის ნაშრომებში,[7] რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას ქმნიან ამ დიდი ისტორიული პროცესის კვლევა-ძიებაზე.

1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესამუშავებლად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ისტორიული ნარკვევები და ჩანახატები დაგვიტოვეს რევოლუციის თანამედროვეებმა და მონაწილეებმა.

შემდეგში 1905—1907 წლების ეპოქას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი, თუმცა „მათი უმრავლესობა მხოლოდ რევოლუციური მოძრაობის და პარტიის ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებით კმაყოფილდება, ერის ცხოვრების დანარჩენი მხარე ... უყურადღებოდაა, ან თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული“[8].

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის კვლევის პროცესში დიდძალი დოკუმენტური მასალა იქნა სამეცნიერო ბრუნვაში მოქცეული,

---

[6] გრ. მ ა რ გ ი ა ნ ი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, თბ., 1975, გვ. 38.

[7] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 276—335; გრ. მ ა რ გ ი ა ნ ი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში საბჭოური ისტორიოგრაფიაში (იხ. „ქართული ისტორიოგრაფია“, III, თბ., 1975, გვ. 31—63).

[8] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, გვ. 280.

[9] მათ შორის აღსანიშნავია: Сборник прокламаций большевитских организаций Закавказья. 1904—1906 гг“, Тб., 1940; Революция 1905 года в Закавказье. Хроника событий документы и материалы“, Тб., 1926; „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), თბ., 1955; Авлабарская подпольная типография (1903—1906 гг.), თბ., 1955; ვ. ი. ლენინი 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ, თბ., 1956; Революция 1905—1907 годов в Грузии, Тб., 1956 და სხვ. არაფერს ვიტყვით თავის დროზე „რევოლუციის მატიანეში“ რევოლუციის თანამედროვეთა და მონაწილეთა მიერ გამოქვეყნებულ მოგონებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაერთგზის განხორციელდა დოკუმენტების პუბლიკაციაᵃ, თუმცა ამ მიმართულებით ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი.

რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილმა პირველმა დაახასიათა საქართველოში 1905 წლის რევოლუციის სოციალური და პოლიტიკური წანამძღვრები. ნაშრომში „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.", რომელიც 1906 წელს გამოიცა, დიდმა მეცნიერმა წამოაყენა მრავალი მოსაზრება, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის შესწავლის პირველი ცდაა გამოჩენილი რევოლუციონერის ფ. მახარაძის ნაშრომი „1905 წელი ამიერკავკასიაში", რომელიც პირველად 1926 წ. გამოიცა, ხოლო 1932 წელს შესწორებული სახით მეორეჯერ გამოქვეყნდა.

ნაშრომში მოკლედ დახასიათებულია რევოლუციის ობიექტური წანამძღვრები და მიზეზები, ნაჩვენებია საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

ფ. მახარაძის სიტყვით, ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა გულის გამოძახილი იყო 1905—1907 წლების რევოლუცია, რომელსაც ფართოდ დაუჭირა მხარი მშრომელმა მასებმა. აქ ავტორი ეხება ამ რევოლუციის ძირითადი, წარმმართველი ძალის — მუშათა კლასის ფორმირებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მუშათა კლასისა, რომელიც ჩაუდგა სათავეში საქართველოს მშრომელებს და წაიყვანა ხალხი რუსეთის მშრომელთა მასების მხარდამხარ საბრძოლველად.

„მუშათა კლასმა იწყო ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში"...[10] ავტორი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „მუშათა მოძრაობის სიძლიერე ჩვენში დამოკიდებული იყო იმაზე, რომ მისი სათავე რუსეთში იყო, რომ ჩვენში მუშები გრძნობდნენ თავს რუსეთის მუშათა კლასის შემადგენელ ნაწილად და რომ იმათ ჰქონდათ ერთი საერთო საქმე — მშრომელი ხალხის განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან, მაგრამ უწინავეს ყოვლისა კი პოლიტიკური მონობისაგან, ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობა იყო ნაწილი მთელი რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობისა და ის იკვებებოდა და სულდგმულობდა რუსეთის მოძრაობით[11].

ავტორის მართებული განცხადებით, მთავრობის ყველა ცდა, გაეთიშა რუსი, ქართველი და სომეხი მუშები ერთმანეთისაგან უშედეგოდ დამთავრდა.

ფ. მახარაძემ პირველმა დაგვანახა ვ. ი. ლენინის უდიდესი როლი რუსეთის პირველ რევოლუციაში, ვ. ი. ლენინის დებულებები აღიარა, როგორც

---

[10] ფ. მ ა ხ რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, ტფილისი, 1932. გვ. 48.

[11] იქვე. გვ. 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტი, შეაფასა დიდი ბელადის დამსახურება მუშათა კლასისა და გლეხობის წინაშე.

ნაშრომში განხილულია გლეხთა მოძრაობის წარმოშობა და განვითარება ამიერკავკასიის სოფელში, გაშუქებულია მისი მიმდინარეობა საქართველოს სოფელში, ავტორი წერდა: „შეიძლება ითქვას რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (ყოფ. ტფილისის გუბერნიაში) 1905 წლის დაწყებამდე სრულებით არ ყოფილა, მაგრამ ამ წლის დასაწყისიდან კი გლეხობის მოძრაობამ ერთბაშად წამოყო თავი“[12].

ეს მოსაზრება ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე დონეზე, როგორც ქვევით დავინახავთ, გაკრიტიკებულია, — ნაჩვენებია გლეხთა მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, 1905—1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდშიც.

ფრიად საგულისხმოა თბილისის 1905 წლის შემოდგომის სისხლიან დღეებში რევოლუციისადმი არმიის, ადმინისტრაციის და მისი აგენტურის, ასევე თავადაზნაურობის დამოკიდებულების ავტორისეული დახასიათება, ამიერკავკასიაში მოქმედი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების ავტორისეული შეფასებანი, ასევე წიგნის დამატებანი, სადაც თავმოყრილია რევოლუციის ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის ისტორიის შესწავლას მძლავრი ბიძგი მისცა რუსეთის პირველი რევოლუციის 20 წლისთავისა (1925 წ.) და განსაკუთრებით 50 წლისთავის იუბილეებმა. გამოქვეყნდა არა მარტო მოგონებები და დოკუმენტები, არამედ თემატური კრებულები[13] და მონოგრაფიები.

ჯერ კიდევ 1941 წელს გამოქვეყნდა გ. ხაჭაპურიძის „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, რომელიც მან გადაამუშავა და 1955 წელს ხელახლა გამოსცა რუსულ და ქართულ ენებზე.

გ. ხაჭაპურიძემ დაახასიათა XX საუკუნის დამდეგის რევოლუციური სიტუაცია, რსდმპ კავკასიის კომიტეტის მუშაობა, ასევე გლეხთა მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში რევოლუციის წინ. ახალ მასალებზე დაყრდნობით გადასინჯა მცდარი მოსაზრება, რომ თითქოსდა „რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში... 1905 წლის რევოლუციის დაწყებამდე სრულებით არ ყოფილა“.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ი. ხუციშვილმა. მის შრომებს შორის აღსანიშნავია: „1905 წელი ქ. გორში“ (თსუ შრომები, ტ. 35, 1949), „გორის მაზრა

---

[12] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, გვ. 189.

[13] მათ შორის აღსანიშნავია 1955—1956 წლებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის კრებული „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, ამავე ფილიალის „შრომები“ (ტ. 1, 1955), თბილისის უნივერსიტეტის შრომები (ტ. 57, 1955), აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები (ტ. II, 1956), „Из истории революционных событий в Абхазии в 1905—1907 годах, Сухуми, 1956; Революционное движение в Юго-Осетии (1905—1907 гг.), Сталинири, 1958 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში" (თბ. 1950, რუსულ ენაზე), „შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905 წელს" („ისტორიჩესკიე ზაპისკი", ტ. 49, 1954, რუსულად) და; რაც მთავარია, კაპიტალური მონოგრაფია — „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში" (თბ., 1955). ავტორმა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით სცადა რევოლუციის წინანდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების დახასიათება, კლასობრივ ძალთა განლაგების სურათის დადგენა. მონოგრაფიულად გამოიკვლია რევოლუციის მთელი მსვლელობა, ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის მიმდინარეობა და შეიარაღებული აჯანყება 1905 წელს საქართველოში. ცალკეა წარმოდგენილი რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1905—1907 წლებში. ასეთი მიდგომით ავტორმა 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში შეაფასა როგორც „რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ორგანული ნაწილი". მისი აზრით, რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში ისეთივე საფეხურები განვლო, როგორც მთელ რუსეთში.

ი. ხუციშვილის დასკვნით, საქართველოს რევოლუციურ მოძრაობას „უფრო მკვეთრ ხასიათს აძლევდნენ ადგილობრივი პირობები, რომელთაგან მთავარი იყო მეტისმეტად აღვირახსნილი მემამულური და კაპიტალისტური ექსპლუატაცია, ხალხის უუფლებობა და ძალზე სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა"[14]. ნაშრომში ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის და ქართველი ბოლშევიკების როლი რევოლუციის ხელმძღვანელობაში და ის დიდი შეფასება, რომელიც რევოლუციის ბელადის ხელმძღვანელობით პარტიის III ყრილობამ მისცა გლეხთა მოძრაობას საქართველოში, ასევე რევოლუციის ადგილობრივი თავისებურებანი. გარკვეულია, რომ ჩვენში რევოლუციის დამარცხების მიზეზებს შორის მთავარი ის იყო, რომ „მუშებისა და გლეხების გამოსვლები საკმაოდ ორგანიზებული არ იყო", ცდების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი მასის გადაყვანა რევოლუციის მხარეზე, რის გამო კავკასიაში დისლოცირებული ჯარის შემადგენლობის უმეტესობა მეფის მთავრობას ეხმარებოდა რევოლუციის ჩახშობაში. მუშათა მოძრაობაც არ იყო ჯეროვნად ორგანიზებული, წვრილი საწარმოებისა და სახელოსნოების მუშები, რომლებიც მუშათა კლასის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, რევოლუციაში დაგვიანებით ჩაებნენ, ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში შეიარაღებული აჯანყება განცალკევებულად, ურთიერთკავშირის გარეშე მიმდინარეობდა, გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები უმრავლეს შემთხვევაში არ დაემთხვა მუშების აჯანყებას „ქართველი მენშევიკებისა, წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ჯგუფებისა და პარტიების მოღალატურმა და დეზორგანიზატორულმა საქმიანობამ დიდი ზიანი მიაყენა მთელ რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში"[15].

და, ბოლოს, ი. ხუციშვილი იძლევა რევოლუციის დამარცხებისა და მისი გაკვეთილების მკაფიო შეფასებას.

---

[14] ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 515.

[15] იქვე, გვ. 520—521.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1959 წელს გამოიცა ლ. ებანოიძის გამოკვლევა — „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში“, ხოლო 1960 წელს — ი. მელქაძის „რსდმ პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში“. ამ ნაშრომებში წარმოჩენილია ბოლშევიკების როლი რევოლუციაში, განზოგადებულია ის გამოცდილება, რომელიც ამ რევოლუციის პერიოდში დაგროვდა, შეფასებულია ბოლშევიკების მოღვაწეობის გაკვეთილების მნიშვნელობა მომავალი რევოლუციის შემდგომი ბედისათვის. მოცემული მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯია ნ. სტურუას ნაშრომი, სადაც განხილულია საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანებში და რევოლუციის დამდეგს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომებში 1955 წელს (ტ. 1) გამოქვეყნდა ი. კაჭარავას ნარკვევი „იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია“, ხოლო 1975 წელს მისივე წიგნი „პირველი სახალხო რევოლუცია“, სადაც დახასიათებულია „იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია რუსეთში“, განხილულია „ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები საქართველოში“, გამოკვლეულია „გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში“.

1975 წელს გამოიცა მ. ჯიჯეიშვილის ნარკვევი — „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ სადაც მიმოხილულია სახალხო რევოლუციის დასაწყისი. გაშუქებულია საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, საქართველო რუსეთის რევოლუციის უმაღლესი განვითარების პერიოდში, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის შექმნისა და განმტკიცებისათვის, ცალკეა წარმოდგენილი მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობა 1906—1907 წლებში.

1975 წელსვე გამოქვეყნდა ი. მირცხულავას „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“. ავტორი ახასიათებს რევოლუციის დასაწყისს, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ბრძოლას რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის, აფასებს საქაროველოს ბოლშევიკების ბრძოლას რევოლუციაში ლენინური ტაქტიკის დაცვისათვის. დაკვირვებას აწარმოებს ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვაზე და დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაზე საქართველოში, ეხება რევოლუციის უკან დახევას, იძლევა რევოლუციის დამარცხებისა და მისი გაკვეთილების შეფასებას.

რუსეთის პირველ რევოლუციას ნარკვევი მიუძღვნა ი. ხუციშვილმა — „1905—1907 წლები გორის მაზრაში“, რომელიც გამოქვეყნდა 1976 წელს.

ნარკვევში სწორადაა ასახული გორის მაზრის გლეხთა მასობრივ-რევოლუციური გამოსვლები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ავტორს გამოყენებული აქვს ახალი საარქივო მასალა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის პარტარქივის დოკუმენტები, რევოლუციის მონაწილეთა მოგონებები და სხვ.

ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში გორის მაზრის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს რევოლუციური ბრძოლა, თავი გამოიჩინეს საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1977 წელს გამოიცა ე. ახობაძის „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში“, რომელშიც გაშუქებულია ის დიდი როლი, რაც დემოკრატიულმა ინტელიგენციამ შეასრულა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქ განხილულია მუშათა კლასის მოკავშირის ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მონაწილეობა სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1901—1907 წლებში.

ნაშრომიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ისევე, როგორც მთელ რუსეთში, მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა პროლეტარიატს მედგრად ედგა მხარში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამაზე მეტყველებს ის, რომ დემოკრატიული ინტელიგენციის ბევრი ღირსეული წარმომადგენელი ბრძოლაში დაეცა.

1979 წელს გამოიცა ო. თურმანიძის „გლეხთა მოძრაობა აჭარაში. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“. ეს არის ავტორის მიერ აჭარის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდა, თუმცა ამ საკითხს ზოგადად არაერთი სხვა ავტორიც შეხებია.

ო. თურმანიძემ საარქივო მასალაზე, იმდროინდელ პრესის მონაცემებზე დაყრდნობით განიხილა აჭარის გლეხთა მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, სათანადოდ შეაფასა რსდმპ ბათუმის კომიტეტის როლი გლეხთა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. ამის მიუხედავად აჭარის გლეხობის მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

1981 წელს გამოიცა ს. წვერავას „ოქტომბრის დღეები“. წიგნი წარმოადგენს დოკუმენტური მოთხრობების კრებულს. მასში საინტერესოდაა დახატული მშრომელთა ცხოვრებისა და ბრძოლის სურათები 1905 წლის მშფოთვარე დღეებში, ახალგაზრდობის შრომა საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, მათი თავდადება სამშობლოს ნათელი მომავლისათვის.

1984 წელს გამომცემლობა „ალაშარა“-მ გამოსცა ს. ლაკობას ნაშრომი „აფხაზეთის მებრძოლნი 1905—1907 წლების რევოლუციის დროს“, რომელშიც გამოყენებულია მდიდარი საარქივო მასალა, სპეციალური ისტორიული ლიტერატურა. იგი აფხაზეთის ბოლშევიკების გმირული ბრძოლის გაშუქების პირველი ცდაა. 1905—1907 წლების პერიოდში. მასში წარმოდგენილია პარტიის გამოჩენილი მებრძოლების ლ. გოთოშიას, პ. ემხვარისა და სხვათა საქმიანობა.

საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის თითქმის ყველა ასპექტს მიეძღვნა კონკრეტული გამოკვლევები. მათ შორის ზოგიერთს ცნობილ მკვლევართა ნაშრომები: ლ. ებანოიძის — „ვ. ი. ლენინი და 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ (თბ., 1984); ნ. ჩახვაშვილის — „ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები და შეიარაღებული აჯანყება საქართველოში 1905 წელს“; გ. ჯამბურიას — „გლეხთა რევოლუციური კომიტეტი საქართველოში 1905—1907 წლებში“; ა. სტეკლოვის — „რევოლუციური მოძრაობა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში 1905—1907 წლებში“; ლ. გორგილაძის — „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ინტერნაციონალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი შეკავშირებისათვის 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში"; ს. ბერიძის — „პროფესიული კავშირების წარმოშობა და განვითარება საქართველოში 1905—1907 წლებში". საგანგებოდ იქნა შესწავლილი რევოლუციის მსვლელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თუ ქალაქში: გურიაში (ფ. მახარაძე და სხვ.), ჭიათურაში (ზ. გეგეშიძე), ქართლში (ი. ხუციშვილი), კახეთში (გ. ათანელიშვილი), რაჭაში (ა. ბენდიანიშვილი), ასევე ეროვნულ მხარეებში: აფხაზეთში (ზ. ანჩაბაძე და სხვ.); სამხრეთ ოსეთში (ს. ბეკოევა და სხვ.). გაშუქდა და აისახა რევოლუციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები და ფაქტები: რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენა საერთაშორისო რევოლუციურ და მუშათა მოძრაობაზე (ა. კობაიძე), რუსეთის პირველი რევოლუცია ქართულ ხალხურ პოეზიაში და 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში (ქ. სიხარულიძე).

რევოლუციამ ასახვა პოვა საქართველოს ახალი ისტორიის ისეთ განმაზოგადებელ ნაშრომებში, როგორიცაა „საქართველოს ისტორია" (1958), საქართველოს ისტორიის 3 ტომეულის II ტომი (1962), „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები" (1976), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V (1972), „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები" (1968), გ. ძიძარიას, ა. კიკვიძის, ა. სურგულაძის, ზ. ვანეევის, ნ. ცხოვრებოვის და სხვათა განმაზოგადებელ ნაშრომებში.

ადგილის სიმცირის გამო, არაფერს ვიტყვით რევოლუციის ისტორიისადმი მიძღვნილ ზემოხსენებულ კრებულებზე, სადაც ბევრ სტატიასა და ნარკვევს თვალსაჩინო სიახლე შეაქვს დიდი ისტორიული მოვლენის ისტორიოგრაფიაში.

•

პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში საერთოდ, ასევე რევოლუციასთან დაკავშირებული მოვლენები და ფაქტები გაშუქებულია აგრეთვე რუსულ ენაზე გამოცემულ გამოკვლევებში. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის კრებული, გამოცემული 1955 წელს გ. ძიძარიას რედაქციით, ს. ბეკოევას ნაშრომი — „სამხრეთ ოსეთი რუსეთის რევოლუციის პერიოდში" (1956), დოგუზოვის — „რევოლუციური მოძრაობა სამხრეთ ოსეთში" (1960), ა. სტეკლოვის — „რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიის სამხედრო ნაწილებში", ა. აბრამოვის — „გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1902—1905 წლებში (1940), ლ. ბოგუცკაიას — „გურია რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში" (1949) და სხვა.

რუსულ ენაზე გამოქვეყნდა არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, სადაც გადმოცემულია საქართველოში პირველი სახალხო რევოლუციის მიმდინარეობის ამსახველი ნაშრომების ძირითადი შინაარსი.

ასეთია ზოგად ხაზებში პირველი სახალხო რევოლუციის ისტორიოგრაფია საქართველოში. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1905—1907 წლებში ღრმადაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში და ეს დიდი პროცესი მართებული მეთოდოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური პოზიციიდანაა შეფასებული, რევოლუციის შედეგები და გაკვეთილები სწორადაა გააზრებული და შეფასებული.

ამის მიუხედავად, ჩვენი აზრით, აღსანიშნავია რევოლუციის ობიექტური ისტორიული წანამძღვრების შემდგომი კვლევის საჭიროება, ასევე საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის უფრო მკაფიოდ წარმოდგენა ამ უკანასკნელს უკავშირდება ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის კვლევის სასურველობა, რევოლუციისადმი მათი დამოკიდებულების შეფასება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ რევოლუციისადმი — „საერთო დემოკრატიის“ მიმართება და მისი როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სამწუხაროდ, დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. „საერთო დემოკრატიის“ შეუფასებლობა ეპოქის განმათავისუფლებელ მოძრაობაში საერთოდ ჩვენი ისტორიოგრაფიის სერიოზულ ხარვეზად წარმოგვიდგება.

შემდგომი კვლევის ასპარეზად მიგვაჩნია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განხორციელება რევოლუციაში, რაც უფრო ცხადად წარმოაჩენს მის ხელშემწყობ, ასევე ხელშემშლელ ფაქტორებს. არც გლეხთა რევოლუციური კომიტეტები და ზოგიერთი „რესპუბლიკა“ არის ჯეროვანი სიღრმითა და სიზუსტით შესწავლილ-შეფასებული.

1905—1907 წლების რევოლუციისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი და კონკრეტული ხასიათის ნაშრომების საერთო ნიშანთვისებაა ისტორიოგრაფიული ნარკვევების წარმოუდგენლობა, რის გამოც ბევრ შემთხვევაში ძნელი დასადგენია ამა თუ იმ ავტორის მიერ მეცნიერებაში შეტანილი სიახლე თუ წვლილი. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ წყაროთმცოდნეობითი კვლევა ასევე იშვიათობაა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. არა და ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ძიების გარეშე შეუძლებელიცაა მოცემული დიდი ისტორიული პროცესის შემდგომი კვლევის პერსპექტივის დასახვა და მისი რეალიზაცია.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯანჯღავა

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902—1904 წლებში

საქართველოს დიდი სახელოვანი რევოლუციური წარსული აქვს, რომლის შესწავლა-გაშუქებისას არაერთი ბრწყინვალე მეცნიერული ნაშრომი და სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდი საქართველოში სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი და გარკვეული.

„1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდი, — ნათქვამია საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომში, — რევოლუციის კრიზისის მომწიფების ხანა საქართველოში — სათანადოდ არ არის შესწავლილი. მართალია, ამ პერიოდს ეხებიან ის ავტორები, რომელთა საკვლევ ობიექტს 1905—1907 წლები წარმოადგენს, მაგრამ სპეციალური მონოგრაფიული კვლევის საგანი აღნიშნული პერიოდი არ გამხდარა, ამ მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული“[1].

ჩვენი მიზანია წარმოდგენილ ნაშრომში შეძლებისდაგვარად, სრულყოფილად გავაშუქოთ 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინა პერიოდის, კერძოდ, 1902—1904 წლების გლეხთა რევოლუციური გამოსვლები სამეგრელოში. რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ყველაფრის ამომწურავად გარკვევა-გადაწყვეტისა ვინაიდან, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი იმდენად მდიდარია მოვლენებით სამეგრელოში, იმდენად მრავალფეროვანი და საყურადღებოა, რომ ამ მხარეში აღნიშნული პერიოდის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თვალსაზრისით საკვლევი და საძიებელი მომავალშიც ბევრი იქნება.

გლეხთა აგრარულ-რევოლუციურ მოძრაობას სამეგრელოში ისე, როგორც მთელს საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, ქართველი გლეხობა ყოველთვის განიცდიდა მიწის ნაკლებობას, რომლის ნიადაგზედაც განუწყვეტლივ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი გლეხობასა და მემამულეებს შორის. აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც სამეგრელო რუსეთს შეუერთდა და კიდევ უფრო გამწვავდა მდგომარეობა არა მარტო გლეხობასა და მემამულეებს შორის, არამედ გლეხობასა და ეკლესია-მონასტრებს შორის.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, საქართველო 1900—1921 წლებში, თბ., 1972, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 115

გლეხთა აგრარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ სამეგრელოში განვითარების კულმინაციას მიაღწია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ე. ი. XIX ს-ის მეორე ნახევარში; აღნიშნულ პერიოდში ისე გახშირდა გლეხთა გამოსვლები, რომ მან მოიცვა არა მარტო ყველა სოფელი, არამედ თითქმის ყველა მამული[2].

XX ს-ის დასაწყისში სამეგრელოს გლეხობას უკიდურეს მდგომარეობაში აყენებდა მცირემიწიანობა, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობა სამეგრელოში ისე, როგორც მთელს საქართველოში ხასიათდებოდა სათესი ფართობის, მოსავლიანობის, პირუტყვის სულადობისა და სხვათა შემცირებით. გლეხურ მეურნეობათა დიდი ნაწილის გაპარტახებასა და მძიმე მდგომარეობას ცხადყოფდა სახელმწიფო გადასახადთა ნარჩენების ზრდა, მრავალრიცხოვანი ბეგარის შეუსრულებლობა. კაპიტალისტური და ბატონყმური ექსპლუატაცია შერწყმული იყო ცარიზმის მიერ გატარებულ ეროვნულ ჩაგვრასთან.

1905 წლის რევოლუციის წინ გლეხთა გამოსვლების მრავალრიცხოვან მიზეზთაგან ერთ-ერთი მიზეზი სამეგრელოში 1901 წლის მოუსავლიანობა იყო, რომლის შედეგი იყო გლეხთა ფართო მასების შიმშილობა და უკიდურესი გაჭირვება.

„გასაგებია, თუ რა უბედურებად უნდა დასტყდომოდა თავს 1901 წლის მოუსავლობა საქართველოს სოფელს. ასეთ პირობებში მემამულეთა და მთავრობის მოხელეთა პარპაში კიდევ უფრო აძლიერებდა გლეხობის აღშფოთებას“[3].

გლეხთა ფართო მასები მეტწილად იძულებული იყვნენ იჯარით აღებული მიწებიდან მიღებული მთელი თავიანთი მოსავალი მემამულეებისათვის ეძლიათ თვითონ კი საშოვარზე მიდიოდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში. მაგრამ ეკონომიკურ კრიზისსა და უმუშევრობასთან დაკავშირებით გლეხების დიდი ნაწილი სამეგრელოდან, რომელიც გასული იყო საშოვარზე ქალაქად, კარგავდა სამუშაოს და დამშეულ სოფელში ბრუნდებოდა.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა თავის ცნობილ სტატიაში „კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში“ (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ), სამეგრელოშიც ისე მოხდა, სხვადასხვა ქალაქში საშოვარზე წასულ გლეხებს, როცა ისინი შინ ბრუნდებოდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, მოჰქონდათ ახალი იდეები, „მიყრუებული ადგილების გლეხობაში ისინი აღვიძებენ შეგნებას და ადამიანური ღირსების გრძნობას, აღვიძებენ რწმენას საკუთარი ძალისადმი“[4].

1900—1902 წლების სამრეწველო კრიზისისა და უმუშევრობის პერიოდში თბილისის, ბათუმის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების მუშების დიდი ნაწილი თავისი ნებით ბრუნდებოდა სოფლად, მნიშვნელოვან ნაწილს კი, მთავრობა გაფიცვებში და დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის იძულებით ასახლებდა თავიანთ სოფლებში.

---

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, საქართველო XIX საუკუნის 30—90-იანი წლებში, თბ., 1970, გვ. 568

[3] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს, წიგნი II, (1861—1921 წწ), თბ., 1959, გვ. 231.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზულებანი, ტ. 4, გვ. 162.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუშებმა დაიწყეს აგიტაცია სოფლად და მოუწოდეს გლეხობას სოციალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ თვითმპყრობელობის და მისი ბურჯების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში.

სოციალ-დემოკრატი მუშები გლეხებს უხსნიდნენ მათი ჩაგვრის მიზეზებს, აცნობდნენ თავიანთ მწარე ცხოვრებას და საერთო მტრის თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებსა და მეთოდებს"[5].

1900—1902 წლებში თბილისიდან, ბათუმიდან, ჭიათურიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან მთავრობის მიერ იძულებით გასახლებულ მუშათა დიდი ნაწილი სამეგრელოს სოფლებში გვხვდებოდა, რომლებმაც რევოლუციური იდეები ჩამოიტანეს და გლეხობაში გაავრცელეს.

ამრიგად, მცირემიწიანობა, 1901 წლის მოუსავლიანობა, დიდი საიჯარო გადასახადები, მეფის მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა, საეკლესიო გადასახადი (ე. წ. დრამის ფული), პოლიტიკური უუფლებობა და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა იწვევდა გლეხობის უკმაყოფილების ზრდას და მათ გარევოლუციონერებას. ყოველივე ზემოთ თქმული და სხვა მიზეზები სამეგრელოს გლეხობას ისე, როგორც მთელს საქართველოს გლეხობას მიაქანებდა შეირაღებული აჯანყებისაკენ, რათა მათ ბრძოლით მოეპოვებინათ მიწა და პოლიტიკური თავისუფლება.

1902—1904 წლებში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლები ცეცხლის ალში იყო გახვეული, მათ შორის სამეგრელოს სოფლებიც გავარვარებულ ღველფს წააგავდა, რომელიც წალეკვით დაემუქრა ძირმომპალ მეფის ხელისუფლებას.

მიუხედავად გამეფებული სასტიკი რეაქციისა XX საუკუნის დასაწყისში გლეხთა აგრარულ-რევოლუციურ მოძრაობას სამეგრელოში შედარებით ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან მას ხელმძღვანელობას უწევდა ცნობილი რევოლუციონერი მიხა ცხაკაია. XIX ს-ის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სამეგრელოში მიხა ცხაკაიას რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ჩვენ სრულიად ახალი მასალა მოვიძიეთ ქ. ცხაკაიაში მიხა ცხაკაიას მემორიალურ მუზეუმში და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (რომლებიც პირველად ქვეყნდება).

მიხა ცხაკაია 1897 წლის ნოემბრიდან 1902 წლის თებერვლამდე გადასახლებასა და პატიმრობაში იმყოფებოდა. 1902 წლის 17 თებერვალს ავადმყოფობის გამო ის ვადამდე ადრე გაანთავისუფლეს ციხიდან და კავკასიაში დაბრუნების უფლება მისცეს. მას მიეცა უფლება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ სოფ. ლესიჭინეში ცხოვრებისა[6].

მიხა ცხაკაია იმ დროს ჩამოვიდა სამეგრელოში, როდესაც მთელს დასავლეთ საქართველოში აგრარული რევოლუციის ხანძარი ენთო.

როგორც აღნიშნული იყო 1901—1902 წლებში საქართველოში იზრდება რევოლუციური მოძრაობა, მიხას ჩამოსვლის დროისათვის საქართველოში უკვე შექმნილი იყო რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტები, რომ-

---

[5] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს. წიგნი II, (1861—1921 წწ) თბ., 1959, გვ. 232.

[6] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიული კრებული), 1961, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც ხელმძღვანელობდნენ მუშათა და გლეხთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლას, გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. დაძაბული არალეგალური მუშაობის და ციხეში ყოფნის შემდეგ დაქანცულ მიხა ცხაკაიას ხანგრძლივი დასვენება ესაჭიროებოდა, მაგრამ დასვენების ნაცვლად მაშინვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.

1902 წლის მარტში მიხამ სოფ. ლესიჭინეში თავი მოუყარა ზუგდიდის მაზრის (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონის) სოფლების ოჩხამურის, კირცხის, ლეწურწუმეს, მუხურის, ახუთის, ნაკიანის, ლექარჩეს და სხვა სოფლების ხუთასამდე გლეხს. 25 მარტს სოფ. ლესიჭინეში მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით ჩატარდა ზემოთ დასახელებული სოფლების გლეხთა კრება. კრებაზე გლეხებმა გამოთქვეს აზრი, რომ არ დამორჩილებოდნენ თავიანთ მემამულეებს და ბოიკოტი გამოეცხადებინათ მათთვის. კრების შემდეგ გლეხები ეკლესიისაკენ გაემართნენ და იქ ერთმანეთს შეფიცეს, რომ არ გადაუხდიდნენ საიჯარო ქირას მემამულეებს იმოქმედებდნენ ერთად და არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდნენ ერთმანეთს[7].

სოფ. ლესიჭინედან მიხა ცხაკაია სენაკის მაზრის სოფ. ხუნწში ჩავიდა. 1902 წლის 30 აპრილს სოფ. ხუნწში მიხას ხელმძღვანელობით ჩატარდა გლეხთა კრება, რომელსაც დაესწრნენ ლეხაინდრავოს, ნოჯიხევის, აბედათის, ინჩხურის, სალხინოს, ეწერის, ტალერის და სხვა სოფლების ოთხასამდე გლეხი. გლეხებმა გადაწყვიტეს, რომ გაფიცვა გამოეცხადებინათ მემამულეებისა და სამღვდელოებისათვის. მათ მოითხოვეს მემამულეებისაგან მიწის ღალის დაკლება, უარი თქვეს დრამის ფულის გადახდაზე, განაცხადეს, რომ სოფლის ყოველი საჭიროება — გზების კეთება, ეკლესიისათვის ყურადღების მიქცევა და სხვა დაკისრებოდა სოფლის ყველა მცხოვრებს განურჩევლად წოდებისა.

1902 წლის პირველ მაისს ზემოთ დასახელებული სოფლების გლეხებმა მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით მოაწყვეს დემონსტრაცია, ისინი დადიოდნენ წითელი დროშებით და გლეხობას მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ მემამულეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ[8]. პოლიციამ რამდენიმე მოთავე გლეხი დააპატიმრა, მაგრამ ამით მოძრაობის შეჩერება ვერ შეძლო.

სენაკის მაზრის სოფ. ხუნწიდან მ. ცხაკაია ქუთაისში გადავიდა. სოფლის დატოვების მიზეზად მიხა ასახელებს ამ დროისათვის ბათუმში დატრიალებულ ამბებს. „განსაკუთრებულ ბიძგად საამისოდ — წერდა იგი, ე. ი. სოფლიდან გასაქცევად, გახდა ის, რომ შევიტყვე ბათუმის მუშათა დიდ მოძრაობაზე და მის სერიოზულ შედეგებზე: გაასახლეს ქალაქიდან თავთავიანთ სოფლებში ყველა მუშა, ვინც კი გადაურჩა საპყრობილეს, რომელიც მაშინ უკვე გაჭედილი იყო პატიმრებით. მე მოვახერხე შევხვედროდი ბათუმიდან სამეგრელოში გასახლებულ მუშათა ერთ ასეთ ჯგუფს და დაწვრილებით გავეცანი ყველა დეტალს ამ მოძრაობისას, რომელიც 1902 წლის თებერვალ-მარტის დღეებშივე მთელი რუსეთისათვის ცნობილი გახდა“[9].

---

7 ქ. ცხაკაიაში მიხა ცხაკაიას მემორიალური მუზეუმის მოგონებათა ფონდი.

8 იქვე.

9 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 157, აღწ. 1, საქ. 57, ფურც. 99. (ყველა დანარჩენ შემთხვევაში მითითებული იქნება — სსცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1902 წლის შემოდგომიდან მიხა ცხაკაიას ნება დართეს პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ქ. ქუთაისში ცხოვრებისა. მიხა, როგორც გამოცდილი პროფესიონალი და ძველი კონსპირატორი ენერგიულად შეუდგა არალეგალურ მუშაობას: დაუღალავად ხელმძღვანელობს, როგორც მუშათა ისე გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

რსდმპ III ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში მიხა მრავალგზის აღნიშნავდა იმ უდავო ფაქტს, რომ საქართველოს გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატია.

მიხა ცხაკაია ერთ-ერთ თავის მოხსენებაში რსდმპ III ყრილობაზე აღნიშნავდა: «Опыт организационного руководства социал-демократии крестьянским движением мы имеем, главным образом, в Западном Закавказье — в Кутаисской губ. — в частях, о которых уже известно и в литературе, — Гурии, Имеретии и Мингрелии»[10].

1902 წლის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაფართოვდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, როგორც ზუგდიდის ისე, სენაკის მაზრებში. 1902 წლის მეორე ნახევრის ზუგდიდის მაზრის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინამძღოლად და ინიციატორად გამოვიდნენ სოფ. ნარაზენის გლეხები. „25 აგვისტოს სოფ: ნარაზენში შედგა გლეხთა კრება, სადაც გლეხებმა ძმობის ფიცი დადეს და ერთხმად მიიღეს დადგენილება — არ მიეცათ მემამულეებისათვის ღალა. მალე ნარაზენელ გლეხებს სოფ. ჯაფისკარის გლეხებიც შეუერთდნენ „სექტემბრის დამლევამდე გლეხთა მოძრაობა მთელ ზუგდიდის მაზრას მოედო“[11].

«Здесь инициатором пропаганды, — говорится в документе, — явился некий крестьянин Бигвава, временно до того проживавший в Гурии и возвратившийся оттуда в родное селенье Наразени 25 августа 1902 года. В этом селении он стал собирать тайные сходки односельчан, передавать ... подробности о происходивших в соседней Гурии беспорядках»[12].

„ზუგდიდის მაზრის გლეხთა მღელვარების შესახებ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწემ გენერალმა ფრეზემ 1902 წლის დეკემბერში სპეციალური მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელშიდაც წერდა: „ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა მღელვარება მეზობელ ზუგდიდის მაზრაშიც შემოიჭრა. ამ მღელვარების მიზეზები იგივეა — მიუთითებდა გენერალი ფრეზე რაც ოზურგეთის მაზრაში“. უფრო ადრე 1902 წლის 12 სექტემბერს, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გენერალი სტოპჩანსკი მოახსენებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ მიღებულმა ზომებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს ზუგდიდის მაზრის გლეხთა მღელვარებაზე. „თავად მინგრელსკის გლეხებმა განაცხადეს, — წერდა გენერალი სტოპჩანსკი ამ მოხსენებაში, — რომ არაფერს არ გადაუხდიან მემამულეებს მიწისთვის. აქ ვერც ჯარების ყოფნამ და ვერც შემჩნეულ მოღვაწეთა მასი-

---

[10] Третий съезд РСДРП, апрель—май 1905 года, протоколы, Москва, 1959,

[11] საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო; „საისტორიო მოამბე“, № 10, თბ., 1959, გვ. 266; (ყველა დანარჩენ შემთხვევაში მითითებული იქნება — „საისტორიო მოამბე“, № 10, თბ., 1959).

[12] „საისტორიო მოამბე“, № 10, 1959, გვ. 391.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურმა დაპატიმრებებმა... განაგრძობდა იგი — ვერ შეაჩერეს პროპაგანდა და ფარული კრებებიო ღამღამობით"[13].

1902 წლის 8 სექტემბერს ზუგდიდის სოფლების ჩხორიის, შამგონის, კორცხელის, კოკის, ხურჩას, ცაცხვის, ჩხოუშიას, ურთას და ჭაქვინჯის გლეხებმა თავიანთ კრებაზე დაადგინეს, რომ მემამულეებს მიწისათვის არაფერი არ გადაუხადონ. თუ აქამდე ვუხდიდით, მოტყუებულნი ვიყავით და მემამულეები ძალით გვახდევინებდნენო. სანადელო მიწები ჩვენ გვეკუთვნის, ამიტომ არა ვართ ვალდებულნი, მემამულეებს ღალა ვუხადოთ[14].

1902 წლის 12 სექტემბერს მუხურის 70 გლეხი თავს დაესხა თავად დადიანისა და აზნაურ ჩარკვიანის მამულს ლუგელას და ცდილობდნენ მის დაუფლებას[15]. მუხურიდან გლეხთა აჯანყება მოედო სოფლებს: ლეგახარეს, ქოყოს, ნაკიანის, ლექარჩეს, ლეჯიქეს, ზუმს და სხვა სოფლებს. საჭირო გახდა მთავრობის ჩარევა, რათა თავიდან აეცდინათ გლეხთა „ძალადობა".

როგორც აღვნიშნეთ, 1902 წლის სექტემბრიდან გლეხთა რევოლუციური მოძრაობა მთელს ზუგდიდის მაზრას მოედო. გლეხები პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ და სასტიკად ილაშქრებდნენ თავიანთი მემამულეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. გლეხებმა უარი განაცხადეს არა მარტო მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, არამედ უარი თქვეს ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე, როგორც საიჯარო, ისე საღალო გადასახადებზე.

ზუგდიდის მაზრასთან ერთად 1902 წლის მეორე ნახევრიდან გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ფართოდ გავრცელდა სენაკის მაზრაშიც. ნოქალაქევის, გახომელას, ლებადათურეს, კოტიანეთის, ძველი სენაკის, ფოცხოს, უშაფათის, გულეიკარის, ილორის, გეზათის, საჭილაოს, ნაისაკოვოს, მარანის და სენაკის მაზრის სხვა სოფლების გლეხებმა დაიწყეს მემამულეთა მიწების დამუშავებისათვის თავის არიდება. ისინი აცხადებდნენ, რომ ვითომ მათ ყოფნიდათ თავიანთი მიწები. შემდეგ კი კატეგორიულად განაცხადეს უარი მემამულეთა მიწების დამუშავებაზე და იწყეს თავიანთ მემამულეთა სახლ-კარის გადაწვა-განადგურება. 8 მაისს გულეისკარის საზოგადოებაში თავად მიხეილ დიდიას სამზად სახლს ცეცხლი წაუკიდეს და მიაყენეს 100 მანეთის ზარალი. 12 მაისს იმავე საზოგადოებაში დასწვეს თავად სოლომონ დიდიას ორი სასიმინდე 900 ფუთი სიმინდით და მიაყენეს 600 მანეთის ზარალი და სხვ.[16].

როგორც ზუგდიდის ისე, სენაკის მაზრის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ბათუმიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატი მუშები ედგნენ სათავეში. სათანადო საბუთებიდან ჩანს, რომ სენაკის მაზრის ყველა სოფელში 300-ზე მეტი ბათუმელი მუშა იქნება გადასახლებული, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1902 წლის ბათუმის მარტის თვის გაფიცვებში. ისინი თავიანთ სოფლებში იქნენ ჩასახლებულნი და ხელი მიჰყვეს ენერგიულ აგიტაცია-პროპაგანდას სოფლის მემამულეების, ბურჟუაზიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ საბრძოლველად. სოფლებში მომუშავე სოცი-

---

[13] „საისტორიო მოამბე", № 10, 1959, გვ. 265—266.

[14] იქვე, 1959, გვ. 391.

[15] ვ. საბახტარაშვილი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წწ. (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები); თბ., 1959, გვ. 49—50

[16] ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წლებში, 1, თბ., 1964, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ-დემოკრატი მუშა-პროპაგანდისტები ბათუმში დარჩენილი მუშებისაგან სისტემატურად ღებულობდნენ ნაბეჭდ რევოლუციურ პროკლამაციებს და გლეხობაში ავრცელებდნენ.

სენაკის მაზრის გლეხობა სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტების მეშვეობით თავიანთ ფარულ კრებებზე იხილავდნენ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, თუ როგორ უნდა მოეწყოთ დემონსტრაციები და როგორ გამოეცხადებინათ ბოიკოტი მთავრობის მიმართ, როგორ გაევრცელებინათ პროკლამაციები და სხვა. ბათუმის კომიტეტის ერთ-ერთ პროკლამაციაში, რომელიც სენაკის მაზრის გლეხობაში გავრცელდა მოცემული იყო შემდეგი მოთხოვნები:

1. დემონსტრაცია-მანიფესტაციის სრული თავისუფლება, სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება; 2. პიროვნებისა და საკუთრების თავისუფლება, 3. მთავრობის ორგანოების არჩევა ხალხის მიერ; 4. წოდებრივ უპირატესობათა გაუქმება; 5. მუდმივი ჯარის მოსპობა; 6. 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება; 7. მთელი მიწების გადაცემა მშრომელი გლეხების ხელში.

„ჩვენ ვიბრძვით ახლანდელი დესპოტური მთავრობის წინააღმდეგ და საზოგადოებას მოუწოდებთ ამ ბრძოლისაკენ“ — ეს იყო მათი დევიზი, — ასე განმარტავდა გლეხთა აგრარულ-რევოლუციურ განწყობილებას ერთ-ერთ თავის ოფიციალურ მოხსენებაში ქუთაისის გუბერნატორი გენერალ მაიორი სმაგინი[17].

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებელ გოლიცინისადმი 1902 წლის 13 სექტემბერს თავის მოხსენებაში წერდა: სენაკის მაზრის გლეხთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები; მაგრამ მოძრაობა გრძელდება, გლეხობა ძალადობაზე გადავიდა და მათი რევოლუციური მოძრაობა თანდათან ფართოვდება. გუბერნატორი მთავარმართველისაგან თხოულობს დამხმარე ძალებს სენაკის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად[18].

მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდის გამო ქუთაისის გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებში, მათ შორის ზუგდიდისა და სენაკის მაზრებშიაც შემოღებულ იქნა გაძლიერებული დაცვა[19].

ასეთია მოკლე სურათი სამეგრელოს 1902 წლის გლეხთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობისა. მიუხედავად იმისა, რომ 1902 წელს მთელი საქართველო და მათ შორის სამეგრელოც აგრარულ-რევოლუციური ხანძრით იყო მოცული, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ყველგან მარცხით დამთავრდა.

განმარტავდა რა 1902 წლის გლეხთა აჯანყებების დამარცხების მიზეზებს ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ ბროშურაში — „სოფლის ღარიბებს“ წერდა:

---

[17] სსცია, ფონდი 12, აღწ. 1, საქ. 3969, ფურ. 1.

[18] საისტორიო მოამბე“, № 10, 1959, გვ. 340—341, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებიდან კავკასიის მთავარმართველისადმი აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის შესახებ სენაკის მაზრაში, № 889.

[19] „ივერია“, № 57, 1902 წლის 15 სექტემბერი; „კვალი“; № 12, 1902 წ. 17 სექტემბერი.

„გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული, ნათელი პოლიტიკური მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისა. გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან იგი არ იყო მომზადებული, გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან სოფლის პროლეტარებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი ქალაქის პროლეტარებთან“[20]. ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული 1902 წლის გლეხთა აჯანყებების დამარცხების მიზეზი, ძირათადად სამეგრელოს გლეხთა აჯანყებისათვისაცაა დამახასიათებელი.

1902 წელს გლეხთა აგრარულ-რევოლუციურ გამოსვლებს სამეგრელოში, ისე როგორც მთელს საქართველოში, მიუხედავად მისი დამარცხებისა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხთა აგრარულ-რევოლუციურმა გამოსვლებმა ნათლად გამოამჟღავნა, რომ მეფის თვითმპყრობელობის აღვირახსნილმა მოქმედებამ და საქმიანობამ აავსო მშრომელი გლეხების მოთმინების ფიალა, რომ სამეგრელოს მშრომელი გლეხები პროლეტარიატთან ერთად საბოლოოდ უნდა დაადგნენ ცარიზმის იარაღით დამხობის გზას.

1902 წლის აგრარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ, მიუხედავად ხელისუფლების სასტიკი დამსჯელი ღონისძიებებისა, არა თუ შეამცირა სამეგრელოს მშრომელი გლეხობის ბრძოლის წყურვილი, არათუ გატეხა მათი ნებისყოფა, არამედ, პირიქით, გაასალკდევა, განამტკიცა მებრძოლთა რიგები და შეამზადა ნიადაგი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური შეტევისათვის, რამაც 1903—1904 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

რევოლუციური მოძრაობა სოფლად ძლიერდებოდა იმის მიხედვით, რამდენადაც ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა მუშათა მოძრაობა ქალაქად, სტიქიური ბრძოლიდან ორგანიზებულ მოძრაობაზე გადასვლა სოფლად ხდებოდა მუშათა მოძრაობის ზრდისა და სოციალ-დემოკრატიული შეგნების გავრცელების საფუძველზე.

ამის შემდეგ იწყება ბრძოლის ახალი პერიოდი; ორგანიზაციისა და სისტემატური პროპაგანდა — აგიტაციის პერიოდი. სასტიკი რეპრესიების მძიმე ვითარებაში გლეხთა ფართო კრებების მოწვევა და მარტო აშკარა აგიტაცია ხელსაყრელი არ იყო. საჭირო შეიქმნა მუშაობის უფრო მოქნილი ფორმების გამონახვა, დაქსაქსული ძალების შემჭიდროება. ასეთ ვითარებაში გლეხობას დახმარების ხელი გაუწოდა სოციალ-დემოკრატიამ — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა[21].

1902 წელს სამეგრელოს გლეხობის ბრძოლა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეში, უმთავრესად აგრარული ხასიათისა იყო. მაგრამ 1903 წლის დასაწყისიდანვე სენაკისა და ზუგდიდის მაზრის გლეხებმა დაიწყეს პოლიტიკური ბრძოლა რომელიც მიმართული იყო არა მარტო მემამულეებისა და ეკ-

---

[20] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 529.

[21] ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917, თბ., 1964, გვ. 128—129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესიის მსახურთა წინააღმდეგ, არამედ მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგაც. სამეგრელოს გლეხები მოითხოვდნენ, რათა მუშათა კლასთან კავშირში გადამწყვეტი ბრძოლა გაემართათ ცარიზმის დასამხობად და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად.

ისე, როგორც 1902 წელს, ასევე 1903 წელსაც სამეგრელოს გლეხობის რევოლუციური გამოსვლების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ცნობილმა პროფესიონალმა რევოლუციონერმა მიხა ცხაკაიამ, მას არც 1903 წელს დავიწყებია დასავლეთ საქართველო და კერძოდ, სამეგრელო. მთელი 1903 წლის ზაფხულის განმავლობაში მიხა ცხაკაია რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის დავალებით, როგორც ამ კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი ქუთაისში იმყოფებოდა, მან ა. წულუკიძესთან და ალ. ჯაფარიძესთან ერთად დიდი საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა დასავლეთ საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დასაარსებლად. მან დიდი მუშაობა გასწია ამ კომიტეტის შემდგომი ფორმირებისა და განმტკიცების საქმისათვის.

მ. ცხაკაია უდიდეს ყურადღებას აქცევდა დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, სამეგრელოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჯგუფებისა წრეების შექმნის საქმეს. მიხას უდიდესი დამსახურება მიუძღვის დასავლეთ საქართველოს გლეხობაში მარქსისტულ-რევოლუციური იდეების გავრცელებაში, მუშათა კლასთან ერთად გლეხობის მიერ პოლიტიკური ბრძოლის დაწყებაში.

1903 წელს, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შექმნის და კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შექმნის შემდეგ საქართველოში და, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ მანამდე არნახულ-გაქანებას მიაღწია. იმ კავშირს, რომელიც ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის მყარდებოდა, მოწმობს 1903 წლის პირველმაისობის დღესასწაულში გლეხთა მონაწილეობის ფაქტი. რა თქმა უნდა, ამ გარემოებაზე დიდი როლი შეასრულა რსდმპ კავკასიის კომიტეტის პროკლამაციამ „პირველი მაისი“, რომელიც გამოვიდა 1903 წლის 27 აპრილისათვის და მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს მოეწყოთ დემონსტრაცია საპირველმაისო დღესასწაულის აღსანიშნავად[22]. პროკლამაცია ფართოდ გავრცელდა მთელს საქართველოში და მათ შორის სამეგრელოშიც.

მეფის მთავრობა მხეცურად უსწორდებოდა რევოლუციონერ გლეხებს, მაგრამ დახვრეტამ, მასობრივმა დაპატიმრებამ, გაწკეპვლამ, გლეხთა აჯანყებებისაგან „დაზარალებულ“ მემამულეთა სასარგებლოდ გლეხების დაბეგვრამ, ეგზეკუციებმა, გლეხების აბუჩად აგდებამ „დამშვიდების“ სხვა ზომებმა, რომელთაც ცარიზმი იყენებდა, არათუ ვერ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში. ქუთაისის გუბერნიის სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ყველგან შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ისინი არა მარტო პროპაგანდასა და აგიტაციას, არამედ ფართო ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწეოდნენ სოფლად. ლენინურ-ისკრულმა ორგანიზაციებმა საქართველოში ზედმიწევნით

---

[22] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ) თბ., 1955, გვ. 1—4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაგვარეს რევოლუციური ლიტერატურის — თარგმნილი და ორიგინალური ბროშურების, პროკლამაციებისა და ფურცლების სოფლის მშრომელთა შორის გავრცელების საქმე. აღნიშნული ლიტერატურა ბროშურების, პროკლამაციებისა და ფურცლების სახით ფართოდ ვრცელდებოდა სამეგრელოს სოფლებში, რომელიც რაზმავდა მშრომელ გლეხობას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„უკვე 1903 წელს, — ნათქვამია საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომში, — სამეგრელოს სოფლებში გლეხები აწყობდნენ გაფიცვას და გამოჰქონდათ გადაწყვეტილებანი საიჯარო ფასების შემცირების შესახებ. მემამულე მხეიძეებსა და დადიანებს (ძველი სენაკი, შხეფი, ეკი და სხვა) გლეხები თვით უყენებდნენ პირობას: საიჯაროდ გაცემული მიწებიდან აეღოთ მოსავლის მხოლოდ ერთი მეხუთედი.

გლეხებმა მუშებისაგან კარგად შეითვისეს გაფიცვის მეთოდი. მემამულეებსა და მათ დამცველ ბოქაულებს მწყობრად უტევდნენ. გლეხებზე დიდი გავლენა მოახდინეს მათმა მეზობლებმა — მუშებმა, რომლებსაც მთავრობა საქართველოს სამრეწველო ცენტრებში მიმდინარე გაფიცვების აღკვეთის მიზნით ეტაპის წესით, თავიანთ სოფლებში გზავნიდა“[23].

„1903 წლის 1 — მაისს დილის 4 საათზე, სოფ. ხორშში (სენაკის მაზრა) ბათუმიდან გადმოსახლებული მუშის პავლე კანკავას და სხვათა ინიციატივით სასოფლო საზოგადოების კანცელარიის ახლოს გამოფენილ იქნა წითელი დროშა, რომელზედაც დაკრული იყო მეფის სურათი თავდაღმა და რევოლუციური პროკლამაციები. აქ მრავალი ხალხი შეიკრიბა. სოფლის მამასახლისმა განკარგულება გასცა სასწრაფოდ ჩამოეხსნათ დროშა და ამის შესახებ იმავე დღეს აცნობა მაზრის უფროსს“[24].

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სენაკისა და ზუგდიდის მაზრების მთელ რიგ სოფლებში: ნოსირში, ძველ სენაკში, ახალსოფელში, თეკლათში, მუხურში, ლეძაძამეში, ნოქალაქევში, ეკში, ოდიშში, აბასთუმანში, ანაკლიაში, კახათში, რუხში, ნარაზენში, დარჩელში და სხვაგან[25].

1903 წლის მეორე ნახევრიდან მთელს რევოლუციურ მუშაობას დასავლეთ საქართველოში და მათ შორის სამეგრელოში გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროპაგანდისტთა დაუღალავი რევოლუციური მუშაობის შედეგად სენაკისა და ზუგდიდის მაზრების გლეხთა ფართო მასები იმდენად დაეწაფნენ პოლიტიკურ საკითხებს, რომ თითქმის ყოველდღე იკრიბებოდნენ და თავიანთ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სამეგრელოს გლეხობაზე უდიდეს გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა ის არალეგალური რევოლუციური ლიტერატურა, რომელსაც სხვადასხვა ბროშურების, პროკლამაციების და ჟურნალების სახით ავრცელებდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და

---

23 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, საქართველო 1900—1921 წლებში, თბ., 1972, გვ. 174.

24 იხ. ი. ნორაკიძის მოგონება, ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი: ციტირებულია ვ. საბახტარაშვილის წიგნიდან, „გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში, 1905—1907 წწ. (სენაკის და ზუგდიდის მაზრები)“, თბ. 1959, გვ. 51.

25 სსცია, ფონდი 12, აღწ. 1, საქ. 3969, ფურც. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. მთავრობის ადგილობრივი ორგანოები, როგორც კი გაიგებდნენ სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში პროკლამაციების ან სხვა აკრძალული ლიტერატურის შემოგზავნის შესახებ, ისინი ყოველ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა არ დაეშვათ გლეხებში მისი გავრცელება. 1903 წლის 10 აგვისტოს სენაკის მაზრის სოფ. წყემში ადგილობრივმა პოლიციამ იპოვა 35 ცალი პროკლამაცია, აქედან „გურიის გლეხობას“ 3 ცალი, — „ამხანაგებო“ 12 ცალი და „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ 20 ცალი. აღნიშნული პროკლამაციები აღმოაჩინეს რამდენიმე მცხოვრების ეზოში და ჭიშკრებზე გაკრული[26]. აღნიშნული ფაქტის შესახებ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენების მთლიანი ტექსტის მოტანა პოლიციის დეპარტამენტისადმი რევოლუციური პროკლამაციების გავრცელების შესახებ სენაკის მაზრის სოფ. ცხემში (საბუთში სოფლის სახელწოდება დამახინჯებულია, უნდა იყოს წყემი და არა ცხემი).

«Сенакский уездный начальник, при отзыве от 14 сего августа за № 211, препровождая ко мне 35 печатных на грузинском языке противоправительственного характера прокламации, из коих 3 под заглавием: «Гурийские крестьяне», 12 — «Товарищи», а 20 — «Пролетарии всех стран, соединяйтесь»! — изд. Кавказской Российской социал-демократической рабочей партии, — уведомил, что прокламации эти были найдены 10 сего августа в сел. Цкеми, Сенакского уезда, подброшенными во двор и наклеенными на воротах дворов жителей этого селения: священника Арсения Чалаганидзе, дворянина Дмитрия Котелейшвили, Игнатия Купрейшвили и других.

Донося об этом Департаменту полиции, имею честь присовокупить что ввиду Циркуляра Департамента полиции от 17 июля сего 1903 г. за № 2660, по изложенному выше делу возбуждается дознание в порядке 1035 ст. уст. угол. суд. Полковник Власов»[27].

ამრიგად სამეგრელოში, ისე როგორც მთელ საქართველოში გლეხთა რევოლუციური გამოსვლები 1903 წელს ძირითადად პოლიტიკური ხასიათისა იყო. სამეგრელოს გლეხობა იბრძოდა არა მარტო მემამულეების, სამღვდელოებისა და სოფლის სხვა ბობოლების წინააღმდეგ, არამედ მთავრობის ორგანოების წინააღმდეგაც. სენაკისა და ზუგდიდის მაზრის მშრომელი გლეხობა უფრო ორგანიზებულად ემზადებოდა 1904 წლისათვის, ცარიზმის ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად.

1904 წელი იყო მუშათა კლასთან საქართველოს მშრომელი გლეხობის კავშირის დამყარების, მისი შემდგომი განმტკიცებისა და მათი ერთობლივი ბრძოლის წელი. თუ 1903 წელი წარმოადგენდა გარდამავალ პერიოდს საქართველოს გლეხობის აგრარულ-რევოლუციური მოძრაობიდან პოლიტიკური ბრძოლისაკენ, 1904 წელს უკვე გარკვეულია მშრომელი მასების, კერძოდ, მშრომელი გლეხების მიზნები და ამოცანები, რომ ეს არის პოლიტიკური ბრძოლა, მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების დასამხობად.

---

[26] სსცია, ფონდი 65, აღწ. 1, საქ. 39, ფურც. 12.

[27] „საისტორიო მოამბე“, № 20, 1959, გვ. 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ყველა კუთხის გლეხობასთან ერთად რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ენერგიული ხელმძღვანელობით მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუნდობლად იბრძოდა სამეგრელოს გლეხობაც.

გურიის სოფლებში ლანჩხუთსა და ხიდისთავში 1904 წელს სისხლიან შეტაკებათა შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდა მთელს დასავლეთ საქართველოში და მათ შორის სამეგრელოშიც. სამეგრელოს გლეხკაცობამ ერთსულოვნად აღიმაღლა ხმა გურიაში მთავრობის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ; „გლეხობა — აღნიშნავდა გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, — ყველგან გამოთქვამდა სურვილს ქალაქის მუშებთან შეერთების შესახებ. სამეგრელო საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად აქტიურად გამოეხმაურა მუშათა კლასის მოწოდებას ბრძოლისაკენ“[28].

ჯერ კიდევ 1904 წლის მარტის თვეში სამეგრელოს გლეხობამ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ხმა აღიმაღლა რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ. 10 მარტს სამეგრელოს ეკლესიებში გაავრცელეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაცია, მოქალაქეების მიმართ (ძირს ომი)[29], რომელმაც სამეგრელოს გლეხობა რევოლუციურ სულისკვეთებით აღაგზნო.

25—29 აპრილს ფოთში გაიფიცნენ რკინიგზის მუშები, ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნებს უარით უპასუხა, რის შედეგადაც მუშათა მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა. მათ მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფოთის ახლომახლო მდებარე სოფლების რევოლუციონერმა გლეხებმაც. დემონსტრაცია ჯარის ნაწილებმა დაარბიეს. 12 მუშა ფოთიდან გადაასახლეს, 75 კი უმუშევარი დატოვეს[30].

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ გაგზავნილი ბოლშევიკი პროპაგანდისტები სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში 1904 წლის დასაწყისიდანვე ატარებდნენ გლეხთა ფარულ კრებებს, სადაც ავრცელებდნენ პროკლამაციებს და სხვადასხვა სახის რევოლუციურ ლიტერატურას.

სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები თავდაპირველად კრებებს ატარებდნენ სოფლის განაპირა მხარეს, ტყეში, ან საიმედო გლეხის ოჯახში. 1904 წლის 29 მარტს სენაკის მაზრის სოფ. ნოსირის ახლოს ტყეში მოწვეულ იქნა გლეხთა ფარული კრება. კრების დამთავრების შემდეგ გლეხებს დაურიგეს პროკლამაციები, პოლიციამ თავისი აგენტების საშუალებით გაიგო კრების შესახებ მაგრამ მან ვერ გაიგო ვინაობა კრების ინიციატორებისა, საქმის ძიება 1904 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს კრების ინიციატორების დადგენა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სოფ. ნოსირში ერთ-ერთი გლეხის ოჯახში ჩატარდა გლეხთა ფარული კრება, სადაც პროპაგანდისტებმა რევოლუციურად განწყობილ გლეხებს წაუკითხეს ბროშურა, რომელშიც მოცემული იყო გლეხთა აუტანელი მდგომარეობა, მემამულეთა მიერ მათი ჩაგვრა და მონურ მდგომარეობაში ყოფნა. პროპაგანდისტებმა მოუწოდეს გლეხებს მონობიდან თავის დასაღწევად ბრძოლისაკენ.

---

28 გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ № 9, 1904 წ. 15 (28) მაისი.

29 იქვე, № 8, 1904 წლის 5 (18) მაისი.

30 იქვე, № 9, 1904 წლის 15 (28) მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჯერად პოლიციამ შეძლო კრებაზე მყოფი გლეხების ვინაობის დადგენა. ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ დაპატიმრებულ იქნა კრების ინიციატორები (ხუთი გლეხი). ისინი ციხეში იმყოფებოდნენ 1904 წლის 11 დეკემბრამდე. აღსანიშნავია, რომ ამ ხნის განმავლობაში ჟანდარმერიის მოხელეებმა დაპატიმრებულ გლეხებს ვერაფერი ვერ ათქმევინეს იმ პროპაგანდისტის ვინაობის შესახებ, რომელიც რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდა გლეხებში[31].

პოლიცია ყოველთვის ფხიზლად იყო და იცოდა კრებებისა თუ მიტინგების ჩატარების ადგილი, მაგრამ ზოგჯერ ვერ ბედავდა მათზე თავდასხმას, ვინაიდან კრების მონაწილეთა დიდი ნაწილი შეიარაღებული იყო და წინააღმდეგობის გაწევის უნარიც ჰქონდა.

სამეგრელოს გლეხობას საკმაოდ დიდი თანხები შეჰქონდა საბრძოლო სალაროებში იარაღის შესაძენად, და მის საიმედოდ შესანახად. ემზადებოდნენ რა შეიარაღებული აჯანყებისათვის გლეხები სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მემამულეებისა და მთავრობის მოხელეების წინააღმდეგ გაბედულ ბრძოლას აწარმოებდნენ.

გლეხობის „თავხედობით“ (ასე ნათლავდნენ მემამულეები და მთავრობის მოხელეები გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს სამეგრელოში) აღშფოთებული მემამულეები და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები მთავრობის ორგანოებს სთხოვდნენ დახმარებას გლეხთა „თავგასულობის“ ასალაგმავად.

გლეხთა რევოლუციური ბრძოლისადმი სამეგრელოს თავადაზნაურობის დამოკიდებულებას ნათელყოფს თუნდაც ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურობის კრების ანგარიშები.

„კრების უმრავლესობას შეადგენენ ისინი, ვისაც სასტიკი, ჯოჯოხეთური ზომებით სურს დღევანდელი მოძრაობის ჩაქრობა. მათ შორის თავი უსახელებია ვლ. ალშიბაიას, თ-დ მინგრელსკის მამულების გამგეს. აი, რა უთქვამს ამ ვაჟბატონს: „გლეხს დღეს არაფერი გაჭირვება არ ადგია. იგი ცხოვრობს სრულ კმაყოფილებაში, და სამწუხაროდ ვერ შეუგნია თავისი ბედნიერი მდგომარეობა, აყოლია ფეხის ხმას და დადგომია საზიზღარ გზას... როდესაც დაიწვება ერთი აზნაურის ან თავადის ოჯახი, უნდა დაიწვას ასი გლეხის ოჯახი. როდესაც მოკლული იქნება ერთი ჩვენთაგანი, უნდა მოიკლას ათასი გლეხი. მათი დამშვიდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აქ იჭექ-იგრიალებს თოფ-ზარბაზანი“[32].

მართალია, ეს ნათქვამია 1905 წლის დასაწყისში, მაგრამ თავადაზნაურობის ასეთი ბარბაროსული მოთხოვნები მთავრობის ორგანოებისადმი გლეხების მიმართ დამახასიათებელია ყველა პერიოდისათვის.

მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებული სასტიკი რეპრესიული ღონისძიებებისა, სამეგრელოს გლეხობა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ქმედითი ხელმძღვანელობით, რომელსაც უდიდეს დახმარებას უწევდნენ მუშები, ქალაქისა და სოფლის მასწავლებლები, მოს-

---

[31] ვ. საბახტარაშვილი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წწ (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები), თბ., 1959, გვ. 62.

[32] გაზ. „მოგზაური“, 1905, № 13; ციტირებულია გ. ხაჭაპურიძის წიგნიდან, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლეები, ხელოვნების მუშაკები — ერთი სიტყვით, მთელი დემოკრატიული ინტელიგენცია, დაუღალავად იბრძოდა, რათა მომზადებული შეხვედროდა მოახლოებულ რევოლუციას.

ამრიგად, გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას სამეგრელოში 1904 წელს, ფართო მასშტაბის პოლიტიკური ბრძოლის ელფერი დაჰკრავდა და მუშათა კლასთან ერთად თავისი გრანდიოზული წინსვლით 1905 წლის 9 იანვრისათვის უკვე მზადყოფნის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სამეგრელოს გლეხობის ბრძოლა მეფის თვითმპყრობელი ხელისუფლების წინააღმდეგ 1904 წელს და საერთოდ გლეხთა რევოლუციური გამოსვლები სამეგრელოში 1902—1904 წლებში ხასიათდებოდა შემდეგი თავისებურებით:

1. 1904 წელი სამეგრელოს გლეხებისათვის, ისე როგორც მთელი საქართველოს გლეხობისათვის წარმოადგენდა მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის წელს. 1904 წელს სამეგრელოს გლეხობა ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გლეხთა რევოლუციური კომიტეტების აქტიური მხარდაჭერით აღსდგა არა მარტო მემამულეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ ის წალეკვით დაემუქრა ძირმომპალ მეფის ხელისუფლებას, ეს იყო ქართველი გლეხობის პოლიტიკური ბრძოლა, რომლის წარმმართველ ძალას ბოლშევიკური ორგანიზაციები წარმოადგენენ.

2. 1904 წელი წარმოადგენდა სამეგრელოს გლეხობის მუშათა კლასთან კავშირის დამყარებისათვის ბრძოლის წელს, მუშათა კლასისა და გლეხობის ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის საფუძვლის მომზადების წელს. რსდმპ კავკასიის კავშირის და რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები დაუღალავ მუშაობას ეწეოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის დამყარებისათვის, მისი განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფისათვის.

3. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მაინც ვერ მოხერხდა მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის შექმნა. ეს კავშირი 1902—1904 წლებში მხოლოდ იქმნებოდა, მას მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა. ის თანდათან ყალიბდებოდა. გლეხებს ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არ ესმოდათ, რომ მემამულეთა დასამხობად საჭირო იყო მეფის დამხობაც. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მთლიანად შეგნებული, რომ გლეხთა ერთადერთი ერთგული მოკავშირე და ხელმძღვანელი მუშათა კლასია. ამიტომ, ბუნებრივია, გლეხთა აჯანყებანი მუშათა კლასთან მტკიცე კავშირის გარეშე სასურველ შედეგს ვერ მოგვცემდა, მეფის ხელისუფლებას ვერ დაამხობდა.

4. გლეხთა რევოლუციური გამოსვლები სამეგრელოში, ისე როგორც მთელ საქართველოში 1902—1904 წლებში არ იყო პოლიტიკურად, ტექნიკურად და სამხედრო თვალსაზრისით სერიოზულად მომზადებული, ძირითადად არ ხდებოდა გლეხთა და მუშათა გამოსვლების ერთ რევოლუციურ ნაკადად გაერთიანება. აჯანყებები მაზრებში, რაიონებსა და სოფლებში ეწყობოდა უმთავრესად არაერთდროულად, ერთიმეორისაგან იზოლირებულად. ამიტომ გლეხთა აჯანყებების ჩაქრობას ადვილად ახერხებდა მეფის მთავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. აჯანყებულ გლეხებს არ ჰქონდათ საომარი იარაღი, ამიტომ ის პრიმიტიულად შეიარაღებული იბრძოდა მეფის ჯარების წინააღმდეგ, რაც დიდ უარყოფით გავლენას ახდენდა სამეგრელოში მოწყობილი აჯანყების მსვლელობაზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, 1902—1904 წლების გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას სამეგრელოს გლეხობისათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ გაიარეს პოლიტიკური აღზრდის უდიდესი სკოლა და მიიღეს ისტორიული გაკვეთილი შემდგომი რევოლუციური ბრძოლისათვის.

В. С. ДЖАНДЖГАВА

РЕВОЛЮЦИОННОЕ ДВИЖЕНИЕ КРЕСТЬЯН В САМЕГРЕЛО В 1902—1904 ГОДАХ

Резюме

Движение крестьян Самегрело в 1902 году, несмотря на его огромные масштабы, носило в основном аграрный характер. Охваченное жаждой борьбы, вооруженное революционными идеями и обогащенное опытом аграрно-революционных выступлений, крестьянство Самегрело с 1903 года под воздействием забастовочного движения городского пролетариата все смелее включается в борьбу против царизма. В Грузии и, в частности, в Самегрело революционное движение крестьян нарастало с каждым днем.

1904 год был периодом дальнейшего развития союза трудового крестьянства Грузии и, в том числе, Самегрело с рабочим классом, годом их совместной борьбы. Если 1903 год был переходным от аграрно-революционной борьбы грузинского крестьянства к борьбе политической, то в 1904 году были уже четко уяснены задачи и цели народных масс, в частности, трудового крестьянства.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები

ნანა ავალიანი

ფუტუროლოგია ბურჟუაზიული იდეოლოგიის სამსახურში

ახლა, როდესაც სოციალიზმი იქცა კაცობრიობის განვითარების მთავარ ძალად, როდესაც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა სულ უფრო შეკავშირებული და მიზნობრივი ხდება, მსოფლიო განვითარების სურათი იმდენად ნათელია, რომ ყოველივე ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს და არ აისახოს ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, რაც მოითხოვს საბჭოთა მეცნიერებისაგან განსაკუთრებულ სიფხიზლეს. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით უნდა იქნეს გაკრიტიკებული იდეალიზმისა და მეტაფიზიკის მთელი რიგი „მოდერნიზებული“ ვარიანტები, მარქსიზმის ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტერპრეტაციები. ჩვენს პარტიულ დოკუმენტებში სისტემატურად აღინიშნება ეს მოთხოვნა[1].

თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი თემა ეს არის მომავლის პერსპექტივის საკითხი — რომელი გზით განვითარდება საზოგადოება კაპიტალისტური თუ სოციალისტური.

1982 წლის 22 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა ისაუბრა სოციალისტური თანამეგობრობის მიღწევებზე, რომ უმოკლეს ისტორიულ პერიოდში იგი გადაიქცა თანამედროვეობის გლობალურ ფაქტორად და განჭვრიტა ამ ფაქტორის მომავალი: „...სოციალიზმის მშენებლობა ლაბორატორიულ პირობებში როდი მიმდინარეობს. იგი ყალიბდება ორი სისტემის კლასობრივი ორთაბრძოლის ვითარებაში, იმპერიალიზმის მკვეთრი ზემოქმედების ვითარებაში, მიმდინარეობს შინაგანი სიძნელეების დაძლევის გზით. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ჩვენი წინსვლის ტემპზე. მაგრამ ეს, თუმცა არა იდეალური, სამაგიეროდ ქვეყნად რეალურად არსებული სოციალიზმი სულ უფრო დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სწორედ სოციალიზმს ეკუთვნის მომავალი“[2].

ადრე მომავლის განჭვრეტა ძირითადად საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროს მიეკუთვნებოდა. საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნამ შესაძლებელი გახადა სოციალური პროგნოზირების საკითხით დაინტერესებულიყო საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა დარგი.

---

[1] იხ.: სკკპ XXV ყრილობა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი. ი.ბ., 1976, გვ. 78; სკკპ XXVI ყრილობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1981, გვ. 12—13.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 23 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარხედვას, მომავლის განჭვრეტას ადამიანი თავისი არსებობის ადრეულ საფეხურზე მიმართავდა. ეს საქმიანობა, ალბათ, ადამიანის თავდაცვის, თვითგადარჩენის ინსტინქტებს განეკუთვნება.

მომავლის პროგნოზირებას არა მარტო დიდი ხნის, არამედ დიდი მნიშვნელობის ისტორიაც აქვთ. ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედებისათვის ძველთაგანვე გამოიყენებოდა რელიგია და ასტროლოგია. მაგალითად, რელიგიური წინასწარმეტყველები ხალხში ავრცელებდნენ საღვთო უსტარს რათა ამით ზემოქმედება მოეხდინათ მათი ცხოვრების წესზე. შუა საუკუნეებში ასტროლოგებმა დაიწყეს ჰოროსკოპების (ბერძ. hōra დრო და skopeo ვუყურებ)— ვარსკვლავთა განლაგების ცხრილის — შედგენა ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველებლად.

რელიგია და ასტროლოგია დღესაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს ინსტიტუტები აადვილებენ ხალხთა გლობალურ მანიპულაციას. ბურჟუაზიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მოქმედებს და თავის მოქმედებას გეგმავს იმისდა მიხედვით თუ რას „უწინასწარმეტყველებს“ ვარსკვლავთა განლაგება. არსებულისაგან განსხვავებული საზოგადოების წარმოდგენას ცდილობდნენ ძველად ფილოსოფოსები, მწერლები. ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა XVI ს-ის ინგლისელმა ჰუმანისტმა თომას მორმა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ მიმდინარეობას — უტოპიურ სოციალიზმს. ნაშრომში „უტოპია“ პირველად კაცობრიობის ისტორიაში მან წარმოსახა საზოგადოება, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება, განსაზოგადოებულია წარმოება და ყოფა.

როგორც ვხედავთ, მომავლის განჭვრეტას ცდილობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საზოგადოებას არ ჰქონდა შესაბამისი ობიექტური წინამძღვრები მის განსახორციელებლად.

წინასწარხედვას, რამდენადაც ის დაკავშირებულია ხედვასთან, გასაგებია, რომ ყველა კლასი ახორციელებს თავისი ხედვითი კუთხით, ე. ი. კლასობრივი მიდგომით. ამდენად, ბურჟუაზიული წინასწარხედვა პრინციპულად განსხვავდება სოციალისტური წინასწარხედვისაგან. ეს განსხვავება აისახება არა მარტო მათ ხედვით პრიზმაში, არამედ საკითხის შესწავლის მეთოდოლოგიაშიც.

ისტორიული პროცესის მომავლის განჭვრეტაში არსებითი გარდატეხა შეიტანა მარქსიზმმა. მან წერტილი დაუსვა ყველა სახის სოციალურ უტოპიებს, გვიჩვენა გზა მომავლისაკენ, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური გადატრიალებით უნდა განხორციელდეს. მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ სოციალისტური წყობილების წინასწარმეტყველება მომავლის მეცნიერული განჭვრეტის ნათელი მაგალითია. ცხოვრებამ, პრაქტიკამ ნათელყო განჭვრეტის რეალური საფუძველი სოციალიზმის ძირითადი ხაზების გამარჯვებისა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებამდე დიდი ხნით ადრე.

მთელი საბჭოთა წყობილება ეს არის გეგმაზომიერი განვითარების ნათელი მაგალითი. ჩვენს ეკონომიკურ სისტემაში უმთავრესი რგოლია დაგეგმვა. მეცნიერული დაგეგმვა მომავლის განჭვრეტის გარეშე წარმოუდგენელია. საბჭოთა კავშირი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლის განჭვრეტას არ ჰქონია პრეტენზია დამოუკიდებელ მეცნიერებაზე. ასეთ პრეტენზიას აცხადებს დასავლეთში ფუტუროლოგია, რომელიც უპირისპირდება მარქსისტულ-ლენინურ სოციალურ პროგნოსტიკას. ფუტუროლოგია — ეს არის მოძღვრება კაცობრიობის მომავლის შესახებ (ლათ. futurum მომავალი და ბერძ. logos მოძღვრება). ეს ცნება ხმარებაში შემოიტანა დასავლეთგერმანელმა სოციოლოგმა, პოლიტოლოგიის პროფესორმა ო. ფლეხტჰეიმმა, რომელმაც 1943 წელს გამოაცხადა „ახალი მეცნიერების" — ფუტუროლოგიის წარმოშობა.

ფუტუროლოგია ფართოდ გავრცელდა დასავლეთში 60-იანი წლების დამდეგიდან. ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების პირობებში, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მომავლის განჭვრეტა სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა. ამასთანავე სოციალისტური სამყაროს მიღწევები, კაცობრიობის ლტოლვა სოციალიზმისაკენ იწვევს მომავლისადმი დიდ ინტერესს და შიშს. კაპიტალიზმი იძულებულია იზრუნოს თავის მომავალ ბედზე. ყოველივე ეს მომავლის პროგნოზირებას იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ მწვავე საკითხად აქცევს. ამით აიხსნება პროგნოზირების ბუმი დასავლეთში. შეიქმნა ფუტურისტთა ცენტრები, ინსტიტუტები, კლუბები, ჯგუფები მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში; გამოდის ფუტურისტული ჟურნალები; იკითხება ფუტუროლოგიის სპეკკურსი უმაღლეს სასწავლებლებში; ეწყობა ფუტურისტთა საერთაშორისო შეხვედრები. თუმცა ფუტუროლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. დაუდგენელია თვით დისციპლინის სახელწოდება (მოიხსენიებენ როგორც „პროგნოსტიკა", „ფუტურისტიკა" და სხვ.), მეთოდოლოგიური პრინციპები.

ჩვენ არ შევჩერდებით ცალკე ეკონომიკის, ეკოლოგიის, მეცნიერული დაგეგმვის, კულტურის, განათლების თუ რელიგიის ფუტუროლოგიურ თეორიებზე, არამედ შევეცდებით წარმოვადგინოთ ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ გამოთქმული სხვადასხვა აზრი მომავლის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიის პროგნოზირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ყოველი მკვლევრის სოციალურ-კლასობრივ და იდეოლოგიურ პოზიციებზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი დიდ იმედებს ამყარებს ფუტუროლოგიაზე, მეორე — საერთოდ უარყოფს ისტორიული პროგნოზირების შესაძლებლობას. ასე მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი რ. სტრომბერგი ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ თავისი წიგნის „ევროპის ინტელექტუალური ისტორია 1789 წლიდან" დასკვნით თავს არა აქვს დასკვნის ხასიათი, ვინაიდან, მისი აზრით, ისტორიკოსი არ არის დარწმუნებული აწმყოში. დღევანდელობის გარკვევაში გვეხმარება ხვალინდელი დღე. სწორედ ეს არის ისტორიის დაწერის მიზანი: დროთა განმავლობაში წარსული გადადის პერსპექტივაში, სხვადასხვა პერსპექტივებში და, რა თქმა უნდა, მოვლენები და აზრები, რომლებიც ადრე ქაოტური ჩანდნენ იძენენ გარკვეულ აზრს. ისტორიკოსისათვის ძნელია მომავლის წინასწარმეტყველება. ევოლუცია წარმოშობს მუდმივად ახალ ძალებს, რომლებიც წარსულის წიაღში წარმოიშვებიან, მაგრამ მათი წინასწარმეტყველება არ შეიძლება. ამერიკელი მეცნიერი უშვებს იღბლიანი მიხვედრის შესაძლებლობას, მაგრამ გამორიცხავს სისტემატური წინასწარმეტყველებისა და კონტროლის შესაძლებლობას. ჩვენ არ შეგვიძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდეთ როგორი იქნება საბოლოო შედეგი და თუ იქნება ის საერთოდ — წერს რ. სტრომბერგი, — ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ თუ სად ვიყავით და აქედან ვივარაუდოთ მომავლის შესაძლო დაშვებები, მაგრამ მხოლოდ შესაძლო[3].

ისტორიკოსი, ისევე როგორც ყველა სხვა დარგის წარმომადგენელი მიმართავს მომავლის პროგნოზირებას, მაგრამ ეს პროგნოზები არ მიეკუთვნებიან მისი საკუთარი სამეცნიერო კვლევის სფეროს. ისტორიკოსი არ ახდენს პროგნოზირებას, როგორც ამ დარგის სპეციალისტი. რაც შეეხება სუბიექტივისტ ბურჟუაზიულ მეცნიერებს, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მათ არ შეეძლოთ შეემჩნიათ განმეორადობა სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენებში იმის გამო, რომ ისინი იფარგლებოდნენ მხოლოდ იდეოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობებით და არ მიდიოდნენ უფრო ღრმად, არ ავლენდნენ ამ ურთიერთობების საფუძველს — მატერიალურ ურთიერთობებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვლენილი იქნა საწარმოო ურთიერთობანი შესაძლებელი გახდა გამოგვევლინა განმეორადობა და სისწორე სხვადასხვა ქვეყნების ისტორიაში[4].

თავისი არსით მეცნიერება უნდა ემყარებოდეს რეალურ სამყაროს. მეცნიერული შესწავლის მეთოდოლოგიური პრინციპი უნდა იყოს ერთიანი და ერთადერთი. შესაბამისად, მეცნიერული კვლევის შედეგიც უნდა იყოს ერთი. მეცნიერება უნდა იყოს ობიექტური. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება იგი საყოველთაო კაცობრიობის შენაძენი. ამიტომაც არის მეცნიერება თავისი არსით ინტერნაციონალური.

სწორედ მეცნიერების ინტერნაციონალურობა გვაძლევს უფლებას შევეხოთ დასავლეთის ცივილიზაციის განვითარების პერსპექტივების საკითხს.

რ. სტრომბერგი ზემოთ ხსენებული ნაშრომის დასკვნითი VIII თავის უკანასკნელ ქვეთავში „შემდგომი საფეხური?“ და ეპილოგში[5] ცდილობს განჭვრიტოს დასავლეთის ცივილიზაციის მომავალი ბედი. მართალია, ავტორი მიგვანიშნებს დასავლეთის ცივილიზაციის დეკადანსის ნიშნებზე, მაგრამ აქვე დასძენს, რომ დასავლეთის ცივილიზაციისათვის ეს ნიშნები რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას არ ქმნიან, ისინი დამახასიათებელია ყველა ცივილიზაციისათვის და ყოველი მათგანი დგას იმავე პრობლემების წინაშე, რომლის წინაშეც აღმოჩნდა დასავლეთის ცივილიზაცია. ამასთანავე რ. სტრომბერგს მიაჩნია, რომ დასავლეთის ცივილიზაციას აქვს დიდი სიცოცხლისუნარიანობა. ამის დასასაბუთებლად მას მოჰყავს მაგალითები: XX საუკუნის ორმა ძმათასისხლისმღვრელმა ომმა შეარყია ევროპა, მიუხედავად ამისა იგი თანდათანობით უბრუნდება თავის ტრადიციებს. წარსულში დასავლეთის ცივილიზაციას ადრეც ბევრჯერ გამოუმჟღავნებია განახლებისა და რეგენერაციის ძალა, მაგალითად, რენესანსი, შუა საუკუნეების შემდგომი პერიოდის აღმავლობა, რაც დაფუძნებული იყო ანტიკური კლასიციზმის აღორძინებაზე. ასევე დასუსტებული ევროპის მეცნიერული და ინტელექტუალური აღმავლობა XVII ს-ში რეფორმაციის მძიმე კრიზისის შემდეგ. ამას მოჰყვა საფ-

---

[3] იხ.: R. Stromberg, European Intellectual History since 1789, USA, 1975, გვ. 318.

[4] იხ.: ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 150.

[5] იხ.: R. Stromberg, დასახ. ნაშრომი, გვ. 317, 322.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანგეთის რევოლუცია თავისი ომებით, რამაც კიდევ ერთხელ შეარყია ევროპა, მაგრამ XIX ს-ში ევროპამ მოახერხა ამ რევოლუციის ინტეგრირება თავის კულტურაში. რაც შეეხება თანამედროვეობას, დეკადანსის ნიშნებად ავტორი გამოყოფს დემოკრატიას, სპეციალიზაციასა და ინდუსტრიულ რევოლუციას. მისი აზრით, ესენია ის ინსტიტუტები, რომლებიც ძირს უთხრიან დასავლეთის ცივილიზაციას, მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც ეს ცხადყო წარსულის გამოცდილებამ, შეუძლია გაუმკლავდეს მათ[6].

თუკი რ. სტრომბერგი თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციის ყველაზე საშინელ მტრებად მიიჩნევს დემოკრატიას, სპეციალიზაციასა და ინდუსტრიულ რევოლუციას, ამერიკელი მეცნიერი დ. რისმენი ასეთ მტრებად აცხადებს ატომურ ერას, კეთილდღეობის ზრდას, ქალების ბრძოლას თანასწორუფლებიანობისათვის და ა. შ. თითქოსდა, ისეთმა პროგრესულმა მისწრაფებებმა, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და თანასწორობა წარმოშვეს ბურჟუაზიული სამყაროსათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები[7].

დასავლეთის მეცნიერთა მსჯელობიდან გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ცივილიზაციის შემდგომ წინსვლას ხელს უშლის თავად ცივილიზაცია, რამდენადაც სწორედ ცივილიზაციამ წარმოშვა ისეთი „დამღუპველი" ინსტიტუტები, როგორიცაა ინდუსტრიული რევოლუცია, კეთილდღეობის ზრდა და ა. შ. გამოდის, რომ ყველაფერმა იმან, რაც მიგვაჩნია თანამედროვე ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად შეიძლება გამოიწვიოს ცივილიზაციის დაღუპვა. მაშინ რაღაა თანამედროვე ცვილიზაცია აღნიშნული ინსტიტუტების გარეშე? როგორც ვხედავთ, ყველა მიღწევა ბუმერანგივით უკან უბრუნდება ბურჟუაზიულ საზოგადოებას. რ. სტრომბერგმა მოიტანა დასავლეთის ცივილიზაციის აღორძინების მაგალითები წარსულის ისტორიიდან. ამ მაგალითებზე დაყრდნობით გააკეთა დასკვნა, რომ დასავლეთის ცივილიზაცია დიდი სიცოცხლისუნარიანობით არის დაჯილდოებული და იწინასწარმეტყველა მისი ხელახალი აღორძინება. მაგრამ მომავალი არ შეიძლება შევისწავლოთ მხოლოდ წარსულის მაგალითზე, მისი აწმყოს გაუთვალისწინებლად. მომავალი არის არა მარტო აწმყოს გაგრძელება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, არამედ მისი უარყოფაც. დასავლელი მეცნიერები თვალს ხუჭავენ აწმყოზე და დღევანდელ საზოგადოებას ასულდგმულებენ მომავლის იმედით, ნახევრად ფანტასტიკური — მომავლის მოდელების წარმოსახვით. მათ არ სურთ დაინახონ ის დიდი გადატრიალება, რაც მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში, დაუსახა რა კაცობრიობას განვითარების ახალი პერსპექტივა. დასავლეთის საზოგადოება უძლურია გაუმკლავდეს კრიზისებს. ამიტომაც დასავლეთის მეცნიერები ამტკიცებენ, თითქოსდა, კრიზისები დამახასიათებელია როგორც კაპიტალიზმისათვის, ისე სოციალიზმისათვის. თითქოსდა, კრიზისი დაუდგა თანამედროვე კაცობრიობას.

ცალკეული კრიზისები ეკონომიკის, პოლიტიკისა თუ იდეოლოგიის სფეროში ეს არის წინააღმდეგობის გამწვავება საწარმოო ძალების განვითარე-

---

[6] იხ.: R. Strombe r g, გვ. 317—318.

[7] იხ. : D. Riesman, Some Questions about Discontinuities in American Society.—In: The USes of Controversy in Sociology. Ed. by Coser L. a Larsen O. N. Y., — L., 1976, გვ. 3—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა და საწარმოო ურთიერთობათა კაპიტალისტურ ხასიათს შორის. ამავე დროს კრიზისი არ უნდა გავიგოთ როგორც უკუსვლა ან დაცემა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. პირიქით ეს კრიზისი იწვევს ძველის ნგრევასა და ახლის შენებას.

„მატერიალური წარმოების დროს ადამიანებს უხდებათ ერთმანეთთან განსაზღვრულ ურთიერთობებში, წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ შ ი ჩადგომა — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ეს უკანასკნელნი ყოველთვის შეესაბამებიან წარმოების განვითარების იმ საფეხურს, რომელსაც ამ დროს მათი ეკონომიური ძალები აღწევენ. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენია აღმართული და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. ამრიგად, წარმოების წესი განაპირობებს ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და წმინდა სულიერ პროცესებს. მათი არსებობა არა თუ დამოკიდებული არ არის ადამიანის ცნობიერებაზე, არამედ, პირიქით, უკანასკნელი თვით არის დამოკიდებული მათზე. მაგრამ თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეს ძალები ეჯახებიან ადამიანთა წარმოებითს ურთიერთობებს. ამის გამო ეს ურთიერთობანი უკვე ეწინააღმდეგებიან იმასაც, რაც შეადგენს წარმოებით ურთიერთობათა იურიდიულ გამოხატულებას, ე. ი. ქონებრივ წესს. მაშინ წარმოებითი ურთიერთობანი უკვე აღარ შეესაბამებიან საწარმოო ძალების განვითარებას და იწყებენ მათს შეზღუდვას. აქედან წარმოიშობა საზოგადოებრივი გადატრიალების ეპოქა“[8].

ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაწილი დიდ იმედებს ამყარებს დასავლეთის ცივილიზაციის კონტაქტებზე სხვა ხალხებთან, ისინი ამტკიცებენ, რომ დასავლეთმა უნდა დაამყაროს საჭირო კონტაქტები არადასავლელ ხალხებთან; არა მარტო განვითარებულ აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან, არამედ იმ ხალხებთანაც, რომლებიც უფრო ახლოს დგანან პრიმიტიულ ცივილიზაციებთან, ვიდრე დასავლეთის ცივილიზაციასთან. აზია და აფრიკა შემოვიდნენ ისტორიაში და ევროპელთათვის მსოფლიომ სხვა განზომილება მიიღო. ტიპიურ კომენტარად რ. სტრომბერგს მოჰყავს რელიგიების კომპარატიული შესწავლის სფეროში წამყვანი მეცნიერის პროფესორ მ. ელიადის შენიშვნა: „დასავლეთის კულტურას ემუქრება უნაყოფო პროვინციალიზმამდე დაშვების შესაძლებლობა თუ იგი მხედველობაში არ მიიღებს ან უარყოფს დიალოგს სხვა კულტურებთან... დასავლეთმა უნდა იცოდეს და გაერკვეს ეგზისტენციალურ სიტუაციებში და არადასავლელი ხალხის კულტურულ სამყაროში... უფრო მეტიც, ეს კონფრონტაცია „სხვებთან“ ეხმარება დასავლელ კაცს უკეთ შეიცნოს თავისი თავი“[9]. რ. სტრომბერგი წინააღმდეგია ერთიანი სინკრეტული ცივილიზაციის შექმნისა. მისი აზრით, „დიალოგმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“ ან ცივილიზირებულსა და პრიმიტიულს შორის არ უნდა ჩაითრიოს დასავლეთის ცივილიზაცია სინკრეტულ მსოფლიო კულტურაში. პირიქით, ამ პროცესმა უნდა გამოაღვიძოს ეს ძველი ცივილიზაცია და გადაარჩინოს იგი დამქანცველი სკეპტიციზმისაგან. ხელი უნდა შეუწყოს

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი., თხზულებანი, ტ. I, გვ. 148.

[9] ციტ. წიგნიდან: R. Stromberg, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის საკუთარი არსებობის გამომჟღავნებასა და დადგენას. ამ დიალოგმა შესაძლოა გააქარწყლოს გაუგებრობა ცივილიზაციებს შორის და შეამციროს კონფლიქტები და ომები. რ. სტრომბერგის აზრით, დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, რამდენადაც არ შეიძლება მასზე გავლენა არ იქონიოს იმ ფაქტორმა, რომ ძალზე გააქტიურდა კონტაქტები ცივილიზაციებს შორის. რის შედეგადაც ხდება ხალხთა შერევა.

ვხედებით საწინააღმდეგო აზრსაც, რომლის მიხედვითაც სწორედ ცივილიზაციების მჭიდრო კონტაქტებსა და ხალხთა შერევას მოჰყვება ის შედეგი, რომ ადამიანები კარგავენ თავიანთ ეროვნულ თუ კულტურულ რუკას. მაგალითად, ვინდჰემ ლუისი საუბრობდა „კოსმიურ ადამიანზე", დენაციონალიზირებულზე, ერთი ჩამოსხმიდან მიღებულზე. მისი აზრით, ამ პროცესის წარმომადგენლები იყვნენ ამერიკელები, რომელთაც არ აქვთ რაიმე კონკრეტული ეროვნული კულტურა, რომ ისინი თანამედროვე მანქანური ეპოქის პროდუქტები არიან და მსოფლიოს დანარჩენი ნაწილიც ადრე თუ გვიან „ამერიკანიზებული" იქნება. თუ რა მოელით ლოკალურ ცივილიზაციებსა და მსოფლიო ცივილიზაციას ამ საკითხით დაინტერესებულია არა მარტო ფუტუროლოგია, არამედ კაცობრიობის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები უხვადაა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჟაკ სერვან შრაიბერის წიგნი „ამერიკის გამოწვევა", რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთში.

ინტერნაციონალური სტილი არქიტექტურაში ისეთივე მძიმე იქნება, როგორც ამერიკელი პროდიუსერების მიერ საფრანგეთის რივიერაზე იტალიელი მსახიობების მონაწილეობით გადაღებული ფილმები, წერს რ. სტრომბერგი. ასეთივე მძიმე იქნება, რომ ტოკიო, იაპონიის დედაქალაქი, გადაიქცეს ნიუ-იორკის იმიტაციად. გატაცება ზენითა თუ აფრიკის კულტურით ეს ფსევდოინტელექტუალთა ზედაპირული პრეტენზიებია. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ერთხელ მოხდა ისტორიაში — ალექსანდრიისა და რომის იმპერიის დროს და შესაძლოა, რომ ამ სინკრეტიზაციის ფართო პროცესიდან წარმოიშვნენ ახალი ცივილიზაციები, ისე როგორც დასავლეთი ევროპა წარმოიშვა ანტიკური სამყაროს ნანგრევებზე. ყოველ შემთხვევაში, ეს დიალოგი და აღრევა გრძელდებოდა და უეჭველად ჩვენი მომავლის გასაღები ან პროცესშია. ეს პროცესი აჯამებს რადიკალურ ცვლილებებს, რაც აზროვნების სფეროში ხდება. როგორც ჩანს, ეს კრიტიკული სტადიაა კაცობრიობის ისტორიაში და ალბათ, ცივილიზაციის მომავალ ბედს შემდეგი საუკუნე გადაწყვეტს[10]. როგორც ვხედავთ, რ. სტრომბერგი წინააღმდეგია „დაახლოებისა" და „სინკრეტიზაციის", მაგრამ არ გამორიცხავს ასეთ შედეგსაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯორჯ ბერნანოსმა განაცხადა, რომ მომავალი ეკუთვნის კარტეზიანიზმს ან ჰეგელიანიზმსო. სარტრი დარწმუნებული იყო, რომ არათუ არ შეიძლებოდა მარქსიზმის უყურადღებოდ დატოვება, არამედ აუცილებლად მიიჩნევდა მასთან შეგუებას. სხვები ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთის ცივილიზაციის მთავარი პრობლემა იყო განმანათლებლობის განსაკუთრებით რუსოს ხაზის გაგრძელება. რ. სტრომბერგი მცდარად მიიჩნევს XVII ს-ის გამოჩენილი მოაზროვნის მადამ სავინეს შენიშვნას, რომ

---

[10] იხ.: R. Stromberg., გვ. 320.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტეზიანიზმი, ისევე როგორც ყავა, დროებით იქნება მოდაში. აზრთა სამყაროში დროებითი მოდა არცთუ იშვიათი ყოფილა, რაც ახლა დავიწყებულია, მაგრამ ყველაზე უმნიშვნელომაც კი გარკვეული კვალი დატოვა კაცობრიობაზე და ზოგიერთმა მათგანმა ძალზე დიდი. ზედმეტი არ იქნება რომ ვთქვათ, ისინი ქმნიან ჩვენს ცივილიზაციას, აჯამებენ ეპოქებს, განაზოგადებენ ადამიანის ინდივიდუალურ გამოცდილებას. თავიანთი ფესვები აზრებს სოციალურ რეალობაში აქვთ და გამოხატავენ ადამიანთა აუცილებელ მოთხოვნებს. ისინი საშუალებას გვაძლევენ ვიფიქროთ ამ მოთხოვნებზე და დავაკმაყოფილოთ ისინი. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა აზრების დიდი გულისყურით შესწავლა; როგორც აღნიშნა ჯონ ლოკმა „სინამდვილეში, ადამიანების გონებაში არსებული აზრები და წარმოდგენები უხილავი ძალებია, რომლებიც მუდმივად წარმართავენ მათ“. ამ სფეროს ტეილარდ დე შარდენმა (მაშამ) „ნოოსფერო“ უწოდა. თანამედროვეობის ორი უდიდესი მოაზროვნის შარდენის და ჯ. ჰაქსლის აზრით, ნოოსფეროს მოწესრიგება მომავლის უდიდესი ამოცანაა, რომელიც ჯერ ძნელი სათქმელია, რომ უკვე დაიწყო. ჰაქსლი აღნიშნავს, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგში დაგროვილი ცოდნის დიდი ნაწილი გამოუყენებელია, ვინაიდან ეს ცოდნა „არ არის ინტეგრირებული საჭირო ცნებებსა და პრინციპებში, არ არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრებასთან და მის პრობლემებთან“ (The Humanist Frame. 1961).

ადამიანის წინაშე მდგარი პრობლემებიდან რ. სტრომბერგი აზრების ორგანიზებას ყველაზე გადაუდებელ ამოცანად თვლის. აზრების ორგანიზებას „ისე, რომ ისინი შემოქმედებითად იქნენ გამოყენებული და თუ ეს აზრები, მართლაცდა, „უხილავი ძალებია, რომლებიც წარმართავენ ადამიანებს“, მაშინ აზრების სისტემატური შესწავლა, ცხოვრებასთან მიმართებით, ე. ი. სოციალური და ისტორიული კონტექსტი არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ კვლევაში, რაც ახლა მიმდინარეობს. ბევრი სამუშაო გასაკეთებელი რჩება“[11], — წერს რ. სტრომბერგი.

რ. სტრომბერგი მიეკუთვნება პოზიტიურად მოაზროვნე ბურჟუაზიულ მეცნიერთა წრეს. იგი ანგარიშს უწევს ყველა ცივილიზაციებს, იქნება ეს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია თუ განვითარების დაბალ საფეხურზე, პრიმიტიულ ცივილიზაციებთან ახლოს მდგარი აფრიკისა და აზიის ცივილიზაციები. იგი ცივილიზაციებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის მომხრეა, რომ ამ დიალოგმა კიდევ უფრო მეტი თვითმყოფადობა შესძინოს ცივილიზაციებს.

მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ რ. სტრომბერგი დადებითად აფასებს მარქსის გავლენას დასავლეთის ბურჟუაზიულ მეცნიერებზე, კერძოდ, რ. არონზე, რ. დარენდორფზე და ი. ფეჩერზე. მაგრამ იქვე დასძენს; „...ძველი XIX ს-ის მასალა ახლებურად იქნა გააზრებული და გათავისუფლებული დოგმატიზმისაგან“[12]. როგორც ვხედავთ, იგი გვევლინება როგორც მარქსიზმის ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტერპრეტაციის მომხრე.

მართალია ამერიკელი მეცნიერი პირდაპირ არ გამოდის „დეიდეოლოგიზაციის“ ლოზუნგით, მაგრამ გარკვევით ამბობს, რომ მოხდა თანამედროვე

---

[11] R. Stromberg., გვ. 323.

[12] იქვე, გვ. 320.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგიებს შორის არევ-დარევა, ე. ი. მათ შორის ზღვარის წაშლა, რაც საშუალებას იძლევა გაგრძელდეს ამელიორაციის პროცესი.

სოციალური რეფორმები — აი ის ძირითადი გზა, რომელსაც რ. სტრომბერგი უსახავს დასავლეთის ცივილიზაციას. მას კარგად ესმის, რომ მოსაწესრიგებელია სოციალური, კულტურული და ეკონომიკური საკითხები. ინდუსტრიული საზოგადოება თავისი კლასებით, კონფლიქტებით და ფრუსტრაციებით ჯერ კიდევ ძირითადია დასავლეთის ცივილიზაციისათვის, — წერს იგი — და იძლევა ლიბერალური რეფორმების რეცეპტს, რომლის მიხედვითაც საკმარისია აღმოიფხვრას სიღარიბე, შრომა უფრო შემოქმედებითი გახდეს, თავისუფალი დრო უფრო მეტი სიამოვნების მომტანი, ქალაქური ცხოვრება ნაკლებად მკაცრი... და ყველაფერი მოწესრიგდება.

ის, რომ ლიბერალურ-რეფორმისტული გზით დასავლეთის ცივილიზაციის საფუძველი — კაპიტალიზმი — დაკარგავს თავის ექსპლუატატორულ ბუნებას და ყველა სოციალური, კულტურული და ეკონომიკური საკითხები გადაიჭრება; წაიშლება ზღვარი თანამედროვე იდეოლოგიებს — კაპიტალიზმსა და სოციალიზმს — შორის და ყველაფერი მოწესრიგდება, მართლაცდა, არ შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ.

ყველა იდეოლოგიურ კონსტრუქციას აქვს თავისი ტრადიცია. არც ფუტუროლოგიის ლიბერალურ-რეფორმისტული მიმდინარეობა წარმოშობილა ცარიელ ნიადაგზე. ამ მიმდინარეობის უახლესი ტრადიცია მომდინარეობს კონვერგენციის თეორეტიკოსთაგან. ორივე მათგანისათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორის აბსოლუტიზაცია. მას ენიჭება გადამწყვეტი როლი მომავალი ცივილიზაციის ფორმირებაში. იგნორირებულია საწარმოო ურთიერთობათა როლი, შესაბამისად იგნორირებულია განსხვავება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. თუმცა კონვერგენციის თეორიის მომხრეები ქადაგებდნენ ცივილიზაციათა არა დამოუკიდებელ განვითარებაზე, არამედ მათ დაახლოებასა და შერწყმაზე. არ გამართლდა კონვერგენტთა პროგნოზები კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაახლოებისა და შერწყმის შესახებ. (კონვერგენციის თეორიებს აკრიტიკებენ თავად ბურჟუაზიული მეცნიერები, მაგრამ მათი მეთოდოლოგიური პრინციპი დიამეტრალურად განსხვავდება საბჭოთა მეცნიერთა პრინციპისაგან). ამიტომაც ეს საქმე, შეიძლება ითქვას, „დაიხურა“, მაგრამ „გაიხსნა“ ახალი, უფრო პერსპექტიული საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდა „განსაკუთრებულმა“ მეცნიერებამ ფუტუროლოგიამ. იგი წინასწარმეტყველებს ძირითადად იგივეს, რასაც ქადაგებდნენ კონვერგენტები, მაგრამ მისი „განსაკუთრებულობა“, ალბათ, ის არის, რომ წინასწარმეტყველების ვადები განუსაზღვრელია. (20 წელი, 100, 200 და ა. შ.). ისევე როგორც დღევანდელი ფუტუროლოგები ამტკიცებენ ახალი ერთიანი ცივილიზაციის დადგომას, ასევე კონვერგენტი პროგნოზისტები ამტკიცებდნენ, რომ ინდუსტრიალიზმის საფუძველზე მოხდებოდა რუსული კომუნიზმისა და დასავლეთის კაპიტალიზმის დამსგავსება-დაახლოება-გაერთიანება ერთიან ინდუსტრიულ საზოგადოებად.

ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაშრომები გვარწმუნებდნენ, რომ მაღალგანვითარებადი ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძველზე, რაც გახდებოდა ყოვლისგანმსაზღვრელი, მოხდებოდა კაპიტალიზმისა და კომუნიზმის დაახლოება. ამერიკელი მეცნიერის ე. ტოფლერის აზრით, ტექნიკური პროგრესი, რომელიც მიმდინარეობს თანამედროვე ეტაპზე არის არა ევოლუციური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ რევოლუციური პროცესი, ხოლო ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ იცვლება არა მარტო წარმოების საშუალებანი, მასთან ერთად იცვლება წარმოების საბოლოო მიზანი, რომელიც უკვე აღარ არის მატერიალური დაინტერესებულება, არამედ ფსიქოლოგიური. იგი აკრიტიკებს კეინსის ეკონომიკურ თეორიას, მაგრამ ამასთანავე უარყოფს მარქსის სისტემასაც. ადანაშაულებს ეკონომისტებს იმაში, რომ მათ არ შეუძლიათ გამონახონ კომუნიზმისა და კაპიტალიზმის ალტერნატივა, რომ მათ არ აინტერესებთ თუ რა მოხდება შემდეგ ეტაპზე — მას შემდეგ, რაც მომსახურების წარმოებაც მიაღწევს მაქსიმალურ დონეს. ისინი ვერ ახერხებენ ისეთი საზოგადოების მოდელის შექმნას, რომელიც დაფუძნებული არ იქნება ადამიანის მატერიალურ მოთხოვნებზე.

ე. ტოფლერის აზრით, მომსახურების ეკონომიკის შემდგომი ეტაპი იქნება პროდუქციის ფსიქოლოგიზაცია[13]. ყველა სოციალურ კრიტიკოსთა სუსტ მხარედ ის თვლის მათ უძლურებას გაერკვნენ იმ ფაქტში, რომ კაცობრიობა მიდის არა მატერიალური სტანდარტიზაციისაკენ, არამედ მისი დიალექტიკური უარყოფისაკენ, რომ სტანდარტიზაცია თან ახლავს მხოლოდ პრიმიტიულ ტექნიკას, ავტომატიზაცია კი პირიქით, ათავისუფლებს მას ამ სტანდარტიზაციისაგან, რის საფუძველზეც კაცობრიობის წინაშე გაიშლება ფართო შესაძლებლობები[34]. ამგვარად, ეკონომიკის განვითარება უნდა წარვმართოთ ახალ „ფსიქოლოგიურ" რელსებზე. „ამ პროცესით მიღწეული შედეგები მნიშვნელოვნად შეასუსტებს XX საუკუნის მწვავე კონფლიქტს, კონფლიქტს კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის, რამდენადაც ეს შედეგები ვრცელდებიან შორს ეკონომიკური და პოლიტიკური ჩარჩოების მიღმა"[15] — წერს ე. ტოფლერი.

აღნიშნული მსჯელობიდან ვასკვნით, რომ კაპიტალისტური სისტემა „იმსხვრევა", მაგრამ ეს პროცესი ხდება არა რევოლუციურად, არამედ ევოლუციურად. პერსპექტივაში კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს მოელით „შერწყმა" ერთ „სუპერინდუსტრიულ" საზოგადოებად.

ეს აზრი, რომ თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციის განვითარების მთავარი ხაზია სწრაფვა მატერიალურიდან სულიერისაკენ იშვიათი არ არის. დასავლეთგერმანელი მეცნიერი ე. კინინგერი, რომელიც მიეკუთვნება კლერიკალ ფუტუროლოგთა ჯგუფს წერს: „მატერიალურიდან სულიერისაკენ განვითარება ამცირებს წინააღმდეგობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მათი მიზნები ერთმანეთს პრინციპულად არ ეწინააღმდეგებიან, როგორც ეს ადრე იყო. ორივე — აღმოსავლეთი და დასავლეთი მიისწრაფვის ეთიკური სრულყოფისაკენ"[16]. „უკვე აღარ არის გადამწყვეტი ვინ არის საწარმოო საშუალებათა მეპატრონე; საქმე ის არის თუ როგორ შევუწყოთ ხელი ადამიანთა სულიერ განვითარებას"[17].

---

[13] იხ.: A. Toffler, The Future Shock, N. Y., 1970, გვ. 296.

[14] იხ. A. Toffler, დასახ. ნაშრომი, გვ. 235—236.

[15] იქვე, გვ. 195.

[16] E. Kininger, Koexistenz-Proexistenz, Über die Ost-West-Annaherung, Wi-en-Frankfurt-Zürich, 1968, გვ. 190.

[17] იქვე, გვ. 184.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე აზრს ცივილიზაციათა დაახლოების შესახებ, რომლის საფუძველია ტრადიციული ქრისტიანული იდეა ძმობისა და სიყვარულის შესახებ, ვხვდებით ა. ტოინბისთან, ჟ. მარიტენთან და სხვებთან. ეს რელიგიურ-ეთიკური იდეალი ჯერ კიდევ სოკრატემ წამოაყენა.

მომავლის წინასწარმეტყველება არა მარტო საჭირო პირობებს ქმნის პრაქტიკული მოღვაწეობის სწორი კურსის დასახვისათვის, არამედ ამ მომავლის შექმნისათვის. ამის შესახებ წერს რ. ბანდი, რომელიც მომავლის შემსწავლელ მეცნიერებებს შემდეგნაირად ახასიათებს: 1) რწმენა, რომ მომავალი არა მარტო უნდა ვიწინასწარმეტყველოთ, არამედ უნდა შევქმნათ; 2) მოვლენათა განვითარების მრავალი ვარიანტის არსებობის აღიარება; 3) „მიზანდასახული სოციალური აქტივობის“ საქმეში ისტორიული მიზეზობრიობის შემეცნების მნიშვნელობის აღიარება, მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის შემუშავება; 4) თანამედროვე სოციალური ძალების კომპლექსური ურთიერთმოქმედების აღიარება[18].

კაპიტალისტურ სამყაროს ახალი მეცნიერების — ფუტუროლოგიის საშუალებით სურს შექმნას მომავალი, მომავალი, რომელიც მათ სურთ. დასავლეთგერმანელი მეცნიერის ო. ფლეხტჰეიმის ერთ-ერთი წიგნის სათაური ნათლად ადასტურებს ამ აზრს: „ფუტუროლოგია. მომავლისათვის ბრძოლა“.

მომავლისათვის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს ფუტუროლოგია — ეს არის ბრძოლა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ერთიან ცივილიზაციად „შერწყმისათვის“, რაც ფაქტობრივად გულისხმობს მსოფლიოს განვითარებას კაპიტალისტური გზით.

1949 წელს საფრანგეთში გამოვიდა ცნობილი ეკონომისტისა და სოციოლოგის ჟან ფურასტიეს წიგნი „XX საუკუნის დიდი იმედი“, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა, რომ ორივე სისტემა მიემართება „მესამე ტიპის ცივილიზაციისაკენ“. ამ განცხადებას იგი ასაბუთებდა მოსაზრებით, რომ ხდება საზოგადოების სტრუქტურის ძირეული ცვლილება. მისი აზრით, მალე მთელი მოსახლეობის მხოლოდ 10‰ იქნება დასაქმებული წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში, ხოლო დანარჩენი 90‰ — ისეთ სფეროში, როგორიცაა ვაჭრობა, მართვა, მომსახურება, „თავისუფალი დროის ინდუსტრია“ და ა. შ. თავის თანამედროვე საზოგადოებას იგი განიხილავდა როგორც სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიალიზმზე გარდამავალ ეტაპს, რომელსაც 3 ეტაპად ყოფდა: 1. ინდუსტრიალიზაციის ფაზა (რომლის ბოლოშიც სსრ კავშირია); 2. ინდუსტრიული ექსპანსიის ფაზა; 3. მოხმარების საგნების სიუხვის ფაზა (რომლის კარიბჭეზეც დგას აშშ).

ამ წიგნის გამოსვლიდან 32 წლის შემდეგ 1981 წ. ე. ტოფლერმა დაწერა წიგნი „მესამე ტალღა“[19], რომელიც მიეძღვნა მესამე ტიპის ცივილიზაციის ფორმირების საკითხებს და ერთგვარი გამოძახილია ჟ. ფურასტიეს წიგნზე.

თვალი გავადევნოთ ტოფლერის აზრთა ევოლუციას. ამ მიზნით ერთმანეთს შევადაროთ მისი გახმაურებული ნაშრომი „ფუტუროშოკი“ და „მესამე ტალღა“. პირველი მან დაწერა 1970 წელს, მეორე 1981 წელს. როგორც

---

[18] იხ. : R. Bundy, Images of the Future. Buffalo, 1976, გვ. 67.

[19] იხ.: A. Toffler, The Third Wave, USA, 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავთ, ამ ორ წიგნს ერთმანეთისგან აშორებს ათწლეული. ისევე როგორც „ფუტუროშოკში“, „მესამე ტალღაშიც“ ავტორი ამტკიცებს, რომ ინდუსტრიალიზმის ეპოქა დასრულდა, მაგრამ თუ პირველ წიგნში ინდუსტრიალიზმის ეპოქას სცვლიდა სუპერინდუსტრიალიზმი, მეორეში ინდუსტრიალიზმი შეცვალა მესამე ტალღამ, ე. ი. ახალმა ცივილიზაციამ. „მესამე ტალღის“ შესავალში ე. ტოფლერი გვიხსნის, თავისი წიგნის დაწერის ამოცანას — უარყოს დასავლეთში გავრცელებული აზრი, თითქოსდა, სამყარო შეიშალა ან რომ იგი დასასრულს უახლოვდება. წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ სამყაროს ისტორია არათუ მთავრდება, არამედ ახლა იწყება. ინდუსტრიალიზმის ეპოქა იმსხვრევა და იწყება ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბება. ამ კატაკლიზმებით ცდილობს ახსნას ისეთი მოვლენები, როგორიცაა ოჯახების ნგრევა, საერთო ენერგეტიკული კრიზისი, ტელევიზიის პოპულარობა, სეპარატისტთა მოძრაობა და სხვ. როგორც ვხედავთ, ყველა მოვლენა, ეხება სოციალურ სფეროს, ეკოლოგიურს, კულტურულსა თუ პოლიტიკურს, განხილულია ერთ პლანში. ე. ტოფლერი არა მარტო ცდილობს ამ მოვლენებს უპოვოს საერთო საფუძველი, არამედ აღნიშნავს, რომ ყველა მათგანი ურთიერთკავშირშია.

ინდუსტრიული საზოგადოების კრიტიკა ე. ტოფლერისათვის დამახასიათებელი თემაა. „ფუტუროშოკში“ იგი განიხილავდა თავისი საზოგადოების სტრუქტურას. არ უარყოფდა, პირიქით ააშკარავებდა მისი საზოგადოების ავადმყოფურ ხასიათს (შიმშილი, ავადმყოფობა, ძალადობა და ა. შ.), მაგრამ აქაც ამ მოვლენათა მიზეზებს იგი პოულობდა ისევ ინდუსტრიული საზოგადოების კრიზისში. ავტორი არათუ არ გამიჯნავდა ორ საზოგადოებრივ სისტემას, არამედ პირიქით, მთელი შეგნებით აცხადებდა, რომ პოლიტიკურ ფორმას არავითარი კავშირი არა აქვს კრიზისთან. კრიზისი საერთოა ყველა ინდუსტრიული საზოგადოებისათვის.

აანალიზებს რა თავის საზოგადოებას ე. ტოფლერი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „ესენი უეჭველი ნიშნებია ავადმყოფი სოციალური სტრუქტურისა, საზოგადოებისა, რომელსაც მისთვის ჩვეული გზით აღარ შეუძლია შეასრულოს მისი ყველაზე ძირითადი ფუნქციებიც კი. ეს არის რევოლუციური გარდაქმნების ქარცეცხლში მყოფი საზოგადოება. 1920 და 1930-იან წლებში კომუნისტები ლაპარაკობდნენ „კაპიტალიზმის საერთო კრიზისზე“. ახლა ნათელია, რომ ისინი შეზღუდულად აზროვნებდნენ. რაც ახლა ხდება, ეს არ არის კაპიტალიზმის კრიზისი, არამედ თავად ინდუსტრიული საზოგადოების კრიზისი, დამოუკიდებლად მისი პოლიტიკური ფორმისა. ამავე დროს ჩვენთან ხდება ახალგაზრდობის რევოლუცია, რევოლუცია ეკონომიკაში და ისტორიაში ყველაზე სწრაფი და ღრმად მიმდინარე ტექნიკური რევოლუცია. ჩვენ ვცხოვრობთ ინდუსტრიალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში. ერთი სიტყვით, ჩვენ ვდგევართ სუპერინდუსტრიული რევოლუციის შუაგულში“[20]. ე. ი. 70-იან თუ 80-იან წლებში კაპიტალისტური სამყაროს ბუნება არ შეცვლილა. კრიზისი კრიზისად რჩება. გამომწვევი მიზეზი ე. ტოფლერის აზრით, იგივეა — ინდუსტრიული საზოგადოების კვდომა, იმ განსხვავებით, რომ „ფუტუროშოკში“ ინდუსტრიული საზოგადოება ახალი ტექნიკური რევოლუცი-

---

[20] A. Toffler, The Future Shock. გვ. 165—166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შედეგად გადაიზრდებოდა სუპერინდუსტრიულ საზოგადოებაში, ხოლო „მესამე ტალღაში“ ინდუსტრიული საზოგადოება კი არ გადაიზარდა სუპერინდუსტრიულ საზოგადოებაში, არამედ მიმდინარეობს სრულიად ახალი ცივილიზაციის ფორმირება. როგორც აღნიშნავს თავად ავტორი „ფუტუროშოკისაგან“ „მესამე „ტალღა“ განსხვავდება როგორც მოცულობით, ასევე შინაარსით. თუკი პირველ წიგნში იგი აანალიზებდა ინდუსტრიულ საზოგადოებას და ცდილობდა გამოენახა გზები, რომლითაც საზოგადოება აიცილებდა „შოკს“, ახლა იგი პირიქით გვარწმუნებს, რომ თანამედროვე საზოგადოებას საგანგაშო არა აქვს, რომ ხდება ახალი ცივილიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო „კარგი და დემოკრატიული“ იქნება, ვიდრე რომელიმე წინარე ცივილიზაცია. „ფუტუროშოკში“ ტოფლერი მხოლოდ აქსელერაციის პროცესს განიხილავს. კაცობრიობის ისტორიაში გამოყოფს ორ დიდ ნახტომს: 1) ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე გადასვლა და 2) ახლანდელი მომენტი — ინდუსტრიალიზმიდან სუპერინდუსტრიალიზმზე გადასვლა. ეს ნახტომები განხორციელდა შემდეგი ტემპებით: სოფლის მეურნეობის ეპოქა გრძელდებოდა 10 000 წელი, ინდუსტრიალიზაციის ეპოქა — 200 წელი, სუპერინდუსტრიალიზმი კი ვითარდება ათწლეულებში. როგორც ვხედავთ, ათასწლეული შეიცვალა ასწლეულით, ასწლეული — ათწლეულით. სწორედ განვითარების ასეთ მაღალ ტემპს მიაწერს ტოფლერი ფუტუროშოკს. „იმისათვის, რომ ავიცილოთ ფუტუროშოკი კონტროლს უნდა დავუმორჩილოთ ლტოლვა აქსელერაციისაკენ[21] — წერს ავტორი.

განსხვავება სხვადასხვა სოციალურ სისტემებსა და სხვადასხვა კულტურებს შორის ე. ტოფლერს დაჰყავს ცხოვრების ტემპებამდე. ცხოვრების ტემპი კაცობრიობას ყოფს სხვადასხვა ბანაკად, წარმოშობს გაუგებრობას თაობებს შორის, ქალსა და კაცს შორის, ამერიკელსა და ევროპელს შორის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის[22].

„მესამე ტალღაში“ იგი აანალიზებს სტრუქტურას. ცივილიზაცია დაყოფილია სამ ნაწილად, სამ ტალღად: პირველი ტალღა — სოფლის მეურნეობის ფაზა, მეორე — ინდუსტრიული ფაზა და მესამე, რომელიც ახლა იწყება. სოფლის მეურნაობაზე დამყარებული ცივილიზაცია შედგებოდა სავსებით სხვადასხვა კულტურათაგან. კაპიტალიზმის დროს ამ კულტურათა განვითარების საფუძველზე მოხდა მათი მეტ-ნაკლები შერწყმა. ამ ეტაპზე კი ინდუსტრიული საზოგადოების ექვს პრინციპს ემუქრება მესამე ტალღა. ეს ექვსი პრინციპია: სტანდარტიზაცია, სპეციალიზაცია, სინქრონიზაცია, კონცენტრაცია, მაქსიმალიზაცია, ცენტრალიზაცია. ეს პრინციპები გადადის უკანა პლანზე და იქმნება ახალი ცივილიზაცია[23].

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაშრომებში იცვლება თანამედროვე საზოგადოების ამსახველი ცნებები. ზ. ბჟეზინსკის — ტექნოტრონული საზოგადოება, დ. ბელის — პოსტინდუსტრიული საზოგადოება, ე. ტოფლერის — სუპერინდუსტრიული საზოგადოება და ახალი ცივილიზაცია — არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ადეკვატური. შეიქმნება კიდევ მრავალი ასეთი კონცეფცია, მაგრამ ერთი რამ ნათელია: დასავლეთის მეცნიერებს არ

---

[21] A. Toffler, გვ. 270.

[22] იქვე, გვ. 36.

[23] იხ.: A. Toffler, The, Third Wave, გვ. 46—56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურთ აღიარონ თავიანთი საზოგადოების კაპიტალისტური არსი. სხვადასხვა ცნებების მანიპულაციით მათ სურთ შენიღბონ კაპიტალიზმის ბუნება, რათა თეორიულად უზრუნველყონ მისი მომავალი განვითარება „უკვდავი" კაპიტალიზმის ჩარჩოებში.

ბურჟუაზიული მეცნიერები აღიარებენ, რომ თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია განიცდის კრიზისს, მაგრამ ისინი განაზოგადებენ კაპიტალისტური ცივილიზაციის კრიზისს მთელს მსოფლიოზე. განიხილავენ კრიზისს როგორც საერთოდ ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ მოვლენას. ისინი იგნორირებენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობას. დასავლეთის ცივილიზაციის მომავლის „გაუმჯობესებული" ვარიანტი წარმოგვიდგება როგორც კაპიტალიზმის აპოლოგია.

დღევანდელი დღე ბურჟუაზიულ მეცნიერებს არ აკმაყოფილებთ. მომავლის მიმართ მათი განწყობილება სხვადასხვაგვარია. მიუხედავად იმისა თუ როგორია ეს განწყობილება პესიმისტური თუ ოპტიმისტური, ისინი ყველანი შორს დგანან იმ აზრიდან, რომ გაითვალისწინონ მათ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობების რეალური მიზეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად ისინი რეფორმისტულ გზას ირჩევენ.

„პლურალიზმი" და მათი მეთოდოლოგიის უზუსტობა განაპირობებს მათი მრავალი პოსტულატის თეორიული საფუძვლების სისუსტეს. მათი ნაშრომების ყველაზე დიდი უარყოფითი მხარეა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ აღმოჩენილი დიალექტიკის, ისტორიული პროცესის კანონზომიერების იგნორირება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის იგნორირება. მსოფლიო განვითარების ისტორიაში თანამედროვეობის რეალური სოციალურ-პოლიტიკური პროცესების იგნორირება.

ცივილიზებული საზოგადოება ჩამოყალიბდა პრიმიტიული საზოგადოებებისაგან. ამ ერთეულთა გაერთიანებისა და დამსხვილების შედეგად. ასეთი ინტეგრაცია მიგვითითებს საზოგადოების მაღალ დონეზე. დღეისათვის, მართალია, ბურჟუაზიული მეცნიერები საუბრობენ კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების უნიფიკაციაზე და ამ საფუძველზე ერთიანი ცივილიზაციის შექმნაზე, მაგრამ ამ უნიფიკაციაზე მსჯელობა არ შეიძლება. თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ სისტემათა არაერთგვაროვნება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს ცივილიზაციათა მსოფლიო ინტეგრაცია.

ჩვენი ეპოქის მთავარ არსს წარმოადგენს იმ მიმართულების გაგრძელება და განვითარება, რომელსაც დასაბამი მისცა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ — გადასვლა კაპიტალისტურ სისტემიდან სოციალისტურზე — ესაა ეპოქა ორი საწინააღმდეგო საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლისა, სოციალისტური რევოლუციების ეპოქა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციების, იმპერიალიზმის მსხვრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა. საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორად იქცევა მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

„...ჩვენი ანგარიში, დიდი მასშტაბით აღებული, უფრო სწორი გამოდგა, ვიდრე მათი ანგარიში. და ეს არა იმიტომ, რომ მათ არ ჰყავთ ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ სწორად გაანგარიშება, — პირიქით, მათ ასეთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ჰყავთ, ვიდრე ჩვენ, — არამედ იმიტომ, რომ სწორად ვერ იანგარიშებ, როცა დაღუპვის გზას ადგიხარ"[25], — წერდა ვ. ი. ლენინი.

Н. И. АВАЛИАНИ

ФУТУРОЛОГИЯ НА СЛУЖБЕ БУРЖУАЗНОЙ ИДЕОЛОГИИ

Резюме

Прогнозирование будущего имеет давнюю историю. Его можно отнести к человеческим инстинктам самосохранения. Человек старался предвидеть будущее еще до того, как он имел объективные возможности для этого.

Познание законов явлений, что привело к возникновению многих теорий, создавало возможность для замены эмпирических предсказаний научным прогнозированием.

Предвидение осуществляется под влиянием классово-мировоззренческой ориентации. Таким образом, буржуазное предвидение принципиально отличается от социалистического.

Прогнозирование будущего не имел претензии на существование независимую науку. Такие претензии предъявляет на Западе футурология, которая противопоставляется марксистско-ленинской социальной прогностике.

Перспективы будущего, каким путем будет развиваться человечество — капиталистическим или социалистическим — одна из основных тем современной идеологической борьбы. Следовательно, неудивительно, что футурология берет на себя значительную идеологическую нагрузку, — стремясь научно обосновать свое будущее существование.

Отношение к будущему среди буржуазных ученых — неоднородное. В основном можно выделить два направления: буржуазно-апологетическое и социально-критическое.

В труде рассмотрены взгляды таких буржуазных ученых, как: Р. Стромберг, О. Тоффлер и др.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა საქართველოს, ევროპის ქვეყნების ურთიერთობის განყოფილებამ

---

24 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 168.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩარკვიანი

სახალხო დეპუტატების საბჭოები პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორია, მისი ყველა გამარჯვება ახალი საზოგადოების მშენებლობაში განუყრელად დაკავშირებულია სახალხო ხელისუფლების ორგანოების — სახალხო დეპუტატების საბჭოების განვითარებასა და განმტკიცებასთან.

სახალხო დეპუტატების საბჭოები ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც არიან და მშრომელთა ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. „საბჭოები, — წერდა ვ. ი. ლენინი — ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს მასების თვალწინ აკეთებს, მასებისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასებიდან არის გამოსული, ხალხის მასებისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანიზაცია“[1].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნისა და კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო აამაღლა და განამტკიცა სახალხო დეპუტატების საბჭოებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, და მათგან გამომდინარე ახალმა საკანონმდებლო აქტებმა ხელი შეუწყვეს საბჭოების მხრივ ქმედით გავლენის შემდგომ გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაზე, მისი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ, როგორც ცნობილია, კიდევ უფრო გაფართოვდა საბჭოების უფლებები საწარმოო და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობის, დაგეგმვასა და კოორდინაციის დარგში, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში. ყოველივე ამან შექმნა საბჭოების სესიების, მათი მუდმივი და დროებითი კომისიების მუშაობის შემდგომი გააქტიურების შესაძლებლობა. საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ენერგიულად ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს. იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათს შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას და ა. შ.[2]

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 10, გვ. 287.

[2] სსრ კავშირის კონსტიტუცია, გვ. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესაბამისად საბჭოების აღმასრულებელი ორგანოების აპარატი კვალიფიციური კადრებით განმტკიცდა, ამაღლდა სამმართველო აპარატის მუშაობის კულტურა, დამკვიდრდა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. სოციალიზმის სრულყოფის პირობებში საბჭოები წარმატებით დაეუფლნენ სოციალურ-ეკონომიკური და საწარმოო პროცესების მართვის ხელოვნებას. კიდევ უფრო გაიზარდა დეპუტატთა აქტიურობა მათი პასუხისმგებლობა საბჭოების მიერ ეფექტურ გადაწყვეტილებათა მიღებისა და განხორციელების სფეროში.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვის შედეგად საბჭოებმა სოციალიზმის სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე გადაჭრით გააუმჯობესეს სახელმწიფო მმართველობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობა. ისინი სულ უფრო აქტიურ გავლენას ახდენენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ყველა მხარეზე, რაზმავენ მათ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პლენუმზე გამოტანილ საკითხთა თვით ხასიათი იძლევა შესანიშნავ საბაბს უფრო ღრმად გავერკვეთ, თუ უკეთ როგორ გამოვიყენოთ მასების გააქტიურების ის რეზერვები, რომლებსაც შეიცავს სოციალისტური დემოკრატიის, საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფა, და უწინარეს ყოვლისა, საბჭოების — სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძვლის, სოციალისტური მშენებლობის მძლავრი იარაღის საქმიანობის გაუმჯობესება.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაუსახა ვ. ი. ლენინმა საბჭოებს ამოცანა სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ ორგანოებად ჩამოყალიბებისა, რომელთაც შეეძლებოდათ მუშაობა არა მარტო მშრომელებისათვის, არამედ მშრომელების მეშვეობითაც. ეს ამოცანა ძირითადად გადაწყვეტილია: 2 მილიონ 300 ათასი დეპუტატი — მუშების, გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, ყველა ერისა და ეროვნების მშრომელები, ათ მილიონობით აქტივისტი — აი, ვისი მეშვეობით მართავს კომუნისტური პარტია ჩვენში სახელმწიფოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის დადგენილებაში, ახლებურადაა ჩამოყალიბებული სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, კომუნისტური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში საერთო-სახალხო სახელმწიფოებრიობისა და სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფაში მათი როლის გაზრდის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სახალხო დეპუტატები სრულად იყენებენ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას და წარმატებით უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურ ღონისძიებებს შესაბამის ტერიტორიაზე, წარმოების ეფექტიანობის ზრდას, საბჭოთა ადამიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ყოფა-ცხოვრების ყველა მხარის გაუმჯობესებას, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

საქართველოს სახალხო დეპუტატების საბჭოებმა პარტიის XXVI ყრილობისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდი მუშაობა გასწიეს შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესასრულებლად; არაერთი შესანიშნავი პირადი მაგალითის მიმცემი და სიახლის მოთავენი გახდნენ სახალხო საბჭოების დეპუტატები. ისინი კიდევ უფრო მეტ ენერგიულ, ცოცხალ და შემოქმედებით ღონისძიებებს ახორციელებენ XI ხუთწლედის ამოცანების გადასაჭრელად.

კომუნისტური პარტიის ლენინური ხელმძღვანელობისა და საქართველოს მშრომელთა დაუღალავი, გმირული თავდადების შედეგია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო დროშას ამშვენებს სამშობლოს რამოდენიმე უმაღლესი ჯილდო, ხოლო ქალაქ თბილისს — ლენინის ორდენი. ეს ჯილდოები და უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ყოველწლიურად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღება ცხადყოფენ სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მქონე რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ყველა მშრომელის დიდ ღვაწლს.

ცნობილია, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით რესპუბლიკის სახალხო დეპუტატების საბჭოებმა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარების შედეგად უკეთესად მოაწყვეს სახელმწიფო ორგანოების მართველობა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობა და სულ უფრო გადამწყვეტ როლს ასრულებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ყველა სფეროში, რაზმავენ მათ პარტიის მიერ ხალხის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მშრომელი ადამიანისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების განსამტკიცებლად. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად განუხრელად ხორციელდება პარტიის დევიზი — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ყოველივე ამან საბჭოთა ადამიანები ერთიანი ნებით შედუღაბებულ შრომით კოლექტივად აქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე და მუდმივ კომისიებში დეპუტატთა საქმიანობის გაანალიზებამ საგრძნობლად გააფართოვა განსახილველ საკითხთა წრე. ამაღლდა სამინისტროებისა და უწყებათა პასუხისმგებლობა მათ წინაშე დაყენებული საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა მიმართულია ქვეყნად სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში საბჭოების როლის გაძლიერებისაკენ, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისაკენ. ისინი მთავარ ყურადღებას კვლავ მიაპყრობენ ყრილობასა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა განხორციელებას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უფრო სწრაფი ტემპების უზრუნველყოფას, მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას და ა. შ.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიდია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წვლილი, რომლებიც პარტიული ორგანოების მზარდი დახმარებით სულ უფრო უკეთ, საქმიანად და კომპეტენტურად წარმართავენ თავიანთ მუშაობას, ღრმად სწვდებიან და სწორად წყვეტენ მომწიფებულ საკითხებს.

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახდა მუშაობა პარტიის XXVI ყრილობის შუქზე ოლქის კომპლექსური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. აქედან გამომდინარე საბჭოები, მათი აღმასკომები, როცა ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ქმედით დახმარებას უწევენ ავტონომიური ოლქის საწარმოებს გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესებაში. ისინი აკონტროლებენ კოლმეურნეობების წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, ისმენენ მეურნეობების ხელმძღვანელთა და მთავარ სპეციალისტთა ანგარიშებს, სახავენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს და ა. შ.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესიაზე განიხილეს ადგილობრივი საბჭოების ამოცანები აგროსამრეწველო კომპლექსში ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის თაობაზე იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

1975 წელთან სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები ორჯერ და მეტად გაიზარდა, შრომის ფონდუზრუნველყოფა 2,7-ჯერ, ფონდაღჭურვილობა — 1,8-ჯერ, ამან შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობის ზრდა 1,4 ჯერ. მარტო 1983 წელს სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მეოხებით, ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა დამატებით მიიღეს 1,2 მილიონი მანეთი მოგება. 1984 წელსაც წარმატებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალებები[3].

ადგილობრივი საბჭოების, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კოლმეურნეობების გამგეობებთან, საბჭოთა მეურნეობების საწარმოებებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით, სულ უფრო მეტ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენენ სამხრეთ ოსეთის სოფლების სოციალური განვითარების პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის. მაღლდება მათი როლი სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალური სამართლიანობისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის საქმეში[4].

---

[3] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984, № 3, გვ. 32.

[4] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1984, 10 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატ მწველავთა თაოსნობამ, რომლებიც პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის იბრძვიან, თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო, სიტყვა საქმედ აქციეს. როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში რძის წარმოებისა და შესყიდვაში ჩამორჩენის დასაძლევად 1984 წლის ივნისის დამდეგს გაჩაღდა მწველავთა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: რძევალ-დებულების გადამეტებით! ამ თაოსნობის ინიციატორები კი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მწველავები იყვნენ. დეპუტატთა ეს თაოსნობა მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები მალე სათავეში ჩაუდგნენ მწველავთა შეჯიბრებას, თანამოსაქმეები გაიყოლიეს და შეჯიბრებამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. შედეგმაც არ დააყოვნა, მნიშვნელოვნად გაიზარდა რძის წარმოება და შესყიდვა, რომლის გეგმა 100%-ით შესრულდა.

მწველავთა თაოსნობას აგრეთვე მხარი დაუჭირეს ხელვაჩაურის რაონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობის მეცხოველეობის მუშაკებმაც. მათ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 106 ტონისა მიიღეს 130 ტონა რძე — ვალდებულებაზე 5 ტონით მეტი, ფურის საშუალო წველადობამ 1600 კილოგრამს გადააჭარბა.

გალის რაიონის ოქუმის კოლმეურნეობა მეჩაიეობით საქვეყნოდ სახელგანთქმულია. ამასთან ოქუმში საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის შეუნელებელი ზრუნვა საკვები ბაზის განმტკიცებით დაიწყო. არსებითი გარდატეხა მოხდა საკვებწარმოებაში, ყოველი საკვები მინდორი გახდა უხვმოსავლიანი, მტკიცედ დაინერგა „მწვანე კონვეიერი“.

როგორც წესი ერთი და იმავე ფართობზე წელიწადში საკვები კულტურების ორი-სამი მოსავალი მოიყვანეს. მტკიცე საკვებმა ბაზამ, მეცხოველეთა მატერიალურმა და მორალურმა წახალისებამ, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობამ, მასობრიობამ და ქმედითობამ დიდი სიკეთე მოუტანა მეცხოველეობას. მერძევეობის ფერმაში ფურების სულადობა სტაბილური გახდა. 1975 წელს მოიწველა 994 ცენტნერი რძე, 1983 წელს კი 2018 ცენტნერი, 1984 წელს 2 200 ცენტნერსაც გადააჭარბა. 1984 წელს სახელმწიფოს მოეყიდა 1500 ცენტნერი რძე, ნაცვლად 1975 წლის — 599 ცენტნერისა. ამასთან, 1983 წელს ცენტნერი რძის თვითღირებულება 1975 წელთან შედარებით 32 მანეთით შემცირდა. მწველავები ბ. დოჩია და მ. ცაცუა, მ. ჯანელიძე და მ. კოზმავა, გ. ჯგუბურია და პ. ჯანელიძე რეკორდული მაჩვენებლებისათვის ერთიმეორეს ეჯიბრებიან და პირნათლად ასრულებენ დეპუტატ მწველავთა თაოსნობის პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს[5].

თიანეთის რაიონმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ფერმების პროდუქციის მიყიდვის გეგმები. ამ წარმატებაში ერწოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის წილიც არის, სადაც წარმატებით შრომობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ მწველავთა პატრიოტული თაოსნობის ერთ-ერთი მონაწილე ქსენია კოტოშაშვილი. იგი ოცდახუთ ფურს პატრონობდა. მერძეული პირუტყვის ორ ბრიგადაში ოცდახუთი მწველავისათვის მისაბაძი იყო მისი საქმინაობა. ეთერ წიკლაური და ვარა შავერდაშვილი, უქა ჩოხელი და ნანა ქერაული მხარს

---

[5] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1984, 13 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსწორებდნენ შეჯიბრების ორგანიზატორს. თვით ინიციატორმა კი თვენახევრით ადრე წარმატებით გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, ფურზე საშუალოდ მიიღო 2000 კილოგრამამდე რძე, ამასთან ქ. კოტოშაშვილმა 25 ხბო გამოუზარდა ფერმას.

ბადრი ქისტაურისა და თამაზ ბებერაშვილის მერძევეობის ბრიგადებში ყველა მწველავი ჩაბმული იყო შეჯიბრებაში დევიზით: „რძე ვალდებულების გადამეტებით!“. შეჯიბრებამ თავისი შედეგი გამოიღო, მეურნეობამ მეჩვიდმეტე დამკვრელურ კვირაში სამშობლოს უპატაკა რძის წარმოებისა და ჩაბარების წლიური გეგმის შესრულება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1496 კილოგრამისა ფურზე საშუალოდ მიიღო 1505 კილოგრამი რძე, 1983 წელთან შედარებით 315 კილოგრამით მეტი. ამრიგად, მეურნეობამ წარმატებით გაანაღდა დეპუტატ მწველავთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. ამასთან ყოველ 100 ფურზე მიიღეს და შეინარჩუნეს 84 ხბო — გეგმაზე ოთხით მეტი. ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 150 ტონისა სახელმწიფოს ჩაბარდა 260 ტონა ხორცი[6].

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1983 წლის 13 სექტემბერს იმსჯელა სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის გარდაბნის რაიონის მარტყოფის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს მუშაობის სტილის შესახებ. დადებითად შეაფასა მარტყოფის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ამ მხრივ გაწეული საქმიანობა. ბიურომ პრინციპული, პარტიული შეფასება მისცა სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი აღმასკომის, სახალხო დეპუტატებისა და აქტივის საქმიანობაზე, ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებასა და მათი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. გაიზარდა მათი მაორგანიზებელი როლი სასოფლო საბჭოს წინაშე მდგარი ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრისათვის საბრძოლველად, სოფლის მოსახლეობის მობილიზებისათვის. ამაღლდა მათი აქტიურობა, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი მინდობილი საქმის განუხრელი შესრულებისათვის, დაიძებნა და თანმიმდევრულად ინერგება მოსახლეობასთან ადგილობრივი ხელისუფლების კავშირურთიერთობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დეპუტატები ც. გაიხარაშვილი, ნ. ადიკაშვილი, მ. ილურიძე, ვ. უსტარაშვილი, ა. კავთუაშვილი, რ. გერენაშვილი და სხვები თავდადებით იბრძვიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის და პირად მაგალითს აძლევენ სხვებს.

გაიზარდა სასოფლო საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით

---

[6] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1984, 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულების, სასურსათო პროგრამის განხორციელებისა და სოფლის სოციალური განვითარებისათვის[7].

მარტყოფის სასოფლო საბჭომ სოფლის კომპლექსური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის მრავალრიცხოვანი აქტივის ფართოდ ჩაბმის მდიდარი გამოცდილება დააგროვა ამ ბოლო დროს.

სასოფლო საბჭო აქტიურად ზემოქმედებს სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაზე, ეხმარება მათ საწარმოო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში. თავის მხრივ, შრომითი კოლექტივები ახლა უფრო ოპერატიულად რეაგირებენ სასოფლო საბჭოს, მისი აღმასკომის, მუდმივმოქმედი კომისიების, დეპუტატების გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებზე. ამასთან ერთად სულ უფრო იხვეწება მოსახლეობასთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, სოფლის ყრილობაზე დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვრცელი პროგრამის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები.

ყოველივე ამან იერი უცვალა სოფელს, ახლებური ყოფა, ურთიერთობები დამკვიდრდა ადამიანებს შორის.

სოფლის სოციალურ-კულტურული განვითარების პროგრამის რეალიზაციაში ფართოდ არის ჩაბმული სასოფლო საბჭოს აქტივი, მთელი მოსახლეობა სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით აშენდა 44-მეტრიანი ხიდი მდინარე სირათხევზე, გაყვანილი იქნა 5 კილომეტრამდე სიგრძის ახალი და ძოიხრეში 10 კილომეტრი შიდასასოფლო გზები, შეიცვალა 8 კილომეტრი საერთო სიგრძის წყალმომარაგების ქსელი, დაირგო 100 ათასი ძირი ხეხილი და დეკორატიული მცენარე, კეთილმოეწყო მისასვლელი გზები, ეზო-გარემო, სოფლის მიმდებარე ტერიტორია და სხვ.[8].

ახალქალაქის რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები ჩაბმული არიან მშრომელთა ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის ფართოდ გაშლილ მუშაობაში. თავიანთ საქმიანობაში ისინი ითვალისწინებენ რეგიონის თავისებურებებს — მის მრავალეროვნულობას, საზღვართან სიახლოვეს. მარჯვედ იყენებენ საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ყველა ფორმას, ურთიერთმოქმედებენ მუდმივ კომისიებთან, ამ მუშაობაში აბამენ ქვეყნისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, მესაზღვრე მეომრებს.

მიზანმიმართულად იყენებენ ერთიან დღეებს — საბჭოების დეპუტატთა შეხვედრებს ამომრჩევლებთან და მოსახლეობასთან საცხოვრებელ ადგილას და შრომითს კოლექტივებში, სასოფლო ყრილობებს. სასწავლებლებთან, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად პატრიოტული აღზრდის კერებად იქცა რაიონში არსებული ისტორიისა და კულტურის ათობით ძეგლი. მათი აღდგენისა და მოვლისათვის ზრუნვა ხელს უწყობს ახალგაზრდობაში

---

[7] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1984, 4 დეკემბერი

[8] გაზ. კომუნისტი, 1985, 10 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიოტიზმის გრძნობის შემდგომ აღზრდას, ჩვენი სამშობლოს ისტორიული და კულტურული წარსულის გამო სიამაყის გრძნობის ჩანერგვას, ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას. ამასთან მთავარ ამოცანად მიჩნეული აქვთ მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდა, რაც გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან[9].

ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადების შრომითმა კოლექტივმა უმალვე დაუჭირა მხარი დეპუტატ მწველავებს, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ვალდებულების გადამეტებით რძის წარმოებისა და ჩაბარებისათვის. მაქსიმალურად გამოიყენეს პირუტყვის საიალაღო შენახვის ხელსაყრელი პირობები, სანიმუშოდ მოაწყვეს მწველავთა სოციალისტური შეჯიბრება. გაზარდეს მომთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა. შედეგებიც სასურველი მიიღეს; რძის წარმოებისა და ჩაბარების 1984 წლის გეგმები 11 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს. ნაცვლად 3 046 ცენტნერისა ჩააბარეს 3 821 ცენტნერი რძე. ფურის საშუალო წველადობამ 2 020 კილოგრამს გადააჭარბა, რაც ვალდებულებაზე 250, ხოლო წინა წელზე 35 კილოგრამით მეტია. ფერმაში გეგმით 175 ხბო უნდა მიეღოთ. ფაქტიურად მიიღეს 204, ესეც ახალ მიღწევაზე მეტყველებს.

ხაშურის რაიონის ცოცხნარის კოლმეურნეობის მერძევეობის ფერმაში მწველავად მუშაობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თინა ლაბაძე. ეს მკლავმოუღლელი ქალი პირადი მაგალითით ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებს თანამოსაქმეებს, 11 თვეში ვალდებულების გადამეტებით სამი ტონა რძე შემატა ფერმის საერთო პროდუქციას. რესპუბლიკის პარლამენტის წევრი სათავეში ჩაუდგა გამოზამთრების პერიოდში რეკორდული მაჩვენებლებისათვის მწველავთა სოციალისტურ შეჯიბრებას.

კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულა დეპუტატ მწველავთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ნაკისრი ვალდებულება, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3580 ცენტნერისა 11 თვეში აწარმოეს 3797 ცენტნერი რძე, სახელმწიფოს მიეყიდა 3350 ცენტნერი ნაცვლად 3300 ცენტნერისა, ამრიგად, გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება.

ასპინძის რაიონმა ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3250 ტონისა 11 თვეში სახელმწიფოს მიჰყიდა 3300 ტონა რძე. წარმატებებში სოფელ ძველის კოლმეურნეობის, ძველის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის წილიც არის. ბოლო პერიოდში სოფელში საზოგადოებრივი მეცხოველეობაც ინტენსიურად ვითარდება და საკარმიდამოც.

კოლმეურნეობამ 11 თვეში 3030 ცენტნერი რძე აწარმოა, 1983 წელზე 250 ცენტნერით მეტი, სახელმწიფოს მიეყიდა 2 700 ცენტნერი, ნაცვლად 2300 ცენტნერისა. გარდა ამისა, საკარმიდამო მეცხოველეობიდან შესყიდულია 430 ცენტნერი რძე.

სასახელოდ შრომობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატები. რაიონული საბჭოს დეპუტატებმა ნათელა დიასამიძემ ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1500 კილოგრამისა ფურზე საშუალოდ 1650 კილო-

---

[9] გაზ. „კომუნისტი", 1984, 6 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამი რძე მიიღო, 1983 წელზე 150 კილოგრამით მეტი. ასევე თავი გამოიჩინეს სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა ბაბულია და თამარ ზედგენიძეებმა.

პირუტყვის ინტენსიურ სუქებაზე რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ლამარა ზედგენიძემ, გასასუქებელი მოზარდულის საშუალო სადღეღამისო წონამატმა 900 გრამი შეადგინა[10].

პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების მაღალ დონეზე შესრულების საქმეში ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ გორის რაიონის სკრის, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის, სოხუმის რაიონის კელასურის, ახალციხის რაიონის აწყურის, მარნეულის რაიონის თამარისის, ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის, ლენინგორის რაიონის მოლის, სამტრედიის რაიონის ოფეთის, ახალქალაქის რაიონის არაკვის, რესპუბლიკის ბევრი სხვა რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასკომები, დეპუტატთა ფორმირებები და აქტივი.

საბჭოებისადმი პარტიის განუხრელი ხელმძღვანელობა-დახმარების შედეგები ყოველდღიურად ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ რესპუბლიკაში სახალხო დეპუტატების საბჭოების მუშაობის საკითხები ამ ბოლო დროს უფრო მაღალ დონეზე იქნა დაყენებული. ყველაფერი ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რესპუბლიკის აქტივის კრებებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე რეგულარულად იხილება საბჭოების მუშაობის საკითხები, სადაც მოხსენებებით და სიტყვებით გამოდიან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები.

ყოველწლიურად მაღალ დონეზე ტარდება რესპუბლიკის სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარები. ყოველივე ეს უდიდესი დახმარებაა სახალხო დეპუტატების საბჭოების მუშაობის ორგანიზაციულ-მასობრივი საქმეების, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებისა და ვალდებულებების, მეცნიერების მიღწევების, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხების სწორად და ორგანიზებულად განხორციელების მიმართულებით, რათა საბჭოებმა კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფაში.

А. И. ЧАРКВИАНИ

СОВЕТЫ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ В БОРЬБЕ ЗА ОСУЩЕСТВЛЕНИЕ РЕШЕНИЙ XXVI СЪЕЗДА ПАРТИИ

Резюме

В статье на основании соответствующих источников и литературы показано, что на всех этапах развития нашей страны Советы народных депутатов под руководством Коммунистической партии вносили

---

10 „სოფლის ცხოვრება“, 1984, 12 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

и вносят значительный вклад в великое дело социалистического преобразования общества и коммунистического строительства.

Прослежено, что Центральный Комитет КПСС за последнее время еще более повысил роль Советов, усилил руководство ими. В результате этого аппарат исполнительных органов укрепился квалифицированными кадрами. Выше стала культуры работы управленческого аппарата. Внедрена научная организация труда.

В свете решений XXVI съезда партии и последующих пленумов ЦК КПСС, Советы народных депутатов Грузии проделали большую работу по мобилизации трудовых коллективов на выполнение планов развития народного хозяйства страны; депутаты Советов народных депутатов выступили инициаторами многих ценных новшеств. Они осуществляют энергичные, творческие мероприятия, направленные на решение задач одиннадцатой пятилетки.

В статье проанализировано, что благодаря неустанной заботе Центрального Комитета Компартии Грузии Советы народных депутатов республики усовершенствовали управление государственными органами, руководство всеми отраслями хозяйственного и культурного строительства, выполняют все более решающую роль во всех сферах жизни и труда советских людей, мобилизуя их на решение задач, поставленных перед ними партией, повышение общественно-политической активности трудящихся и др.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ აბუთიძე

საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სრულყოფისა და მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან

(1926—1929 წწ)

საქართველოს კომპარტია აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ თავის მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოების, როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სრულყოფისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების აქტუალურ საკითხებს.

1925 წლის შემდეგ, საბჭოების საარჩევნო კომპანიები, რომლებიც მასიური აგიტაციისა და პროპაგანდისათვის საუკეთესო საშუალება იყო, დღითიდღე მაღლდებოდა, თანდათან იხვეწებოდა.

საქართველოში 1926 წელს ადგილობრივი საბჭოების არჩევნები საქართველოს კომპარტიის უდიდესი გამოცდა იყო. პირველად ამ წელს ხდებოდა საბჭოთა დემოკრატიის სავსებით გატარება ცხოვრებაში. პარტიამ ამ პერიოდისათვის სპეციალურად შეიმუშავა იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა მეთოდი, რათა აქტიური მუშაობა ეწარმოებინა ღარიბ გლეხობასთან, მოჯამაგირეებთან და საშუალო გლეხობასთან. ამ მიმართულებით წინა წლებში საქართველოს კპ(ბ) ნაკლებ მუშაობას ატარებდა. ამიტომ იყო, რომ პარტიის გავლენის ქვეშ ჭირდა მშრომელი მასების შემოკრება. სწორედ ეს ნაკლოვანება იყო ამჯერად გათვალისწინებული. კომუნისტურმა პარტიამ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, შეძლო ორგანიზებულად ეწარმოებია საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მშრომელების თავის გარშემო შემოკრებისათვის და ორგანიზებულად დაერაზმა ისინი ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ. მთელი პროცესი ამ წელს ჩატარებული არჩევნებისა გამოხატავდა ბრძოლას, ერთი მხრივ, კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ და მეორე მხრივ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ღარიბი და საშუალო გლეხობის შემომტკიცებისათვის.

საბჭოთა დემოკრატიის თანმიმდევრულმა გატარებამ ყველასათვის ნათელყო სოფლის კლასობრივი დიფერენციაცია და მათი სულიერი განწყობილება. იმისათვის, რომ არჩევნების ფაქტობრივი ხელმძღვანელი გამხდარიყო საქართველოს კპ (ბ) წინასწარ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები:

1. ვიდრე საბჭოების არჩევნები დაიწყებოდა, ყოველ თემში მუშავდებოდა შავი სიები, (საარჩევნო უფლებაჩამორთმეული მოქალაქეებისა), რომლებიც იკვრებოდა თემის აღმასკომებში თვალსაჩინო ადგილზე; 2. ყოველ ამომრჩეველს ეგზავნებოდა პირადი ბარათი, რომლითაც თხოვდნენ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში; 3. საარჩევნო უბნები შექმნილი იყო თითქმის ყოველ სოფელში: 4. უზრუნველყოფდნენ მშრომელების აქტიურ მონაწილეობას საარჩევნო კრებებზე დასმული ყველა საკითხის ფართოდ განხილვაში.

დასახელებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა იმ დროისათვის ძალზე დიდი იყო. შავი სიების წინასწარ გამოცხადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმით, რომ საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ მოქალაქეს საშუალება ეძლეოდა თავის დროზე მოეთხოვა უფლებაში აღდგენა, თუ რაიმე გაუგებრობა იქნებოდა დაშვებული. მართლაც, სულ ამ დროს უფლებაში აღდგენის შესახებ (ავტონომიური ერთეულების გამოკლებით) შევიდა 832 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილებული იქნა 493[1].

მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, აქ მაინც იქნა დაშვებული ზოგიერთი შეცდომა, საარჩევნო უფლებები ჩამოერთვა ბევრ ისეთ მოქალაქეს, რომელთაც ინსტრუქციის მიხედვით არ უნდა ჩამორთმეოდათ, აგრეთვე მოქალაქეობრივი უფლება მიეცათ ისეთებს, რომელთაც არ ეკუთვნოდათ. ამ მხრივ ადგილობრივი საარჩევნო კომისიების მუშაობაში ერთგვარი გაუგებრობა შეიტანა ინსტრუქციის იმ მუხლმაც, რომლის მიხედვით წვრილ ვაჭრებს ეძლეოდათ საარჩევნო ხმის უფლება.

არჩევნებზე მოქალაქეთა პირადი ბარათების დარიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბარათის მიღებისთანავე მოქალაქე გრძნობდა პასუხისმგებლობას, რომ ის ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საბჭოების არჩევნებში. ამ წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (გარდა ავტონომიური ოლქებისა) ამომრჩეველთა 51,3%. მართალია, 1925 წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 56,9‰-მა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ მაშინ აღრიცხვა ზუსტი არ იყო, აღრიცხვა ხდებოდა დაახლოებით და ადგილებიდან მიღებული გადაჭარბებული მონაცემების საფუძველზე. 1926 წელს კი აღრიცხვა იყო პერსონალური.

საარჩევნო უბნების თითქმის ყველა სოფელში მოწყობამ განაპირობა არჩევნებში ფართო მასების მონაწილეობა. ამის დამამტკიცებელია შემდეგი ციფრები; საარჩევნო უბნების რიცხვი მთელ საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) 1925 წ. იყო 977, ხოლო 1926 წელს 2658[2].

უკანასკნელი პირობა საბჭოთა დემოკრატიის უმტკივნეულოდ გატარებისათვის იყო, ამომრჩევლების გულახდილი, თავისუფალი მონაწილეობა საარჩევნო კამპანიის დღის წესრიგში დასმული ყველა საკითხის განხილვა-გადაწყვეტის დროს. ეს უკანასკნელი და უმთავრესი პირობა შესრულებულ იქნა კარგად. საარჩევნო კამპანიის ჩატარების პროცესში სოფლის მცხოვრებთა ყველა სოციალურმა ფენამ მიიღო აქტიური მონაწილეობა და გამოამჟღავნა თავისი სოციალურ-პოლიტიკური სულისკვეთება.

ამ პერიოდში საქართველოს კომპარტიამ დიდი მუშაობა ჩაატარა სოფლის აქტივის დარაზმისათვის. საბჭოების არჩევნების დროს საბჭოთა დემოკრატიის ცხოვრებაში გატარების პირობებში, ბუნებრივია უნდა გაჩაღებულიყო პოლიტიკური ბრძოლა ძალაუფლებისათვის ღარიბებსა და მდიდრებს შორის. საჭირო იყო კომუნისტურ პარტიას წინასწარ დაეკავშირებინა ერთმანეთთან სოფლის უღარიბესი და საშუალო გლეხობა კულაკობისა (ბობოლა გლეხობა) და თავადაზნაურული მენშევიკური ელემენტების წინააღმდეგ. ამ მიზნით სოფლებში კომუჯრედების მიერ იწვეოდა უღარიბესი გლეხობისა და საშუალო გლეხობის აქტივის კრებები, სადაც განიხილავდნენ საბჭოების მუშაობის ანგარიშებს, ადგენდნენ მომავალი საბჭოების სამუშაო განაწესს და ამუშავებდნენ საბჭოში ასარჩევი კანდიდატურების სიებს. ასეთი გზით მშრომელები დარაზმული გამოდიოდნენ პარტიის ხელმძღვანელობით. მიუხედავად

[1] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2103, ფურც. 151.
[2] იქვე, საქ. 103, ფურც. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა, რომ ადგილებზე პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის ასეთი პრაქტიკა ნაკლებად ჰქონდათ და იგი ახალი იყო მათთვის, მაინც ძირითადად დამაკმაყოფილებლად გაატარეს.

ამ პერიოდში ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგობის ერთ ნაწილში გამომჟღავნდა მცდარი შეხედულება, სოფლად არსებული კლასობრივი დიფერენციაციის შესახებ. მათი აზრით, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გურიისა და სხვა მაზრებში კულაკური ელემენტები არ არსებობდნენ, საქართველოს სოფლებში თითქოს იყვნენ მცირეოდენი რაოდენობით მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხობა და ნაწილობრივ საშუალო შეძლების გლეხები, ხოლო რაც შეეხება კულაკობას, მათ ისინი მიაჩნიათ რუსეთის ეკონომიკური სინამდვილის ნაყოფად, რომ იგი საქართველოს სოფლებში არ მოეპოვებათ, ან თუ არიან ისიც თითოოროლა რაოდენობით, რომელთაც არავითარი ეკონომიკური მნიშვნელობა არა აქვთო. მათ მიაჩნდათ, რომ ჩვენი სოფლები კულაკური ელემენტების გავლენის საშიშროებისაგან დაზღვეული იყო, რა თქმა უნდა, ეს უაღრესად მცდარი შეხედულება იყო.

თვალი რომ გადავავლოთ საქართველოს სოფლებს, ჩვენ დავინახავთ, თუ სოფლის კულაკობა როგორ საშუალებებს მიმართავდა იმისათვის, რომ თავის გავლენის ქვეშ მოექცია ღარიბი და საშუალო გლეხობა. ისინი ღარიბ და საშუალო გლეხობას აძლევდნენ სესხს, რითაც ეკონომიკურად დამოკიდებული ხდებოდნენ მათზე. რაც შეეხება ჩვენს საკრედიტო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ საშუალება საგრძნობი ეკონომიკური დახმარება გაეწიათ მშრომელი გლეხობისათვის, ამიტომ იყო რომ სოფელში არსებულ საბჭოთა, კოოპერაციული საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების გადარჩევის დროს კულაკები ხშირად აშკარადაც კი გამოდიოდნენ, რათა თავიანთი კანდიდატურები წამოეყენებინათ ან მომხრეები აერჩიათ. მართალია, საქართველოს სოფლის კულაკური მეურნეობა სიძლიერით ვერ შეედრებოდა რუსეთის კულაკურ მეურნეობას, მაგრამ საქართველოს კულაკების ეკონომიკური და პოლიტიკური როლი სოფლად იგივე იყო რაც რუსეთში. ასე რომ ზოგიერთი პარტიული მუშაკის მიერ ამ მოვლენის უგულებელყოფა შეცდომად უნდა მივიჩნიოთ.

1926 წლის საბჭოების არჩევნებში აღსანიშნავია ისიც, რომ არჩევნების კამპანიის ჩატარების დროს სოფლის ყველა ელემენტმა სრულად გამოავლინა თავისი სულისკვეთება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ვიდრე საბჭოების არჩევნები დაიწყებოდა რამდენიმე დღით ადრე ადგილებზე კომუჯრედების ინიციატივით იმართებოდა კრებები, იწვევდნენ ღარიბ და საშ. გლეხობის წარმომადგენლებს, ზოგჯერ კრებებზე კულაკებიც ესწრებოდნენ. მათ, როგორც სტუმრებს ისე ეჭირათ თავი. ლეჩხუმის მაზრაში დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მოინდომეს კრების ჩაშლა, მაგრამ ისინი გლეხებმა გააძევეს. ასეთ კრებებზე საკითხების განხილვას ღარიბი და საშუალო გლეხობის დიდი უმრავლესობა საქმიანად მიუდგა, მიუთითებდნენ საბჭოების მიერ დაშვებულ პრაქტიკულ შეცდომებზე, აგრეთვე თავიანთ თავზეც ლაპარაკობდნენ, რომ მეტი დახმარება უნდა ყოფილიყო მათ მხრივ. აღნიშნავდნენ ნაკლოვანებებზე, რაც გამოიხატებოდა ხიდების, გზების, სკოლების, სარწყავი არხების, კოოპერატივების მუშაობაში, მოურიდებლად აკრიტიკებდნენ ამა თუ იმ კომუნისტის უღირს საქციელს. ზუგდიდის რაიონის სოფ. ახუთის 70 წლის მოხუცმა გლეხმა სამაზრო აღმასკომის ანგარიშის შესახებ თქვა, „ჩვენი სოფელი 50 ვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით არის დაშორებული სამაზრო ცენტრიდან, არც ერთი მთავრობის წარმომადგენელი ჩვენთან არ მოსულა, ჩვენ არაფერს არ გვეკითხებოდნენ, ეხლა კი საბჭოთა მთავრობის დროს როგორც თემის, ისე მაზრის ხელმძღვანელები თავის მუშაობის ანგარიშს გვიკითხავენ და ჩვენ მათ მუშაობას ვაფასებთ". საბჭოების მუშაობა ყველგან შეფასებულ იქნა მათი პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით. მაგალითად, გურიაში ხუთი საბჭოს მუშაობა სცნეს არადამაკმაყოფილებლად. ასევე სუსტად შეაფასეს საბჭოების მუშაობა სხვა მაზრებშიც[3].

საბჭოების მუშაობის სუსტი მხარეების აღნიშვნასთან ერთად იმუშავებდნენ განაწესებს მომავალი მუშაობისათვის, კომუჯრედებთან შეთანხმებით ადგენდნენ საბჭოებში ასარჩევად ისეთ კანდიდატებს, რომელთაც კარგი ავტორიტეტი ჰქონდათ სოფელში, ცნობილი იყვნენ როგორც მიუდგომელი და პატიოსანი გლეხები და იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველნი. იყო შემთხვევები როდესაც წამოყენებული კანდიდატურები კრების მიერ იცვლებოდა კიდევ უფრო სანდო პირებით. ასე რომ ღარიბ და საშუალო გლეხობის წინასაარჩევნო კრებებზე დიდ აქტივობას იჩენდნენ გლეხები

ასეთ კრებებზე დამტკიცდა სრული ერთობლიობა ღარიბ და საშუალო გლეხობისა კომპარტიასთან, ასეთივე შეკავშირებული გამოდიოდნენ ისინი არჩევნების დროს. ამ პერიოდში საბჭოთა არჩევნებს საქართველოში ანტისაბჭოთა ფრონტი შეერთებული ძალებით შეხვდნენ, ესენი იყვნენ კულაკები, ყოფილი თავადაზნაურობა, ვაჭრები, სამღვდელოება, მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები. მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატების ჯგუფები გამოვიდნენ, როგორც იდეოლოგიური ხელმძღვანელები სოფლის საზოგადოების ზემოთ დასახელებულ ნაძირალებისა. სამეგრელოში, გურიაში, ქუთაისში და სხვა მაზრებში ამოძრავებდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები. ზოგან ისინი ორგანიზებულად დარაზმულიც კი გამოვიდნენ არჩევნების დროს. ზუგდიდის მაზრაში ანტისაბჭოთა ელემენტები წინასწარ თათბირობდნენ გლეხებთან. მაგალითად, ჩოგას თემში ანტისაბჭოთა ელემენტებმა კომუჯრედის და ღარიბი გლეხების მიერ შედგენილი სიების გვერდით გამოაკრეს თავიანთი შედგენილი სიები, რომელშიც საბჭოებში ასარჩევ კანდიდატურებად დასახელებული იყვნენ კულაკები და არასაიმედო პირები. ასევე მოხდა დიდი ნაძის თემში. ასეთივე სიებით გამოვიდნენ ისინი შორაპანის, ქუთაისის და სხვა მაზრებშიც. ქუთაისის მაზრაში, პატრიკეთის თემში მენშევიკების გავლენით ერთმა კულაკმა გლეხმა ფარული კენჭისყრაც კი მოითხოვა, კრებამ იგი უარყო. მაღლაკის თემში ღარიბმა გლეხობამ სასტიკად გაილაშქრა თავადაზნაურების კანდიდატურების წინააღმდეგ. ამგვარი განწყობილება იყო ღარიბი და საშუალო გლეხობისა თავადაზნაურობის მიმართ შორაპნის, ზუგდიდის და სხვა მაზრებში. ზუგდიდის მაზრის სოფ. დარჩელში ყოფილი შვიდი აზნაური და რამდენიმე კულაკი გლეხი გავიდა კრებიდან. მათ მოუწოდეს სხვებსაც დაეტოვებინათ კრება, იმ საბაბით, რომ მათ მიერ წამოყენებული კანდიდატები კრებამ არ მიიღო[4]. კულაკებისა და საერთოდ ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ წამოყენებული სიები ყველგან სამარცხვინოდ გააშავეს, მაგრამ იქ სადაც პარტიული ხელმძღვანელობა სუსტი იყო მათ წარმატებებს მიაღწიეს. ასეთ შემთხვევას

[3] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2103, ფურც. 255.
[4] იქვე, ფურც. 256—257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი ჰქონდა ბორჩალოს მაზრაში, ნაწილობრივად მსგავსი შემთხვევები იყო გორის მაზრის ზოგიერთ სოფელშიც. ამ მცირე გამოხაკლისის გარდა უნდა ითქვას, რომ კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების ცდები იმისათვის, რომ საბჭოების არჩევნებში, რაიმე გავლენა მოეპოვებიათ, სრული მარცხით დამთავრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს არჩევნებში საკმაოდ გაიზარდა ქალთა აქტივობა. საერთოდ, 1926 წელს ქალებმა გაცილებით უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოს არჩევნებში, ვიდრე 1925 წელს.

მიმდინარე არჩევნებში აქტიურად გამოვიდა სოფლის ინტელიგენციაც, განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლები. ისინი ერთსულოვნად მუშაობდნენ კომუნისტურ პარტიასთან ერთად. სულ საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) საბჭოებში არჩეული იყო 1417 მასწავლებელი, რაც არჩეულთა 6,0%-ს შეადგენდა. ქუთაისის და სვანეთის მაზრებში არჩეული იქნა 10% ხოლო გურიაში 13,5%[5]. ეს ციფრები ნათლად მოწმობენ იმას, რომ სოფლის ინტელიგენცია მტკიცედ იდგა საბჭოთა პლატფორმაზე და კომუნისტურ პარტიასთან ერთად მონაწილეობდა სოფლის ცხოვრების აღმშენებლობაში.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში აქტივობა გამოიჩინა კომკავშირმაც, სოფლად თითქმის ყველგან იყო შექმნილი კომკავშირული ორგანიზაციები. პარტიასთან ერთად ისინი გამოვიდნენ არჩევნებში. განსაკუთრებით დიდი იყო კომკავშირის უჯრედების საქმიანობა იქ, სადაც არ იყო პარტიული ორგანიზაციები. იქ ისინი კომუნისტების მაგივრობას ასრულებდნენ. ამიტომაც კომკავშირის გავლენა გლეხობაზე ამ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა.

1926 წელს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება საერთოდ განაპირობა საქართველოს კომპარტიის დარაზმულობამ და იმ მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, რომლებზედაც ჩვენ ნაწილობრივ ზემოთ აღვნიშნეთ. ამ პერიოდში მთელი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მიპყრობილი იყო საბჭოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისაკენ. თითქმის ყველგან მაზრებში კომუნისტები გამოდიოდნენ ღარიბი და საშუალო გლეხობის მაორგანიზებლად. ამიტომაც არჩევნებიც მაღალ დონეზე იქნა ჩატარებული.

საბჭოებში სულ (აფხაზეთის გამოკლებით) აირჩიეს 23 544 კაცი. მათ შორის კომუნისტური პარტიის წევრი და კანდიდატი იყო 23,7‰, კომკავშირელი 6,4%. უპარტიოები. 69% სულ აღმასკომების წევრებად აირჩიეს 1762—აქედან 50,2% კომუნისტური პარტიის წევრები და კანდიდატები იყვნენ. 5,1% — კომკავშირლები და უპარტიოები შეადგენდნენ 44,4%-ს. არჩევნების დროს სრულიად დაცული იყო ეროვნული თავისებურებანი, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები[6].

უნდა აღინიშნოს, რომ 1926 წლის საბჭოების არჩევნებში სასტიკი დამარცხება განიცადეს კულაკებმა და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტმა.

საბჭოების არჩევნების შემდგომი დემოკრატიზაციის ნიშნით ჩატარდა არჩევნები 1927 წელს. 1928 წელს სხვადასხვა მიზეზის გამო არჩევნები გადაიდო, ხოლო 1928 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ცაკის დადგენილება-ინსტრუქცია საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

---

[5] მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2103, ფურც. 259.

[6] იქვე, ფურც. 261—262.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მახარაძე. ახალი ინსტრუქციის მიხედვით არჩევნები ჩატარდა 1929 წლის თებერვალში.

საარჩევნო ინსტრუქციის პირველ თავში აღნიშნულია ის პრინციპები, რომელზედაც დაფუძნებულია საარჩევნო უფლება და ჩამოთვლილია იმ პირთა და მოქალაქეთა ცალკე კატეგორიები, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებით ან მოკლებული იყვნენ ამ უფლებას.

საარჩევნო უფლება ეძლეოდათ მშრომელებს, რომელთაც ეკუთვნოდათ სახელმწიფო ძალაუფლება და განაგებდნენ ქვეყანას საბჭოების საშუალებით. ამისათვის მხოლოდ მათ შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში და ყოფილიყვნენ არჩეულნი საბჭოებში. ისინი ვინც სხვისი შრომით ცხოვრობდნენ არ სარგებლობდნენ საარჩევნო უფლებით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა ორივე სქესის და ყველა ეროვნების მოქალაქეთ, ვისაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდებოდათ 18 წელი ინსტრუქციის 1, 2, 3, 6, 7, 8 მუხლებში გარკვეულად ჩამოთვლილია მოქალაქეთა ეს კატეგორიები. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ეძლეოდათ ვაჭრებს და კულაკებს.

ძველ ინსტრუქციასთან შედარებით, ახალი ინსტრუქციით საარჩევნო უფლება შეიძლებოდა მისცემოდათ იმ უცხოელებსაც, რომლებიც მუშათა კლასს ან გლეხობას არ ეკუთვნოდნენ (მე-3 მუხლი) უკეთუ დამტკიცდებოდა მათი სრული ლოიალობა საბჭოთა მთავრობასთან.

ინსტრუქცია აგრეთვე ავალებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს თვითონ გადაეწყვიტათ საკითხი ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე ნაწილობრივი სიახლე იყო საარჩევნო კომისიების მუშაობაში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ის რომ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო მეტი რაოდენობით უნდა ყოფილიყვნენ შეყვანილი სასოფლო და სათემო კომისიების შემადგენლობაში.

თუ წინა წლებში ქალაქებში (უმეტესად სამაზრო ქალაქებში) არჩევნებს ატარებდა სამაზრო კომისია, ახალი ინსტრუქციით ქალაქებში იქმნებოდა ცალკე საარჩევნო კომისიები, რათა საბჭოთა არჩევნებს ქალაქებში საკუთარი სახე მისცემოდა.

ინსტრუქციის მე-4 თავში გარკვეულად იყო აღნიშნული დაწვრილებითი წესი და ვადა, როგორც საარჩევნო უფლებასმოკლებულ პირთა მიერ საარჩევნო კომისიების დადგენილებათა გასაჩივრების, ისე საჩივრების განხილვის წესი.

მთავარი აზრი ინსტრუქციისა ამ ნაწილში გამოიხატებოდა იმაში, რომ ყოველ მოქალაქეს ეძლეოდა სრული საშუალება წართმეული ხმის უფლების აღდგენისა, თუ კი იგი გამოწვეული იყო რაიმე გაუგებრობით.

ინსტრუქციის მე-5 თავი განმარტავდა საარჩევნო კრებების მოწვევის წესს, აქ მთავარი ის იყო, რომ ყველა ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. რის გამოც საარჩევნო უბნებს ახლო კავშირი უნდა ჰქონოდათ ამომრჩევლებთან.

ინსტრუქციის მე-6 თავი იძლეოდა განმარტებას არჩევნების გაუქმების და ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ.

უკანასკნელი მე-7 თავი ეხებოდა საბჭოებისა და საბჭოების ყრილობების ორგანიზაციას.

ამ ინსტრუქციით ჩანს თუ როგორ თანდათანობით ღებულობდა დემოკრატიულ ხასიათს ჩვენი საარჩევნო სისტემა და როგორ ასახავდა იგი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებებს, რომელსაც განიცდიდა ჩვენი რესპუბლიკა აღნიშნულ პერიოდში. ეს კიდევ უფრო ავალებდა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ გაეშალათ საგიტაციო-პროპაგანდისტული და საერთოდ აღმზრდელობითი მუშაობა.

ცაკის ამ ინსტრუქციის თანახმად, არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1929 წელს, ხოლო იანვარში უკვე დაიწყო საბჭოების საანგარიშო კამპანია, რომელიც უდიდესი პოლიტიკური ხასიათის მოვლენა იყო. ამ დროს სათემო და სასოფლო საბჭოები ანგარიშს აბარებდნენ თავიანთი მუშაობის შესახებ. ეს იყო გადამწყვეტი ეტაპი საარჩევნო კამპანიაში, ვინაიდან ამ დროს ხდებოდა გენერალური შემოწმება ჩვენი საბჭოების და მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობისა.

ამომრჩევლების წინაშე საბჭოებისა და დეპუტატების ანგარიშგება მეტად მნიშვნელოვანი საშუალება იყო საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, რადგან იგი ხელს უწყობდა უშუალო კავშირის განმტკიცებას დეპუტატებსა და მათ ამომრჩეველ მშრომელთა შორის.

იმ პერიოდში ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ 1924 წელს წამოაყენა ლოზუნგი „საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ“, რის საფუძველზედაც ყოველწლიურად წარმოებდა ანგარიშგება. 1929 წლისათვის პარტიას საარჩევნო კამპანიის საქმეში საკმაო გამოცდილება ჰქონდა. როგორც წესი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი ანგარიშს აბარებდა ხელისუფლების ქვედა ორგანიზაციებს — საბჭოებს ადგილობრივი ფართო აქტივის თანდასწრებით. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ წარსულ კამპანიების დროს სამაზრო აღმასკომი აბარებდა ანგარიშს მხოლოდ რაიონულ ეკონომიკურ ცენტრებში მოთავსებულ თემსაბჭოებს.

1929 წელს კი ანგარიშები ბარდებოდა ყველა თემსაბჭოში. ამიტომ თემსაბჭოები ადრე წინასწარ ადგენდა ანგარიშებს, გამოჰყოფდნენ სპეციალურად მომხსენებლებს მაზრის პასუხისმგებელი მუშაკებისაგან და ანაწილებდნენ თემებზე. თემსაბჭოები, სოფლის საბჭოები და დეპუტატები ანგარიშს აბარებდნენ ამომრჩეველთა ფართო მასებს.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებში თემის საბჭო გამოდიოდა კრებებზე ზოგადი და მშრალი მოხსენებით. ზოგან თემსაბჭოს ანგარიში შეიცავდა შემოსული და გასული ქაღალდების რიცხვის აღნიშვნას, ზოგან კი უფრო მეტი ადგილი ეთმობოდა პარტიისა და ხელისუფლების საერთო პოლიტიკას სოფლად, მაგრამ იგი ზოგადად იყო გადმოცემული, არ აღნიშნავდნენ თუ კონკრეტულად რა გააკეთა საბჭომ თავისი მუშაობის სხვადასხვა დარგში და, კერძოდ, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

გლეხს უფრო აინტერესებდა გაეგო რა გაკეთდა რეალურად ამა თუ იმ სოფლის საკეთილდღეოდ მისი ეკონომიკურად და კულტურულად წინ წასაწევად და სხვ. ამიტომ 1929 წლის კამპანიაში საბჭოს საანგარიშო მოხსენებები უფრო კონკრეტული იყო. იგი შეიცავდა სხვადასხვა დარგში წარმოებულ მუშაობას, როგორიც იყო: **1.** მმართველობისა და რევოლუციური წესრიგის დარგში; **2.** მიწათმოქმედების, მეურნეობის, ვაჭრობის და კეთილმოწყობის; **3.** საფინანსო საგადასახადო; **4.** სამხედრო; **5.** კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯამრთელობის; **6.** სოციალური უზრუნველყოფის; **7.** სასამართლო საგამომძიებლო და სხვა დარგები. მოხსენებებში განსაკუთრებით აღნიშნული იყო რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში იყო ესა თუ ის დარგი საანგარიშო პერიოდამდე და რა მიღწევებია საანგარიშო პერიოდში ე. ი. საანგარიშო მოხსენებებს მიეცა მწყობრი და საქმიანი ხასიათი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინა წლებში უმეტეს წილად ანგარიშს აბარებდნენ მხოლოდ საბჭოების პრეზიდიუმების წევრობის მცირე ნაწილი. 1929 წლისათვის, როდესაც პარტიამ მთელი რიგი მუშაობა ჩაატარა მშრომელთა ფართო მასის ჩაბმაზე საბჭოთა მშენებლობაში, მშრომელთა აქტივობა კიდევ უფრო გაიზარდა და ახლა საბჭოების ანგარიშების კამპანიაში ჩაბმული იყო ადგილობრივი თითქმის მთელი აქტივი, საბჭოს თვითოეული დეპუტატი. რა თქმა უნდა, ეს პროცესი გარკვეულ სირთულესთან იყო დაკავშირებული, სათანადო განათლების და სხვა გამოცდილების უქონლობა, მაგრამ. იგი ძირითადათ მაინც დაძლეულ იქნა.

მთავარი ამ დროისათვის ისიც იყო, რომ საბჭოების მუშაობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ გამართულ კამათში სავსებით უზრუნველყოფილი იყო აზრთა გაზიარება და საქმიანი კრიტიკა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ხშირ შემთხვევაში საბჭოს მუშაობას აფასებდნენ არადამაკმაყოფილებლად. წინა წლებში, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მუშაობა ზოგან ძალზე მოისუსტებდა დადგენილებაში მაინც დადებითად აფასებდნენ მუშაობას. აქვე პარტია უთითებდა იმის შესახებ, რომ ადგილებზე პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯაროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას რომ კრიტიკა ბოროტად არ ყოფილიყო გამოყენებული.

1929 წლის საბჭოების ანგარიში ძირითადად შემოიფარგლებოდა ორი წლის მუშაობით, ამ პერიოდში ჩვენ გვქონდა გარკვეული მიღწევები, რომელიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ახალი არჩევნების კამპანიის დროს. ამ დროისათვის ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ სახალხო მეურნეობის აღდგენა და შევუდექით მეურნეობის სოციალისტურ მშენებლობას, ახალი ტექნიკის ბაზაზე, სოფლად მასიურად დაიწყო კოლექტივიზაცია. ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მუშათა კლასი და გაიზარდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე, პარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად გაძლიერდა სოციალისტური სექტორი, როგორც ქალაქის, ისე სოფლის ეკონომიკაში.

მთელი საანგარიშო კამპანია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მრავალი ათასეული მშრომელი, მათი ყურადღება მიქცეული იყო ისეთ ამოცანებზე როგორიც იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, თავდაცვის გაძლიერება, წარმოების გაიაფება და რაციონალიზაცია, წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია, ნათესების გაუმჯობესება, კულტურული აღმშენებლობა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება, თვითკრიტიკის გაშლა-განვითარება თვით მასებიდან, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, კულაკებისა, სპეკულანტებისა და ნეპმანების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის საფუძველზე.

საბჭოების არჩევნებისათვის მზადება 1929 წლის იანვრიდან უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. პირველ იანვარს გამოქვეყნდა თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდება ქალაქ თბილისის და მისი მაზრის მშრომელების მიმართ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საარჩევნო კამპანიის პრაქტიკულ ლოზუნგად უნდა გადაიქცეს მუშების, მოჯამაგირეების და ქალაქისა და სოფლის ყველა მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელის ასპროცენტიანი მონაწილეობა საანგარიშო კრებებში და საბჭოების გადარჩევნებში.

ასევე ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა გორის მაზრაში. გორის სამაზრო აღმასკომთან არსებული კომუჯრედი სერიოზულ მუშაობას აწარმოებდა საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. უჯრედმა დაამუშავა კალენდარული გეგმა, განიხილა საარჩევნო ინსტრუქცია, რის შემდეგაც ცალკე უბნებში მისამაგრებლად გამოიყო კომუჯრედების წევრები. გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის ორი სპეციალური ნომერი და სხვა. ასევე ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით შორაპნისა და ოზურგეთის მაზრებში[7].

საბჭოების არჩევნების კამპანიის პერიოდში სოფლად კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ამ დროინდელი ცნობებიდან ჩანს, რომ ღარიბი გლეხები დიდ აქტივობას იჩენდნენ, მაგრამ არც კულაკს ეძინა, ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ მიზნის მისაღწევად. ამ პერიოდში ზოგან ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა მოიკოჭლებდა. სამხრეთ ოსეთში, ქუთაისსა და ოზურგეთის მაზრებში ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის თავის დროზე არ დაუმუშავებიათ დირექტივა არჩევნების შესახებ. არ მოუწვევიათ არც ღარიბი ჯგუფების სამაზრო კონფერენციები, არც ღარიბთა ჯგუფები და ღარიბ გლეხთა სათემო კრებები. ასეთი კონფერენციები და კრებები ჩატარებულ იქნა ლეჩხუმის, ახალქალაქის, ახალციხის და სხვა მაზრებში. ასეთ კრებებზე და კონფერენციებზე ღარიბი გლეხობა დიდ აქტივობას იჩენდა, ისინი აშკარად ამხელდნენ კულაკებს -და ცვლილებები შეჰქონდათ პარტორგანიზაციის და ლენინური კომკავშირის უჯრედების მიერ შედგენილ შავ სიებში.

ახალქალაქის მაზრაში, ღარიბ გლეხთა სამაზრო კონფერენციაზე სამი საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში ყველა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა და 62 შეკითხვა შეიტანეს. ღარიბი გლეხობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიწათმოწყობის საკითხებს, სურსათის ნაკლებობას, სახელმწიფო დაზღვევას, მევახშეების წინააღმდეგ ზომების მიღებას, ამ უკანასკნელთ ღარიბი გლეხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ამხელდნენ მათ ოინებს. ღარიბ გლეხთა კრებებზე თითქმის ყველგან მოითხოვდნენ საბჭოებიდან უვარგისი და უინიციატივო ელემენტების გამორიცხვას.

ზოგან ადგილი ჰქონდა საარჩევნო ინსტრუქციის დამახინჯებას, ასე მაგალითად, ვაჭრის და დიაკონის ცოლებისათვის ხმის უფლება მიუციათ ზოგიერთ მაზრებში იმისათვის, რომ ისინი კარგი დიასახლისები იყვნენ, სენაკის სამაზრო აღმასკომს და აფხაზეთს სავსებით დაავიწყდათ გლეხთა და მოჯამაგირეთა შეყვანა საარჩევნო კომისიებში. ზოგიერთი მაზრების პარტიული ხელმძღვანელები ვერ ამჩნევდნენ კულაკთა აქტივობას.

ადგილებზე ამ მხრივ აქტიურობა კულაკებისა, რომ თავიანთი წარმომადგენლები გაეყვანათ საარჩევნო კომისიებში მწვავეთ იყო ახალქალაქსა და აფხაზეთში. ზოგიერთ მაზრებში კულაკები საბჭოს ზოგიერთი წევრის მიმხრობას ცდილობდა საჩუქრებითა და სხვა მეთოდებით. საჭირო იყო ყველა ამ საკითხების გათვალისწინება პარტიული ორგანიზაციების მიერ, რაც სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომ გაძლიერებას მოითხოვდა.

---

[7] გაზ. „კომუნისტი", № 1, 1929 1 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კამპანიის შემდგომი ეტაპი გამოიხატებოდა იმაში, რომ ადგილებზე თავის დროზე შეერჩიათ ღირსეული კანდიდატები საბჭოებში ასარჩევად. წინა წლებში საბჭოების არჩევნებისას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ არამარტო ადგილობრივი სასოფლო საბჭოების, ქალაქის საბჭოების და სამაზრო აღმასკომების კანდიდატების შერჩევას, არამედ იყო ბევრი ისეთი შემთხვევაც, როცა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შემთხვევით მოხვდნენ პასიური, ავტორიტეტს მოკლებული წევრები, რომელთაც იმ ორი წლის განმავლობაში არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ.

ამიერკავკასიის საბჭოების მუშაობაში იმ ხანად ჩაბმული იყო უდიდესი აქტივი, რომელიც 90 ათასი კაცისაგან შედგებოდა[8]. პარტიული ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი ამ დროს იყო წამოყენებულ კანდიდატთა შემოწმება და მათ შესახებ ფართო მსჯელობის მოწყობა.

მთელი რიგი რაიონების და სოფლების საარჩევნო კამპანიაში 1927 წელს ადგილი ჰქონდა პარტიული ხაზის დარღვევას. საშუალო გლეხი უყურადღებოდ დასტოვეს და საშუალო გლეხთა აქტივი საკმაოდ არ ჩაებეს საბჭოებსა და აღმასკომებში.

პარტიული ორგანიზაციების ქმედითი მუშაობის შედეგად საბჭოების არჩევნების კამპანიამ სერიოზული წარმატებანი მოიპოვა 1929 წელს.

საარჩევნო კამპანიამ თბილისში არაჩვეულებრივი მასიური ხასიათი მიიღო ყოველდღე ნაშუადღევს ყველა რაიონში, მუშათა კლუბები და საზოგადოებრივ სახელმწიფო შენობათა დარბაზები გაჭედილი იყო საარჩევნო კრებებზე მოსული მუშა-მოსამსახურეებით. დამსწრეთა აქტივობა მოლოდინს აჭარბებდა. არ რჩებოდა არც ერთი საკითხი კრიტიკის გარეშე. თბილისის მუშების აქტივობა მარტო კრებების ორგანიზებულად ჩატარებით არ ამოიწურებოდა. მათ მოაწყვეს დიდი მასიური დემონსტრაციები არჩევნებთან დაკავშირებით. დემონსტრაციის მოწყობა ითავეს სტალინის სახელობის სარემონტო სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა, ნაშუადღევის პირველ საათზე მუშაობის დამთავრების შემდეგ ზემოხსენებულ სახელოსნოების და დეპოს მუშები დროშებით, საარჩევნო ლოზუნგებით და პლაკატებით გამოვიდნენ ქუჩებში. მათ შეუერთდნენ სავაგონო პარკისა და სატელეგრაფო სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეები. დემონსტრაციების რიცხვმა 5 ათას გადააჭარბა. დემონსტრაცია გორის, კლარა ცეტკინის, პლეხანოვის ქუჩებით და ვერის ხიდზე გავლით გამოემართა რუსთაველის პროსპექტისაკენ და შეჩერდა თავისუფლების მოედანზე (ამჟამად ლენინის მოედანი) თბილისის საბჭოს შენობის წინ, სადაც გაიმართა სასწრაფო მიტინგი. დემონსტრანტთა წინაშე სიტყვით გამოსულმა ერთ-ერთმა მუშამ განაცხადა: სტალინის სახელობის სარემონტო სახელოსნოებისა და დეპოს მუშები არ დაზოგავენ ძალ-ღონეს და მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანია წარმატებით ჩატარდეს, რომ ამ კამპანიას შედეგად მოჰყვეს ახალი საბჭოს შევსება პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებით, ენერგიული, კლასიური შეგნებით და გამოცდილებით აღჭურვილი მუშებით. ჩვენ წარვგზავნით საბჭოებში გამობრძმედილ ამხანაგებს და ამავე დროს აღუთქვამთ მომავალ საბჭოს, რომ ჩვენ მუ-

---

8 გაზ. „კომუნისტი“, № 21, 1929 წ. 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ მასთან ვიქნებით და დავეხმარებით მას დაბრკოლებათა გადალახვაში ამ გრანდიოზული მშენებლობის დროს[9].

მიტინგი გაგრძელდა ნახევარ საათს, მიტინგის დამთავრების შემდეგ მუშები დაბრუნდნენ წარმოებებში.

ასევე გამოსწორდა მუშაობა საარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის ქუთაისის მაზრაში.

ქუთაისის მაზრაში 1929 წლის 5 იანვრიდან დაიწყო საანგარიშო კამპანიის ჩატარება, რომელიც დამთავრდა იანვრის ბოლოს, ხოლო თებერვალში დაიწყო არჩევნები.

საანგარიშო კამპანია, როგორც მაზრებში, ისე ქალაქებში მიმდინარეობდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და თუ სადმე ხდებოდა პარტიული ხაზის გამრუდება პარტიული ორგანიზაციები მაშინვე იღებდნენ ზომებს. სოფლად დარაზმული გამოდიოდნენ მოჯამაგირეები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ულარიბეს გლეხობასთან, ეწყობოდა წინასწარი კრებები, რომლის შემდეგ საკმაოდ ორგანიზებულად შეკავშირებულნი გამოდიოდნენ. შეძლებული ელემენტები — ვაჭრები, კულაკები, სამღვდელოება და სხვა ბნელი ძალები აშკარად გრძნობდნენ ღარიბი, საშუალო გლეხობის და მოჯამაგირეების დარაზმვას. ამიტომ კულაკური ელემენტები ზოგ ადგილებში აშკარად გადადიოდნენ შეტევაზე, ზოგან ფარულ შეტევასაც აწარმოებდნენ. მაგ., კულაკობის აშკარა გამოსვლა იყო გოჩა-ჯიხაიშის თემში სადაც კულაკებმა მოინდომეს საანგარიშო კრების ჩაშლა და აყალმაყალი ასტეხეს, მაგრამ ისინი გაძევებულნი იქნენ და კრება ნორმალურად ჩატარდა.

ფარცხანაყანების თემში 19 იანვარს დღის 12 საათზე მოწვეულ საანგარიშო კრებაზე საანგარიშო კომისიას სხდომაზე დახვდა ხმაალკვეთილი 20 კულაკი. ამომრჩევლები თანდათან შეიკრიბნენ და მათ მოითხოვეს კულაკების გაძევება, მაგრამ ისინი გაძალდნენ და არ წავიდნენ, ერთი მათგანი საჩხუბრადაც კი იწვევდა კომისიის თავმჯდომარისაკენ. გლეხობამ კულაკები მაინც გააძევა და კრება ნორმალურად ჩატარდა. ბაღდადის თემში (მაიაკოვსკი) ზოგიერთ კრებაზე კულაკებმაც მოახერხეს შესვლა. ასეთივე შემთხვევები იყო ოფურჩხეთის, ორპირის და საწირის თემებში. ყველგან გლეხობა კულაკებს აძევებდა კრებებიდან.

თვით ქალაქ ქუთაისში მესამე საარჩევნო უბანში ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ხმაალკვეთილი ვაჭრების შემოპარვას. ერთმა ვაჭარმა გაილაშქრა კოოპერაციის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ კერძო ვაჭრობა უფრო მიზანშეწონილია კოოპერაციაზე და საბჭოთა ხელისუფლება მას არ უნდა აბრკოლებდესო.

საერთოდ საანგარიშო კრებები ქუთაისის მაზრაში ორგანიზებულად ჩატარდა, კამათში და შეკითხვებში მონაწილეობას ღებულობდნენ მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები, მუშები და მოსამსახურეები.

გლეხები მოითხოვდნენ კოოპერაციის გაძლიერებას, მასში ღარიბი გლეხობის ჩაბმას, კულაკებისათვის მიწის ჩამორთმევას, საგზაო მშენებლობას, მოითხოვდნენ, რომ თემსაბჭომ დროზე იზრუნოს, ღარიბი გლეხობის სათესლე სიმინდით მომარაგებაზე, სიმინდის მიწოდებაზე.

სულ ქუთაისის მაზრის 26 თემში სრულწლოვან მოქალაქეთა რაოდენობა 73 755 შეადგენდა. აქედან საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა 68 957.

---

9 გაზ. „კომუნისტი“ № 21, 1929 წ. 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაღკვეთილთა რიცხვი აღწევდა 4 798, ანუ საერთო რაოდენობის 6%-ს. სულ იყო 209 საარჩევნო უბანი. საანგარიშო კრებებზე გამოცხადდა 49 288 ამომრჩეველი ანუ 72%. კრებას ესწრებოდა მამაკაცების 80%-ი და ქალების — 55%[10].

საბჭოების საანგარიშო კამპანია საქართველოში საგრძნობი წარმატებით დამთავრდა. 1929 წლის 1 თებერვლიდან უკვე დაიწყო თვით არჩევნების კამპანია. ახალ არჩევნებში პარტია მთავარ ყურადღებას უთმობდა იმას, რომ მუშათა კლასის, მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის აქტივობას წინ გაესწრო ამომრჩეველთა ყველა სხვა ჯგუფებისათვის, რომ აგრეთვე, გაძლიერებულიყო მშრომელ ქალთა მონაწილეობა არჩევნებში.

საარჩევნო კრების განსახილველად რეკომენდირებული იყო ძირითადად ორი საკითხი: 1. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 2. განაწესების დამტკიცება. ძირითადად ახალ არჩევნებში უნდა გაზრდილიყო მუშათა რიცხვი.

პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა საბჭოების არჩევნების ნაციონალური ნიშნის მიხედვით. რაც შეეხება საბჭოების პარტიულ შემადგენლობას, აქ იქედან გამოვდიოდით, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო კომუნისტების და კომკავშირლების, ისეთი მონაწილეობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა საბჭოებისა და მისი აღმასრულებელი ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

საბჭოების ახალმა არჩევნებმა ცხადყვეს, რომ საანგარიშო კრებებს დიდი რაოდენობით ესწრებოდნენ ამომრჩევლები. 10 მაზრაში ამომრჩეველთა საერთო გამოცხადება საანგარიშო კრებებზე აღწევდა 58,1%-ს, მაშინ როდესაც ეს პროცენტი წარსულ საარჩევნო კამპანიაში 49,5 შეადგენდა.

ქალთა აქტივობა საანგარიშო კრებებზე აღწევდა 36,7% ე. ი. გაიზარდა 8,7 პროცენტით.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ქალაქების ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა. თბილისში იგი შეადგენდა 78%-ს, წინა წლებში 50,4%-ს, ქუთაისში 80%-ს, წინა წლებში 56,1%-ს.

ძალიან გაიზარდა ქალთა აქტივობა იმავე ქალაქებში: თბილისში იგი აღწევდა 64 პროცენტს, ქუთაისში 70 პროცენტს.

გადიდდა წარსულ საარჩევნო კამპანიასთან შედარებით, ცალკე მუშა და გლეხი დეპუტატების ანგარიშგება, თავისი მუშაობის შესახებ, გარდა ამისა, ისინი უფრო ხშირად გამოდიან მომხსენებლად საბჭოს მუშაობის შესახებ (კახეთის მაზრა, გორის მაზრა და სხვ.)

საბჭოების ანგარიშგება ჩატარდა ფართო საბჭოთა დემოკრატიზმის ნიადაგზე, რაც უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა საქმიან კრიტიკას და თვითკრიტიკას. ამომრჩევლები აღნიშნავდნენ საბჭოთა მუშაობის მიღწევებს და იმავე დროს გაბედულად ააშკარავებდნენ საბჭოთა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლს.

საარჩევნო კამპანიაში უკეთ იყვნენ დარაზმული მოჯამაგირენი და საბოფ. სამეურნეო მუშები, აგრეთვე კომკავშირლები. კომკავშირი რაზმავდა ღარიბ და მოჯამაგირე ახალგაზრდობას, მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიების შემოწმებაში, წარმოებდა დეპუტატ კომკავშირლების ანგარიშგება. კომკავშირი მონაწილეობას

[10] გაზ. „კომუნისტი", № 21, 1929 წლის 27 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებულობდა განაწესების შედგენაში, იგი აწყობდა საზეიმო მსვლელობას სოფლად, რათა ამით გაეძლიერებია ამომრჩეველთა ინტერესი საბჭოთა არჩევნებისადმი.

ქალთა ორგანიზაციები საარჩევნო კამპანიაში ამ წელს უფრო დარაზმული გამოდიოდა, ვიდრე წინა წლებში. გაძლიერდა მუშა და გლეხი ქალების და მოჯამაგირე ქალების აქტივობა. ქალთა დელეგატებისა და ღარიბთა კრებების მეშვეობით ქალები მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების არჩევნების საკითხების განხილვაში. ჩატარდა ქალთა აქტივის სამაზრო კონფერენციები.

ასევე გაიზარდა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა სოფლის ინტელიგენციისა, მასწავლებლების, აგრონომების, ექიმების.

საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის პირველად იყო გამოყენებული რადიო, კინო, კედლის გაზეთი. მუშა და გლეხმა კორესპონდენტებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს სოფლად კლასობრივი ბრძოლის გაშუქებისათვის და საარჩევნო მუშაობის ყველა ნაკლის გამოაშკარავებისათვის.

1929 წლის 27 თებერვლისათვის საქართველოში სულ 127 სათემო და სასოფლო საბჭოში არჩეული იყო 5,906 დეპუტატი მათ შორის 895 ქალი[11].

საარჩევნო კამპანიამ გამოაშკარავა ამომრჩეველთა აქტივობა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 70%-მა, რაც 1927 წლის არჩევნებთან შედარებით 20%-ით მეტია. კულაკობამ, რომლებიც ენერგიულად ემზადებოდა არჩევნებთან დაკავშირებით განიცადა სრული დამარცხება. ახლადარჩეულ თემსაბჭოებში 25%-ს შეადგენდნენ კომუნისტური პარტიის წევრები და კანდიდატები, 15%-ს კომკავშირლები და 60‰-ს უპარტიოები.

ქალთა მონაწილეობამ ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან მიაღწია 62%-ს, რაც 1927 წელთან შედარებით 25%-ით, გაიზარდა. თემსაბჭოების შემადგენლობაში ქალთა რიცხვი უდრიდა 15%-ს, ნაცვლად წინანდელი 9 პროცენტისა[12].

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე, რომელიც მშრომელთა განსაკუთრებული აქტივობით მიმიდინარეობდა, მრავალ მიღწევებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც გამომჟღავნდა საბჭოების განვლილ მუშაობაში. კრებაზე მშრომელი გლეხობა დაუზოგავად ამხელდა კულაკურ ანტისაბჭოთა ელემენტების ოინებს, მათ ცდას ზეგავლენა მოეხდინა ღარიბ და საშუალო გლეხობაზე და ამ გზით განემტკიცებინათ თავიანთი ეკონომიკური უპირატესობანი. გლეხები მიუთითებდნენ აგრეთვე საბჭოთა აპარატში გამეფებულ ბიუროკრატიზმზე, რაც საგრძნობლად აფერხებდა მშრომელი გლეხობის დაახლოებას საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთ ფაქტს: სოფელ ქურთას (სამხრეთ ოსეთი) ღარიბთა კრებაზე ღარიბი გლეხები ეხება მიწის რეფორმის ჩატარების საკითხს და აღნიშნავს: „1921 წელში ადგილობრივ თავადებს ჩამოართვეს ზედმეტი მიწები და გადასცეს ღარიბ გლეხობას, მაგრამ შემდეგში ყველა ეს მიწები ისევ დაუბრუნდა ყოველ მესაკუთრეებს, მაგალითად ყოფილმა თავადმა სანდრო მაჩაბელმა მასზე ჩამორთმეული და ღარიბ გლეხობაზე გადაცემული მიწის ნაკვეთში დაიწყო კრამიტის ქარხნის აგება და ამ საბაბით მას დაუბრუნეს ეს ვეებერთელა სახნავი მიწის ნაკვეთი“. მეორე ღარიბი გლეხი აღნიშ-

---

[9] გაზ. „კომუნისტი“, № 21, 1929 წ. 27 იანვარი.

[12] გაზ. „კომუნისტი“, № 55, 1929 წ. 9 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავს: „ღარიბებს გადასცეს თავადებზე ჩამორთმეული მიწები, მაგრამ ხსენებულმა თავადებმა სხვადასხვა მაქინაციებით აიძულეს ღარიბები უარი ეთქვათ მათთვის გადაცემული მიწებით სარგებლობაზე და საბოლოო ანგარიშით თავადებმა ისევ დაიბრუნეს მათზე ჩამორთმეული ყველა მიწები“[13].

ასევე დამახასიათებელია ერთ-ერთი ღარიბი გლეხის განცხადება: „თვითმპყრობელობის დროს ჩვენ თავადები გვცემდნენ, გვაწამებდნენ, ყველა მათი სიმდიდრე და სასახლეები ჩვენი და ჩვენი წინაპრების მიერაა შექმნილი, ნუთუ არ შეიძლება ეს ბაღები და სასახლეები ჩამოერთვას მათ, რომლებიც თვითონ ამ მიწებს არ ამუშავებენ და გადაეცეს საზოგადოებას და ღარიბ გლეხობას“[14].

არანაკლები ითქვა საარჩევნო კრებებზე საბჭოთა დაწესებულებებში არსებული ბიუროკრატიზმისა და ზოგიერთი თანამდებობის პირის უხეში მოქმედების შესახებ.

ამის შემდეგ საქართველოში მარტში გაიმართა საბჭოების სამაზრო ყრილობები, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენებები მთავრობის მუშაობის შესახებ, ხოლო აპრილში შედგა სრულიად საქართველოს საბჭოების მეხუთე ყრილობა. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა სესიამ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია მ. ცხაკაია. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ფ. მახარაძე. ასეთია მოკლედ საქართველოში საბჭოების არჩევნებისათვის და თვით საარჩევნო კომპანიების მიმდინარეობა 1926—1929 წლებში. ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს თუ როგორ იბრძოდა საქართველოს კომპარტია საბჭოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

О. Н. АБУТИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ БОРЬБЫ ПО ПОВЫШЕНИЮ АВТОРИТЕТА И СОВЕРШЕНСТВОВАНИЮ РАБОТЫ МЕСТНЫХ ОРГАНОВ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ (1926—1929 гг.)

Резюме

В статье освещается деятельность КП Грузии по повышению авторитета и совершенствованию работы Советов как местных органов управления после окончания восстановительного периода.

Отмечено, что после 1925 года выборные кампании проводились более организованно. Они использовались как лучшее средство массовой агитации и пропаганды.

Выборы в местные органы Советов 1926 года явились серьезным испытанием для Коммунистической партии Грузии. Центральный Комитет разработал специальные методы идеологической работы среди беднейших слоев крестьянства и середняцкой массы. Несмотря на огромные трудности препятствия, коммунистам республики удалось успешно провести агитационно-пропаегандистскую работу, сплотить вокруг себя массы для борьбы с антисоветскими элементами.

В итоге проведенных выборов в местные органы были избраны передовые люди города и деревни, которые своим самоотверженным трудом доказали преданность делу партии и Советского правительства.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. კაჭარავამ.

[13] გაზ. „კომუნისტი“, № 6, 1929 წ. 6 მარტი.

[14] გაზ. „კომუნისტი“, № 85, 1929 წ. 16 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მალხაზ სიოსრიძე

გერმანია-თურქეთის სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ

XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში იმპერიალიზმში. დაიწყო ბრძოლა უკვე დაპყრობილი და განაწილებული მსოფლიოს გადანაწილებისათვის. ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-სა და მეფის რუსეთის გვერდით „გაჩნდა ახალი მტაცებელი"[1], იმპერიალისტური გერმანია, რომელმაც მოითხოვა „ადგილი მზის ქვეშ". ასე ჩამოყალიბდა 1879—1882 წწ. და 1892—1907 წლებში ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული იმპერიალისტური, მტაცებლური დაჯგუფება სამთა კავშირისა (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია) და ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) სახით.

იმპერიალისტური გერმანია და მისი მოკავშირეები თვლიდნენ, რომ დაჩაგრულნი იყვნენ კოლონიების დანაწილების საკითხში. ამიტომ მათ ამ „ისტორიული უსამართლობის" გამოსწორება ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის კოლონიების ხარჯზე გადაწყვიტეს და გამალებული შეიარაღების, ომისათვის მზადების გზას დაადგნენ.[2]

იმპერიალისტური გერმანიის ექსპანსიონისტური გეგმა აღმოსავლეთში ითვალისწინებდა რუსეთის განდევნას ბალტიისპირეთიდან, უკრაინიდან და კავკასიიდან.

ომისათვის მზადების პერიოდში გერმანელი იმპერიალისტები დასაპყრობ ქვეყნებში მიმართვდნენ ე. წ. „მშვიდობიან შეღწევას", რაც გამოიხატებოდა კოლონიზაციით, კაპიტალის ექსპორტით, რკინიგზის მშენებლობით და სხვა ღონისძიებებით.[3] ამ გზით აღმოსავლეთში თავდაპირველად ეკონომიკურად დაიმონეს თურქეთი[4] და იგი თავიანთი ნებასურვილის აღმსრულებლად გადაქცეს. შემდეგ გერმანელმა ექსპანსიონისტებმა მიზანში ამოიღეს ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ამიერკავკასიის მხარე. ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს, ხოლო საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში შეჭრისათვის, გერმანელი იმპერიალისტების ყურადღება მიპყრობილი იყო შავი ზღვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ნავსადგურის — ბათუმისაკენ.

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი; ტ. 24, გვ. 486.

2 იხ. ვ. ჩოჩია, გამალებული შეიარაღების გაძლიერება გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის წინ, „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები" (სტატიების კრებული), I, თბ., 1975, გვ. 51—70.

3 გ. მანჯგალაძე, ამიერკავკასია იმპერიალისტური გერმანიის გეგმებში პირველი მსოფლიო ომის წინ, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები (სტატიების კრებული), II, თბ., 1978, გვ. 10.

4 მ. ზანდუკელი, გერმანიის ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში XIX საუკუნის დამლევს და მისი ასახვა ქართულ პრესაში, იხ. „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები" (სტატიების კრებული), II, გვ. 78—95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში გერმანულმა ფირმამ „ძმები სიმენსები“ ქ. ბათუმის რაიონში დაიწყო სპილენძის საბადოების დამუშავება და ააშენა სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც წლიურად 44 ათას ფუთზე მეტ სპილენძს ადნობდა.[5] დაახლოებით ამავე პერიოდში ფირმა „სიმენსმა“ შეიძინა ქედაბექის სპილენძის მდიდარი საბადოები აზერბაიჯანში და იქ ააშენა ახალი ტექნიკით აღჭურვილი ორი სპილენძსადნობი ქარხანა[6]. მრეწველებმა ა. სალერნიმ და რ. რიხნერმა ქ. ბათუმთან ახლოს სოფ. ერგეში 1890 წელს ააგეს სპილენძსადნობი ქარხანა, რომელიც ამუშავებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოპოვებული სპილენძის მთელ მადანს. ქარხნის მწარმოებლურობა დღითი დღე იზრდებოდა. თუ 1890 წელს 291 ფუთი სპილენძი გამოუშვა, 1900 წელს 7800 ფუთზე მეტი, 1901 წელს კი 9562 ფუთი სპილენძი.[7]

დასავლეთ ევროპელი საქმოსნების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ბაქოს ნავთობი, იგი საზღვარგარეთ ბათუმის ნავსადგურით გაჰქონდათ. ნავთის ექსპორტი იწვევდა მთელი რიგი ახალი საწარმოების დაარსებას ბათუმში. გერმანელმა მრეწველებმა ბუნგემ, რიხნერმა, ფრანგმა — როტშილდმა და სხვა ბათუმში დაარსეს ნავთსასხმელი თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების ქარხნები.[8] ნავთობის მოპოვება ერთი ათად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1900 წელს ამუშავდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი. ამასთან გაიზარდა მისი საზღვარგარეთ გატანაც, 1900—1913 წლებში ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ სულ გაზიდეს 448,7 მილიონი ფუთი ნავთობი.[9]

ევროპელ მრეწველთა დიდი დაინტერესება გამოიწვია ასევე ამიერკავკასიაში ჭიათურის მარგანეცმა. მაღალხარისხოვან ქართულ მარგანეცზე მოთხოვნილება ევროპაში დღითი დღე იზრდებოდა, თუ 1880 წელს საზღვარგარეთ გაიტანეს 250 ათასი ფუთი მარგანეცი, 1897 წელს საქართველოდან გატანილი მარგანეცის რაოდენობამ 12 მილიონი ფუთი შეადგინა.[10] 1904—1914 წლებში მსოფლიო ბაზარზე გატანილი მარგანეციდან საქართველოზე მოდიოდა 41 %, ბრიტანეთის ინდოეთზე — 35 %, ბრაზილიაზე — 14 %, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაზე — 10%.[11] საქართველოდან მარგანეცი გაჰქონდათ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან.

ქართული მარგანეცით ყველაზე მეტად გერმანელი მაგნატები დაინტერესდნენ. გერმანიის მზარდი მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურის მარგანეცზე.[12] გერმანულმა ფირმებმა 1909—1914

---

[5] Г. В. Пипия, Германский империализм в Закавказье в 1910—1918 гг., М., 1978, გვ. 28.

[6] История Азербайджана, т. 2,. Баку, 1960, გვ. 218—219.

[7] ვ. ვახტანგიშვილი, კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 112—115.

[8] აბ. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს, წიგნი II, თბ., 1959, 194—195.

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 36.

[10] გაზ. „კვალი“, № 1, 1898 წ., გვ. 10.

[11] იხ. ი. ტაბაღუა, უილიამ ავერელ ჰარიმანი, ამერიკა და რუსეთი ცვალებად მსოფლიოში, პირადი დაკვირვებების ნახევარი საუკუნე, ნიუ-იორკი, 1971, „ეკონომიკა“ (სტატიების კრებული), IV, თბ., 1974, გვ. 293.

[12] გრ. მარგიანი, სამთამაღნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, მარგანეცის მრეწველობა, თბ., 1968, გვ. 193—194, 260—310.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლებში ჭიათურიდან გაზიდეს 90 მილიონი ფუთი მარგანეცი[13]. კონცერნის „გერმანელი კაიზერი"-ს ლითონის მეფე ტისსენი თავის მემორანდუმში გერმანიის ეკონომიკის უწყებისადმი წერდა: „თუ მხედველობაშია ბუნებრივი სიმდიდრეების ფლობა, მაშინ გერმანიას სწორედ კავკასია სჭირდება...

კავკასია ეს არის ქვეყანა, რომელიც იძლევა მსოფლიო მარგანეცის დიდ ნაწილს, ხოლო მარგანეცის გარეშე ლითონის წარმოება შეუძლებელია. ვინც იქნება მფლობელი ამ მარგანეცისა ის შესძლებს გავლენა იქონიოს ფოლადის წარმოების ფასზე ამერიკაშიც კი..."[14]

გერმანულმა ფირმებმა დიდძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურაში. აქ მათ მიწების ყიდვაც გადაწყვიტეს, დაიწყეს კიდეც სამთო მოწყობილობის შემოზიდვა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ჩაშალა მათი შორსმიმავალი გეგმები.

გერმანელი საქმოსნები დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ამიერკავკასიის ეკონომიკის სხვა მხარეებისადმიც. მაგალითად, გერმანელთა ხელში იყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობის რიგი საწარმოები, სპირტსახდელი, კონიაკის და ღვინის ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი.[15]

ამრიგად, ამიერკავკასიის ეკონომიკაში მტკიცედ დამკვიდრდა გერმანული კაპიტალი, რამაც ერთიორად გაზარდა ამ მხრით გერმანელი იმპერიალისტების დაინტერესება. დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის ტერიტორიული ათვისების ამოცანაც, ასეთ ვითარებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ რამდენად მოიკიდებდნენ ფეხს ბათუმში. ამ მხრივ პირველ მსოფლიო ომამდე და ომის წლებში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ იმპერიალისტური გერმანია და თურქეთი. თავიანთი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებისათვის გერმანიისა და თურქეთის მმართველმა წრეებმა ამიერკავკასიაში გააჩაღეს აქტიური სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ამიერკავკასიაში გახშირდნენ კავკასიის „ფლორითა და ფაუნით" დაინტერესებული „მოგზაურები"[16], რომელთაგან ბევრი უცხოეთის დაზვერვის აგენტი და ჯაშუში იყო.

ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელს რუსეთის იმპერიაში გერმანიას კარგად ორგანიზებული სადაზვერვო აპარატი ჰქონდა. მან თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურა XX ს-ის 10-იანი წლების დამდეგიდან. 1908 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში ჩამოვიდა კომერსანტის ნიღაბს ამოფარებული პრუსიის არმიის ოფიცერი კურტ იუნგი. მის ამოცანას შეადგენდა რუსეთის საზღვრების დათვალიერება თურქეთთან და ირანთან, და ამიერკავკასიაში რუსეთის სიმაგრეებისა და სამხედრო ნაწილების განლაგების შესახებ ცნობების შეკრება.[17]

---

13 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 96.

14 Г. В. Пипия, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

15 იქვე, გვ 32.

16 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 1825, ფურც. 11, 12, 13, 20, 21, ს. 2861, ფურც. 15; ს. 2908, ფურც. 5, ს. 3008, ფურც. 1, 2. აჭარის ასსრ ცა, ფ. 3, ანაწ. 1, ს. 8. ფურც. 68; ფ. 2, ანაწ. 2, ს. 87, ფურც. 9, ს. 198, ფურც. 255, 258, 277.

17 აჭარის ასსრ ცა, ფ. 4, ანაწ. 1, ს. 56, ფურც. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1908 წლის სექტემბერში თბილისსა და ბათუმში რამდენიმე დღე დაჰყო გერმანიის სამხედრო ატაშემ პეტერბურგში გრაფმა პოსადოვსკიმ ორი გერმანელი სამხედრო პირის თანხლებით.[18]

1913 წ. ოქტომბერში ერზერუმიდან ამიერკავკასიაში შემოგზავნეს გერმანიის ჯაშუში კარლ ავგუსტ ლენერი. სადაზვერვო საქმიანობასთან ერთად მის ამოცანას შეადგენდა სომეხთა შორის ანტირუსული პროპაგანდის გაჩაღება, რისთვისაც იგი უშუალოდ უნდა დაკავშირებოდა თურქეთის კონსულებს ყარსში, თბილისსა და ბათუმში.[19] ამავე მიზნით 1914 წლის ივლისში ერზერუმიდან თბილისში ჩამოვიდა ერზერუმში გერმანიის კონსულის — ედგარ ანდერსის აგენტი, თურქეთის ქვეშევრდომი, ეროვნებით სომეხი ტიგრან აგამალიანი.[20]

1914 წლის მაისში ამიერკავკასიაში „სამოგზაუროდ" თბილისში ჩამოვიდა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ატაშე პეტერბურგში — ფონ ფიშერ ლოსსაინენი[21] და სხვ.

ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელს რუსეთის იმპერიაში, გერმანიის სადაზვერვო-ძირგამომთხრელ საქმიანობაში დიდი როლი შეასრულეს გერმანელმა კოლონისტებმა[22]. უფრო მეტიც, გერმანიის გენერალური შტაბის მიერ დაგეგმილი იყო ამიერკავკასიაში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების შეიარაღებული ძალის სახით გამოყენება. ცნობილი გერმანელი მილიტარისტი ლუდენდორფი მოგვიანებით თავის მემუარებში წერდა: „აგრეთვე ვიმედოვნებდი უშუალოდ მიმეღო ახალწვეულნი აღმოსავლეთის გერმანული მოსახლეობისაგან[21] და სხვ.

გარდა თბილისისა გერმანიის აგენტების ყურადღებას იპყრობდა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიც, განსაკუთრებით ბათუმი, რომელსაც მეტად დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანელებმა აქ ერთგვარი პლაცდარმის შექმნაც კი გადაწყვიტეს. ბათუმში სამხედრო მზვერავმა ჰერმან მეიმ ფანერის ქარხნის მშენებლობის სახით დაიწყო ბეტონის ფუნდამენტის აგება გერმანიის არმიის მძიმე ქვემეხებისათვის. 1914 წლის შემოდგომაზე ჰ. მეი ჯაშუშობისათვის დააპატიმრეს. აღნიშნული მშენებლობა განაგრძო გერმანიის აგენტმა შურმა. ბათუმში ბელგიური პასპორტით მოქმედებდა გერმანიის ჯაშუში ლ. გაი. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცნობილ ჯაშუშ მიასოედოვთან[24], რომელიც რამდენჯერმე ჩამოვიდა მასთან ბათუმში.[25]

გერმანიის სასარგებლოდ სადაზვერვო საქმიანობაში დიდ როლს ასრულებდნენ აგრეთვე რუსეთში არსებული გერმანული სავაჭრო-სამრეწველო ფირმები. გერმანიის სამხედრო სამინისტროს სპეციალური ფონდებიც კი გაა-

---

18 აჭარის ასსრ ცა. ფ. 4, ანაწ. 1, ს. 56, ფურც. 61, 65.

19 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 2861, ფურც. 104—126.

20 აჭარის ასსრ ცა, ფ. 2, ანაწ. 2, ს. 198, ფურც. 227.

21 აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 681, ფურც. 32.

22 დაწვრილებით იხ. გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974. И. Никитинский, П. Софинов, Немецкий шпионаж в России во время войны 1914—1918 гг, М., 1942.

23 Э. Людендорф, Мои воспоминания о войне 1914—1918 гг., т. 2, М., 1924, გვ. 221.

24 მიასოედოვის ჯაშუშური საქმიანობის შესახებ იხ. И. Никитинский, П. Софинов, დასახ. ნაშრომი, გვ. 16—21; 44.

25 გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 164—165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნდა „დამსახურებული“ ფირმების დასაჯილდოებლად. მაგალითად, 1910 წელს სამხედრო-სამინისტრომ გერმანიის საელჩოს პეტერბურგში რუსეთში არსებული გერმანული ფირმებისათვის გადასაცემად გამოუგზავნა 25 მილიონი მარკა.

სამხედრო სამინისტროს ტოლს არ უდებდნენ გერმანიის ფინანსიური მაგნატებიც 1905 წლიდან დაწყებული „დოიჩე ბანკი“ რუსეთში „სავაჭრო-სამრეწველო ექსპედიციების“ მოსაწყობად ყოველწლიურად უპროცენტო სესხის სახით უგზავნიდა დიდ თანხას. ამ ფულით ჩატარდა ჩრდილოეთ ურალის, ამიერკავკასიის, წყნარი ოკეანის სანაპიროს, კამჩატკის და სხვა ტერიტორიების ეკონომიკური გამოკვლევა. გამოკვლევის ძვირფასი მონაცემები თანაბრად გაიანაწილეს როგორც გერმანელმა მრეწველებმა, ასევე გერმანიის დაზვერვამაც.[26]

გერმანიის სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა ამიერკავკასიაში ხორციელდებოდა თბილისისა და ერზერუმის რეზიდენტების მეშვეობით, თბილისის რეზიდენტი ბერლინს უკავშირდებოდა მოსკოვის საელჩოს მეშვეობით, ერზერუმისა — კი სტამბოლის საელჩოს მეშვეობით.

ერზერუმის რეზიდენტურას სათავეში ედგა გერმანიის კონსული ერზერუმში ედგარ ანდერსი. მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა აფხაზეთსა და აჭარაში აგენტურის შეგზავნა ანტირუსულ-საჯანყებო მუშაობის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში გერმანელები ეყრდნობოდნენ ამ ორი ოლქის მოსახლეობის სარწმუნოებრივ დამოკიდებულებას.[27] აჭარასა და აფხაზეთში სადაზვერვო-ძირგამომთხრელ საქმიანობაში გერმანელები წარმატებით იყენებდნენ აგრეთვე თურქ ჯაშუშებს, რომლებიც გადმოსროლილი იყვნენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თურქეთის დამპყრობლურ გეგმებშიც. მისთვის ბრძოლა შეადგენდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან ნაწილს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთში ახალი ძალით გაჩაღდა ანტირუსული კამპანია. ბრძოლის დროშა ხელთ აიღო ევროპის ბურჟუაზიულ იდეებთან გაცნობილმა და ეროვნული იდეებით გამსჭვალულმა ინტელიგენციამ, რომელმაც XIX ს-ის 60-იან წლებში შექმნა „ახალგაზრდა ოსმალთა“ პირველი ჯგუფი. ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა იბრაჰიმ შინასმა (1824—1871) 1860 წელს დაარსა პირველი თურქული გაზეთი „თერჯუმან აჰვალი“ (ამბების ამხსნელი) და მის პირველ ნომერში მოათავსა პანთურქიზმის იდეებით გაჟღენთილი სტატიები: „რუსეთი“ და „ჩერქეზები“, რომლებიც თურქებს კავკასიისაკენ მოუწოდებდნენ. „ოსმალთა მახვილი მაგნიტის ისარივით მუდამ ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული“ — წერდა შინასი. მისი სიტყვით თურქეთი მრავალჯერ დამარცხებულა ჩრდილოელ მეზობლებთან ბრძოლაში, მან დაჰკარგა ამ ბრძოლებში ტერიტორიები და უნდა გადაუხადოს სამაგიერო რუსეთს, დაიბრუნოს დაკარგული[28].

თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ არ გამორიცხავდა აჭარასაც, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ — ბათუმის ოლქს. უფრო მეტიც, რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების წარუმატებელი ომის

---

[26] И. Никитинский, П. Софинов, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[27] Г. В. Пипия, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[28] ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 41—42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ თურქეთი ყოველნაირ საშუალებას მიმართავდა აღედგინა თავისი შელახული პრესტიჟი და უკან დაებრუნებინა ბათუმის ოლქი ნავსადგურ ბათუმითურთ.

ბათუმის, როგორც სამხედრო-სტრატეგიული ნავსადგურის მნიშვნელობა თურქეთისათვის კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც XX ს-ის 10-იანი წლების დამდეგიდან თურქეთმა დაიწყო მზადება რუსეთთან ომისათვის. ბათუმის როლის ზრდას ზემოთ დასახელებულ მიზეზებთან ერთად განაპირობებდა ისიც, რომ ანატოლიის სახმელეთო გზები, რომელთაც ამიერკავკასიის მიმართულებით მოქმედი თურქეთის არმია ამარაგებდა, პირველყოფილ მდგომარეობაში იყო, რაც ამ გზით სამხედრო დანიშნულების ტვირთის გადაზიდვას შეუძლებელს ხდიდა. თუ 1878 წლამდე კავკასიისა და ირანის მიმართულებით მოქმედი არმიის მომარაგება ტრაპიზონის და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით წარმოებდა, 1878 წლიდან, ე. ი. ბათუმის დაკარგვიდან, თურქებს კავკასის სანაპიროზე ამ საქმისათვის დარჩათ ერთადერთი მოსახერხებელი პუნქტი — ტრაპიზონი.[29]

ამრიგად, ამიერკავკასიის დაპყრობის თურქეთისეულ გეგმებში ბათუმის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური პუნქტის კვლავ ხელში ჩაგდებას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ თურქეთის მმართველმა წრეებმა ბათუმის ოლქში ფართოდ გაშალეს სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამ მიზნით აჭარაში, და საერთოდ კავკასიაში, თურქეთიდან იგზავნებიან ვაჭართა, სასულიერო პირთა, სხვადასხვა ქველმოქმედ საზოგადოებათა წარმომადგენლების და სხვათა ნიღაბს ამოფარებული ემისრები[30]. ისინი ქადაგებდნენ სოლიდარობას მსოფლიო მაჰმადიანთა შორის. ამასთან მათ ამოცანას შეადგენდა რუსეთის საზღვრისპირა და საერთოდ კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის მომზადება აჯანყებისათვის რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში.

ამიერკავკასიის სასაზღვრო რაიონებში სადაზვერვო საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის თურქეთის მთავრობამ 1908 წელს თავის საკონსულოებთან თბილისში, ყარსსა და ბათუმში დანიშნა კომერციული აგენტები, რომლებიც სინამდვილეში იყვნენ თურქი ოფიცრები, რომლებსაც ევალებოდათ საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელობა.[31]

1907 წელს თურქეთიდან ბათუმის ოლქში მოავლინეს ვინმე ნიკოლოზ იორდანიდი. მან თავი გაასაღა სავაყუფო[32] მიწების საკითხის მცოდნედ. მალე იორდანიდიმ ადგილობრივ რუს მოხელეთა საქმიანობის შესახებ საჩივრების წერა დაიწყო მეფის ნაცვლის კანცელარიაში, რუსეთის იმპერიის სენატში და მინისტრთა საბჭოში ამით მან გარკვეული გავლენა მოიპოვა ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში, რის შემდეგაც მათ შორის გაჩაღდა ანტირუსული პროპაგანდა. პარალელურად იგი აქტიურ სადაზვერვო საქმიანობასაც ეწეოდა. ცდი-

---

29 ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82—83.

30 საქ სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 1048, ფურც. 1; ს. 1780, ფურც. 77; 79, 136, 149. საჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 324, ფურც. 2, 23; ს. 474, ფურც. 1; ს. 551, ფურც. 2, 37, 115; ს. 586, ფურც. 1—2, ს. 681, ფურც. 13, 26, იქვე, ფ. 2, ანაწ. 2, ს. 148, ფურც. 204; ს. 198, ფურც. 106, 107.

31 საქ. სსრ ცსა, ფ. 15, ანაწ. 1, ს. 57, ფურც. 1, 4.

32 ვაყუფი (თურქ.) — სასულიერო დაწესებულების განკარგულებაში მყოფი მამული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა თავის საქმიანობაში ჩაეთრია მეფის არმიის ოფიცრები და ხელში ჩაეგდო ბათუმის სიმაგრეების რუკა.[33]

ნ. იორდანიდი თავისი ჯაშუშური საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული სტამბოლიდან თბილისში ჩამოსახლებულ სერგეი კანტემიროვთან. ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ეწვია კიდეც ნ. იორდანიდის ბათუმში[34]. ს. კანტემიროვმა გაასაღა რა თავი ექიმად, ნაცნობთა ფართო წრე შეიძინა, როგორც სამოქალაქო ასევე სამხედრო სახელმწიფო დაწესებულებებში. ს. კანტიმიროვის ინფორმატორები იყვნენ ბათუმის გენერალ-გუბერნატორის ყოფილი თანაშემწე, თადარიგის გენერალ-მაიორი პ. შუბინსკი, სამხედრო ჩინოვნიკი ავეტის ნაზარეტოვი და სხვ. ს. კანტემიროვს საქმიანი კონტაქტი ჰქონდა დამყარებული და ხშირად ხვდებოდა გერმანიის დაზვერვის აგენტს მარია ანა ვოლფს. ხვდებოდა, აგრეთვე, თბილისში თურქეთისა და სპარსეთის კონსულებს და სხვ.[35].

ს. კანტემიროვის და ნ. იორდანიდის ძირგამომთხრელი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ისინი ომამდე გაასახლეს რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან.[36]

1912 წლის ნოემბერში ზედა აჭარაში, სოფელ თხილვანაში[37] დააპატიმრეს თურქეთის აგენტი, წარსულში თურქეთის ჟანდარმერიის თანამშრომელი — ახმედ ყადი-ოღლი, დაკითხვისას მან აღიარა, რომ იგი კავკასიაში 1912 წლის დასაწყისში შემოაგზავნეს ემისართა ერთ ჯგუფთან ერთად, რომ აქ „მოღვაწეობის“ 11 თვის მანძილზე შემოიარა თბილისის გუბერნია, ყარსის და ბათუმის ოლქები და სოხუმის ოკრუგი, სადაც ის ხვდებოდა ადგილობრივ მაჰმადიანების წარმომადგენლებს, ეწეოდა პანთურქიზმის პროპაგანდას და ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდა რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებისა და ამბოხებისაკენ. ამასთან იგი მაჰმადიანურ მოსახლეობაში ავრცელებდა პანისლამიზმით გაჟღენთილ პროკლამაციებს. ჩხრეკის დროს აღმოჩენილ ერთ-ერთ პროკლამაციაში ეწერა: მუსლიმანებმა ერთიანი ძალით უნდა წაართვან კავკასიის მიწები რუსებს. ამ მიწების ხელში ჩაგდება რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ მუსლიმანებს მისცემს თავისუფლებას“ და ა. შ.[38]

თურქები აჭარაში და საერთოდ კავკასიაში მარტო პროკლამაციების შემოტანით არ იფარგლებოდნენ. მათ დაიწყეს პანისლამისტური გაზეთების არალეგალურად შემოტანაც[39]. უფრო მეტიც, 1911 წლისათვის პანთურქიზმის ქადაგება დაიწყეს ამიერკავკასიის მაჰმადიანურმა გაზეთებმაც[40].

1912 წლის აპრილის დასაწყისში ბათუმის ოლქში ერზერუმიდან შემოგზავნეს თურქ ოფიცერთა მოზრდილი ჯგუფი. სადაზვერვო საქმიანობასთან ერთად მათ ამოცანას შეადგენდა აჯანყების მომზადება ადგილობრივ მაჰმადიანურ მოსახლეობაში რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში[41].

---

33 აჭარის ასსრ ცა, ფ. 3, ანაწ. I, ს. 4. ფურც. 8, 11—12.

34 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 1142, ფურც. 2.

35 იქვე, ს. 2992, ფურც. 1—5.

36 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 2992, ფურც. 13. აჭარის ასსრ ცა, ფ. 3, ანაწ. 1, ს. 4, ფურც. 69.

37 სოფ. თხილვანა — ამჟამად ამავე სახელწოდებით შედის ხულოს რაიონში.

38 აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 580, ფურც. 1.

39 იქვე, ს. 525, ფურც. 19.

40 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 1825, ფურც. 4.

41 აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 551, ფურც. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში პანისლამიზმის საქადაგებლად შემოვიდა ერზერუმელი სასულიერო პირი ახმედ-ეხსან-ეფენდი (მეტსახელად არაბ-ხოჯა). იგი ამავე მისიით „ეწვია“ ბათუმის ოლქსაც[42].

თურქ სამხედრო სპეციალისტთა და ცალკეულ ემისართა „შემოსვლა“ ამიერკავკასიაში განსაკუთრებით გახშირდა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში. როგორც წესი ისინი შემოდიოდნენ კავკასიის მაჰმადიანურ ტომთა ეროვნულ ტანსაცმელში გადაცმულნი და სადაზვერვო-ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ერთად ადგილობრივ მაჰმადიანურ მოსახლეობაში აგროვებდნენ შემოწირულობებს თურქეთის არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის[43].

1914 წლის დასაწყისში თურქეთიდან არალეგალურად შემოიტანეს, ბათუმში და ამიერკავკასიის სხვა ზღვისპირა ქალაქებში გაავრცელეს თამბაქოს შესახვევი ქაღალდის წიგნაკები, წიგნაკის გარეკანზე ეხატა თურქეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი გემის სურათი. იქვე თურქულ ენაზე დაიეჭდილი იყო მოწოდების ტექსტი სათაურით „ნუ დაივიწყებთ ფლოტს“. ტექსტი ყველა მაჰმადიანს მოუწოდებდა გაეღოთ შეწირულობანი თურქეთის ფლოტის აშენებისათვის. „მოუტანე სარგებლობა მამულს (თურქეთს — მ. ს.) ამიტომ იყიდე ეს ქაღალდი“[44] ეწერა მოწოდებაში.

როგორც ვხედავთ მოწოდების მიზანი არ იყო მარტო შემოწირულობათა შეგროვება. სიტყვები „მოუტანე სარგებლობა მამულს“ ყველა მაჰმადიანს თანაბრად ეკუთვნოდა და „მამულში“ მხოლოდ და მხოლოდ თურქეთი იგულისხმებოდა. ამრიგად, ამ წიგნაკებსაც, თურქეთის ხელისუფალთა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებასთან ერთად, ეკისრებოდა ერთი ძირითადი მისია — თურქიზმის პროპაგანდა და ამ იდეებით კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის გაჟღინთვა.

სადაზვერვო ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ აგრეთვე მეფის მთავრობის ნებართვით აქ ჩამოსული ოფიციალური სამხედრო პირებიც. მაგალითად, 1910 წლის ნოემბერში თბილისის გავლით ბათუმში ჩავიდა და რვა დღეს დარჩა ქ. ვანის (თურქეთი) გენერალ-გუბერნატორი ბექირ სამი ბეი[45]. იგი ადრე ბათუმში თურქეთის გენერალურ კონსულად მუშაობდა და ახლოს იცნობდა თურქეთის აგენტების უმრავლესობას. ამჯერადაც იგი სასტუმროში ბევრ ნაცნობს შეხვდა. ბექირ სამი ბეი ხშირად გადიოდა ქალაქში და მის გარეუბნებში[46].

1914 წლის მარტში ბათუმში სტამბოლიდან 4 თურქი ოფიცრის თანხლებით ჩამოვიდა და თბილისის გავლით ქ. ვანში (თურქეთში) გაემგზავრა ვანის ჟანდარმერიის უფროსი, მაიორი ქიაზიმ-ბეი. ბათუმში ისინი შეხვდნენ, ესაუ-

---

42 საქ. სსრ ცსა, ფ. 15, ანაწ. 1, ს. 357, ფურც. 14—24.

43 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 3265, ფურც. 129; აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 551, ფურც. 115. ფ. 2, ანაწ. 2, ს. 198, ფურც. 107, 112,

44 აჭარის ასსრ ცა, ფ. 2, ანაწ. 2, ს. 212, ფურც. 1—2, 11.

45 ბექირ სამი ბეი ეროვნებით ჩერქეზი იყო. მამამისმა მუსა კუნდუხოვმა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დაწყებისთანავე უღალატა რუსეთს და გადავიდა თურქეთის მხარეზე სადაც მეთაურობდა კავალერიას.

46 საქ. სსრ ცსა, ფ. 15, ანაწ. 1, ს. 307, ფურც. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრნენ და მათთვის აგენტურული ცნობების ქ. ვანში გადაგზავნა მოსთხოვეს ადგილობრივ თურქ მოქალაქეებს[47].

აჭარაში თავის სადაზვერვო-ძირგამომთხრელ საქმიანობაში თურქეთის მმართველი წრეები წარმატებით იყენებდნენ აგრეთვე აჭარიდან გადახვეწილ და ადგილობრივ თურქოფილებს და გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს. 1911 წელს აჭარაში სტამბოლიდან სპეციალური დავალებით ჩამოვიდა აქედან გადახვეწილი ქართველი მაჰმადიანი, იმჟამად თურქეთის არმიის გენერალი ბაჰრი-ფაშა თავდგირიძე. აჭარაში იგი შეხვდა და მოლაპარაკება ჰქონდა ადგილობრივი მაჰმადიანებისა და ქართველების წარმომადგენლებთან[48].

1912 წლის ნოემბერში გონიოში[49] თურქეთიდან არალეგალურად ჩამოვიდა ამ სოფლის მკვიდრი ვინმე იაყუფ მაზლუმ-ოღლი. იგი თავის თანასოფლელთა შორის ეწეოდა პროპაგანდას თურქეთის სასარგებლოდ და აგროვებდა შემოწირულობებს თურქეთის სამხედრო საჭიროებისათვის[50].

ზემო აჭარაში მსგავს საქმიანობას ეწეოდა იქედან ოსმალეთში მუჰაჯირად წასული იუნუს ისხან-ოღლი. იგი დადიოდა ზემო აჭარის სოფლებში და მოსახლეობას მოუწოდებდა მოხალისეებად წასულიყვნენ თურქეთში, სადაც ისინი გაერთიანდებოდნენ აჭარიდან გაქცეული ასლან ბეგ აბაშიძის დროშის ქვეშ და თურქეთის ჯარებთან ერთად იბრძოლებდნენ ბათუმის ოლქის „გასათავისუფლებლად“.[51]

აჭარაში პანისლამიზმის ქადაგების ცენტრი იყო „აზიზიეს“ მეჩეთი ქ. ბათუმში[52]. 1911 წლისათვის ბათუმის ოლქში სულ 182 მაჰმადიანი სასულიერო პირი „მოღვაწეობდა“[53]. ისინი წარმოადგენდნენ თურქეთის ხელისუფალთა საიმედო დასაყრდენს ადგილებზე. მაგრამ აჭარის მოლა-ხოჯები მარტო ბათუმის ოლქით არ იფარგლებოდნენ და თურქიზმის საქადაგებლად ხშირად ამიერკავკასიის სხვა მხარეებშიც მიემგზავრებოდნენ. 1912 წლის ნოემბერში ბათუმის სამხედრო ოკრუგის უფროსის მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტში ვკითხულობთ: 1912 წლის „ოქტომბრის თვეში კავკასიაში თურქეთიდან მოვიდა აგიტატორთა პარტია. ამ პარტიის განკარგულებით ბათუმის ოლქიდან კავკასიის სხვადასხვა მხარეს სწრაფად გაემგზავრა რამდენიმე ხოჯა იმავე მიზნით. აგიტატორთა შორის იყვნენ ხოჯები ზემო აჭარიდანაც“[54].

როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასის მაჰმადიანთა გამოყენება რუსეთის წინაღმდეგ ომში იმპერიალისტური გერმანიისა და თურქეთის ხელისუფალთა მიერ იყო დაგეგმილი. სწორედ ამ გეგმის განხორციელებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წარმოადგენდა აგრეთვე ისიც, რომ 1911

---

47 აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 681, ფურც. 15.

48 იქვე, ს. 708, ფურც. 1.

49 სოფელია ბათუმთან ახლოს.

50 აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 551, ფურც. 37.

51 იქვე, ფურც. 62.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის პროპაგანდას ამ მხრივ მცირე წარმატებაც ჰქონდა. თურქი ემისრების და ადგილობრივი თურქოფილების მიერ გაბრიყვებულმა უმცირესობამ, მართლაც, მიაშურა ოსმალეთს, მაგრამ მათი რიცხვი სულ რამდენიმე ათეულ კაცს თუ ითვლიდა. აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გულისწყრომით ხვდებოდა პანთურქიზმის პროპაგანდისტებს (იხ. იქვე, ფურც. 50, 90).

52 იქვე, ს. 474, ფურც. 61.

53 იქვე, ფურც. 29—34.

54 იქვე, ს. 580, ფურც. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს ერზერუმში დაიწყეს კავკასიელ მაჰმადიანთათვის დასარიგებლად განკუთვნილი იარაღის საწყობების აშენება. ამასთან, ამიერკავკასიაში დაიწყეს ცეცხლსასროლი იარაღის გაზრდილი შემოტანაც.[55] იგი ძირითადად გერმანიისა და ავსტრიის ნაწარმი იყო და თურქეთიდან არალეგალურად შემოჰქონდათ ზღვით. ბათუმის ოლქში იარაღი შემოჰქონდათ ბათუმის პორტიდან და ზღვასთან მდ. ჭოროხის შესართავიდან. გარდა თურქი მენავეებისა ამ საქმიანობაში ჩაბმული იყო აგრეთვე უცხოეთის და რუსეთის ზოგიერთი გემიც.[56] იარაღის გადმოტვირთვა გემებიდან ღამით ხდებოდა მალულად, რაც ერთგვარ რისკთან იყო დაკავშირებული. არსებობდა იარაღის შემოტანის სხვა, უფრო ნაკლებ საეჭვათო გზაც. კერძოდ, კონტრაბანდისტები იარაღს ახვევდნენ გაქონილ ნაჭრებში. შემდეგ აწყობდნენ ყუთებში, ყუთებზე ამაგრებდნენ თოკს, რომელსაც ბოლოში მოზრდილი ტივტივა ეკეთა. შემდეგ სანაპიროდან 1—1,5 ვერსზე ყუთებს წყალში უშვებდნენ. ყუთი წყალში იძირებოდა, ხოლო ტივტივა რჩებოდა წყლის ზემოთ და ერთგვარი ნიშნის როლს ასრულებდა. ღამით კი კონტრაბანდაში ჩაბმული ადგილობრივი მენავეები იღებდნენ ყუთებს და ნაპირზე გამოჰქონდათ.[57]

გარდა ბათუმისა იარაღი შემოჰქონდათ აგრეთვე სოხუმის და ფოთის პორტებიდან. ამ მდგომარეობით შეშფოთებულმა კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა მოახსენა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს: „უკანასკნელ დროს შეინიშნება ცეცხლსასროლი იარაღის და საჭურველის დიდი რაოდენობით შემოზიდვა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება ბათუმში, მაჰმადიან მოსახლეობაში, დანარჩენი იგზავნება კავკასიის სხვა რაიონებში.

იარაღის შემოტანის წინააღმდეგ ჩვენ მიერ მიღებულმა ზომებმა სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს. ამიტომ აუცილებელია სანაპირო დაცვის გაძლიერება რეიდზე კრეისერების გამოყვანით და ახალი სადარაჯო პოსტების გახსნით“[58].

მეფის მთავრობამ გააძლიერა საბაჟო ზედამხედველობა კავკასიის ამ პუნქტებში. ამასთან, შავ ზღვაში მცურავ რუსეთის ყველა კრეისერს მიეცა მითითება ჟანდარმერიასთან ერთად მიეღო ზომები იარაღის კონტრაბანდის წინააღმდეგ[59]. საგრძნობი დარტყმა მიაყენეს აგრეთვე თურქ კონტრაბანდისტებსაც. ბევრი მათგანი გამოააშკარავეს და გაასახლეს რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან[60]. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა თურქეთიდან იარაღის შემოტანის ცდები მხოლოდ დროებით იქნა შეწყვეტილი და პირველი მსოფლიო ომის წინ ახალი ძალით გაჩაღდა.

უცხოეთის სახელმწიფოების სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობის გაშლა-გააქტიურება ამიერკავკასიაში რუსეთის კონტრდაზვერვის სუსტ და უხეირო მუშაობაზე მიუთითებს. თავდაპირველად ამიერკავკასიაში უცხოეთის

---

55 საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 1780, ფურც. 12.

56 იარაღით კონტრაბანდაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის გემები: „პაკე“ და „მესაჟერ მარიტიმი“; რუსეთის გემები „მორიაკი“ და „ბორჯომი“. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა ა. მანთაშევის „ნავთობსამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციას“ (იხ. აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ს. 533. ფურც. 4.).

57 აჭარის ასსრ ცა, ფ. 1, ს. 533, ფურც. 4.

58 Г. В. Пипия, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

59 აჭარის ასსრ ცა, ფ. 4, ანაწ. 1, ს. 72, ფურც. 6.

60 იქვე, ფ. 1, ანაწ. 1, ს. 626, ფურც. 5; ს. 645, ფურც. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზვერვის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა ჟანდარმერიის სამმართველო. ამ საქმის უკეთ გაძღოლის მიზნით, 1911 წლის ოქტომბერში კავკასიის არმიის შტაბთან დაარსდა კონტრდაზვერვის განყოფილება, როტმისტრ ბელიკის ხელმძღვანელობით. მაგრამ „ეს მცირერიცხოვანი განყოფილება ცუდად იყო დაკომპლექტებული და მომარაგებული. მაგალითად, განყოფილებას არ გააჩნდა სპეციალური კადრები სხვადასხვა კართოტეკის შესანახად და ერთი ავტომანქანაც კი“[61].

კონტრდაზვერვის სამსახურისთვის ხელის შეწყობა ევალებოდათ ჟანდარმთა სამმართველოს და პოლიციის განყოფილებებს (ოხრანკა). „მაგრამ ისინი უფრო ხელს უშლიდნენ კონტრდაზვერვის წარმოებას, ვიდრე ეხმარებოდნენ. აღმოაჩენდნენ თუ არა რევოლუციური მოძრაობის რაიმე კვალს, ოხრანკა განგაშს ტეხდა „გერმანიის დაზვერვის საქმიანობის“ შესახებ და ცრუ კვალზე ყყენებდა კონტრდაზვერვას“[62]. უფრო მეტიც, ხშირად ამიერკავკასიის კონტრდაზვერვის განყოფილებიდან იკარგებოდა ფრიად საიდუმლო დოკუმენტებიც. მაგალითად, 1916 წელს კონტრდაზვერვის განყოფილებიდან უკვალოდ გაქრა მნიშვნელოვანი ნაწილი იმ მასალებისა, რომელიც 1914 წლის აგვისტოში გერმანიის საკონსულოს შენობის და კონსულ ფონ შულენბურგის ბინის გაჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა.

კავკასიის კონტრდაზვერვის უგერგილო მუშაობას თვით ჟანდარმერიის სამსახურის მესვეურებიც აღიარებდნენ. ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის უფროსის მიერ 1911 წლის დასაწყისში შედგენილ მიმართვაში ვკითხულობთ, „ამ ბოლო დროს რუსეთში გაძლიერდა უცხოეთის სახელმწიფოთა სადაზვერვო საქმიანობა.

სამხედრო შპიონაჟთან ბრძოლა სამხედრო უწყების სპეციალურ მოვალეობას შეადგენს. ამავე დროს ეს შეადგენს ჟანდარმთა კორპუსის მოვალეობასაც... მაგრამ სამხედრო შპიონაჟთან ბრძოლის საკითხი ჩვენში ცუდად არის დაყენებული“[63].

ამიერკავკასიაში საზღვარგარეთის სახელმწიფოების სადაზვერვო საქმიანობის გაშლას ხელს უწყობდა აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფალთა არაფხიზელი დამოკიდებულება უცხოელი „მეცნიერებისა“ და „მოგზაურებისადმი“. ხშირ შემთხვევაში მათ უშვებდნენ საზღვრისპირა, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონებში და ფოტოგრაფიისა და კარტოგრაფიის უფლებასაც კი აძლევდნენ[64]. მაგალითად, ასეთი უფლება კავკასიის მეფისნაცვლისაგან მიღებული ჰქონდა თვით გერმანიის დაზვერვის რეზიდენტს. ობილისში გერმანიის კონსულს გრაფ შულენბურგს[65].

ზოგჯერ ჯაშუშურ საქმიანობაში ეჭვმიტანილ პირს მაშინვე კი არ აპატიმრებდნენ არამედ ამის თაობაზე საფეხურების მიხედვით აცნობებდნენ კავკასიის სამხედრო ოკრუგის მთავარსარდალს. სანამ ეს მიმოწერა ჭიანურდებოდა რიგ შემთხვევაში მზვერავი ახერხებდა მიმალვას.[66]

---

61 გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 163 (იხ. სქოლიო).

62 იქვე.

63 აჭარის ასსრ ცა, ფ. 2, ანაწ. 2, ს. 104, ფურც. 1.

64 იქვე, ს. 148, ფურც. 191. საქ. სსრ ცსა, ფ. 13, ანაწ. 27, ს. 1825, ფურც. 11, 12, 13, 20, 21, 29

65 იხ. იქვე, ფურც. 24.

66 აჭარის ასსრ ცა, ფ. 3, ანაწ. . ს. 8, ფურც. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი გერმანიისა და თურქეთის სადაზვერვო-ძირგამომთხრელ საქმიანობის გაშლას ამიერკავკასიაში ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ მხარეში სასაზღვრო და სანაპირო დაცვის ორგანიზაცია სუსტი იყო. რის გამოც, არა მარტო ცალკეული ემისრები ახერხებდნენ ამიერკავკასიის ფარგლებში შემოსვლას, არამედ მასიურად შემოჰქონდათ აგრეთვე პანთურქიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილი ლიტერატურა და საბრძოლო იარაღი.

გერმანიისა და თურქეთის სასარგებლოდ სხვადასხვა სახის ჯაშუშურმა საქმიანობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ამიერკავკასიის კონტრდაზვერვის სუსტი მუშაობის მიუხედავად ომის წინ მრავალი აგენტი იქნა მხილებული და დასჯილი. რუსეთის კონტრდაზვერვამ შეძლო თბილისის რეზიდენტურის საქმიანობის გახსნა და მისთვის სერიოზული დარტყმის მიყენება. 1913 წელს ბევრი გერმანელი აგენტი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ხოლო გრაფი შულენბურგი გააძევეს რუსეთის იმპერიიდან. 1914 წელს დააპატიმრეს და ქვეყნის სიღრმეში გადაასახლეს აგრეთვე გერმანიის კონსული ერზერუმში ედგარ ანდერსი და მისი თანაშემწე კაპიტანი ვეიკმანი. მაგრამ ამის შემდეგაც ბევრი, დაპატიმრებას გადარჩენილი აგენტი განაგრძობდა თავის საქმიანობას.

М. И. СИОРИДЗЕ

ПОДРЫВНАЯ РАЗВЕДЫВАТЕЛЬНАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ГЕРМАНИИ И ТУРЦИИ В БАТУМСКОЙ ОБЛАСТИ ПЕРЕД ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНОЙ

Резюме

Благодаря географическому положению и природным условиям Батуми имел особое значение для господства на Кавказе. Поэтому правящие круги Германии и Турции в Батумской области развели активную подрывную разведывательную работу. Перед первой мировой войной в этот край часто приезжают заинтересованные «флорой и фауной» иностранные «путешественники», большинство из которых были агентами и разведчиками иностранной разведки. В Батуми нелегально завозилось оружие, которое перебрасывали в другие области Закавказья.

Активизации подрывной разведывательной службы иностранных государств в Закавказье способствовало следующее: плохо налаженная служба контрразведки России; беспринципность местных властей в отношении заграничных «ученых» и «путешественников»; бюрократизм царских чиновников; слабая служба пограничной и приморской охраны этого края и др.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

А. ГАМКРЕЛИДЗЕ

ПРОБЛЕМЫ ТОРГОВЛИ В РИМСКО-ПАРФЯНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЯХ

Проблемы торговли чрезвычайно важны для понимания основных особенностей истории древнего мира. В последнее время в антиковедении активно обсуждаются многие вопросы торговли в контексте самых основных проблем истории древнего мира. Особенно популярна в современном зарубежном антиковедении точка зрения, которая наиболее отчетливо была выражена М. Финли[1]. Суть ее сводится к следующему. Основной упор делается на экономической автаркии: каждое домохозяйство, каждый район и каждая область производили практически почти все, что им было необходимо. Основным базисом богатства было сельское хозяйство. Огромное большинство населения в большинстве районов было занято производством продуктов питания. Конечно, были исключения из этого правила (например, Афины или Рим), но это были исключения и их необходимо рассматривать как исключения. Большинство маленьких городков были местом жительства местных земельных собственников, центрами управления и религиозного культа; они также являлись местными рынками, где производился обмен продуктами, произведенными в данном районе, и здесь же располагались ремесленники, которые производили товары для местного потребления. Масштаб торговли между отдельными районами был небольшим. Перевозка товаров по суше была очень дорогой (за исключением предметов роскоши). Хотя перевозка по морю обходилась дешевле, но все равно объектом торговли становилась только незначительная часть произведенной продукции. Низкий уровень техники и, соответственно, высокая стоимость произведенной продукции, а также дороговизна перевозок делали невыгодной торговлю с отдаленными районами. Поэтому специализация была возможна только в производстве дорогих товаров. Однако рынок для таких товаров был ограничен бедностью большинства горожан и крестьян.

Исходя из этих основных концепций, М. Финли и сторонники его взглядов делают следующие выводы. Так как объем торговли был маленьким, то и социальный статус торговцев был, как правило, низким. Когда государству требовалось большое количество продуктов питания или каких-либо иных продуктов (например, для снабжения населения города Рима или римских армий), оно ориентировалось на получение их с помощью государственного аппарата (например, с помощью налогообложения), а не торговцев.

Торговцы, как правило, не обладали большими средствами, и их торговый оборот был небольшим. То же самое верно и в отношении владельцев ремесленных мастерских. Даже в тех случаях, когда человек приобретал благодаря торговле или ремеслу богатство, он тут же «инвестировал» его в землю, которая была единственной формой стабильного капитала. Практически все известные нам богатые

---

[1] M. Finly, The Ancient economy, London, 1973.

римляне и греки — это владельцы земли. Излишки продуктов, которые производились в их хозяйствах, продавались непосредственно самими хозяевами, без посредничества специальных торговцев. Античные города были всегда центрами потребления, а не центрами ремесла и торговли.

Такова наиболее популярная ныне в западном антиковедении теория, объясняющая сущность античной экономики вообще и торговли в частности. Однако эта теория не единственная. Взгляды, которые развивает М. Финли и его сторонники, иногда встречают достаточно резкую критику. Наиболее отчетливое выступление против этой концепции, насколько нам известно, принадлежит К. Хопкинсу, суть критики которого сводится к следующему[2].

Он прежде всего указывает, что та «модель», которая была создана М. Финли, предназначена для того, чтобы описать характер экономики в период примерно от 1000 г. до н. э. по 500 г. н. э. Однако для столь длительного периода эта модель слишком статична. Кроме того, концепция, которая провозглашает теснейшую зависимость экономики от политики, парадоксальным образом чрезвычайно мало внимания уделяет политическим изменениям, которые происходят в античном мире за этот период. Однако основное, с чем не согласен К. Хопкинс, состоит в том, что концепция М. Финли предполагает очень скромный рост и быстрый упадок экономики античного мира. С его точки зрения, в античном мире на протяжении рассматриваемого периода наблюдался (вплоть до III в. н. э.) постоянный рост прибавочного продукта. Эта тенденция была постоянно действующей в античном мире. На рост прибавочного продукта влияли два основных фактора: политические изменения и распространение технических и социальных инноваций.

Политические изменения — это, в первую очередь, постепенный рост масштабов политических организмов: от небольших городов-государств через посредство крупных объединений (Афинская держава, государство Птолемеев, Карфаген) к Римской империи, охватившей все Средиземноморье. Развитие этих государств и рост налогообложения в них требовали роста прибавочного продукта. Но, кроме того, того большие государства способствовали быстрому распространению технических и социальных инноваций по всему античному миру. Технические усовершенствования — это железные орудия труда, винтовые прессы (для производства оливкового масла и вина), даже водяные мельницы. Но социальные нововведения были даже еще более значительны: серебряная и бронзовая монета, денежные налоги, плантационное рабство (т. е. рабство классического типа), письмо, школы, письменные контракты, коммерческие займы, технические пособия, большие торговые корабли, долевое участие в финансировании — это пример только тех социальных инноваций, которые распространились по всему античному миру в течение I тысячелетия до н. э. и в первые века н. э. Эти технические и социальные новшества оказали огромное влияние на характер производства, потребления и торговли. Далее К. Хопкинс самым кратким образом показывает, каким образом это происходило. Конечный вывод его: как производство, так и обмен в античном обществе были высокоразвиты и велики по масштабам.

---

[2] Hopkins, Introduction in Trade in the Ancient economy, ed by. P. Garnsey, K. Hopkins and G. R. Whittaker, London, 1983, c. VIII-XXV.

Конечно, концепция К. Хопкинса не до конца решает проблемы античной торговли в рамках общей структуры античной социально-экономической системы. Однако нам представляется, что сопоставление двух главных концепций античной торговли, существующих сейчас в антиковедении, полезно. Оно показывает всю сложность тех вопросов, которые должны решить исследователи, занимающиеся изучением античной торговли.

Данная работа посвящена торговле в рамках парфяно-римских отношений. Она, конечно, не претендует на решение всех вопросов, поднятых современной дискуссией, о роли торговли в античном обществе. Однако, как нам кажется, рассмотрение проблем торговли (в рамках римско-парфянских отношений) позволяет выявить некоторые явления, не учитываемые ни М. Финли, ни К. Хопкинсом, и тем самым помочь в дальнейшей разработке общих проблем торговли в античности.

В соответствии с этим план работы будет следующим: а) осветить (самым кратким образом) характер военно-политических взаимоотношений между Римом и Парфией[3], ибо они непосредственно влияли на масштабы торговли и направление торговых путей; б) описать (также самым кратким образом) основные торговые пути, связывающие Восток с Западом; в) отметить основные товары, которые поступали в Рим с Востока; г) выяснить, какими причинами объясняется данный характер набора приобретаемых Римом товаров; д) попытаться осветить на вопрос — связана ли римская внешняя политика со стремлением поставить под свой контроль торговые пути.

Решение этих вопросов во многом облегчается тем обстоятельством, что по рассматриваемой проблеме имеется довольно значительная литература[4].

Военно-политические взаимоотношения Рима и Парфии

По-видимому, первый контакт между римлянами и парфянами имел место в 92 г. до н. э. в период действий на Востоке Суллы. В это время, возможно, было заключено какое-то соглашение между двумя державами. Следующий период контактов между этими важными политическими силами приходится на время деятельности на Востоке Лукулла и особенно Помпея. На этот раз, вмешавшись в римско-армянские взаимоотношения, парфяне довели до военного конфликта, правда, не имевшего серьезных последствий[5]. Дальнейшие события связаны с неоднократными конфликтами между Римом и Парфией. Римляне умело поддерживали внутреннюю напряженность в Парфии, помогая ряду претендентов на аршакидский престол[6], кроме того, они неоднократно совершали походы на парфянскую территорию. Эти походы были, в общем, неудачными. Особенно

[3] Главным образом в хронологических рамках первого периода римско-парфянских взаимоотношений (т. е. до Августа включительно).

[4] M. Rostovtzeff, Caravan cities, London, 1932; I. Miller, The spice trade of the Roman empire, Oxforg, 1969; M. P. Charlesworth, trade routes and commerce of the roman empire, Cambridge, 1926; E. H. Warmington, The commerce between the roman empire and India. London, 1974; М. Хвостов, История восточной торговли греко-римского Египта, Казань, 1907; И.Ш. Шифман, Сирийское общество эпохи принципата (I-III вв. н. э.), М., 1977; А. Б. Ранович, Восточные провинции Римской империи в I-III вв, М.-Л., 1949.

[5] N. C. Debevoise, A political history of Parthia, Chicago, 1938, с. 46-48 70.

[6] Г. А. Кошеленко, Внутриполитическая борьба в Парфии, ВДИ, 1963, № 3.

тяжелым для римлян было поражение, понесенное ими в 53 г. до н. э. у города Карры. Еще одно тяжелое поражение понесли римляне в 37 г. до н. э. во время похода Антония. Но, с другой стороны, парфянские походы в глубь римских владений, в Сирию и Малую Азию также закончились безуспешно. В период царствования Октавиана Августа устанавливаются относительно мирные взаимоотношения между двумя могущественными державами, хотя римляне продолжали активно вмешиваться в парфянские дела. Следующее серьезное столкновение происходит только в период царствования императора Нерона.

Таким образом, мы видим, что первый период контактов между римлянами и парфянами был временем преимущественно военных конфликтов, причем конфликтов очень серьезных, когда и та и другая стороны пускали в ход все свои силы, борьба шла за само существование Парфянского царства и за господство Рима в восточном Средиземноморье. Нам представляется, что одной из основных причин противоборства этих двух сил было стремление поставить под свой контроль важнейшие торговые пути, связывавшие Средиземноморье с Востоком. Для того, чтобы подтвердить этот тезис, рассмотрим основные торговые пути, за которые шла борьба.

Римская держава связывалась с Востоком тремя основными торговыми путями: 1) северным; 2) центральным или т. н. «великим шелковым путем»; 3) южным путем (через Красное море или по торговым путям вдоль него). Значение этих путей не было одинаковым. Оно зависело от общей картины политических взаимоотношений, от местных условий, которые могли быстро и неожиданно меняться, и целого ряда других обстоятельств.

Римская политика, насколько мы ее можем сейчас определить, диктовалась следующими обстоятельствами: захватив в I в. до н. э. Сирию, а затем Египет, укрепив свои позиции в Закавказье, римляне тем самым поставили под свой контроль все западные окончания торговых путей. Теперь перед ними стояла задача расширить зону своего влияния на торговых путях и, если это удастся, поставить под свой контроль полностью какой-либо из путей. Это объяснялось следующим достаточно простым соображением; чем меньше посредников на пути восточных товаров в Средиземноморье, тем больше доля прибыли, приходящаяся на долю римлян. Очень редко товары от места их производства до места потребления доставлялись непосредственно. Как правило, на этом пути они неоднократно переходили из рук в руки и, соответственно, каждый раз увеличивалась их цена.

Рассмотрим (самым кратким образом) эти основные торговые пути.

Северный путь. Одним из самых сложных вопросов в проблеме восточной торговли Римского государства является вопрос о т. н. «северном торговом пути». Основанием для постановки этого вопроса явились два сообщения Страбона и одно — Плиния Старшего. Страбон, в частности, писал: «...река Окс, отделяющая Бактриану от Согдианы, как говорят, отличается такой судоходностью, что индийские товары, привозимые к ней через горы, можно доставлять вниз по ее течению до Гирканского моря и оттуда по рекам в соседние области вплоть до конца (Strabo, II, 1, 15). В другом месте Страбон несколько расширяет информацию: «Аристобул даже объявляет Окс самой большой из виденных им в Азии рек, кроме индийских. По его словам эта река судоходна (и он и Эратосфен заимствовали это известие у Патрокла) и много индийских товаров

ეროვნული ბიბლიოთეკა

привозят вниз по ее течению в Гирканское море; оттуда их переправляют в Албанию и через реку Кир и следующие затем местности доставляют в Эвксинский понт» (Strabo, XI, 7, 3). С информацией Страбона смыкается и свидетельство Плиния Старшего: «Варрон говорит, что во время похода Помпея, по его приказанию, было выяснено, что из Индии можно в 7 дней придти в Бактрию к реке Бактр, впадающей в Окс. Отсюда индийские товары перевозят через Каспийское море вверх по реке Куре и по суше. Не более чем за пять дней они могут прибыть в Фазис, который впадает в Черное море». (Plin. Nat. hist. VI, 52).

Таким образом, Страбон и Плиний следующим образом представляют себе основные этапы этого торгового пути: колхидское побережье Черного моря — по реке Фазис (Риони) вплоть до перевалов, ограничивающих колхидскую низменность. Здесь речной путь сменяется караванным, который идет до того места, где р. Кура становится судоходной, и отсюда путь идет по реке — вплоть до ее впадения в Каспийское море. Далее — плавание по Каспийскому морю до восточного побережья, до впадения реки Окс (Амударьи) в море, отсюда путь по реке до Бактрии. В районе Бактр путь снова становится сухопутным (караванным) — через горы Гиндукуша — в Индию.

Проблема этого торгового пути (в том числе и самого его существования, характера торговли по нему, изменения во времени, отдельных этапов и т. д.) вызвала уже очень обширную литературу[7]. Отметим в связи с этим, что некоторые авторы сомневаются в существовании этого пути, а иногда отрицают его практическое значение[8].

Учитывая большое количество работ, посвященных этому вопросу, мы в данной работе коснемся только некоторых его аспектов, которые, как нам представляется, помогут решить основные дискуссионные вопросы, связанные с этим торговым путем. Первым из них является вопрос о судоходности Узбоя. Как отмечают все исследователи, основная проблема заключается в следующем: поскольку река Окс древних авторов — это современная Амударья, то первостепенное значение имеет вопрос о том, был ли в рассматриваемое время обозначен Узбой, то есть, справедливо ли мнение Страбона и Плиния о том, что Окс — Амударья впадала в Каспийское море. Этот вопрос имеет уже очень обширную литературу[9]. В последние годы в изучении этого вопроса

---

[7] О. Д. Лорткипанидзе, О транзитно-торговом пути из Индии к Черному морю в античную эпоху, ,,Сообщения АН Грузинской СССР,“ 1957, т. XIX, № 3, с. 277-384; З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю, Труды Института истории им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР, 1956, т. 2, с. 161-180; С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, ВДИ, 1939, № 1; И. С. Филлиоза, Индия и научные связи в древности, ,,Вестник истории мировой культуры,“ 1957, № 6; Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954; Р. Р. Мукашева, К вопросу об экономических связях Средней Азии и северо-западной Индии в VI-II вв. до н. э. Труды Самаркандского государственного университета, 1967. вып. 166; Р. Р. Мукашева, К вопросу о торговом пути, проходившем по территории Средней Азии в древности, в кн. Древний Восток и античный мир. М., 1972,

[8] В. Тарн, Эллинистическая цивилизация, М., 1949. с. 219; E. H. Warmington, The commerce between the Roman empire and India.

[9] См., даприпер, Б. Б. Баршольд, Сведения об Аральском море и низовьях Амударьи с древнейших времен до XVII в., Соч., т. 3, М., 1965; Низовья Амударьи, Сары-

ეროვნული ბიბლიოთეკა

сложилась следующая ситуация. Практически все авторы — историки которые под разными углами зрения рассматривали проблему Узбоя, — приходили к единому мнению: античная традиция совершенно бесспорно свидетельствует о впадении в античное время Амударьи в Каспийское море (по Узбойскому руслу), но при этом столь же единодушно указывали, что археологические материалы этому противоречат и при этом ссылались на работы хорезмской экспедиции, согласно которым Узбой полностью прекратил свое существование в первой половине I тыс. до н. э.[10] Стремясь преодолеть это противоречие, авторы создавали различные очень искусственные гипотезы. Так, например, Р. М. Мукашева считала, что данный торговый путь существовал, но на отрезке по Узбою он представлял собой караванный путь, шедший вдоль русла Узбоя[11], что полностью противоречит данным письменных источников. Однако археологические работы последних лет сняли это противоречие. Они показали, что на протяжении всего античного периода Узбой был обводнен и, тем самым, водное сообщение по большей части его течения было возможно[12]. Тем самым было снято самое серьезное возражение против возможности существования этого торгового пути в древности, в том числе и в рассматриваемое нами время. В связи с этим особое значение приобретают сведения письменных источников (иных, чем Страбон и Птолемей), касающиеся судоходства на Амударье и роли ее как торговой магистрали. Мы имеем в виду свидетельство Арриана о том, что, спасаясь от преследования Александра Македонского, Бесс сжег суда, находившиеся на Амударье, с помощью которых он переправился на северный берег (Arr. Anab.). С нашей точки зрения, Р. Р. Мукашева совершенно правильно указывает, анализируя этот эпизод, что для переправы армии Бесса, включавшей персов, 7 тысяч бактрийцев и даев, нужно было очень значительное количество судов[13]. Кроме этого, необходимо учитывать и свидетельства китайских источников, согласно которым Амударья (Гуй-Шуй — в Китайских источниках) — большая судоходная река и купцы по ней развозили товары на большие расстояния[14].

Второй аспект этого вопроса, который необходимо рассмотреть, это направление торгового пути в Закавказье и соотношение речного пути с сухопутными. В отношении его необходимо отметить следующее. Не подлежит сомнению само существование торгового пути, однако он имел более сложную систему, чем это предусматривалось ранее[15]. Прежде всего, отметим, что один из них шел по Куре, где крупнейшим центром являлась Мцхета, второй по Араксу, где ана-

---

камыш, Узбой, М., 1960 (Материалы Хорезмской экспедиции, вып. 3); С. А. Вязигин, Реки Туркменистана по сведениям античных географов, „Известия Туркменского филиала АН СССР," 1946 № 3-4; И. В. Пьянков, К вопросу о маршруте похода Кира II на массагетов. ВДИ, 1964, № 3; его же, Массагеты Геродота, ВДИ, 1975, № 5.

[10] Низовья Амударьи.., с. 23 сл., 316-319, 323-225

[11] Р. Р. Мукашева, К вопросу..., с. 18

[12] Х. Юсупов, Новые археологичезкие материалы с верхнего Узбоя, Каракумские древности, вып. VIII, Ашхабад, 1979; Х. Юсупов, Узбой в античное время в свете новых археологических данных, „Известия АН Туркменской ССР," СОН, 1976, № 6.

[13] Р. Р. Мукашева. К вопросу..., с. 18.

[14] Н. Я. Бичурин, Собрание сведений о народах, обитавших в Средней Азии в древние времена, т. II, М., Л., 1950, с. 151.

[15] Подробнее см. Г. П. Якопян. Древняя Армения в торговле Запада с Востоком СА. 1984, № 2, с. 70 сл.

логичную роль играл Арташат. Это подтверждается анализом находок римских монет (особенно это показательно для монет Августа) на территории Закавказья. В наибольшем числе они встречены в районах Мцхета и Арташата, затем их находят зафиксированными, главным образом, вдоль Куры и Аракса[16]. Кроме того, можно утверждать, что система речных путей дополнилась системой сухопутных. Так, в частности, из Арташата сухопутные пути шли на Юго-Восток и на Юго-Запад, а кроме того, очень важный торговый путь шел на север, в район современного Ахалцихе, а оттуда через Сурамский перевал выводил в Колхиду. Из Мцхета шел путь также в Колхиду, и в районе Сурамского перевала эти пути соединялись. Кроме того, были пути, шедшие из Закавказья на север. Существование этих путей, помимо археологического материала, подтверждается также сообщением Страбона об аорсах, торговавших индийскими товарами (Strabo. XI.V. 8).

Третий аспект данной проблемы, который необходимо учитывать, это наблюдение, сделанное относительно того, почему данный торговый путь привлекал особое внимание в конце I в. до н. э. — I в. н. э. Р. Р. Мукашева[17] и Г. П. Акопян[18] приходят к очень близким выводам, которые можно подытожить следующим образом — внимание к этому торговому пути увеличивалось тогда, когда торговые сношения по более прямым путям были затруднены в силу частых римско-парфянских конфликтов. С 92 г. до н. э. (время выхода римлян на Ефрат) и до середины I в. н. э. взаимоотношения на римско-парфянской границе были очень напряженными и римляне, естественно, стремились развивать свою активность в более северном направлении, стремясь максимально использовать возможности северного пути. Именно поэтому наиболее подробные сведения о нем содержатся у Страбона и Плиния Старшего. Необходимо отметить, что этот торговый путь во многих отношениях был достаточно сложен в силу некоторых обстоятельств. Прежде всего, необходимо указать на то, что этот путь проходил через ряд политических границ: сначала римские владения, затем Иберия (путь по Куре) или Армения (путь по Араксу), затем Кавказская Албания. Восточное побережье Каспия, в том месте, где начинался путь по Оксу (Амударье), по словам Страбона, находилось под властью Гиркании. Путь по Узбою был под контролем кочевников. Кроме того, видимо, и парфяне стремились укрепиться здесь. Во всяком случае, крепость Игды-кала, видимо, являлась парфянской[19]. Далее путь проходил на территорию Хорезма, затем он шел по Амударье в Бактрию. Ситуация Бактрии в I в. до н. э. — I в. н. э. отличалась неустойчивостью. После того, как кочевники сокрушили Греко-Бактрию в 140—130 гг. до н. э., ситуация здесь определилась тем, что существовали мелкие разрозненные владения кочевников, одно из которых, постепенно возвышаясь, стремилось объединить под своей властью всю Бактрию[20].

Таким образом, подводя итоги, можно сказать следующее: Северный торговый путь в древности существовал, как об этом сообщают

---

[16] Г. П. Акопян, Древняя Армения.., с. 73, рис I.

[17] Р. Р. Мукашева, К вопросу.., с. 19.

[18] Г. П. Акопян, Древняя Армения.., с. 74.

[19] Х. Юсупов, Новые археологические материалы..,

[20] Б. Я. Ставинский, Кушанская Бактрия: проблемы истории и культуры, М., 1977, с. 96-109.

Страбон и Плиний. Торговые связи по нему были затруднены сложной политической обстановкой и большим количеством границ, которые он пересекал. Тем не менее, его значение всегда возрастало, когда торговые связи по более прямым путям (через Месопотамию, в частности) перекрывались вследствие римско-парфянских конфликтов. Именно такой, видимо, и была ситуация в I в. до н. э. — середине I в. н. э.

Центральный путь. Центральным путем можно назвать серию торговых путей (частично сухопутных, частично морских), которые соединяли Рим с Востоком. Важнейшее, что их объединяет, — это то, что все они начинались в Сирии и проходили через Парфию.

Об основном пути (точнее, западной части его — от восточных границ Римской империи и до восточных границ Парфянской державы) достаточно подробную информацию дает очень интересный источник — так называемый «Дорожник» Исидора Харакского, который описывает основной торговый путь, шедший из Сирии через Парфию к ее восточным границам; датируется это сочинение временем, близким к рубежу н. э.[21]

Дорога начиналась у Зевгм, где имелась переправа через Евфрат. Затем она направлялась в Апамею и Харакс Сиду, который называли Антемусией. Затем она шла на юг вдоль Евфрата, достигая города Дура-Европос. От него через различные населенные пункты этот путь достигал самого крупного центра Парфянского государства — Селевкии на Тигре. После Селевкии путь резко менял направление — теперь он шел на северо-восток, в долину реки Диала, и городу Артемита. Далее путь шел через Мидию (он проходил через ее столицу Экбатаны), Мидию, Рангиану, Гирканию. Из Гиркании торговый путь шел через Парфиену до Маргианы (современный Мервский оазис). После Антиохии Маргианской (столицы Маргианы) торговый путь резко сворачивал на юг — в Сакастан и Арахозию, откуда уже сравнительно легко осуществлялись связи с Индией.

Этот путь, описанный Исидором Харакским, представлял собой, видимо, парфянскую «царскую дорогу» — основной путь движения караванов, который был снабжен специальными военными постами для их охраны. Кроме того, этот путь имел и административное значение (подобно «царской дороге» времени Ахеменидов). Однако этой дорогой не исчерпывались основные торговые пути между востоком и западом на территории Парфянского государства. Прежде чем рассмотреть западную часть торгового пути, мы кратким образом отметим остальные торговые пути в этом регионе.

Прежде всего, необходимо указать, что Сирия с Месопотамией связывалась не только через Зевгмы. Был еще один очень важный путь из Сирии — к Пальмире. В глубине Сирийской пустыни находился важный торговый центр — Пальмира, который караванными путями связывался как с Сирией, так и Месопотамией[22]. Караванный путь из Пальмиры на восток — в сторону Парфии — шел через Сирийскую пустыню и входил в пределы Парфии в районе Дура-Европос[23].

---

[21] Partian ssations by Isidore of Charax. An Account of the overland trade route between the Levant and India in the first century B. C. The Greek text with a translation and commentary by W. H. Schoff, Chicago. 1976.

[22] См. M. A. K. Colledge, The Parthians, London, 1967, 78-85; R. Chirshman. L'Iran des originas a'L'Islam, Paris, 1976, c. 273-6.

[23] M. L. Rostovzeff, Dura-Europos and its art, Oxford, 1938. c. 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

Необходимо, кроме того, иметь в виду, что из центральной Месопотамии шел еще один торговый путь — на юг, к побережью Персидского залива. Здесь находился очень важный торговый центр — Харакс, а также несколько иных торговых центров (Апологос, Форапт, Омана)[24]. Отсюда уже морским путем осуществлялись связи с Индией.

Таким образом, система основных торговых путей, связывавших Сирию с Востоком, в пределах Парфянской державы выглядела следующим образом. Из Сирии шли два основных пути: один через Зевгмы выводил непосредственно в пределы Парфянского государства, другой шел по пустыне до Пальмиры, а из Пальмиры снова по пустыне приводил в пределы Парфии. Оба пути соединялись в один в районе Дура-Европос, и этот путь шел к экономическому сердцу Парфянской державы, району, где находились Селевния на Тигре, Ктезифон, Вологазокерт. Здесь путь раздваивался: один шел на юг, к портам Персидского залива, другой — на северо-восток, через Иранское плато выводил к Маргиане (Мерву), где проходила восточная граница Парфянской державы. Исидор Харакский указывает только одно направление идущего отсюда пути — на юг, в сторону Индии. Но это объясняется тем, что он описывает торговые пути внутри Парфянской державы. Из Мерва шел еще один путь — прямо на восток. И этот путь был важнейшим участком «великого шелкового пути», связывавшего Римскую империю с Китаем. Из Мерва этот путь шел к переправам на Амударье, в районе современного Чарджоу, а затем вступал в Согдиану. Видимо, важнейшим центром караванной торговли в Согдиане был Самарканд. Из Согда далее на восток путь шел через Фергану и Кашгару. Здесь он разделялся на два пути: один обходил пустыню Такла-Макан с севера (через Аксу и Турфан), другой — с юга (через Хотан); соединившись восточнее в единый путь, дорога входила в пределы собственно Кушанской державы.

Основные особенности этого торгового пути были следующие: и Рим и Китай были очень заинтересованы в том, чтобы войти в прямой контакт друг с другом, устранив тех посредников, которые находились между ними и получали огромные прибыли, перепродавая товары, в первую очередь, шелк. Римляне первоначально стремились сокрушить Парфию военными средствами. Однако походы Красса и Антония оказались безуспешными. Со времени Августа ситуация изменилась, отношения были достаточно долгое время мирными и если прерывались конфликтами, то ненадолго. Все это способствовало тому, что римско-парфянская торговля в это время процветала. Кроме того, римляне и парфяне создали буфер между собой. Пальмира отныне играла роль нейтрального торгового посредника, который обеспечивал безопасность торговых связей между двумя государствами[25]. Пальмира, благодаря этой международной торговле, очень быстро стала одним из богатейших городов античного мира[26]. Пальмирские караваны постоянно посещали многие парфянские города, от Хатры на севере до Харакса на юге, возможно, они даже участвовали в морской торговле из Спасину Харакса с Индией, где плаванье в один конец продолжалось 30—40 дней[27].

---

[24] H. Seyrig, Palmyra and the east, JRS, 40, 1950, c. 5.

[25] M. I. Rostovzeff, Dura Europos..... c. 18.

[26] A. H. Jones, The Greek citis of the eastern rom an Provincies, Oxford, 1937, c. 266; E. Will, Merhands et chef de caravanes a Palmire, Syria XXXIV, 1957; Starchy, Palmyre, Paris, 1952.

[27] M. A. K. Colledge, The Parthians.., c. 80-81.

Не меньшую активность, чем римляне на западном окончании торгового пути, проявляли и китайцы на восточном. Торговые связи с Парфией Китай установил уже во II веке до н. э.[28] Западная политика Китая в значительной мере определялась необходимостью наладить надежный торговый путь на запад. Борьба с хуннами, перекрывавшими путь на запад, определялась и этой причиной[29]. Этот отрезок пути, шедший из Китая до Парфии, всегда был наиболее опасным и тяжелым. В оазисах Восточного Туркестана неоднократно вспыхивали восстания против власти китайцев, степные племена также неоднократно перерезали этот путь. Тем не менее, торговый путь действовал более или менее постоянно, как об этом свидетельствуют сообщения китайских хроник[30].

Торговля по этому пути имела некоторые особенности. Прежде всего, это был наиболее короткий путь. Кроме того, здесь было меньше всего посредников: Пальмира и Парфия. Иногда, когда прерывались прямые пути караванов через Центральную Азию, появлялся еще один посредник, однако свидетельства о приходе китайских караванов в Парфию достаточно многочисленны и разбросаны по времени, что заставляет думать, что, как правило, парфянские и китайские караваны беспрепятственно приходили к торговым контрагентам.

В старой литературе неоднократно встречались утверждения, что парфяне мешали развитию торговли. Однако современные исследователи, наоборот, полагают, что Парфия была заинтересована в росте торгового обмена, поскольку она получала от этого значительные выгоды[31]. Однако парфяне упорно стремились к тому, чтобы не допустить непосредственных связей между Китаем и Римом. Указание на это содержится в китайских источниках. Как известно, китайцы стремились установить прямые связи с Римом[32], однако парфяне сумели их обмануть лживыми рассказами о чрезвычайной сложности пути из Парфии в Рим[33]. Контроль над международным торговым путем был для парфян важным инструментом и во внутриполитической борьбе. Как известно, в составе Парфянского царства (особенно его западной части) очень важную политическую и экономическую роль играли греческие города, которые на протяжение долгого времени проводили политику, враждебную центральному правительству[34]. В своей политике по отношению к греческим городам парфянское правительство использовало различные методы, в том числе и экономические. Внимательный анализ пальмирских «караванных надписей» показывает, что парфянское правительство сумело повлиять на Пальмиру таким образом, что пальмирские караваны перестали

---

[28] M. A. K. Colledge, The Parthians..., c. 78.

[29] Хеннинг, Неведомые земли, М., 1960, с. 275. Л. С. Васильев, Бан Чао в западном крае, ВДК, 1955, № 1, с. 108, 121.

[30] M. A. K. Dolledge, The Parthians., c. 78.

[31] J. I. Miller. The spice trade of the Roman Empire 29 B. C. to A. D. 641 Oxford, 1969, c. 139.

[32] Н. Я. Бичурин, (Иакинф), Собрание сведений о народах, обитавших в Средней Азии в древние времена, М.-Л., т. II, 1950, с. 225.

[33] M. G. Raschke, Newstudies in Roman commerce with the East. Aufstieg und Niedergang der Romischen Welt. Herausg. von Hild. Temporini. Berlin, 1978, c. 606, 607.

[34] Г. А. Дошеленко, Греческий полис на эллинистическом Востоке, М., 1979, с. 276.

ходить в Селевкию на Тигре, а направлялись в Вологезокерт, Ктесифон, Харакс[35]. Аналогичную картину дают и китайские источники. Как показал Дж. И. Миллер, в китайских источниках всегда упоминается Ктесифон и никогда — Селевкия на Тигре. Таким образом, парфянское правительство, видимо, добилось и от китайцев того же, что и от пальмирцев — китайские караваны ориентировались на парфянские города, а не на греческие[36].

Таким образом, центральный путь играл очень важную роль в торговле Римской империи с Востоком. Однако для Парфии его значение было также чрезвычайно велико и парфяне очень активно охраняли этот путь. Римляне ориентировались на греческие города Месопотамии, но парфяне сумели нанести серьезный контрудар, переориентировав караваны на собственно парфянские города. В конечном счете был найден компромисс, в результате которого крупнейшим центром торговли здесь стала Пальмира, получавшая огромную выгоду от посреднической торговли.

Южный путь. Южный путь шел от Красного моря. Начало прямых контактов между Египтом и Индией восходит еще к концу II в. до н. э. (видимо, к периоду 120—115 гг. до н. э.)[37], около 100 г. до н. э. Гиппал открыл механизм движения муссонных ветров и тем самым обеспечил возможность регулярных плаваний парусных кораблей к берегам Индии и обратно (Peripl, 57). Активнейшее развитие египетско-индийской торговли приходится на конец I в. до н. э.[38] Когда в 20-х годах до н. э. Страбон путешествовал по Египту, он «узнал, что около 120 кораблей совершают плавание из Миос-Гормоса в Индию» (Strabo, II, 5, 12). Он в этой связи отмечает: «Теперь отправляются большие флоты даже до Индии» (Strabo, XVII, I, 13) и, кроме того: «современные купцы, совершая плавание из Египта по Нилу и Аравийскому заливу до Индии... доходили до Ганга» (Strabo XV, I, 4). В I в. н. э. изученность берегов Индостана и умение пользоваться муссонами достигли такого уровня, что были открыты многие новые индийские народы и города, установлены с ними торговые связи, корабли уже из портов Южной Аравии и Африканского Рога шли в определенные порты Индии с определенными товарами (Plin. Nat. Hist. VI, 101—106)[39]. Индийская торговля купцам из Египта приносила огромную прибыль: товары перепродавались в 100 раз дороже (Plin. Nat. His VI, 101). В общем, однако, баланс торговли для римлян (владевших с 30 года до н. э. Египтом) был отрицательным. Об этом сообщает Плиний: «Индия ежегодно поглощает из нашего государства не менее 55 миллионов сестерциев» (Plin. Nat. His VI, 101). Археологические раскопки выявили на территории Индии римскую торговую колонию в Арикамеду[40]. С индийского побережья (как западного, так и восточного) товары, пришедшие из римского Египта, широко расходились по глубинным

[35] B. A. Koshelenko, La politique commerciale des Arsacides ds Les villes grecques-in Studi in onore Si Eduardo volterra, vol I, Milano, 1971, c. 761-765.

[36] J. I. Miller, The spice Trade.., c. 132.

[37] Cl. Preaux, Le Monde Hellenistique, t II, Paris, 1978, c. 505.

[38] E. H. Warmington, The commerce between the Roman Empire and India Cambridge, 1928, c. 223-225.

[39] Подробнее см. С. Я. Берзина, Древняя Индия и Африка, в кн.: Древняя Индия: Историко-культурные связи, М., 1982, с. 31.

[40] R. E. M. Wheeler, A. Ghosh, K. Deva, Arikamedu: An Inbo-Roman trading station on East anb West of India, Ancient India 1946, № 2 c. 17-124.

районам индийского субконтинента, проникая иногда достаточно далеко на север. Можно отметить, в частности, на территории Средней Азии и Афганистана ряд находок римских монет I в. н. э. (хотя достаточно широкое распространение их начинается со II в. н. э.)[41].

Существует мнение, с которым, видимо, можно согласиться, что все эти монеты попадали на территорию Средней Азии и Афганистана не с запада, а с юга — из Индии[42]. Это предположение подтверждается тем, что монеты ранних римских императоров на территории Индии были очень широко распространены. Там даже было найдено большое количество терракотовых имитаций этих монет, использовавшихся в качестве украшений[43]. Необходимо также отметить, что денарий Тиберия был найден и в Таксиле[44], что, вероятно, указывает на пути проникновения римских монет на север[45].

Помимо монет, имеются и другие вещественные памятники, свидетельствующие о глубоком проникновении товаров, пришедших из Египта через посредничество Индии. Наиболее показательны в этом отношении объекты, найденные при раскопках Беграма (древняя Капища) в 45 км к северу от Кабула. В комнатах №№ 10 и 11 предполагаемого дворца было найдено большое количество произведений искусства[46]. Среди них наибольшее внимание (в контексте нашей работы) привлекают вещи бесспорно египетского (точнее, александрийского) происхождения: бронзовые статуэтки (Серапис-Геракл, Гарпократ), сосуды из цветного стекла (александрийское происхождение одного из них доказывается наличием на одном из них изображения александрийского маяка), наконец, большое количество гипсовых моделей для отливок с чисто античными сюжетами.

Для того, чтобы подчеркнуть роль Беграма-Капиши как центра международной торговли, отметим, что в этой же «сокровищнице» были найдены индийские (резная слоновая кость) и китайские произведения искусства (лаковые шкатулки)[47].

---

[41] U. Scerrato, On a Silver coin of the Trajanus Decius from Afganistan, East and West, vol 13, № 1 1962, с. 17-23; Е. В. Зеймаль, Клад римских денариев из Таджикистана, НЭ, т. III. М.: 1962, с. 141; сл.; Е. А. Давидович, Клады древних и средневековых монет Таджикистана, М., 1979, 58-60; Б. Я. Ставинский, Средняя Азия, Индия, Рим: (к вопросу о международных связях в кушанский период). В кн.: Индия в древности, М., 1964, с. 178—179; В. Д. Жуков, Находка сестерция Нерона в кушанском слове в Южном Узбекистане, ЭВ XIII, 1960, с. 125—127; В. И. Сарианиди, Г. А. Кашеленко, Монеты из раскопок Некрополя, расположенного на городище Тилля-Тепе (Северный Афганистан], в кн.: Древняя Индия. Историко-культурные связи, М., 1982, с. 313 сл.

[42] Б. Я. Ставиский, Средняя Азия Индия, Рим..., с. 179; Е. В. Зеймаль, Клад..., с. 144.

[43] M. Wheeler, Rome beyond the Imperial frontiers, London, 1954, с. 152.

[44] M. Wheeler, Rome beyond..., с. 100.

[45] В. И. Сарианиди, Г. А. Кошеленко, Монеты... с. 315.

[46] Hackin, Recherches Archeologiques a' Bergam, Paris, 1939, (MDAFA, v 019); Hackin, Nowelles recherches archeologiques a' Begram, Paris, 1954 (MDAFA, vol II).

[47] X. Kuztz, Begramet l'occident graco-romain, MDAFA, vol. 11, Paris, 1954, e. 89—150; A. A. Driani, Segnalazion alessandrine: La scoperte di begram el'arte alessandrina—Archeologia classica vol 7, e. 124—128; Coarelli. The painted cups of Begram and the Ambrosian Iliad, East and West, vol 13, 1962, e. 317—335; B. Rowland, Ancient Art from Afganistan, New York, 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Известно также, что не только римляне из Египта плавали в Индию, но и индийские купцы приплывали в Египет. На территории Египта в Левкокоме найдена индийская керамика и черепки с надписями на языке тамили письмом брахми[48]. Известный оратор Дион Хризостом выступал в городе Александрия Египетская (когда-то в период между 71—75 гг. н. э.). При этом он произнес следующие слова: «Ведь вижу я сам (сидящих) рядом не только эллинов, италинов, дансе (людей) не из ближних Сирии, Ливии, Киликии и даже дальних эфиопов, арабов, но и бактрийцев, скифов, персов и нескольких индов, которые сходятся и присутствуют (здесь) всякий раз (вместе с) вами» (А. А еа 40).

Сухопутное ответвление южного пути шло через Аравию и здесь главным посредником в торговле выступали набатеи, которые значили то же, что Пальмира в месопотамской торговле[49]. На самом юге Аравийского полуострова важную торговую роль играли сабеицы. Источники дают интересные сведения об их богатствах (Strabo. XVI, 4, 19—22; Plin. Nat. His VI, 161). В период Августа римляне попытались завоевать Счастливую Аравию (XVI, 4, 22—24), однако эта попытка закончилась полной неудачей.

Таким образом, южный путь играл важную роль в восточной торговле Рима. Очень показательно, с нашей точки зрения, что именно в тот момент, когда римляне убеждаются в бесперспективности борьбы с Парфией за центральный торговый путь (во времена Августа), они делают попытку полностью поставить под свой контроль южный путь, правда, неудачную.

Южный путь, тем не менее, был под более полным контролем римлян, чем остальные. Однако у него был один недостаток, достаточно, правда, серьезный. Шелк по этому пути поступал через посредство Индии, куда он приходил по долгому и трудному караванному пути из Китая, и поэтому стоил дорого.

Восточные товары в Риме. Рассмотрим (самым кратким образом) еще один существенный для нашей темы вопрос — характер тех товаров, которые Рим получал из восточных стран. Из Африки (районы южнее Египта, до Сомали, которые в древности назывались Троглодитикой[50]) — слоновая кость, рога носорога, кожа гиппопотамов, черепашьи панцыри, обезьяны (Plin. Nat. Hist. VI, 175; Peripl. 4, 17), живые звери для зверинцев, и в римский период — для цирков (Peripl. 39, 4, 16, 7), имбирь (Plin. Nat. Hist. XII, 28), стираксова смола (один из видов благовоний) (Strabo. XVI, 4, 13). Из восточной Африки в пределы Средиземноморья поступали: черные рабы (Plin. Nat. Hist X, 122; Peripl. 8, 9, 13), слоновая кость (Peripl 10, 16), рога носорога (Peripl. 17), черепахи (Peripl. 10), мирра и ладан (Plin. N. H. VI, 17; Peripl. 8, 9, 10, 12). Продуктами, поступавшими из Аравии, были: жемчуг (Plin. Nat. Hist. XII, 84), ладан (Strabo XII, 51, 54), мирра (Strabo. XII, 51, 66), бальзам (Peripl. 10). С острова Сокотра вывозились в большом количестве черепахи (Peripl. 30, 31), из Канн — алоэ (Peripl. 28).

Из Персии и Лидии в Средиземноморье поступала ассафетида,

---

[48] The Archeology of Afganistan from the earliest times to the Timurid Period. Ed. By F. R. Allchin and N. Hummond London—Nnw York,—San Francisko, 1978, с. 257.

[49] J. I. Miller, The Spice Trade..., е. 134.

[50] М. Хвостов, История восточной торговли, с. 86—89.

[51] Там же, с. 117.

использовавшаяся в качестве приправы к пище (Plin. Nat. Hist. XIX, 15).

Значительным был список товаров, поступающих из Индии. В это число входит жемчуг (с острова Цейлон) (Plin. Nat. Hist. VI, 81), рис, шедший в гавани Восточной Африки, а оттуда, как полагает М. Хвостов, в Рим (Peripl. 14, 31, 37)[51]. Видимо, значительное место занимал в торговле перец (Peripl. 49, 56; Plin. Nat. Hist. VI, 105). Плиний даже перечисляет все сорта перца и указывает цены каждого из них (Р. Н. 26—29, 31); вывозилась также гвоздика (Р. Н. П. XII. 30. 31), нард (Р. Н. П. XII. 43), кост черный и белый, из которых лучшим считался белый (Р. Н. П. XII. 41)[52], малабатр — как листья, так и его масло (Р. Н. П. XIII. 14—XII. 129). Использовавшаяся для придания аромата вину и для приготовления масел и мазей мирра[53], хлопчатобумажные ткани (PER. 14, 31, 32, 39, 41), бделии (Р. Н. П. XII, 35; PEP. 37), кардамон (Р. Н. П. XII. 50), сахарный тростник (Р. Н. П. XII. 104), индиго (Р. Н. П. XXXV, 46), амом (Р. Н. П. XII. 48). Основным товаром, поступавшим из Китая, был шелк, о котором рассказал Неарх (Strabo. XV. I. 20). Однако М. Хвостов считает, что в период Августа римляне получали шелк не через Переднюю Азию, а морем через Индию и Египет[54]. Во всяком случае, мы знаем, что у китайцев в Тонкинском заливе был торговый город Каттигара[55]. Кроме шелка из Китая получали меха, железо (Р. Н. П. XXXIV. 145) и кожу (Р. Н. П. XXXVII. 204, PER. 39). Плиний указывает, что по качеству самое лучшее китайское железо, а после него ценится парфянское. Если мы рассмотрим этот список товаров, то неизбежным будет вывод о том, что основная масса товаров, поступавших из различных стран Востока, представляла собой предметы роскоши, удовлетворявшие запросы самых высших слоев общества Рима (и вообще Средиземноморья). Для украшения использовался жемчуг. Шелковые одежды употреблялись только в быту наиболее богатых слоев общества. Когда Цезарь повесил в театре шелковые занавеси, то это воспринималось современниками как акт невиданного расточительства (Д. о. Cass., 43, 24, 2). Значительная часть продуктов — это различные приправы к еде и компоненты, придававшие изысканный вкус вину. Благовония использовались в жертвоприношениях и в быту богатейших людей. Нерон во время похорон Попеи, своей второй жены, сжег большее количество благовоний, чем производила Аравия за один год (Р. Н. П. XII. X). Слоновая кость, панцири черепах употреблялись для инкрустации драгоценных предметов быта и изготовления украшений. Звери, естественно, нужны были главным образом для уничтожения во время гладиаторских боев. Черные рабы служили своеобразным знаком особого богатства их владельцев.

Рассмотрение проблем торговых путей и их особенностей, а также характера товаров, поступавших в Римскую империю с Вос-

---

52 Кост использовался для придания запаха маслам и мазям при жертвоприношениях и в медицине. Его вывозили из Баригаз и Барбарикона.

53 Индийская мирра ценилась меньше, чем мирра из других областей Востока (Р.Н.П.Х.71); М. Хвостов, История восточной торговли греко-римского Египта, Казань, 1907, с. 124.

54 М. Хвостов, История восточной торговли..., с. 282; J. I. Miller, The spice trade p. 182.

55 OP. C. T. P. 182.

тока, позволяет поставить и попытаться дать решение некоторых более общих вопросов. Прежде всего, нам представляется необходимым сравнить характер торговых связей в Средиземноморье (то есть в Римской державе) с характером торговых связей между Римом и Востоком.

Решение этого вопроса облегчается тем, что работа по исследованию торговых связей в Средиземноморье была уже проделана в современной науке. Не указывая на все исследования, мы сошлемся только на выводы К. К. Зельина[56], в первую очередь потому, что он рассматривал эту проблему под тем углом зрения, который наиболее интересен для нас. Опираясь главным образом на данные Страбона, но привлекая также и данные других источников, К. К. Зельин приходит к нескольким важным для нашей темы выводам: 1) сравнительно большая специализация в развитии отдельных отраслей производства; 2) прогресс в процессе производства в самых различных областях; 3) существование рынков различного характера и масштаба во всех частях Средиземноморья; 4) экономику в значительной мере характеризует «власть денег»; 5) сильное влияние политического фактора на развитие производства и товарно-денежных отношений.

Наконец, необходимо отметить еще одно наблюдение: наряду с высокоценными товарами в процессе товарного обращения широко вымогаются товары повседневного спроса. На большие расстояния перевозятся товары, являющиеся объектом потребления рядового населения. Страбон приводит многочисленные примеры этого и К. К. Зельин справедливо подчеркивает значение этого явления. Если во всех остальных отношениях торговля, развивавшаяся внутри Средиземноморского бассейна, и торговля между странами Средиземноморья и Востоком были очень близки, то в этом они носят принципиально отличный характер. Внутри Средиземноморья важную роль играет торговля сравнительно дешевыми товарами, товарами массовыми (продовольствие, продукты ремесленной деятельности, сырье), а в торговле между Средиземноморьем и Востоком важнейшая роль принадлежит товарам, имевшим небольшой объем, но высокую стоимость, то есть тем товарам, которые несколько условно можно назвать «предметами роскоши», которые шли для потребления главным образом верхушки средиземноморского, главным образом, римского общества.

Нам кажется, что именно в этом обстоятельстве кроется основная причина развития торговли Средиземноморья и Востока. Первые века до н. э. и первые века н. э. (вплоть до кризиса III в. н. э.) были временем постоянного и неуклонного подъема Рима. Этот подъем проявлялся как в росте территории Римского государства, так и в экономическом подъеме ряда областей, входивших в него, но одновременно это время было периодом роста экономического и политического могущества правящих социальных групп Рима (в первую очередь сенаторского и всаднического сословия). В настоящее время большинство историков согласно с тем, что резкой грани между сенаторами и всадниками не было, богатство и той и другой социальной группы состояло главным образом из земельных владений. И то и другое сословие стремились вкладывать свои богатства в приобретение земли. Однако было еще одно чрезвычайно важное обстоятельство — каждое сословие должно было вести образ жизни

[56] К. К. Зельин, Исследования по истории земельных отношений в Египте II—I вв. до н. э., М., 1960, с. 35—83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

согласно своему месту в обществе, что в конечном счете означало вести «роскошный» образ жизни. Для господствующих слоев римского общества в конце Республики и в период Империи правилом стала роскошь.

Современные исследования показывают, как много прибавочного продукта и в общественной и в индивидуальной сферах тратилось на роскошь[57]. Для поддержания в глазах общественного мнения своего социального статуса представители господствующих слоев должны были вести соответствующий образ жизни, важнейшим элементом которого была роскошь. Поэтому предметы роскоши были жизненно необходимы верхушке римского общества, в тех условиях жизни, которые некоторые современные исследователи называют «сверхпотреблением», господствующие слои Рима реализовывали значительную часть своего богатства. Именно поэтому, отвечая насущным потребностям господствующего класса, Римское государство стремилось обеспечить поступление в пределы Средиземноморья продуктов, идущих с Востока.

Второе обстоятельство, которое должно быть отмечено, — это принципиальная разница между торговлей капиталистического общества и торговлей, существовавшей в более архаических обществах. Исследования К. Поляньи и его учеников показали, что в этих обществах торговля, как правило, была тесно связана с политикой, торговые связи осуществлялись под контролем государства, а основная доля доходов (в той или иной форме) доставалась верхушке общества, контролировавшей торговлю. Торговля между различными политическими образованиями была ориентирована не на удовлетворение потребностей общества в целом, а только господствующего слоя[58]. Насколько мы можем видеть, именно таковой была ситуация в это время. Государство активно контролировало торговлю, и эта торговля была ориентирована на удовлетворение потребностей высших слоев Римского государства (XII, I, 13).

Наконец, необходимо отметить еще одно обстоятельство. В современной литературе при исследовании древней торговли четко проводится различие между двумя ее видами: транзитной и терминальной[59]. При этом отмечалось, что наиболее выгодной для контрагентов является терминальная торговля, когда товары из одной страны поступают в другую, минуя посредников. Транзитная же торговля, когда товары несколько раз переходят из рук в руки и каждый новый владелец товара стремится, перепродавая его, получить свою долю прибыли, много менее выгодная для тех контрагентов, которые находятся на концах этой цепочки. Рассматривая под этим углом зрения торговлю Рима с Востоком, мы должны будем констатировать, что только южный путь (и то только для части товаров) обеспечивал торговлю терминального типа.

Наконец, еще одно наблюдение. Можно полагать, что торговля

---

[57] M. Finley, Ancient economy..., с. 78,

[58] См. Trade and market in Early Empire: Economies in history and theory, ed by Poliani; Arensberg G. M. Pearson H. W. Glencol, 1957; Primitive archaio and Economes: Essays of Karl Poliani, ed by Dalton, Garden city, 1968; о школе К. Поляньи см. Г. А. Кашеленко, Экономика древней Греции в современной зарубежной литературе, в кн.: Древний Восток и античный мир, М., 1980, с. 125—118.

[59] R. Wheeler, Rome beyond the Imperial frontiers, London, 1975, с. 164; Г. П. Акопян, Древняя Армения..., с. 79.

Рима с Востоком была весьма велика по объему. Если мы вспомним приводившееся выше свидетельство Страбона о количестве кораблей, плававших из Египта в Индию в его время и учтем, что средний тоннаж античных кораблей был равен среднему тоннажу парусных кораблей XVIII века[60], то неизбежным будет вывод о весьма значительных масштабах торговли. Это соображение подтверждается свидетельствами древних авторов о количестве римской монеты, уходящей на Восток в результате этой торговли (Pe VI, 101; XII, 86; Tac Ann. III, 53). Видимо, сравнимы были по объему морская и сухопутная торговля.

Все это позволяет нам сделать следующие выводы. Международная торговля (в частности, торговля Рима с Востоком) в некоторых важных отношениях отличалась от внутренней торговли (в данном случае — средиземноморской). Важнейшим ее отличием было то, что здесь объектами торговли являлись, главным образом, предметы роскоши. Однако нельзя считать, что эта торговля не удовлетворяла жизненные потребности общества. Если внутренняя торговля удовлетворяла главным образом экономические потребности общества, то международная — социальные. Господствующие слои нуждались в предметах роскоши как внешних знаках своего социального статуса. Именно поэтому, несмотря на то, что эта торговля приводила к значительным тратам денежных средств, она активно развивалась и поддерживалась государством, удовлетворявшим интересы господствующих слоев. Внешняя торговля была жизненно необходима господствующим слоям Рима. В этом контексте, по всей видимости, необходимо рассматривать и внешнюю политику Рима. Хотя многие современные исследователи[61] считают, что войны Рима на Востоке (в частности, с Парфией) определялись только политическими и стратегическими соображениями, для нас является несомненным, что среди факторов, определявших эту политику, были и экономические — стремление поставить под свой контроль торговые пути. Торговля с Востоком была очень важна и объемы ее значительны, разница в стоимости товаров при разных типах торговли очень велика. Все это заставляло римлян стремиться к возможно более полному овладению торговыми путями. Поэтому при анализе римской политики на Востоке необходимо учитывать и торговый фактор.

Представлена отделом истории древней Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

[60] Rouge, La marine dans l'antiquite, Paris, 1975.

[61] См., например, M. G. Raschve, New studies..., с. 644.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ხოშტარია (ბროსე)

ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის

ბექასა და აღბუღას სამართლის ტექსტების შესწავლისა და პუბლიკაციის დღევანდელი დონე, განსაკუთრებით კი ი. დოლიძის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგები — სამართლის წიგნის ნუსხების პარალელური გამოცემა სათანადო მონოგრაფიული გამოკვლევითურთ[1] და ვ. დონდუასთან ერთად შესრულებული რუსული თარგმანის პუბლიკაცია[2] გვაძლევს შესაძლებლობას გავაღრმავოთ ამ უძვირფასესი ძეგლის ტექსტოლოგიური თუ წყაროთმცოდნეობითი კვლევა. ამისი საჭიროება კი აშკარად იგრძნობა, ვინაიდან არამარტო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ძეგლის ნუსხათა წარმომავლობის თუ ღირსება-ნაკლოვანებების თაობაზე, არამედ დგება საკითხი სამართლის მთელი რიგი მუხლების გაგებასა და შინაარსობრივ გამართვასთან დაკავშირებით; ამ მიმართულებით წარმოებული ჩაღრმავებული კვლევა კი არამარტო პირობაა თავდაპირველი ტექსტის შესაძლებლობისგვარად კრიტიკული დადგენისა, არამედ შუქს ფენს ზოგიერთი ფეოდალური სოციალური ინსტიტუტების არსსა და დიპლომატიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

ვინაიდან ზემოაღნიშნულის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ ჩვენამდე მოღწეული ნუსხებიდან რომელია თავდაპირველ ტექსტთან უფრო ახლოს მდგომი და უფრო სანდო, პირველყოვლისა ვეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

ბექასა და აღბუღას სამართლის ტექსტი არაერთი მკვლევრის დაკვირვების და შესწავლის საგანი გამხდარა (დ. ბაქრაძე, ნ. ურბნელი, ივ. ჯავახიშვილი, ალ. ვაჩეიშვილი, ივ. სურგულაძე, ა. კიკვიძე). როგორც ითქვა, უკანასკნელად ძეგლი მონოგრაფიულად შეისწავლა და გამოსცა ი. დოლიძემ, ხოლო ამის შემდგომ ძეგლის საფუძველზე XIII—XIV საუკუნეების საქართველოს სოციალური წყობილების შესახებ მონოგრაფია გამოაქვეყნა ზ. რატიანმა[3].

ტექსტის გამომცემელი ი. დოლიძე 1672 წ. ნუსხას (Q—206), რომელიც ნუსხა-ხუცურით არის ნაწერი, A ლიტერით აღნიშნავს, ხოლო მეორე ნუსხას, რომელიც ვახტანგის კოდიკოშია შესული სამართლის სხვა ძეგლებთან ერთად (S 3683) და მხედრულით არის ნაწერი, B ლიტერით აღნიშნავს.

ამ ნუსხების შედარებითი შესწავლის საფუძველზე ი. დოლიძე შემდეგ დასკვნებს აკეთებს: „1672 წლის ხელნაწერის გაცნობამ და ვახტანგის კრე-

---

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

[2] Судебник Бека и Агбуга, грузинский текст, введение И. С. Долидзе, перевод В. Д. Дондуа и И. С. Долидзе, Тб., 1960.

[3] ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), თბ., 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულის S—3683 ხელნაწერთან შედარებამ ცხადყო, რომ 1672 წლის ხელნაწერშიც ძეგლის თავდაპირველი ტექსტი ყველგან დაცული არ არის და საკმაოდ დაზიანებულია. აღმოჩნდა, რომ მუხლების ზოგი ნაწილი უკეთესად იკითხება ვახტანგის კრებულის ხელნაწერებში....

ვახტანგის კრებულის ნუსხასთან შედარებით 1672 წლის ხელნაწერი წარმოადგენს ტექსტის მოკლე რედაქციას. ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას ტექსტში ვრცელი ახსნა-განმარტებანი შეუტანია, რის გამო ვახტანგის კრებულის ხელნაწერის ტექსტი მოცულობით დიდად აღემატება 1672 წლის ნუსხის ტექსტს. კომენტარების სახით შეტანილია მთელი რიგი წინადადებანი და ზოგიერთი ძველი ტერმინი შეცვლილია ახალი ტერმინებით"[4].

ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხათა შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ზ. რატიანს. იგი მიიჩნევს, რომ ვახტანგის კომისიის ხელიდან გამოსული ნუსხა (B) 1672 წლის ნუსხასთან (A) შედარებით უფრო ძველი ნუსხიდან მომდინარეობს და ამდენად უფრო გამართული და სანდოცაა. მაგრამ, თუ კი A ნუსხა კერძოდ სამცხე-საათაბაგოსათვის იყო განკუთვნილი და თავიდან წარმოდგენილი იყო შეკუმშული სახით, B ნუსხა არის არა ვახტანგისეული კომენტირების შედეგი, არამედ ადრევე გადაკეთებული (შესწორებულ-რედაქტირებული) ვარიანტი, გამართული მთელი საქართველოს ვითარების შესაბამისად, რომლიდანაც ამოღებული იქნა სამცხისათვის სპეციფიური მომენტები (კერძოდ, სამართლის „მოქმედების ასპარეზის მაჩვენებელი ცნობები" — სამცხის თემების დასახელება)[5].

ავტორის აზრით, ასეთი გადაკეთება დაემთხვა ბექა-აღბუღას სამართლისათვის დამატებითი მუხლების (იგულისხმება ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი" და „კანონიკური სამართალი") დართვას, რაც „მომხდარა XIV საუკუნის 60—80-იან წლებში, ე. ი. მეფე ბაგრატ V დიდის (1360—1393) დროს".

ზ. რატიანი დასძენს: „თავისთავად ცხადია, რომ კანონმდებლები, რომლებიც ბექა-აღბუღას სამართალსა და ბაგრატ-დავითის სამართლის ახალ რედაქციას შეაერთებდნენ, მექანიკურად კი არ გადაბამდნენ მათ ერთმანეთზე, არამედ ორივენი კანონს გარკვეულ რედაქციას გაუკეთებდნენ, რათა მათი შინაარსი, შეძლებისდაგვარად, ერთმანეთისათვის შეეთანხმებინათ და, ამრიგად, მთელი საქართველოსათვის გამიზნული ერთიანი სამართალი შეექმნათ. ამით აიხსნება იმ ცვლილებების, კერძოდ კი ე. წ. „კომენტარების" არსებობა B ვარიანტში, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი...

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ხსენებულ რედაქტორებს არც ბექა-აღბუღას სამართალში და არც ბაგრატ-დავითის სამართლის ახალ რედაქციაში, მათი შეერთების დროს, არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ, ხსენებულ კანონთა ავტორების სახელებიც არ ამოუშლიათ და მხოლოდ რედაქციული

---

[4] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 72—73. ამავე წიგნში ი. დოლიძეს მოაქვს ა. შანიძის თვალსაზრისიც სამართლის ნუსხათა ერთმანეთთან მიმართების შესახებ, საიდანაც ანალოგიური დასკვნა გამომდინარეობს (იქვე, გვ. 284).

[5] ზ. რატიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათის აუცილებელი ცვლილებებით და ე. წ. „კომენტარებით“ დაკმაყოფილებულან“[6].

ამრიგად, როგორც ი. დოლიძე, ასევე ზ. რატიანი A ტექსტს მიიჩნევენ ბექასა და აღბუღას სამართლის მოკლე ვარიანტად, ხოლო B ტექსტს გავრცობილ-რედაქტირებულ თუ კომენტირებულ ვარიანტად, მხოლოდ ი. დოლიძის აზრით, ეს გადაკეთება მოხდა ვახტანგ VI-ის, ხოლო ზ. რატიანის მიხედვით კი ბაგრატ V-ის დროს.

ჩვენთვის საინტერესო ძეგლის თანამიმდევრული ტექსტოლოგიური ანალიზის წარმოდგენამდე გვინდა შევეხოთ სამართლის ერთ მუხლს, რომლის შინაარსი, ვფიქრობთ, შეიცავს არსებითი ხასიათის დეტალებს საერთოდ ძეგლის შევსება-გადაკეთების საკითხთან დაკავშირებით.

33 თუ კაცმან კაცსა ციხესა ანუ საჯდომსა უღალატოს, და ბატონმან შეიგნეს, საჯდომი მემამულესავე მისცეს. და რაზომცა კაცი ციხის ბატონსა შიგან დახუდეს, ყველასაგან ორთა უთავადესთა კაცთა სისხლი დაუურვონ და წანაღებიცა გარე შაუქციონ. ფიცით გამოიჩინონ, მგზავსიერი თქუას და არა მოდებული.

33 თუ მინდობილმან კაცმან დედა-წულთა გვერდით ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა უღალატოს, რა პატრონმან მაწყვერელმან სცნას, ციხე და საჯდომი განაღამცა მემამულესავე მისცენ. და სამართლითა რაზომიცა კაცი მას დღესა ციხის პატრონსა შიგან დაუხვდეს, ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს, ამად რომე ციხისა საქმე საპატიო არის, და რაცა სასაქონლო, რა გინდა რა გვარი წაეღოს, გარე შეაქციოს, რაცა მემამულემან ფიცით გამოიჩინოს და მსგავსიერი თქვას, არა მოდებული.

თუ დაუნდობარმან კაცმან ბატონსა უღალატოს, მტერმან, საპატიჟო აღარ მართებს და ერთისა უთავადესთა სისხლი დაუურვოს.

და თუ დაუნდობელმან და მტერმან კაცმან უღალატოს, პატრონთა საპატიჟო აღარა მართებს და ერთის უთავადესისა სისხლი დაუურვოს.

როგორც ვხედავთ, მოცემულ მუხლში ისეთ დანაშაულზეა ლაპარაკი, რომელიც საჯარო ხელისუფლების ჩარევას და არამარტო ზარალის „დაურვებას“, არამედ სათანადო სასჯელსაც — „საპატიჟოს“ გულისხმობს ხელისუფლის სასარგებლოდ, და ეს ხელისუფალი B ნუსხაში ერთ შემთხვევაში პატრონი მაწყვერელის (თუ „პატრონის და მაწყვერელის“?) სახითაა წარმოდგენილი, მეორეში კი „პატრონთა“ სახით („პატრონთა საპატიჟო აღარ მართებს“). A ნუსხაში მათზე მითითება არა გვაქვს.

ეჭვი არ არის, რომ B ტექსტს რაიმე გადაკეთება თუ რედაქტირება რომ განეცადა ან ბაგრატ V-ის დროს — მისი მთლიანად საქართველოს ვითარების შესაბამისად გამართვის მიზნით, ან ვახტანგ VI-ის ხელში — „კომენტირების“ გზით, მის დროის მოთხოვნათა თვალსაზრისით, არც ერთსა და არც მეორე შემთხვევაში არ იქნებოდა აუცილებელი და გამართლებული ტექსტში მაწყვერელის ან და „პატრონთა“ (რომლებშიც იგივე მაწყვერელი და ათაბაგი იგულისხმებიან) დატოვება და მით უმეტეს შეტანა.

უთუოდ ნიშანდობლივია, რომ ამ მუხლში სწორედ A ნუსხაშია გამოტოვებული როგორც მაწყვერელის, ასევე „პატრონთა“ ხსენება. მაშ რა საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ ეს ტექსტი მივიჩნიოთ თავდაპირველთან უფრო ახლო

[6] ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50—51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომად, ხოლო B ტექსტი რედაქტირებულ-გადაკეთებულად? ბუნებრივად იბადება კითხვა — სინამდვილეში პირიქით ხომ არ იყო?

ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითი იძლევა საფუძველს საკითხის ასეთი დაყენებისათვის, რასაც ადასტურებს საერთოდ ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ტექსტოლოგიური ანალიზიც და მთელი რიგი კონკრეტული რეალიები[7].

თავდაპირველად შევეხებით ნუსხათა ტერმინოლოგიას. ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული და მეტად ნიშანდობლივი ტერმინია „პატრონი“ თუ „ბატონი“. ორივე ნუსხაში ძეგლის შესავალ ნაწილში რჯულმდებელნი ბექაცა და აღბუღაც „პატრონებად“ არიან მოხსენიებულნი, მაგრამ აქვე A-ში გამოყენებულია სიტყვა „პატონიც“. ძეგლის პირველ მუხლებში A—რედაქცია სიუზერენის მნიშვნელობით ხმარობს „პატონს“, B კი „პატრონს“. უფრო ქვემოთ A ნუსხის გადამწერი უპირატესობას აძლევს ტერმინ „ბატონს“, ხოლო B-სი თანამიმდევრულად ისევე „პატრონს“ იყენებს, გარდა ცნებისა „მკვიდრი ბატონი“, რომელიც ორივე ვარიანტში ყველა შემთხვევაში ასეა წარმოდგენილი. რაიმე საქონლის ან ნივთის მფლობელად ორივეგან „პატრონია“ ნახმარი.

ამგვარად, სიუზერენის გაგებით „პატრონი“ B რედაქციისათვის უფრო კანონზომიერი ტერმინია; გამონაკლისს ვხვდებით მხოლოდ 84-ე მუხლში, სადაც A ვარიანტში „საპატრონო სამდურავი“ გვაქვს, ხოლო B-ში კი „საბატონო სამდურავი“, რაც ზემოთაღნიშნული კანონზომიერებიდან ერთადერთი გადახვევაა. სხვა მხრივ კი ამ თვალსაზრისით, გვიანდელი რედაქტირების, კერძოდ კი ვახტანგ VI-ის ხელი B ნუსხაში არ შეიმჩნევა. ნიშანდობლივია, რომ თვით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სიუზერენის მნიშვნელობით სწორედ „ბატონი“ იხმარება, ხოლო „პატრონი“ უფრო რაიმეს მფლობელის, მეპატრონის მნიშვნელობით გვხვდება („მამულის პატრონი“ — მუხლი 55,244, „საქონლის პატრონი“ — მუხლი 245; „ქალის პატრონი“ — მუხლი 69 და სხვა).

ეჭვს არ იწვევს, რომ „ბატონი“ უფრო გვიანი დროის ტერმინია, მაგრამ ამჟამად ღიად გვრჩება საკითხი თუ რით აიხსნება „ბატონის“ პარალელურად „პატონის“ შეტანა ტექსტში. სათანადო საბუთიანობის უკმარისობის გამო ამჯერად მისი დაკავშირება მეგრულ „პატონთან“ ჭირს, თუმცა გამორიცხულად არც ეს გვეჩვენება.

საერთოდ A ტექსტისათვის B-სთან შედარებით დამახასიათებელია გვიანი დროის ტერმინების თუ ცნებების ხმარება (ქვემოთ პირველად მოგვაქვს A ნუსხის ვარიანტები, შემდეგ კი B-სი):

შესავალში: **„ყაზანურობა აღარ იყო“ — „ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო“.**

მუხლი 18: **„დაიჭიროს“. — „იმჯნოს და შეიპყრას“.**

---

[7] ზ. რატიანის ერთ-ერთი არგუმენტი იმის სამტკიცებლად, რომ B ვარიანტი არის ბაგრატ V-ის დროს გადაკეთებული მთელი საქართველოს ვითარების შესაბამისად, იმაში მდგომარეობს, რომ B ნუსხაში არ არის სამართლის „მოქმედების ასპარეზის მაჩვენებელი ცნობები“ — კერძოდ სამცხის თემების დასახელება, რაც A ნუსხაში გვაქვს. მაგრამ, ეს დასახელება, ხომ შესავლის დასაწყისშია მოცემული, რაც B ნუსხაში დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ და არა საგანგებოდ გამოტოვებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, თუ რატომ დატოვეს „გადამკეთებლებმა“ შესავლის დანარჩენი ნაწილი, სადაც სახეზეა სამცხეზე მიმანიშნებელი სხვა რეალიები, მაგ., ჭულევი — სამართლის დამდგენთა — აღბუღას და სხვების შეყრის ადგილი; აქვეა აწყურის ღვთისშობლის ტაძრის ხსენება და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 24 : „მოახლე“ — „სეფე ქალი“.

თუმცა „სეფე-ქალი“ ნაცნობია ორივე ნუსხისათვის (მუხლი 73).

მუხლი 30 : „უკეთესი ცოლი“ — „უსაბატიოესი ცოლი“.

თუმცა ტერმინი „საბატიო“||„საპატიო“ გვხვდება ორივე ნუსხაში (მუხლი 6 და სხვა).

მუხლი 45: „მამულისა გაყიდვა“ — „საკარგავისა გაყიდვა“.

ტერმინი „სამამულო“ ორივე ნუსხაში გვხვდება (მაგ., მუხლი 46), მაგრამ A ტექსტი საერთოდ არ იცნობს „საკარგავს“ (შეად. მუხლი 55)*.

მუხლი 47 : „იგიცა მიუბრუნონ“ — „იგიცა გარევე შეაქციონ“.

მუხლი 56 : „მიწა“ — „საგლეხო ფუძე“.

ტერმინი „ფუზე|| ფუძე“ გვხვდება A ნუსხაშიც (იგივე მუხლი 56).

მუხლი 58 : „კარგად გამონახვით“ — „კარგად მოკლებით“.

თუმცა გვაქვს ორივეგან „მოკლება“ (მუხლი 59) და პირიქითაც: A-ში „მოიკლოს“ — B-ში „მოიკითხოს“ (მუხლი 54).

მუხლი 85 : „მართალი“ — „დასტური“.

მუხლი 87 : „მისცეს დაუკლებლად“ — „უზღოს დაუკლებლად“. თუმცა გვაქვს: „უზღოს“ — „დაუურვოს“ (მუხლი 88).

მუხლი 93 : „პური აიღოს“. — „პური ივალოს“.

მუხლი 94 : „თეთრი აიღოს“ — „თეთრი ავალოს“.

A ნუსხაში შეიმჩნევა B ნუსხაში შემორჩენილი ზოგიერთი მონოლოლური (თათრული) სიტყვების გაქრობა:

მუხლი 66 : „ნახედნი“ — „ინჯუ“.

„თუ მომსყიდველი მართლად ვერ უჩუენოს, თჳთ მეკობრე იგია...“	„და თუ ულამი ვერ გაართვას, მართლად მყოფი, მეკობრე იგი არის...“

A და B ნუსხების ტექსტოლოგიური შეჯერება პირველყოვლისა გვაძლევს სხვაობას ძეგლის სისრულის თვალსაზრისით, კერძოდ A ნუსხაში, ბექას სამართლის ნაწილში განსაკუთრებით და ძირითადად, შეიმჩნევა ტენდენცია მუხლების შეკვეცის თუ შემოკლებისა — ან უპირატესად ბოლოში მუხლის განმარტებითი ფრაზების გამოტოვებით (მუხლები: 9, 30, 34, 40, 41, 57, 60, 62) ანდა ტექსტის შემოკლებული პერიფრაზირების გზით (მუხლები — ბექას სამართალში: 6, 10, 13, 25, 26, 32, 33, 35, 36, 37, 38, 39, 43, 44, 46, 49, 50, 52, 58, 61, 63, 64; აღბუღას სამართალში: 66, 77, 81, 82, 88, 92, 96).

ეს კარგად გამოჩნდა ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოტანილ 33-ე მუხლიდან, მაგრამ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ორიოდე მუხლს:

37 თუ კაცი კაცსა სახლსა მისისა გლეხისასა დაესხას, დასხმისა წესი დაუურვოს.	37 თუ კაცსა საჯდომისა სიახლესა მისსა გლეხსა დაესხას და სადა ჯმა მისწვდებოდესთ, ვითა ზედა-დასხმის წესი დაუურვოს.
და ალაფისა ფიცი ლაშქართა მართებს.	ფიცითა ალაფსა ლაშქართა მართებს და, თუ ორთავე სწორედ ერბიოს, თავისათვის დაიფიცოს ალაფი.
თუ მძიმე ალაფი იყოს, ფიციცა მძიმე უნდა.	თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა;
და ფიცსა შინა დასახელება უნდა.	ფიცსა შიგა დასახელებული და დაუსახელებელები მოფიცართა წესია.

* ამასთან დაკავშირებით იხ. შენიშვნა წერილის ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 თუ კაცნი უმზრახნი შემოეყარნენ, თუ ერთმან გარიდნეს, მეორე ნუღარ მისდევს. თუ მიჰყვეს და მოკლას, ორკეცი სისხლია.	38 თუ კაცნი, — საპატიონი გინა ქვემონი, — უმზრახნი გზად წინ შეიმთხვევნენ და [ერთმან] გარიდნეს გზა, იგი მეორე თუ პირს ევნების და იკადროს და აუგიანი და გარიდებული მოკლას, ორი კეცი სისხლი დაუურვოს.
თუ შეიყარნენ და ერთმან ერთი მოკლას, მეორემან მართალი სისხლი დაუურვოს.	და თუ არა რომელმან გარიდნეს და შემთხვევითა რომელმან მოკლას და ღმერთი გაურისხდეს, ერთი სისხლი დაუურვოს.

გვაქვს შემთხვევები, როცა A ნუსხაში ტექსტის შემოკლება-შეკვეცის შედეგად აზრი მახინჯდება (მუხლი 41, 57 და სხვა), თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგ შემთხვევაში A ნუსხაში ტექსტი უფრო გამართულია, ვიდრე B-ში.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ, რომ B ნუსხა კი არ არის ძეგლის განვრცობილი რედაქცია, არამედ პირიქით, A ნუსხაა ძეგლის შეკვეცა-შემოკლების შედეგი. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი გადაკეთება სამართლის წიგნმა განიცადა შედარებით გვიან, მის მთელ საქართველოსათვის შესაბამის საკანონმდებლო ძეგლად გამოყენებისას. შემთხვევით არ უნდა იყოს ამ თვალსაზრისით სწორედ A ნუსხაში, 33-ე მუხლში და არა შესავალში და პირველ მუხლებში სამცხეზე მიმანიშნებელი რეალიების გამოტოვება, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

შინაარსობრივი გამართულობის მხრივ ნუსხათა შეჯერების დროს თვალში საცემია სამართლის პირველივე მუხლის პირველივე ფრაზა, სადაც აშკარად ჩანს B-ს უპირატესობა A-სთან; ასეთი ვითარება შეინიშნება სხვა მუხლებშიც:

1 თუ შერისხდეს ღმერთი ეშმაკსა და კაცმან კაცი მოკლას[8]...	1 თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და მანქანებითა კაცმან კაცი მოკლას...
16 მონაზონისა და დედაკაცისა შუა-მავალი მოკლან, ორკეცი სისხლი დაუურვონ...[9]	16 მონაზონისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკვდეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს...
33 უციხოს, ქუაბს ზემოთ რომე სწერია დამსხმელობისა, იგივე წესი დაუურვოს...[10]	33 უციხოსა და უსაბატიოს, უქვეობისა ზემოთ რომე სწერია დამსხმელისა, იგივე წესი დაუურვოს...
43 თუ კაცსა კაცისა მიწა საწინდარი ჰქონდეს....[11]	43 თუ კაცსა კაცისაგან საკმარი მიწა წინდად ჰქონდეს...
50 თუ ცოლმან ქმარსა ანუ დედაკაცმან დედაკაცისა ქმარსა შეჰყივლოს, ვითა: „ჩემი ქმარი შენს ცოლთან არის-ო“[12]...	50 თუ ცოლმან ქმარსა გაუპირდეს, დედაკაცსა ანუ დედაკაცისა ქმარსა შესჩივლოს ვითა: „ესე ჩემი ქმარი შენსა თანა არის-ო“.

---

[8] ცხადია, აქ ეშმაკის შერისხვაზე კი არა, კაცის შერისხვაზეა ლაპარაკი, რომელიც ეშმაკის ბირებით კლავს მეორე კაცს, როგორც ეს B ტექსტშია.

[9] უეჭველია, რომ აქ ლაპარაკია არა მონაზვნის და დედაკაცის შუამავალზე, არამედ გამშველებელ მონაზონსა და დედაკაცზე, მათ სისხლზე.

[10] ამ მუხლში მარტივად სიტყვების მექანიკურ, უაზრო შეერთებასთან გვაქვს საქმე. „ქვაბი“ აქ აშკარა გაუგებრობაა და „უქვეობისაგან“ მივიღეთ.

[11] ამ შემთხვევაშიც B ტექსტი უფრო გამართული ჩანს.

[12] აქ ტექსტი აშკარად ნაკლულია და B-ში ნახმარი სიტყვის „გაუპირდეს“ გარეშე უაზრობა გამოდის. თავის მხრივ B-ში სიტყვა „შესჩივლოს“ ნახმარია სიტყვის „შეჰყივლოს“ მაგიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67 თუ კაცმან კაცის საქმე წაიღოს რამე და წაუჯდეს რამე...[13]

88 თუ კაცმან კაცსა დაჭირებისა ჟამსა საქონელი სთხოოს, განაღამცა მისცა, მერმე უკანის სამდურავისათჳს დახუთვასა არას ემართლების[14].

97 თუ გაძარცოს და შიგან კიდეცა მოეკლას ვაჭარივე, ორკეცი სისხლი შეზღოს და ორკეცი საქონელი[15].

98 თუ დარბაზის კაცსა მცირე სისხლით კაცი ჰყვეს...

67 თუ კაცსა კაცისა საქმითა წაეღოს ვისგან რამე და წაუჯდეს...

88 თუ კაცმან კაცს რა გინდა რა ამანათი შეევედროს, დაჭირებისა ჟამსა სთხოოს, განაღამცა მისცეს, სამდურავისათვის დაჭირვას, დახუთვას არას ემართლების.

97 და თუ გაძარცვასა შიგან კიდეცა მოკლას ვაჭარივე, ორკეცი სისხლი უზღოს და საქონელი აგრეევე სრულიად.

98 თუ დარბაზის კაცსა სისხლ-მცირე კაცი ყვეს..

მაგრამ, ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში B ნუსხაში უკეთ არის თავდაპირველი ტექსტი შემონახული, ვიდრე A-ში.

იმ მუხლებიდან, რომლებიც გვეხმარება არამარტო A ნუსხის გაგებაში B-ს საშუალებით, არამედ პირიქითაც, მოვიყვანთ 54-ე მუხლს:

54 თუ კაცმან კაცისა მამული გააკაცრიელოს რგუთა ანუ ნაგებითა [ობლობისა] და გარდახუეწისათჳს რომე მამული მან მოიკლოს, დაჭირვასა არას ემართლების, ნახევარი ფასი მისცეს.

54 თუ კაცმან კაცისა მიწა [გააკაცრიელოს] გინა ნაშრომითა, გინა ნაგებითა, გინა ნარგევითა ანუ ობლობისათვის, ანუ გარდახვეწისათვის, რა მემამულემან მოიკითხოს, დაჭირვას არას ემართლების, ნაქმრის ფასი მისცეს და ადგილი მემამულესავე მართებს.

ცხადია, B-ს აშკარად აკლია სიტყვა „გაკაცრიელოს“ ხოლო A-ში ფრაზა— „რომე მამული მან მოიკლოს“ უნდა იყოს დამახინჯებული „რა მემამულემან მოიკლოს“. ამასთან A ტექსტის „ნახევარი ფასი“ უნდა გასწორდეს: „ნაქმრის ფასი“, როგორც ეს B — ტექსტშია.

ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით დაწვრილებით გვინდა განვიხილოთ ორი მუხლი, სადაც კარგად ჩანს ამ ნუსხათა ღირსება-ნაკლოვანებანი და კერძოდ B ნუსხის უპირატესობა A-სთან შედარებით:

41 თუ კაცი ხუცის ცოლთან დასტურად ყოფილ იყოს და ხუცესმან შეიგნეს, თუ წირვა დადვას, ცოლი არ დააგდოს, სრული სისხლი წირვისათჳს დაუურვოს.

თუ დააგდოს, — ნახევარი სისხლი ცოლის განქიქებისათჳს, ამად რომე ძნელსა ყოფასა დაებმის.

41 თუ კაცმან ხუცისა ცოლსა უაშიყოს და დასტურად თანა-ყოფა გამოჩნდეს, და ხუცესმან შეუგნეს, თუ წირვა დააგდოს, ცოლი რასათვისმე არა დააგდოს, სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუურვოს.

და[16] ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვის დაუურვოს.

და თუ კიდე წაეგვაროს, მაშინაც სრული სისხლი დაუურვოს, ამად რომე ძნელსა ყოფასა დაებმის, — ანუ ჩოჯასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგნობითა და კრძალვით.

---

[13] უეჭველია, რომ აქ კაცის „საქმის წაღება“ კი არ უნდა იყოს, არამედ ლაპარაკია რაიმეს წაღებაზე „საქმით“, ანუ შეთანხმებით, გარიგებით.

[14] დაჭირება არ არის საკმაო საფუძველი კაცისათვის რაიმეს თხოვნისათვის, მაგრამ თუ კაცს კაცისათვის რამე მიბარებული აქვს, მაშინ დაჭირების ჟამს მისი თხოვა ბუნებრივია (B ვარიანტში).

[15] ამ შემთხვევაშიც ტექსტი უბრალოდ ენობრივადაა გაუმართავი.

[16] აქ ი. დოლიძე აღადგენს: [თუ ცოლი დააგდოს], რაც ჩვენ ზედმეტად და არა საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, A რედაქციაში 42-ე მუხლი ბოლოს შეკვეცილი და შინაარსობრივადაც დამახინჯებულია. B ნუსხაში მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია ხუცესის მიერ წირვის დაგდებსათვის მისთვის მთელი სისხლის და მისი ცოლის განქიქებისათვის ნახევარი სისხლის დაურვებაზე, ხოლო მეორე ნაწილში კი, — იმ შემთხვევაში თუ კი ხუცესს ცოლს მაინც წაგვრიდნენ, — წირვის დაგდებისათვის მთელი სისხლის დაურვების გარდა, არა ნახევრის, არამედ კიდევ მთელი სისხლის დაურვებაზე, რადგან ხუცესი „ძნელსა ყოფასა დაებმის“.

A ნუსხაში მუხლის მეორე ნაწილის აუცილებელი დეტალები გამოტოვებულია და ფრაზების მექანიკურ უაზრო შეკვეცასთან გვაქვს საქმე, რაც ტექსტს შინაარსობლივად ამახინჯებს.

ანალოგიური ვითარება გვაქვს 60-ე მუხლშიც:

60 თუ კაცმან კაცსა წიგნი მისცეს, და ანუ ბატონმან უბოძოს, და ჴელი ერთოს საჯერობისა, მისვე კაცისაგან გაცხადებით აგრეთვე ჴელი შიგა ერთოს, ისი უკანა წიგნი გათავებს პირველსა.

60 რა გინდა სასაქმოე წიგნი მისცეს, გინა პატრონმან უბოძოს რასათვისვე, და ერთოს საპატიოთა კაცთა, მოლოზანთა ჴელი, ერისგანთ საჯერობისათვის, ჴელი, მისვე კაცისგან განცხადებითა წერილი და აგრეთვე ჴელებიცა ერთოს. და მალვითა მისცეს, იგი უკანის გააცუდებს მას პირველსა.

თუ მალვით მიცემულია და ჴელი არა ერთოს, იგიცა დია პირველივე უმტკიცეა.

და თუ მალვით ქვე ჟამით მიეცეს და არცა ვისი ჴელი ერთოს, იგი ცუდია, და პირველივე უმტკიცე იქნების.

მოტანილი მუხლი ორივე ნუსხაში არ არის მთლად გამართული და მასში მოცემული ზოგიერთ ნიუანსში გარკვევა ჭირს. სახელდობრ, ბუდოვანია ის, თუ რა უპირატესობა ეძლევა პირველ შემთხვევაში კაცის მიერ კაცისათვის მიცემულ ან ბატონის თუ პატრონის მიერ გაცემულ საბუთს, მით უმეტეს, რომ ბექას ერთი და იმავე მუხლის ერთ ვარიანტში წიგნის „გათავებაა“ მოცემული და მეორეში „გაცუდება“.

ბექას სამართლის 60-ე მუხლის მოკლე (A) ვარიანტს ი. დოლიძე და ვ. დონდუა შემდეგნაირად თარგმნიან: „Если человек дает человеку деловую бумагу или патрон жалует ее и к ней приложена утверждающая рука, причем к ней приложены руки и свидетелей, то такая бумага делает недействительной ранее данную.

А если бумага дана скритно—и рука к ней не приложена, то, конечно, ранее выданная будет действительной“[17].

გაუგებარია, თუკი თარგმნისას საფუძვლად A ნუსხაა აღებული, რატომაა მოტანილ თარგმანში ტექსტის „გათავება“ რუსულად გააზრებული, როგორც „делает недействительной“? ცხადია, რომ ჩვენ ან ერთ ვარიანტს უნდა მივცეთ უპირატესობა, ან მეორეს, ვინაიდან „გათავება“ „გაცუდების“ დიამეტრალუ-

---

როდ გვეჩვენება. ასეთი ჩანართი გაკეთებულია A ვარიანტის გავლენით და აქ ტექსტის შინაარსს ამახინჯებს.

[17] Судебник Бека и Агбуга, Грузинский текст, введение И. С. Долидзе, перевод В. Д. Дондуа и И. С. Долидзе, Тб., 1960, გვ. 57—58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად საწინააღმდეგო შინაარსის მატარებელი სიტყვაა და ნიშნავს შესრულებას, დამტკიცებას (შეადარე ბექას სამართლის 57-ე მუხლი: „ანდერძი რომელმან კაცმან თქვას, მისსა სიკვდილისა შემოდგომადღა იქნების მტკიცე და დადასტურებული, თუ არა, სიცოცხლესა შინა ორივე ჯელეწიფების, — გინა მოშლა, გინა გათავება“).

ვფიქრობთ, რომ განსხვავება ბექას სამართლის 60-ე მუხლის სხვადასხვა ვარიანტში გადამწერის შეცდომით ან ტექსტების სხვანაირი გაგებით თუ გააზრებით არის გამოწვეული, მაგრამ რომელი ვარიანტია სწორე, გადაჭრით ამით თქმა ჭირს.

ერთი კი ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში 60-ე მუხლის ტექსტი ნაკლული სახითაა მოღწეული და მას შინაარსობრივი გამართვა ესაჭიროება.

ერთი შეხედვით, A ვარიანტი უფრო ლაკონური და შინაარსობრივადაც უფრო გამართული უნდა იყოს, მაგრამ აქაც იბადება კითხვა — თუ ერთხელ გაცემულია სათანადოდ გაფორმებული საბუთი, რა პირობებში იქმნება რაღაც მეორე საბუთი, რომელიც „გაათავებს პირველსა“? ის გარემოება, რომ B — ნუსხაში 60-ე მუხლი აზრობრივად ძალზე ბუნდოვანია (ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა მუხლის შინაარსობრივი გაუმართაობა) არ უნდა უჭერდეს მხარს ვარაუდს მისი კომენტირებული სახით მოღწევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კომენტატორი (ვახტანგ VI) მასში რაღაც ლოგიკური აზრის ჩადებას ეცდებოდა. ეს მოწმობს, რომ B რედაქცია მომდინარეობს ბექას სამართლის რომელიღაც ვრცელი ნუსხიდან, რომელიც შესაძლოა A ნუსხაზე თუ მის დედანზე ძველიც კი ყოფილიყო და იგი ვახტანგმა უცვლელად შეიტანა თავის კრებულში, კომენტირების გარეშე.

ქვემოთ ვეცდებით წარმოვადგინოთ 60-ე მუხლის აღდგენის ცდა. ჩვენი აზრით, მუხლის პირველ ნაწილში ორ საბუთზეა ლაპარაკი, რომელთაგანაც მეორე საბუთი გარკვეულ პირობებში აცუდებს პირველს. ეს პირობებია საბუთის მეორედ გაცემა სათანადო ხელრთვების ჩართვით და ამასთან „განცხადებით“ და „არა მალვით“ (თუმცა ტექსტში წერია „მალვით“). თუ ეს მსჯელობა სწორია, 60-ე მუხლში შემდეგი შინაარსი შეიძლება ჩაიდოს: თუ კაცი კაცს სასაქმოე წიგნს მისცემს, ან ის პატრონის მიერ გაიცემა, და ეს წიგნები სათანადოდ არის დამტკიცებული ჯელრთვებით, ხოლო ამის შემდეგ იგივე კაცი (ან პატრონი) მეორე საბუთსაც გასცემს განცხადებით და **არა მალვით**, ასევე სათანადო ხელრთვებით, ეს უკანასკნელი საბუთი გააცუდებს პირველს. ხოლო თუ უფრო გვიან გაიცემა მეორე საბუთი, მალვითა და ჯელჩაურთველად, მაშინ მხოლოდ პირველი საბუთია მტკიცე.

მაგრამ A ვარიანტის გათვალისწინებით არ არის გამორიცხული მეორე შესაძლებლობაც: თუ კაცი კაცს სასაქმოე წიგნს მისცემს, ან ის პატრონის მიერ არის გაცემული და ესენი სათანადოდ არის დამტკიცებული ჯელრთვებით და ამის შემდეგ იგივე კაცი (ან პატრონი) მეორე საბუთსაც გასცემს განცხადებით და **არა მალვით**, ასევე სათანადო ხელრთვებით, ეს უკანასკნელი საბუთი გაათავებს პირველს (ე. ი. დაამტკიცებს მას). ხოლო თუ უფრო გვიან გაიცა მეორე საბუთი, მალვითა და ჯელჩაურთველად, მაშინ ისევ პირველი საბუთია მტკიცე.

ე. ი. ორივე შემთხვევაში რაღაც მეორე საბუთის გაცემაზეა საუბარი — ერთხელ ხელრთვებით, განცხადებებით და არა მალვით, ხოლო მეორეჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯელრთვების გარეშე და მალვით. მაგრამ, ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით იმის მტკიცება, სათანადოდ გაფორმებული და განცხადებით და არა მალვით გაცემული მეორე საბუთი „გაათავებს“ თუ „გააცუდებს“ პირველს. როგორც ცნობილია, პრაქტიკაში არ იყო გამორიცხული არც ერთხელ გაცემული საბუთის ხელმეორედ დადასტურება და არც ამ საბუთის პირობის დარღვევა.

ჩვენ ამ შემთხვევაში გარკვეული უპირატესობა შეიძლება მივცეთ B ვარიანტს მხოლოდ ნუსხათა საერთო ღირსება-ნაკლოვანებათა გათვალისწინებით.

ერთი კი ცხადია, რომ მოცემული მუხლის მიხედვით საბუთი მტკიცეა მაშინ, როდესაც იგი სათანადოდ არის გაფორმებული ჯელის ჩართვითა და იგი გაცემულია განცხადებით და არა მალვით და ასეთ საბუთს „სასაქმოე წიგნი“ ეწოდება[18].

ბექასა და აღბუღას სამართლის ნუსხების ტექსტოლოგიური კვლევა, როგორც ზემოთ დავინახეთ, განსაკუთრებით 60-ე მუხლის განხილვისას, წარმოადგენს პირობას არამარტო ტექსტის დადგენისა, არამედ სამართლის მუხლების შინაარსის თუ სამართლებრივი ნორმების არსის გაგებისაც. ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა შესაძლებლობას იძლევა გაიხსნას არაერთი სოციალური ტერმინის თუ თვით ინსტიტუტის ხასიათი, შინაარსი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ძეგლის მე-16 მუხლიც.

16 მონაზონისა და დედაკაცისა შუა-მავალი მოკლან, ორკეცი სისხლი დაუურვონ, რომლისაცა გუარისა იყოს, და გერშიცა იმავე წესითა.	16. მონოზნისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკვდეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს; გერშიცა ამავე წესიათა.
თუ მეომარი ყოფილიყოს და მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაჰკდეს, ვითარცა ძაღლისა ყეფა.	და თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაკდეს ასრე, ვითა ძაღლის ყეფა.
თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, ორკეცი სისხლი იყოს.	და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, მისიცა ორკეცი სისხლი იყოს.

მოტანილი პარალელური ტექსტიდან ჩანს, რომ მუხლის დასაწყისში მცირე რედაქციული (თუ უფრო ტექნიკური ხასიათის) სხვაობის გარდა, რაშიც B-ნუსხის უპირატესობა A-სთან შედარებით აშკარაა, სხვა მხრივ — ტერმინოლოგიური თუ საერთოდ ფრაზეოლოგიური და შინაარსობლივი თვალსაზრისით ნუსხათა შორის თითქმის სრული იდენტურობა დასტურდება. ეს აშკარად მიგვითითებს, რომ მიუხედავად ჩვენ მიერ ადრე აღნიშნული ტერმინოლოგიური თუ რედაქციული სხვაობებისა (დამახინჯებული ადგილები აქ არ მიიღება მხედველობაში), ორივე ნუსხა ერთი დედნიდან ან დედანთან ახლო მდგომი პირებიდან მომდინარეობენ.

რაც შეეხება მე-16 მუხლის დასაწყისს, აქ ცხადია, არა მონაზონისა და დედაკაცის „შუა-მავალზეა“ ლაპარაკი, როგორც ეს A ნუსხის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ (მით უმეტეს, რომ შუამავლის ანუ შუაკაცის ინსტიტუტიც არსებობდა — იხ. მუხლები 52 და 83), არამედ სწორედ „შუად მისრულზე“ ანუ გამშველებელზე, კერძოდ კი სასულიერო პირზე (მონაზონი, ხუცი) ან

[18] ცნება-ტერმინი „სასაქმოე წიგნის“ შესახებ იხ. ჩვენი წერილი: „წიგნის, როგორც დიპლომატიკური ტერმინის, გაგებისათვის“, „მრავალთავი“, XIII (იბეჭდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალზე, რომელთა სისხლი გაშველების დროს სიკვდილის შემთხვევაში ორკეცად ფასობდა.

ყურადღებას იქცევს ამ მუხლში მოცემული განმარტება, რომლის თანახმად თუ კი „შუად მისრული“ პირი „მეომარი ყოფილიყოს“ მისი სისხლი არ „გარდახდება“, ხოლო თუ „ერისგანია“ — მაშინ კი ორკეცად განისაზღვრება.

ი. დოლიძეს სიტყვა „მეომარი“ ჩხუბში მონაწილედ ესმის და ლექსიკონშიც არც გააქვს, როგორც ცალკე ტერმინი, ხოლო „ერისგანს“ განმარტავს „ერისკაცად“. ვფიქრობთ, მოცემულ კონტექსტში ამ ტერმინების ასეთი გაგება არ არის მართებული.

ჯერ ტერმინი „მეომარის“ შესახებ. იგი, ჩანს, არამარტო ჩხუბში მონაწილე გამშველებელს გულისხმობს, არამედ შეიარაღებულ პირსაც. ეს აშკარად დასტურდება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ 25-ე მუხლით, სადაც ანალოგიური სიტუაციაა მოცემული. აქ ვკითხულობთ: „შუად მონაზონი ანუ მწირველი ხუცესი, ანუ დიაკი მივიდეს, ესრეთ რომე აბჯარი არა ჰქონდეს, და ასეთი მოკლან, ვინც მოკლას, ორკეცი სისხლი დაიურვოს მისსა გუარსა ზედა.

და თუ დიაკი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაკისა სისხლი.

და თუ უბრალო მოკლან, ორი სისხლი დაიურვონ დიაკისათჳს. და გერში ყუელასი სწორე არის: მონაზონთა, ხუცესთა, დიაკისა, მწირველისა...

მონაზონთა, მწირველთა ხუცესთა და დედათა ორკეცი სისხლი არის...“[19]

საყურადღებოა, რომ „ძეგლის დადების“ ამ მუხლში კერძოდ „მეომრად მყოფი“ და „აბჯრის მქონე“ დიაკის სისხლის გაცუდებაზეა მითითება, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ეხება მონაზონს და მწირველ ხუცესსაც, რადგან აბჯრის ტარება, როგორც წესი, აკრძალული ჰქონდათ სასულიერო პირთაც (ყოველ შემთხვევაში დაბალი რანგისაა). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ მუხლის სათაურიც ბექასთან ზოგადია: „შუა მისრულისა კაცისა ასრე იქნას“.

როგორც ვხედავთ, ქალის სისხლი, თუ კი იგი გამშველებლად გვევლინება და მოკლული იქნა, სამღვდელო პირთა თანასწორად განისაზღვრება. მაგრამ თუ კი მას აბჯარი აღმოაჩნდება, ანუ იგი „მეომრად“ წარმოგვიდგება, მისი სისხლი არ წესდება („გარდაჯდეს ვითარცა ძაღლის ყეფა“ — ბექას სამართლით, „გაცუდდეს მის დიაკისა სისხლი“ — „ძეგლის დადებით“).

სასულიერო პირთა მეომართან დაპირისპირების შემთხვევა გვაქვს ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც“ (მუხლი 122), სადაც აღნიშნულია: „მონაზონთა, ხუცესთა და დიაკონთა ნაძარცვი ორკეცია, და მეომართა — არა ამის მეტი.

თუ მოკუდეს, სისხლი არა დააკლდეს“.

---

[19] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 112—113. მოტანილი ტექსტი 25-ე მუხლში ამაზე ადრე მოცემულ სიტუაციასთან (კაცის მიერ კაცის ცოლის წაგვრის ამბავი), ვფიქრობთ, მექანიკურად არის გადაბმული და ცალკე მუხლად უნდა გამოიყოს, ბექას სამართლის მე-16 მუხლის მსგავსად.

ამასთან, გამართლებულად მიგვაჩნია მოტანილ ტექსტში აბზაცების გადასმა, მიუხედავად იმისა, რომ ნუსხებში ეს აბზაცები გადანაცვლებულია.

იხ. ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 105, შეად. მ ი ს ი ვ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის, რომ ქალის მიერ სხვათა გაშველებისას „მეომრად“ გამოსვლა, ანუ იარაღის ხმარება, დანაშაულად ითვლება, მაგრამ თავისთავად „მეომრად“ ყოფნა არ გამორიცხავს რაღაც პრივილეგიას, კერძოდ თუკი „მეომარია“ გაძარცვული, მაშინ მას, სამღვდელო პირთა მსგავსად ორკეცი ანაზღაურება ეკუთვნოდა.

საყურადღებოა, რომ ბექას სამართლის მიხედვით „მეომრად“ მყოფი პირი („თუ მეომარი ყოფილიყოს“) დაპირისპირებულია „ერისგანად მყოფთან“ („თუ ერისგანი იყოს“). ცხადია, აქ ის კი არ იგულისხმება, რომ ქალი საერო პირია, არამედ ის, რომ იგი არ არის „მეომარი“, ანუ მისი საქციელი არ შეეფერება მეომართა წრეს, ე. ი. ისეთ საზოგადოებას, რომელიც ომობს.

სიტყვა „ერისგანის“ შინაარსის გაგებისათვის საინტერესოა ბექას სამართლის 41-ე მუხლი. როგორც ვიცით, აქ ლაპარაკია ხუცესისათვის დაწესებულ სისხლზე, იმ შემთხვევაში თუ კი ვინმე მას ცოლს წაგვრიდა. თუ ხუცესი წირვაზე ხელს აიღებდა, ხოლო ცოლს არ გაუშვებდა, სრული სისხლი იყო დაწესებული „წირვისა დაგდებისათვის“ და ნახევარი სისხლი „ცოლისა განქიქებისათვის“. ამის შემდეგ იმავე მუხლში წერია: „და თუ კიდე წაგვაროს, მაშინ სრული სისხლი დაუურვოს, ამად რომე ძ(ن)ელსა ყოფასა დაებმის — ანუ ჩოჯასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგნობითა და კრძალვით“.

აქ რომ „ერისგანობა“ ხუცესის მხოლოდ საერო პირად გადაქცევას გულისხმობდეს, მაშინ იგი არ იქნებოდა დაპირისპირებული ბერად აღკვეცასთან („ჩოჯის ჩაცმასთან“), იმ გაგებით, რომ დაზარალებული, ორივე შემთხვევაში მძიმე მდგომარეობაში ექცევა („ძ(ن)ელისა ყოფასა დებმის“), გინდა „ერისგანი“ გახდეს და გინდა ბერი, ე. ი. ისევ სასულიერო წოდების პირი.

აქ სიტყვა „ერისგანი“ უპირისპირდება არა სასულიერო პირს (ბერს) არამედ სწორედ „მეომარს“, როგორც ეს ბექას სამართლის მე-16 მუხლშია მოცემული. ასეთი დაპირისპირება კი მეტად ნიშანდობლივია ტერმინი „ერის“ მნიშვნელობის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ „ერი“ ადრეფეოდალურ ხანაში თავის თავში აერთიანებდა მეომარსაც და უშუალო მწარმოებელსაც („მდაბიორ-მოლაშქრე“). აქ კი ეს თვისებანი („მეომრობა“ და „მდაბიორობა“) გათიშულია და „მეომართან“ დაპირისპირებული „ერისგანი“ მხოლოდ „მდაბიურის“ სახით წარმოგვიდგება.

ერთი სიტყვით, სრული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ „ერისგანი“ ბექას სამართლის მიხედვით დაბალი წოდების აღმნიშვნელ ტერმინად ვიგულისხმოთ, რომელიც „მეომრის“ სტატუსს მოკლებული, გაგლეხების გზაზე მდგომი ფენის სინონიმს წარმოადგენს.

ამ ფენისათვის დამახასიათებელია „კრძალვა“ — თავშეკავება, რიდი — დაკავშირებული უთუოდ უფლებრივ შეზღუდულობასთან, დაბალ საზოგადოებრივ სტატუსთან.

ამგვარად, „ერისგანისა“ და „მეომრის“ სემანტიკური დაცილება და დაპირისპირება „ერის“ დაშლაზე მეტყველებს („ერისგანს“ დაეკარგა მეომრის ანუ მუდმივი მოლაშქრის ფუნქცია). ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ სალაშქრო ვალდებულება ამ დროს უკვე გლეხობას ჰქონდა დაკისრებული. ამ მხრივ ნიშანდობლივია გლეხის გაყრისას აღბუღას სამართალში საგლეხო ინვენტარში „აბჯარის“ მოხსენიება (მუხლი 82).

მოტანილი მსჯელობიდან ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელობა აქვს ბექასა და აღბუღას სამართლის ნუსხების წმინდა ტექსტოლოგიურ შესწავლას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად ძეგლის წყაროთმცოდნეობით კვლევას. ცხადია, წარმატება ამ მიმართულებით ბევრადაა დამოკიდებული ტექსტის კრიტიკულ დადგენაზე.

ბექასა და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ტექსტოლოგიური შესწავლა-შეჯერება და ზოგიერთი მუხლის შინაარსობრივი ანალიზი გვაძლევს საშუალებას შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ.

1672 წ. გადაწერილი ნუსხა (A) და ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში შესული ნუსხა (B) ერთი წყაროდან მომდინარე სხვადასხვა რედაქციებია. ძეგლის შესავლისა თუ ცალკეული მუხლების შინაარსი (თუ ტექსტის დამახინჯებულ ადგილებს არ მივიღებთ მხედველობაში) და ძირითადი ტერმინოლოგიური მასალა იდენტურია, თუმცა A ნუსხაში შეიმჩნევა ძველი ტერმინების ახლებით შენაცვლების ძლიერი ტენდენცია. ამასთანავე, A ტექსტში, უმთავრესად ბექას სამართლის ნაწილში, მუხლების დიდი ნაწილი შეკვეცილ-შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი. აქ არსებითად საქმე გვაქვს ტექსტის შემოკლებულ პერიფრაზირებასთან. აქვე უხვად ვხვდებით ცალკეული სიტყვებისა თუ მთელი ფრაზების მექანიკური დაზიანებისა თუ ტექსტის გადაწერისას დამახინჯების შემთხვევებს.

ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ A ნუსხა უფრო დაცილებულია, ხოლო B ნუსხა უფრო ახლოს დგას თავდაპირველ ტექსტთან. ვფიქრობთ, არ არსებობს რაიმე საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ B ნუსხა არის შედეგი რედაქტირება-გადაკეთებისა ან ბაგრატ V-ის დროს — თითქოს ამ ძეგლის მთელი საქართველოს მასშტაბით გამოყენების მიზნით, — ან ვახტანგ VI-ის დროს ძეგლის კომენტირების გზით, მისი დროისათვის შესაბამისობაში მოყვანისათვის. ბექა-აღბუღას სამართლის გარკვეული დროიდან მთელ საქართველოში გამოსაყენებლად ასეთი გადაკეთება-კომენტირება არ იყო აუცილებელი, რაზედაც თავისთავად მეტყველებს მისი შეტანა ვახტანგის კანონთა კრებულში.

B ნუსხა ვახტანგ VI-ის დროს გადაწერილი და შეტანილი იქნა კანონთა კრებულში ყოველგვარი არსებითი ცვლილებების (კომენტირება თუ რედაქტირება) შეტანის გარეშე, ბუნდოვანი ადგილების გაუმართავად.

აღნიშნულის გამო B ნუსხა უნდა იქნეს აღებული საფუძვლად ტექსტის კრიტიკული დადგენისას, A ნუსხის მონაცემების გამოყენებით, იმ ცალკეულ შემთხვევებში, როცა ეს ნუსხა ამჟღავნებს მეტ სიახლოვეს თავდაპირველ ტექსტთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი B-ს დედანთან შედარებით უფრო გვიან გადაწერილი (და ნაწილობრივ შეკვეცილ-შემოკლებულიც) ჩანს[20].

---

[20] ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა შ. მესხია ჯერ კიდევ 1966 წ. წაკითხულ მოხსენებაში, რომელიც მიეძღვნა, კერძოდ, ტერმინ „საკარგავის“ მნიშვნელობის შესწავლის .იმ საფუძველზე, რომ ბექას სამართლის ვახტანგისეულ ნუსხაში გვაქვს დაცული ტერმინი „საკარგავი“, ხოლო 1672 წ. ნუსხაში არის „მამული“, მკვლევარი ასკვნის: „ბექას სამართლის ვახტანგისეულმა რედაქციამ უკეთ შემოგვინახა პირვანდელი ტექსტი, ვიდრე 1672 წ. ხელნაწერმა. ამასთანავე იგი დასძენს: „ბექას სამართლის ვახტანგისეული რედაქცია, უკეთ, კრებული — ხელნაწერი S 3683 უფრო ძველი ნუსხიდან მომდინარეობს, ვიდრე 1672 წლისა. ამას გვიდასტურებს ბექას სამართლის ვახტანგისეულ რედაქციაში ისეთი ტერმინების შემონახვა, როგორიცაა „საკრავი“, „სასაკარგაო“, „პატრონი“ და სხვა“ (შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982, გვ. 355).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Э. В. ХОШТАРИЯ (БРОССЕ)

О ВЗАИМОСВЯЗИ ДОШЕДШИХ ДО НАС РУКОПИСЕЙ СУДЕБНИКА БЕКА И АГБУГА И ИНТЕРПРЕТАЦИЯ ЕГО НЕКОТОРЫХ СТАТЕЙ

Резюме

В статье на основании сопоставления рукописи 1672 г. судебника Бека и Агбуга (Q 206) и вошедшего в сборник законов Вахтанга VI текста (S 3683) установлено, что рукопись Q 206 является сокращенным поздним вариантом судебника, а рукопись S 3683 сохранила более раннюю редакцию, которая при внесении Вахтангом VI в свой Кодекс не претерпела существенных правок и изменений.

В статье дана также интерпретация ряда статей судебника Бека и Агбуга, сделана попытка установления первоначального текста (статья 60), раскрыто содержание некоторых терминов.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

როგორც დავინახეთ, ეს დაკვირვება სავსებით დაადასტურა ბექასა და აღბუღას სამართლის ნუსხების ტექსტოლოგიურმა და წყაროთმცოდნეობითმა დეტალურმა შესწავლამ, თუმცა შ. მესხიაც იმ თვალსაზრისზე დგას, თითქოს ბექას სამართლის ტექსტი კომენტირებულია ვახტანგ VI-ის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრანი ჟავთარია

რეფორმისტული მოძრაობა ტიბერიუსიდან გაიუსამდე

ტიბერიუს გრაკხუსის სიკვდილის მომდევნო წლებში აგრარული კანონი ძალაში დარჩა და რეფორმის გამტარებელი კომისია (tres viri agris iudicandi adsignandis ან agris dandis adsignandis iudicandis)[1] სრული დატვირთვით აგრძელებდა საქმიანობას. მიწების გადანაწილებასთან დაკავშირებული სირთულე კარგადაა ასახული ანტიკურ წყაროებში[2]. აგრარული კანონით უკმაყოფილო ოპტიმატები შენიღბული ფორმებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რეფორმის გატარებისათვის, ფარულ პროტესტს ადასტურებს აპიანე. იგი წერს, რომ მსხვილი მესაკუთრენი არ ჩქარობდნენ ჩაეწერათ თავიანთი კუთვნილი ნაკვეთები. მაგრამ აგრარული კომისია მთელი სიმკაცრით აიძულებდა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომ კანონს დამორჩილებოდნენ. კომისიის შეურიგებლობაზე მიუთითებს აპიანეს თხრობის გაგრძელება, „ტრიუმვირები შეუდგნენ მათ მიცემას პასუხისგებაში. მოკლე დროში დაიწყო მრავალი სასამართლო პროცესი“[3].

ბერძენ-რომაელ მწერალთა გადმოცემა, ტიბერიუსის მეგობრების მიმართ გამოვლენილი მკაცრი ანგარიშსწორების შესახებ მომდევნო მოვლენების გათვალისწინებით გადაჭარბებულად გამოიყურება. ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ აგრარული კომისიის შემადგენლობაში შევიდა რეფორმის მხურვალე მომხრე, გაიუსის სიმამრი, ლიციინიუს კრასუსი. ხოლო შემდეგ ტრიუმვირატის წევრი გახდა მარკუს ფულვიუს ფლაკუსი, რეფორმისტული მოძრაობის ერთგული დამცველი.

აგრარული რეფორმა ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად ტარდებოდა. ანტიკური ავტორების გარდა ამ ფაქტზე მეტყველებს ეპიგრაფიკაც[4]. აგრარული კანონის წარმატებით განხორციელების მაუწყებელია რომის თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვის გაზრდა. რომის ცენზორული სიების გათვალისწინებით, მოსახლეობის დინამიკა პირდაპირ მიუთითებს, რომ გრაკხუსების აგრარული მოძრაობის შედეგად, ადგილი ჰქონდა სერიოზულ დემოგრაფიულ ცვლილებებს. ლივიუსის მიხედვით, 131 წლის აღწერისას თავისუფალ მოქალაქეთა რაოდენობა 318823 კაცს შეადგენდა[5]. მომდევნო აღწერის დროს, 125 წლისთავის, ეს რიცხვი 394736 კაცამდე გაზრდილა[6]. მომხდარ ცვლილებათა სისწორეს ადასტურებს 115 წლის აღწერა. აღნიშნულ

---

[1] Inscriptiones latinae Selectae. vol. I, ed. H. Dessau, Berolini, 1954, 24, 25, 26.
[2] Plut. Tib. XXI; App. B. C. 1, 18.
[3] App. B. C. 1, 58.
[4] H. Dessau, ILS, 1, 23—26.
[5] Liv. ep. 59
[6] Liv. ep. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელსაც, რომში 394 336 მოქალაქემ დააკმაყოფილა ცენზორული სიების მოთხოვნები[7].

ტიბერიუსის აგრარული რეფორმის შედეგები, კერძოდ, დროის მოკლე მონაკვეთში თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვის მომატება, ლიტერატურაში საკამათო საკითხადაა მიჩნეული. ანტიკური სამყაროს ცნობილ მკვლევარს კ. ბელოხს, ლივიუსის მონაცემები არასარწმუნოდ მიაჩნია. მისი აზრით, 16 წლის განმავლობაში (130—114 წწ.) შეუძლებელია რომის მოქალაქეთა ზრდის ასეთ მასშტაბებს ჰქონოდა ადგილი[8]. კ. ბელოხის ვარაუდით, რომის მოსახლეობა 76 ათასი კაცით გაზრდის ნაცვლად, შემცირდა 24 ათასით. დაშვებულია კორექტორული შეცდომა. სწორი იქნება თუ 394 ათასის ნაცვლად 294 ათასს დავტოვებთ ძალაში[9]. თავისი შეხედულებების დამამტკიცებელ არგუმენტად იგი ასეთ მსჯელობას გვთავაზობს. რომის თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვი 168 წლიდან 115 წლამდე მცირდებოდა. უკიდურეს ზღვარს 294 ათასს მიაღწია 115 წელს. ამის შემდეგ დაიწყო ისევ მატება. კ. ბელოხის თანახმად გრახკუსების რეფორმისტულ საქმიანობას შედეგი არ მოჰყოლია. ანიტკური წყაროები ამგვარი შეხედულების ჭეშმარიტებას არ ადასტურებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა ხაზგასმული რომის მოსახლეობის დინამიკა და ნაჩვენებია მოქალაქეთა რიცხვის გაზრდაში გრახკუსების როლი[10].

რომის მოსახლეობის მატებასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებებს აყენებს ი. ზაბოროვსკი. მისი აზრით, 125 წლის აღწერის დროს მოქალაქეთა რიცხვის გაზრდას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი აგრარული კომისიის მუშაობის გარდა სხვა ფაქტორებზეც ამახვილებს ყურადღებას. იგი წერს, ცენზორული აღწერების დროს მოსახლეობის რაოდენობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებდა რომის საგარეო მდგომარეობის სტაბილურობა. იმის გამო, რომ რომის რესპუბლიკას 130 წლიდან საომარი ოპერაციები არ უწარმოებია, აღწერების დროს ყველა მოქალაქეს ჰქონდა საშუალება შესამოწმებლად გამოცხადებულიყო. აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა რაოდენობის გაზრდას, რომელთა ქონებრივი მდგომარეობაც აკმაყოფილებდა ცენზორთა მოთხოვნებს, მხოლოდ აგრარული კომისიის მუშაობას ვერ მივაწერთ[11]. ამავე დროს, ი. ზაბოროვსკი არ გამორიცხავს რეფორმის როლს მოსახლეობის მატებაზე[12].

---

[7] Liv. ep. 63.

[8] K. J. Beloch, Die Bevölkerung der grichisch-römischen Welt, Leipzig, 1886, გვ. 318.

[9] იქვე, გვ. 351.

[10] თ. მომზენი მოსახლეობის გაზრდას ტიბერიუსის აგრარულ რეფორმას მიაწერდა. იხ. Т. Момзен, История Рима, II, М., 1937, გვ. 100. კ. ბელოხის მომდევნო პერიოდის ავტორები მიუთითებენ, მეტ-ნაკლები ხარისხით ტიბერიუსის როლს აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში. იხ. Я. Ю. Заборовский, К вопросу о достоверности цензовых списков II в. до н. э. ВДИ, 2, 1962, გვ. 115; მისივე, Римские цензы периода республики, ВДИ, 4, 1979, გვ. 47; Н. Мамкин, История древнего Рима, М., 1949, გვ. 257; Э. Фельсберг, Братья Грахии, Юрьев, 1910, გვ. 204; A. E. Astin, Scipio Aemilianus, Oxford, 1967, გვ. 335; A. Vito, Z. Sirago, Agricoltura italiana, Napoli, 1971, გვ. 99.

[11] Я. Ю. Заборовский, К вопросу... გვ. 115.

[12] Я. Ю. Заборовский, Римские цензы... გვ. 47.

ი. ზაბოროვსკის ვარაუდით, აგრარული რეფორმის შედეგად 76 ათასი კაცი მიწას ვერ მიიღებდა. რაოდენობა გაზვიადებულად მიაჩნია, რადგან რეფორმების გატარებას დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა[13]. 125 წელს ჩატარებული აღწერის შედეგების განხილვისას ი. ზაბოროვსკი საკმაოდ არგუმენტირებულ დასკვნას აკეთებს. მისი მსჯელობის თანახმად, ყოველი საომარი ოპერაციის დამთავრების შემდეგ რომის მოქალაქეთა რაოდენობა იზრდებოდა. მას გამოანგარიშებული აქვს 149 წლიდან 131 წლამდე მეომართა რა რაოდენობა ჰყავდა რომს აფრიკაში, ესპანეთში, ბალკანეთზე და აზიაში, 131 წელს ჩატარებულ აღწერას არმიაში მყოფ მებრძოლთა ეს ნაწილი ვერ დაესწრებოდა. 154—131 წწ. წარმოებული ომები მართალია, რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მრავალი მეომარიც დაიღუპა. ამას უნდა დაემატოს გაღარიბებულ მოქალაქეთა რიცხვიც, რომელთა ქონებრივი მდგომარეობა ცენზის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა[14]. ი. ზაბოროვსკი წერს, 136—131 წწ. ჩატარებული აღწერის მიხედვით, მოქალაქეთა რაოდენობა იყო 317 933—318 823. ამ დროს იტალიის საზღვრებს გარეთ იმყოფებოდა 60 ათასი მეომარი. ისინი რომ იტალიაში ყოფილიყვნენ, რომის მოქალაქეთა რაოდენობა იქნებოდა 378—379 ათასი. 125 წელს რომი არსად ომს არ აწარმოებდა. მეომართა უმრავლესობა იტალიაში იმყოფებოდა. 136/131 წწ. და 125 წლის აღწერებს შორის განსხვავება დაახლოებით 20 ათას კაცს შეადგენდა, ამ რიცხვს უნდა გამოაკლდეს 3500 კაცი ტიბერიუსთან ერთად დაღუპული ან განდევნილი. ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, ი. ზაბოროვსკის თანახმად, ტიბერიუსის რეფორმის შედეგად, რომში მიწა მიუღია 16—17 ათას კაცს[15].

ი. ზაბოროვსკის შემოთავაზებული ვარაუდი ყველაზე მისაღებ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს, იგი რეფორმის როლს არ ამცირებს. აღნიშნული გაანგარიშებაც რომ დავუშვათ, აგრარული რეფორმა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. 17—18 ათასი ღარიბი მოქალაქის დაკმაყოფილება მოითხოვდა დაახლოებით 510 000—540000 იუგერ მიწას (თითოეულ მოქალაქეს ეძლეოდა 30 იუგერი). წყაროების ცნობა, თითქოს 76 ათასმა კაცმა მიიღო მიწა, მართლაც გაზვიადებული ჩანს. მოსახლეობის ასეთი რაოდენობით დაკმაყოფილებას ესაჭიროებოდა 2 280 000 იუგერი. უნდა გვახსოვდეს, რომ აგრარული კომისიის საქმიანობის ქრონოლოგიური ჩარჩოები მხოლოდ სამი წლით განისაზღვრება. მისი მუშაობა ფაქტობრივად 129 წელს შეწყდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე, მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგობა და სასამართლო პროცესები, რაც კომისიის მუშაობას საგრძნობლად აფერხებდა.

თ. ნეჩაი რომის თავისუფალი მოსახლეობის გაზრდის განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს. ისტორიკოსის აზრით, მოსახლეობის გაზრდაში გადამ-

---

[13] Я. Ю. Заборовский, К вопросу... გვ. 112.

[14] გაღარიბებული მეომრის პორტრეტი აქვს დახატული ლივიუსს, სპურიუს ლიგუსტინის სახით.ლიგუსტინი ფლობდა ერთ იუგერ მიწას, ჰყავდა რვა შვილი, იყო 50 წლის, აქედან არმიაში მსახურობდა 22 წელი (Liv. 42. 34). ლივიუსის აღწერილი ფაქტი გრაკხუსების წინა პერიოდს ეხება, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მომდევნო ეპოქაზედაც გავრცელდეს. მსგავსი მოვლენა იშვიათობა არ უნდა ყოფილიყო და კარგად ასახავს რომაელ მეომართა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.

[15] Я. Ю. Заборовский, К вопросу... გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტი როლი შეასრულა ცენზორული მოთხოვნების შემცირებამ (მისი სიტყვებით, ცენზის მინიმალური ოდენობა 11 ათასიდან 5 ათასამდე შემცირდა). თ. ნეჩაი წერს, რომ მინიმალური ცენზის პირველ რედუქციას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. აღ. III ს. დასასრულს, რაც ჰანიბალთან ომმა გამოიწვია. მეორე რედუქცია მოხდა 129 წელს. ორივე შემთხვევაში მოსახლეობამ მკვეთრად მოიმატა. 125 წლის აღწერის დროს რომში 75 ათასით მეტი მოქალაქე იყო 131 წელთან შედარებით[16]. მეომართა დემობილიზაციაზე ყურადღების გამახვილება თ. ნეჩაის უსაფუძვლო ვარაუდად მიაჩნია[17]. იგი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდაში აგრარული რეფორმის როლს არ მიუთითებს. თ. ნეჩაის არგუმენტი ეყრდნობა ლივიუსის ბუნდოვან ცნობებს[18], მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა ავტორები ამგვარი დასკვნის საშუალებას არ იძლევიან.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ცხადი ხდება, რომ აგრარულ რეფორმას ატარებდა არა მარტო აგრარული კომისია, არამედ კანონს ემორჩილებოდნენ რეფორმისტული მოძრაობის მოწინააღმდეგენიც. ამ მხრივ საყურადღებო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ 132 წლის კონსულის პუბლიუს პოპილიუს ლენატის საქმიანობა. პოპილიუს ლენატს თავისი კონსულობის დროს, ლუკანიის ქ. პოლაში აღუმართავს სამახსოვრო დაფა, რომელშიც იგი ჩამოთვლის გატარებულ ღონისძიებებს. წარწერის შესავალ ნაწილში გადმოცემულია რეგიუმიდან კაპუამდე მანძილის განსაზღვრა და მაჩვენებელი ნიშნების დაყენება. მეორე ნაწილი კი საინტერესოა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით. პოპილიუსი გვაუწყებს, „ამის გარდა სიცილიაში პრეტორობის დროს, მე ვეძებდი იტალიიდან გაქცეულ მონებს და დავაბრუნე 917 კაცი. მე, პირველმა გავაკეთე ისე, რომ მწყემსებს დაეტოვებინათ საზოგადოებრივი მინდვრები მიწათმოქმედთა სასარგებლოდ“[19].

ჩატარებულ სამუშაოთა შორის პოპილიუსი სიამაყით აცხადებს, რომ მწყემსებს დაატოვებინა საზოგადო მინდვრები და გადასცა მიწათმოქმედებს. აქედან ჩანს, პოლიტიკურ შეხედულებათა მიუხედავად, თანამდებობის პირებიც ვალდებულნი იყვნენ კანონი სისრულეში მოეყვანათ.

ი. ზაბოროვსკის აზრით, პოპილიუს ლენატის საქმიანობა წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ იგი ტიბერიუსის მომხრეთა დამსჯელი სასამართლოს წევრია, მეორე მხრივ აცხადებს, რომ მიწები გადასცა მიწათმოქმედებს. მისი სიტყვებით წინააღმდეგობას ადვილად ხსნის ერთი ფაქტი. კერძოდ, „Надпись предназначалась для форума Попилия в луканском поселке Полла с целью его восхваления. Но невозможно же было написать, что он участвовал

---

[16] Ф. М. Нечай, Рим и италики, Минск, 1963, გვ. 133.

[17] Ф. М. Нечай, Рим и италики, გვ. 135.

[18] Liv. 27, 36. 29, 37. ep. 59, 60.

[19] H. Dessau, ILS, I, 23: et eidem praetor in I sicilia fugiteivos Italicorum conqquaesivei redideique (Romanes DCCCC XVII eidemque) primus facei de agro poplico (aratoribus cederent paastores.

პოპილიუს ლენატის წარწერამ ფართო ასახვა პოვა სამეცნიერო ლიტერატურაში, ოღონდ გზების მშენებლობასთან დაკავშირებით. იხ. F. I. Hinrichs, Der römische Strassenbau zur Zeit der Gracchen, Historia, Bd. 16. 1967, გვ. 162—176; A. Degrassi, Un nuovo miliario Calabro della via Popilia e la via Annia del Veneto, Philologus, Bd. 99, Hf. 3/4, გვ. 259—265.

ეროვნული ბიბლიოთეკა

в убийстве и изгнании из Рима таких же полноправных римских граждан, как и он сам, что впервые в истории Рима он поднял руку на неприкосновенную и священную личность народного трибуна и убил его"[20].

წყაროების მოწმობით პოპილიუს ლენატმა ტიბერიუსის მრავალი მომხრე გააძევა[21]. პოპილიუსს ჩადენილი საქციელი არ აპატიეს. ათი წლის შემდეგ გაიუს გრაკხუსმა ტრიბუნის თანამდებობის შესრულება პოპილიუსის წინააღმდეგ კანონის მიღებით დაიწყო[22]. პლუტარქეს გადმოცემით, გაიუსის ღასაბუთებულ წინადადებას პოპილიუსმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია. სასამართლოს შიშით იგი იტალიიდან გაიქცა[23].

ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ ნობილიტეტი მტკიცედ ადგა რეფორმის საწინააღმდეგო გზას. მაგრამ წყაროებში ხაზგასმულია ტრიუმვირთა შეურიგებლობაც. აპიანე წერს, რომ მსხვილი მესაკუთრენი ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ აეცილებინათ მიწების ჩამოჭრა. ტრიუმვირები სასამართლოზე გადაცემით ახერხებდნენ კანონის განხორციელებას[24]. აგრარულმა კომისიამ მდიდართა უდრეკობა გატეხა და ცენზორული აღწერის შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, ღარიბი მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს მიუღია საარსებო საშუალება. კომისია უსაბუთებდა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომ ager publicus უმართებულოდ ჰქონდათ მიტაცებული. ტრიუმვირები ურჩ ოპტიმატთა სასამართლოზე გადაცემით აღწევდნენ მიზანს. ეს ფაქტი საკმაოდ დამაჯერებლად აქვს ფიქსირებული აპიანეს[25].

რეფორმისტული მოძრაობის განმტკიცებას ემსახურებოდა ტიბერიუსის მეგობრის 131 წლის სახალხო ტრიბუნის პაპირიუს კარბონის კანონპროექტი, ფარული ხმის მიცემის შესახებ. პაპირიუსის პროექტის შესახებ ცნობები დაცული აქვს ციცერონს[26]. მითითებულია, რომ კანონის მიღება არისტოკრატიის შეუვალ ბატონობას საგრძნობლად შეამცირებდა[27].

კარბონს მეორე კანონპროექტიც წამოუყენებია, რომელშიც მოითხოვდა სახალხო ტრიბუნის თანამდებობაზე ზედიზედ არჩევის უფლებას[28]. მაგრამ ნობილიტეტის წინააღმდეგობა კარბონმა ვერ დაძლია. მის მიერ წამოყენებული კანონპროექტები უარყოფილ იქნა. კარბონის პროექტების წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობა გამოუჩენია გაიუს ლელიუსს[29]. პაპირიუს კარბონი, კრასუსის აზიაში დაღუპვის შემდეგ, 131 წელს აგრარული კომისიის წევრი გახდა[30]. მისი სახელი გვხვდება ეპიგრაფიკულ ძეგლებზე[31].

---

[20] Я. Ю. Заборовский, Я. Ю. К вопросу..., გვ. 116.
[21] Plut. Gaius, IV; Cic Lael. 37.
[22] Plut. Gaius, IV.
[23] Plut. Gaius, IV.
[24] App. B. c. 1, 18.
[25] App. B. c. 1, 18.
[26] Cic. De leg. III, XII, 35.
[27] Э. Фельсберг, Братья Гракхи, გვ. 205.
[28] Cic. Lael. 95.
[29] Cic. Lael. 95. პაპირიუს კარბონის ციცერონისეული დახასიათება მეტად უარყოფითია. კარბონის კანონპროექტის შესახებ. იგი წერს, „მეამბოხე და უსინდისო მოქალაქის კანონი". იხ. Cic. De leg. III, XVI, 35.
[30] App. B. c. 1, 18.
[31] H. Dessau, ILS, 1, 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიბერიუსის სიკვდილის მომდევნო წლებში რეფორმისტული მოძრაობის საწინააღმდეგო დაჯგუფების იდეურ მეთაურად კორნელიუს სციპიონ ემელიანუსი გვევლინება. იგი მეტად გავლენიანი პიროვნება იყო იმდროინდელ რომში. არ არის შემთხვევითი, რომ მსხვილმა მიწათმფლობელებმა, აგრარული კომისიის შემოტევისაგან დაცვა მას სთხოვეს[32]. როგორც ჩანს, რეფორმა იმ სახით, ტიბერიუსს რომ ჰქონდა გამიზნული სციპიონისათვის მიუღებელი იყო. ცნობილია, აგრარული რეფორმის იდეა სციპიონის წრეში ჩაისახა. მაგრამ ჩანასახს ვერ გასცდა. წრის წევრებს არ აღმოაჩნდათ ბრძოლის უნარი. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას ტიბერიუსიც სპიციონის წრის აქტიური წევრი იყო. მაგრამ შემდეგ მათ შორის განხეთქილება მომხდარა, პლუტარქე უთანხმოების მიზეზთა რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს[33]. პლუტარქეს ცნობები ტიბერიუსისადმი სციპიონის დამოკიდებულების შესახებ წინააღმდეგობრივია. მისი სიტყვებით, ტიბერიუსი არ დაიღუპებოდა, სციპიონი რომში რომ ყოფილიყო[34]. ტიბერიუსის ბიოგრაფიის სხვა ადგილას სციპიონი კმაყოფილებას გამოთქვამს რეფორმატორის დაღუპვის გამო[35] და მკვლელობას კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს. ტიბერიუსის სიკვდილთან თავისი დამოკიდებულება ჰომეროსის სიტყვებით გამოხატა[36]. სციპიონისა და ტიბერიუსის წინააღმდეგობანი პლუტარქეს აღწერილი ჰქონია სციპიონის ბიოგრაფიაში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ ის რაც შემოგვინახა, მიუთითებს მათ საწინააღმდეგო პოლუსებზე.

ველეიუს პატერკულუსის თანახმადაც, სციპიონი ტიბერიუსის დაღუპვას სამართლიანად თვლის. ველეიუსი ოდისეას არ უთითებს, მაგრამ მასთანაც სციპიონი თითქმის იმავეს ამბობს, „თუ მას განზრახული ჰქონდა სახელმწიფოს ხელში ჩაგდება, იგი მოკლულ იქნა სამართლიანად“[37]. პლუტარქესა და ველეიუს პატერკულუსის ცნობებში განსხვავება უმნიშვნელოა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ სციპიონსა და ტიბერიუს შორის არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობა.

სციპიონის ანტირეფორმისტული განწყობილების შესახებ ვრცელი ცნობები გადმოცემული აქვს აპიანეს. ისტორიკოსი „სამოქალაქო ომების“ მე-18 თავში აღწერს აგრარული კომისიის პრინციპულ მოღვაწეობას. იქვე მიუთითებს მდიდართა რეაქციასაც, რაც გამოიწვია ხშირმა სასამართლო პროცესებმა. ნობილიტეტის პოზიციების გასამაგრებლად საჭირო იყო აგრარული კომისიის უფლებამოსილებათა შემცირება. ამ საკითხის მოსაგვარებლად მიმართეს კორნელიუს სციპიონს. სციპიონიც ენერგიულად შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. აპიანეს მიხედვით, სენატში გამოსულმა სციპიონმა დაარწმუნა ხალხი, ერთი და იმავე კომისიისათვის ძნელი იყო რეფორმის გატარებაც და სადავო საკითხების გადაჭრაც. მან წინადადება შეიტანა, რომ სასამართლო საკითხების გარჩევა გადასცემოდა სხვა კომისიას[38]. სციპიონის შენიღბული გამოსვლა გარეგნულად თითქოს აგრა-

[32] App. B. c. 1, 19.
[33] Plut. Tib. VII.
[34] Plut. Tib. VII.
[35] Plut. Tib. XXI.
[36] „ეგრე დაემხოს სხვაც ამგვარი საქმის ჩამდენი“. ოდისეა, 1, 47. პ. ბერაძის თარგმანი.
[37] Vel. Paters. II, IV.
[38] App. B. c. 1, 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული კომისიის მდგომარეობის შემსუბუქებას ემსახურებოდა. მაგრამ სინამდვილეში ასეთი ნაბიჯი აგრარულ კომისიაზე მომაკვდინებელ დარტყმას წარმოადგენდა.

იგი ტრიუმვირთა საქმიანობის დასასრულს მოასწავებდა. სციპიონმა მიზანს მიაღწია. სასამართლო საქმეთა ხელმძღვანელობა, კონსულ ტუდიტანს დაეკისრა, მაგრამ სენატმა იგი სასწრაფოდ ილირიაში სალაშქროდ გაგზავნა[39]. საქმეთა გარჩევა შეჩერდა. აგრარული კომისია უმოქმედოდ დარჩა. ხალხისათვის ნათელი გახდა სციპიონის ნამდვილი მიზნები. მისი პიროვნებისადმი ადრინდელი სიყვარული გაფერმკრთალდა. უკმაყოფილება გაიზარდა. აპიანეს მიხედვით, უკმაყოფილებისათვის ხალხს უფრო სერიოზული მიზეზები ჰქონდა. იგი წერს, რომ სციპიონის მტრებმა გაავრცელეს ხმები, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა გრაკხუსის კანონის გაუქმება და ემზადებოდა შეიარაღებული სისხლისღვრის მოსაწყობად[40]. პლუტარქე ხალხის განწყობილების შეცვლის სულ სხვა მიზეზს გვთავაზობს. კერძოდ, გაიუსისა და ფულვიუს ფლაკუსის შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობდა იგი ტიბერიუსის სიკვდილის შესახებ, სციპიონს უპასუხნია, რომ მისი მოღვაწეობა არ მომწონდაო[41]. ველეიუს პატერკულუსთან შეკითხვას სვამს ტიბერიუსის მეგობარი პაპირიუს კარბონი. კარბონის შეკითხვაზეც ტიბერიუსის დახასიათება უფრო უარყოფითია[42]. იმავე წყაროების მოწმობით სციპიონის პასუხს ხალხის გულისწყრომა გამოუწვევია[43]. მოტანილი ფაქტებით დასტურდება, რომ სციპიონი თავის პოზიციას ტიბერიუსის აგრარული რეფორმის წინააღმდეგ არ ფარავდა და უკმაყოფილებას ხმამაღლა აცხადებდა.

სციპიონი გრძნობდა, რომ მძიმე ამოცანის წინაშე იდგა. თავის დაზღვევის მიზნით, სენატში გრაკხუსის კანონის გმობა კი არ დაიწყო, არამედ შეეცადა განზრახვის ნამდვილი მიზნების დაფარვას. შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დაინტერესებული იყო აგრარული რეფორმით. სციპიონმა ბრძოლის ამ ეტაპზე გაიმარჯვა. მაგრამ გამარჯვება სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

რეფორმის მომხრეები რეალურად აფასებდნენ, იმ საფრთხეს, რომელიც შეუქმნა სციპიონმა აგრარულ კანონს. ამიტომ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს „მარადიული ქალაქის“ პირველ მოქალაქეს. ტიბერიუსის მეგობრებმა მიმართეს, ბრძოლის, როგორც ღია, ისე ფარულ მეთოდებს. მათ მიაღწიეს სციპიონის ავტორიტეტის შერყევას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხმა თავის საყვარელ მხედართმთავარს აღარ მოუსმინა და სახალხო კრებაზე სიტყვაც შეაწყვეტინა[44].

რეფორმისტული საქმიანობის გაგრძელებისათვის საჭირო იყო სციპიონის გავლენის დაძლევა. საერთო დაძაბულობის პროცესში, როდესაც აფრიკელი კვლავ აპირებდა აგრარული რეფორმის საწინააღმდეგოდ გამოსვლას, იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. წყაროების მოწმობით, სციპი-

---

[39] App. B. c. I, 19.
[40] App. B. c. I, 19.
[41] Plut. Tib. XXI.
[42] Vel. Paterc. II, IV.
[43] Plut. Tib. XXI; Vel. Paterc. II, IV.
[44] Plut. Tib. XXI; Vel. Paterc. II, IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონი დილით თავის საწოლში მკვდარი იპოვეს. აპიანეს მიხედვით, სხეულზე ჭრილობის არავითარი კვალი არ ემჩნეოდა[45]. თუმცა იგივე ავტორი სციპიონის სიკვდილის სხვა ვარიანტსაც გვთავაზობს, რომლის თანახმადაც, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა[46]. საყურადღებოა ისიც, რომ აპიანე სციპიონის მკვლელობის ფაქტს გრაკხუსების ოჯახიდან მომდინარედ თვლის. იგი წერს, „ეს იყო კორნელიას, გრაკხუსის დედის საქმე, რომ ხელი შეეშალა მის მიერ გატარებული კანონის გაუქმებისათვის. იგი მოქმედებდა თავისი ქალიშვილის, სემპრონიას, სციპიონის მეუღლის დახმარებით. იგი (სემპრონია) იყო ულამაზო და უნაყოფო, არ სარგებლობდა მისი (სციპიონის) სიყვარულით, თვით მასაც არ უყვარდა იგი“[47].

ველეიუს პატერკულუსით, გარდაცვლილ სციპიონს ყელზე ემჩნეოდა ძალადობის ოდნავი კვალი[48]. ამის მიუხედავად, ველეიუსი, ვერც ერთ ფაქტორს ვერ ანიჭებს უპირატესობას და საკითხს ღიად ტოვებს[49]. იგი საერთო გავლენის ქვეშ იმყოფება. გადმოგვცემს ზოგადად გავრცელებულ შეხედულებებს. ველეიუსის მტრული დამოკიდებულება გრაკჯუსებისადმი იძლევა იმის საბაბს, რომ კორნელიას როლს სციპიონის მკვლელობაში ვრცლად შეეხებოდა. მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, ამ საკითხზე იგი ერთ სიტყვასაც არ ამბობს.

აპიანესთან დაცული ერთი ვერსიის თანახმად, სციპიონის მკვლელობაში მონებიც ფიგურირებენ. თითქოს მათ გაიგონეს ხმაური, მაგრამ განგაში არ ატეხეს ხალხის შიშით, რადგან სციპიონმა ხალხი გააბრაზა[50]. თუ ამ ვერსიას სინამდვილედ მივიჩნევთ, გამოდის, რომ მონებიც ტიბერიუსის აგრარულ რეფორმას თანაუგრძნობდნენ. ისინი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ემხრობოდნენ სციპიონის მკვლელებს. აღნიშნულ ვერსიას ყველაზე ნაკლები საფუძველი გააჩნია.

სციპიონის სიკვდილთან დაკავშირებით, აპიანე თავის მსჯელობას ასე ამთავრებს, იგი დაიღუპა იმ წინააღმდეგობათა შედეგად, რომელიც წამოიწყო გრაკხუსმა[51]. აქედან გამომდინარე, რომელი ვერსიაც არ უნდა მივიჩნიოთ სციპიონის სიკვდილის მიზეზად ყველა ერთ ფოკუსში იყრის თავს.

აპიანე გრაკხუსების დედას კორნელიას და მათ დას სემპრონიას ასახელებს მთავარ დამნაშავედ. პლუტარქე შეთქმულების სხვა მონაწილეთა სახელებსაც გვაუწყებს. იგი წერს, „მოულოდნელად გარდაიცვალა სციპიონ აფრიკელი და მის ცხედარზე ძალადობის ნიშნები ნახეს, როგორც ეს ჩვენ მისი ცხოვრების აღწერაში გვაქვს გადმოცემული, ამ საქმეში ბრალი უწინარეს ყოვლისა ფულვიუსს დასდეს. საქმე ის იყო, რომ ფულვიუსი სციპიონის მტრად ითვლებოდა და გარდაცვალების დღეს კიდევაც შეურაცხყო იგი ტრიბუნიდან. სციპიონის მკვლელობის ეჭვი შეეხო გაიუსსაც“[52]. ამ სიტყვებს

---

[45] App. B. c. 1, 20.
[46] App. B. c. 1, 20.
[47] App. B. c. 1, 20.
[48] Vel. Paterc. II, IV.
[49] Vel. Paterc. II, IV.
[50] App, B. c. 1, 20.
[51] App, B. c. 1, 20.
[52] Plut, Gaius, X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს სციპიონის ბიოგრაფიის ავტორი, ამიტომ პლუტარქეს ცნობას განსაკუთრებული ნდობა უნდა გამოვუცხადოთ[53].

სციპიონი თავისი უახლოესი ნათესავების იდეური წინააღმდეგობის მსხვერპლი გახდა. აპიანესა და პლუტარქეს სერიოზული არგუმენტები მოაქვთ, რომელთა თანახმადაც, საეჭვო არ უნდა იყოს გრაკხუსების ოჯახის შეთქმულებაში მონაწილეობა.

შეთქმულების იდეა რეფორმისტული მოძრაობის წრეში ჩაისახა. სციპიონის სიცოცხლეზე ხელყოფის ოპერაცია უმაღლეს დონეზე ჩატარდა. აღნიშნული მოვლენა მეტყველებს, რომ ტიბერიუსის კანონის მომხრეები შემხვედრ დაბრკოლებებს დიდი შეუპოვრობით ებრძოდნენ.

სციპიონის დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, მისი მკვლელები დაუსჯელი დარჩნენ. აგრარული კანონის წინააღმდეგ გამოსვლამ საბედისწერო როლი შეასრულა მის პირად ცხოვრებაში. სახალხო კრებაზე წარმოთქმული სიტყვით ხალხის გულისწყრომა დაიმსახურა და ათეული წლების განმავლობაში მოპოვებული სიყვარული სწრაფად გაუფერულდა. ამ შემთხვევაში სციპიონი არ ჰგავდა კართაგენთან და ნუმანციასთან მდგარ ძლევამოსილ მთავარსარდალს. იგი იდგა სახალხო კრებაზე და ებრძოდა იმ პიროვნების მიერ გატარებულ კანონს, რომელსაც რომაელი ხალხი თავის მხსნელად მიიჩნევდა. ტიბერიუსის დაღუპვიდან გაიუსის სახალხო ტრიბუნად არჩევამდე, სციპიონის წინააღმდეგ ჩატარებული აქტი, რეფორმისტული პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო.

სციპიონის მოკვლისათვის რომის სენატს არავითარი გამოძიება არ უწარმოებია. ველიუსი სენატის ამგვარ მოქმედებას ვერ ხსნის[54]. პლუტარქე ცდილობს განმარტოს რომაელთა გულგრილობა. მისი სიტყვებით, „ეს შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედება სხვათა შორის, ყოველგვარი მისარგებლის გარეშე დარჩა; კვლევა-ძიებაც კი არ უწარმოებიათ. კვლევა-ძიების წარმოების წინააღმდეგ წავიდა ხალხი და იმის შიშით, მკვლელობის გამორკვევის დროს დამნაშავედ გაიუსი არ აღმოჩენილიყო, საქმე მოისპო“[55]. პლუტარქეს შემოთავაზებული ვერსია ძნელი დასაჯერებელია. სენატს მკვლელობაში გაიუსის მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტი რომ ჰქონოდა, იგი ასე ადვილად თავს ვერ დააღწევდა. ჩანს ბრალდების უკმარისობის გამო ეჭვმიტანილები სამართალში არ მიუციათ.

სციპიონის გამოსვლით აგრარული კომისიის საქმიანობა დასრულდა. კანონმა არსებობა შეწყვიტა. სციპიონის სიკვდილით კანონის მოქმედება არ აღდგენილა.

ტიბერიუსის აგრარულმა რეფორმამ მოკავშირეების საკითხის გააქტიურება გამოიწვია. აპიანეს მიხედვით, სციპიონი იტალიკების ინტერესთა დასაცავად გამოვიდა. მას იტალიკები რეფორმისტულ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა. სინამდვილეში, არისტოკრატიის იმ ჯგუფში,

---

[53] სციპიონის ბიოგრაფია მოღწეული არ არის. თ. მომზენის აზრით, სციპიონი გრაკხუსების მომხრეებმა მოკლეს. იგი წერს, «виновник злодеяния принадлежал к сторонникам Гракхов. Убийство Сципиона было ответом демократии на кровавую расправу, учиненную аристократией у храма богини Верности». Т. Моммзен, История Рима, II, გვ. 99.

[54] Vel. Paterc. II, IV.

[55] Plut. Gaius. X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც სციპიონი მეთაურობდა, მოკავშირეების პრივილეგიებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. იტალიკების დამცველად გამოსვლით სციპიონს სურდა აგრარული კანონის საწინააღმდეგოდ დამატებითი იარაღი მოეპოვებინა.

სციპიონმა იტალიკები რომაელებს დაუპირისპირა. იტალიკებსაც ჰქონდათ საფუძველი აგრარული კომისიის წინააღმდეგ გამოსასვლელად. ვ. სერგეევი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტიბერიუსის აგრარული კანონის გაურკვეველმა ფორმულირებამ ისინი მძიმე მდგომარეობაში მოაქცია. საერთო ვითარების შესაბამისად იტალიკებს ერთმეოდათ სახელმწიფო მიწები, მაგრამ მათ სანაცვლოდ არაფერს არ ღებულობდნენ[56]. იტალიკების საკითხის რეფორმისტულ მოძრაობასთან დაკავშირება ახალ პრობლემას აყენებს და ტიბერიუსის საქმიანობის სხვა მხარესაც უსვამს ხაზს. გრაკხუსების საწინააღმდეგო ორიენტაციის ანტიკური ავტორები ტიბერიუსს თვლიან ისეთ პიროვნებად, რომელმაც რომის ერთიანობა გათიშა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ციცერონის შეფასება. დიალოგში „სახელმწიფოს შესახებ", ლელიუსი ამბობს, „ტიბერიუს გრაკხუსის სიკვდილმა, ხოლო უფრო ადრე მთელმა მისმა მცდელობამ, როგორც სახალხო ტრიბუნისამ, ერთიანი ხალხი გაჰყო ორ ნაწილად"[57]. ციცერონის თხრობის გაგრძელება გვიჩვენებს იმ უარყოფით შედეგებს რაც მოჰყვა ქვეყნის ერთიანობისათვის ასეთ მოქმედებას. მისი სიტყვებით, ტიბერიუსის მოღვაწეობამ გამოიწვია მოკავშირეებისა და ლათინების გამოცოცხლება, დაირღვა სამოკავშირეო ხელშეკრულებები. ისინი აღარ ცდილობენ მხარი დაუჭირონ ქვეყნის ინტერესებს. მეამბოხე ტრიუმვირები დღითი დღე გადატრიალებაზე ფიქრობდნენ, ხოლო წესიერი მოქალაქენი დაბნეულნი იყვნენ საჩიფათო მოვლენის გამო[58]. ციცერონი ასახავს რომის გაბატონებული არისტოკრატიის ერთი ნაწილის შეხედულებას ტიბერიუსისა და მისი მომხრეების საქმიანობისადმი. ციცერონი იმავე ნაშრომის სხვა ადგილას წერს, ტიბერიუსმა „მოამწიფა მოკავშირეებისა და ლათინების უფლებები"[59]. ციცერონის თანახმად, ტიბერიუსს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დაუსახავს, მაგრამ მათი გადაჭრა ვერ განუხორციელებია. აპიანეს მსგავსად, ციცერონიც მიუთითებს, რომ რეფორმა რომის მოკავშირეებსაც ითვალისწინებდა. მოკავშირეთა საკითხი აღნიშნული პერიოდის შესახებ არსებულ წყაროებში მკრთალადაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ტიბერიუსს, რეფორმისტული მოძრაობის მომდევნო ეტაპზე ჰქონდა გათვალისწინებული მათი საკითხი. აგრარული რეფორმის დასაწყისში ისინი კარგავდნენ მიწას, ხოლო სანაცვლოდ არაფერს არ ღებულობდნენ, მათი უფლებრივი მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. ამიტომ აპიანეს გადმოცემით იტალიკებმა დახმარება სციპიონს თხოვეს. სციპიონს რეფორმისადმი პირადი უთანხმოების გარდა, მეორე მიზანიც ამოძრავებდა. სურდა იტალიკებში ავტორიტეტის შენარჩუნება. მისთვის ცხადი იქნებოდა ტიბერიუსის თავდაპირველი განზრახვა, რომელმაც რეფორმისტული მოძრაობის ამ მონაკვეთში კანონის სახე ვერ მიიღო[60]. სციპიონის გამოსვლა ნობილიტეტის ინტე-

---

[56] В. С. Сергеев, Очерки по истории древнего Рима, I, М., 1938, გვ. 175.
[57] Cic. De rep. 1, 31.
[58] Cic. De rep. 1,31.
[59] Cic. De rep. III,41.
[60] Ф. М. Нечай, Рим и италики, გვ. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესებით იყო გამოწვეული, მაგრამ ფორმულირებამ ისეთი სახე მიიღო თითქოს იტალიკების თხოვნამ განაპირობა.

ტრიუმვირების საქმიანობამ მდიდარი იტალიკების სამფლობელოებსაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ამიტომაც მოხდა, რომ ისინი რეფორმისადმი მტრულად განწყობილ დაჯგუფებას შეუკავშირდნენ. შექმნილ სიტუაციას კარგად ხსნის თ. ნეჩაის დასკვნა, „აგრარული კომისიის აქტიური მოღვაწეობა შეეჯახა მსხვილი მიწათმფლობელების საწინააღმდეგო მოქმედებას არა მარტო რომაელი მოქალაქეების მხრიდან, არამედ იტალიკების მხრიდანაც“[61]. აგრარული კომისია აქტიურად იცავდა თავს.

ტრიუმვირები მარტო აგრარული რეფორმის გატარებით არ იფარგლებოდნენ. ისინი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ იმ პირებს, რომლებსაც გარკვეული ბრალი მიუძღოდათ ტიბერიუსისა და მისი მომხრეების დაღუპვაში. პლუტარქე წერს, რომ შურისძიების პირველი მსხვერპლი სციპიონ ნაზიკა გახდა. იგი აიძულეს იტალია დაეტოვებინა. აღნიშნულ სიტუაციაში ნაზიკა მარტო არ იქნებოდა. მაგრამ სხვა შერისხულთა სახელი წყაროებს არ შემოუნახავთ.

ანტიკური ავტორების ერთსულოვანი მოწმობით, გრაკხუსების რეფორმისტულ მოძრაობაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ფულვიუს ფლაკუსმა. იგი გაიუსთან და პაპირიუს კარბონთან ერთად, თანმიმდევრულად იბრძოდა აგრარული რეფორმის გასატარებლად. ფლაკუსი ტიბერიუსის უახლოესი მეგობარი იყო. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც რეფორმმატორის გვერდით იმყოფებოდა[62]. გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით და ტიბერიუსის ტრაგედიის მომდევნო ათწლეულში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი რეფორმისტული განწყობილება უფრო ფართოდ გაიშალა ძვ. წ. აღ. 133—122 წლებში. ფულვიუსისა და გაიუსის შეთანხმებული მოქმედება აძლევდა საბაბს ველიუს პატერკულუსს ეთქვა, გაიუსს „სურდა გაეყო მასთან სამეფო ხელისუფლება“[63]. ეს ფაქტი მიუთითებებს იმაზე, რომ ფულვიუს ფლაკუსი ანტიკურ ავტორებს გრაკხუსების რანგის პოლიტიკურ მოღვაწედ ესახებოდათ. ფულვიუს ფლაკუსის ვრცელი დახასიათება დაცული აქვს ციცერონს. ამ დახასიათებაში, ტიბერიუსის თანამედროვეთა შორის ფლაკუსს თვალსაჩინო ადგილი აქვს მიკუთვნებული. როგორც ორატორი, იგი საშუალო მონაცემებისა იყო, მაგრამ მის გამოსვლებს ლიტერატურული გულმოდგინება ეტყობაო[64], — წერს ციცერონი. ციცერონის დროს ფლაკუსის სიტყვები ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ყოფილა, მაგრამ იგი უმეტესად ყურადღებას იპყრობს, როგორც პრაქტიკული მოღვაწე. ამ მხრივ იგი ორივე ძმის თეორიული იდეების ერთგულ დამცველად წარმოგვიდგება. რეფორმისტული მოძრაობის საწინააღმდეგო ტრადიცია, ფულვიუს ფლაკუსს გრაკხუსების მსგავს ბრალდებას უყენებს.

II ს-ის 30-იან წლებში, აგრარულ საკითხთან ერთად გამწვავდა მოკავშირეთა საკითხიც. მდიდარი იტალიკები, რომაელი ნობილების მსგავსად, ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ვრცელი სამფლობელოები. ღარიბ

---

[61] Ф. М. Нечай, Рим и италики, გვ. 130.
[62] Plut. Tib. XVIII.
[63] Vel. Paterc. II, VI.
[64] Cic. Brut. 28, 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიკთა ამოცანას შეადგენდა რომის მოქალაქეობის მიღება და ამ გზით ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. რომში რეფორმისტული მოძრაობის დაწყებამ მოკავშირეებს იმედი მისცა, რომ მოიპოვებდნენ რომაელი მოქალაქის უფლებებს. რომაელი მოქალაქის უფლებები იტალიის ღარიბ მოსახლეობას აგრარული საკითხის გადაჭრასაც პირდებოდა. წყაროებში მოცემული ბუნდოვანი ცნობების გარკვევას ემსახურება ვ. სერგეევის მსჯელობა. იგი წერს, „აგრარული საკითხიდან ამოიზარდა ახალი, არანაკლებ რთული მოკავშირეთა საკითხი. II ს-ის 20-იანი წლებიდან მოკავშირეთა საკითხი რომის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მწვავე საკითხი ხდება“[65]. ვ. სერგეევი მეტად მნიშვნელოვან ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, აღნიშნული პერიოდისათვის, „მიწის ფონდი თითქმის ამოწურული იყო, და ამიტომ უნდა მიემართათ მოკავშირეების სახელმწიფო მიწებისათვის[66]. ეს პრობლემა უფრო ადრე დაისმებოდა რეფორმატორთა წინაშე, მაგრამ მოკავშირეთა საკითხი 129 წლამდე არ შეიმჩნევა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტიბერიუსის აგრარული რეფორმა ეხებოდა, როგორც მსხვილი რომაელი მიწათმფლობელების, ისე იტალიკების მიწებსაც. როდესაც რომაელთა ფონდი ამოიწურა, მიადგნენ იტალიკების მიწებს. ეს უნდა მომხდარიყო 129 წლისათვის. ფაქტი კარგადაა ასახული აპიანესთან. სციპიონის გამოსვლას აგრარული რეფორმის წინააღმდეგ ისტორიკოსი იტალიკებიდან მომდინარედ თვლის[67].

რომის მსგავსად დაპირისპირება არსებობდა იტალიკებშიც. მდიდარი მოკავშირეები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ არსებული წესრიგი. ისინი შეგუებულნი იყვნენ მდგომარეობას და კონკრეტულ შემთხვევაში რომის ნობილიტეტის მხარეზე გამოდიოდნენ. იტალიის ღარიბი მოსახლეობა მხურვალედ თანაუგრძნობდა რეფორმისტულ მოძრაობას. საერთოდ, გრაკხუსების გამოსვლამდეც, იტალიკების მთავარ ამოცანას რომის მოქალაქეობის მიღება შეადგენდა. თუ ეს მოხდებოდა, ისინი ნებისმიერ დათმობაზედაც კი თანახმანი იყვნენ[68]. ტიბერიუსის რეფორმისტულ მოძრაობამდე იტალიკების უფლებრივი მოთხოვნები პასიური ხასიათისა იყო. მითითებულია, რომ აგრარული რეფორმების ფართო მსჯელობის საგნად გახდომამდე მოკავშრეთა საკითხიც მიძინებული იყო[69].

მოკავშირეებმა გრაკხუსების ინიციატივით დაიწყეს თავიანთი მისწრაფების ხმამაღლა გამოხატვა. ნობილიტეტის ნაწილი, რომელსაც სურდა იტალიის მოსახლეობის უფლებრივი გათანაბრება დადებითად სცემდა პასუხს დასმულ კითხვას. აპიანეს მიხედვით, კრიტიკულ მომენტში, „Некоторые предлагали даровать права римского гражданства всем союзникам, всего более сопротивлявшимся разделу земли. Италийцы с удовольствием приняли это предложеиие, предпочитая полям римское гражданство.“[70] ეს იყო ახალი ვარიანტი, რომელიც შეიმუშავეს გარდაქმნების მომხრეთა

[65] В. С. Сергеев, Очерки..., გვ. 177.
[66] В. С. Сергеев, Очерки... I, გვ. 177.
[67] App. B. C. 1, 19.
[68] И. Л. Маяк, Взаимоотношения Рима и италийцев в III—II вв. до н. э. М., 1971, გვ. 141.
[69] Э. Фельсберг, Братья Гракхи, გვ. 137.
[70] App. B. c. 1, 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინიციატივით და როგორც ჩანს, იტალიკებიც თანახმანი იყვნენ. ნობილიტეტის ძირითადი ნაწილი მედგრად იცავდა თავს და არავითარ დათმობაზე წასვლა არ სურდა.

რომში გაშლილმა სამოკავშირეო აგიტაციამ ფართო გამოძახილი პოვა იტალიაში. იტალიკებმა მოქალაქეობის მიღების იმედით რომს მიაშურეს, სპეციალურ ნაშრომში აღნიშნული მოვლენა ასეა განმარტებული, „малоземельное население италийских союзников Рима'... было заинтересовано в принятии Римского гражданства, так как это улучшило их экономическое положение"[71].

იტალიკების რომში თავმოყრას ისეთი სერიოზული ხასიათი მიუღია, რომ 126 წლის სახალხო ტრიბუნს, იუნიუს პენუსს კანონიც კი გამოუცია ქალაქიდან მათი განდევნის შესახებ. პენუსის კანონს რეფორმისტთა დიდი რეაქცია გამოუწვევია. განსაკუთრებული შეუპოვრობით ებრძოდა პენუსს გაიუს გრაკხუსი. ნობილიტეტის მხარდაჭერით ტრიბუნის კანონი გატარდა. პენუსის ბრძოლას გაიუსის წინააღმდეგ ციცერონი მაღალ შეფასებას აძლევდა. სახალხო ტრიბუნის შეუდრეკელობა დიდი ორატორისა და პოლიტიკური მოღვაწის მოწონებას იმსახურებდა[72]. მაგრამ დიალოგში, „მოვალეობის შესახებ", პენუსის საქმიანობა შეცდომად ჩათვალა[73].

იტალიკები კანონს დაემორჩილნენ, ისინი იძულებული გახდნენ რომი დაეტოვებინათ. აღნიშნული მოვლენა მიუთითებს, რომ სახალხო ტრიბუნ პენუსს წარმატებით განუხორციელებია რომიდან იტალიკების გაძევება. მაგრამ ამ ფაქტს უკვალოდ არ ჩაუვლია. მომდევნო 125 წელს ქ. ფრეგელში მოხდა აჯანყება[74]. ფრეგელის აჯანყება პირდაპირ ეხმაურება იუნიუს პენუსის კანონს. რომიდან გაძევებულმა იტალიკებმა ფრეგელში მოიყარეს თავი[75]. აქედან ადევნებდნენ თვალყურს რომში მიმდინარე მოვლენებს. იმავე 126 წელს გაიუსი ქვესტორად გაიგზავნა სარდინიაში. რომში ფულვიუს ფლაკუსი აგრძელებდა ბრძოლას. რეფორმისტთა პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა 125 წლისათვის, ფულვიუს ფლაკუსი კონსულად აირჩიეს. ეს კი გარდაქმნის მომხრეთა სერიოზული გამარჯვება იყო.

ფულვიუს ფლაკუსმა განავითარა რეფორმისტული მოძრაობის პრინციპები და რომის ისტორიაში პირველად წამოაყენა მოკავშირეთა საკითხი.

ტიბერიუსიდან გაიუსამდე განვლილ პერიოდში წამოჭრილ ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 125 წელს ფლაკუსის კანონპროექტი, რომელიც მოითხოვდა მოკავშირეებისათვის რომაელი მოქალაქის უფლებების მინიჭებას. ფლაკუსი, როგორც აგრარული კომისიის წევრი კარგად გრძნობდა იმ სირთულეს, ტრიუმვირების წინაშე რომ იყო აღმართული. კონსულმა იტალიკების მხარდაჭერის ახალი გზა გამონახა. დასვა მათთვის რომაელი მოქალაქის უფლებების მინიჭების საკითხი. ფლაკუსის კანონპროექტს წინ უძღოდა სახალხო ტრიბუნ პენუსის კანონი, რომლის თანახმადაც, რომში თავმოყრილი იტალიკებს ქალაქი უნდა დაეტოვებინათ. როგორც აღნი-

---

[71] Ф. М. Нечай, Рим и италики, გვ. 137.
[72] Cic. Brut. 28, 109.
[73] Cic. De off. III 47.
[74] Cic. De leg. agr. 2, 90; Liv. ep. 60.
[75] Ф. М. Нечай, Рим и италики, გვ. 137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნული გვაქვს, გაიუსი და ფლაკუსი შეებრძოლნენ პენუსის კანონს, მაგრამ მათი წინააღმდეგობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ქვესტორად არჩეული გაიუსი სარდინიაში გაიგზავნა, ხოლო კონსულ ფლაკუსს გალებთან ომის წარმოება დაევალა. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მათი მომხრეები უქმად არ იქნებოდნენ და ალბათ აგრძელებდნენ პენუსის კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას[76].

125 წელს, კონსულმა ფულვიუს ფლაკუსმა, დასვა იტალიკებისათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი. მაგრამ რომის სენატმა კანონპროექტი არ დაამტკიცა. ქ. ფრეგელში თავშეფარებული მოკავშირეებისათვის ეს ფაქტი აჯანყების საბაბი გახდა. აჯანყებას ფართო მასშტაბი არ მიუღია, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორც პროტესტის გამოხატვის დამადასტურებელი მოვლენა. აჯანყებულთა მიზნები უცნობია, მაგრამ მთავარი უნდა ყოფილიყო იმის მოთხოვნა, რომ იტალიკებიც ჩაერთოთ საერთო რომაულ მოძრაობაში[77].

ფრეგელის აჯანყება მოკავშირეების პირველი სერიოზული გამოსვლა იყო, რომლის იდეაც რომაელი რეფორმატორებისაგან მოდიოდა.

ფულვიუს ფლაკუსის კანონპროექტის ჩავარდნა ფრეგელში შეფარებული იტალიკების აჯანყების საბაბი გახდა. არ არის შემთხვევითი, რომ ანტიკურ ავტორებს იტალიკების გამოსვლის ინიციატორად ფლაკუსი მიაჩნიათ. პლუტარქეს მიხედვით, ამას ისინი არც მალავდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ[78].

ფულვიუს ფლაკუსის კანონპროექტის უარყოფის მიუხედავად რეფორმისტული პარტია ძლიერად გამოიყურება. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ გარდაქმნების ყველაზე აქტიური ორგანიზატორი გაიუს გრაკხუსი 124 წელს სახალხო ტრიბუნად აირჩიეს.

გრაკხუსების მოძრაობის შუალედში, ტიბერიუსის დაღუპვიდან გაიუსის სახალხო ტრიბუნად არჩევამდე, მათ მრავალრიცხოვან მომხრეთა შორის ფულვიუს ფლაკუსი წარმოგვიდგება ისეთ პიროვნებად, რომელიც რეფორმატორთა სტილში იბრძოდა[79]. ფლაკუსმაც მნიშვნელოვანი პრობლემა დააყენა დღის წესრიგში, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში გრაკხუსების შემართება არ აღმოაჩნდა. ამის მიუხედავად, მის საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. იტალიკების საკითხის დასმით ფლაკუსმა საგრძნობლად მოუმზადა ნიადაგი გაიუს გრაკხუსის რეფორმისტულ მოძრაობაში მოკავშირეთა პრობლემის გააქტიურებას.

ფულვიუს ფლაკუსის სახით გრაკხუსების რეფორმისტულ მოძრაობას თვალსაჩინო ფიგურა ჰყავდა. იგი ორივე ძმის უერთგულესი თანაშემწე იყო. ანტიკური ავტორები რეფორმისტულ მოძრაობაში, ძმების შემდეგ ყველაზე მეტი ყურადღებით მას ეკიდებიან. მისი როლის პირდაპირი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ აგრარული კომისიის გამმიჯნავ ქვებზე ხშირად ფიგურირებს ფლაკუსის სახელიც.

---

[76] I. Göhler, Rom und Italien, Breslau, 1939, გვ. 137.

[77] ფრეგელის საკითხთან დაკავშირებით რომის სენატში სერიოზული კამათი გამართულა. სხდომაზე სიტყვა წარმოუთქვამს ფრეგელის მოქალაქეს ლუციუს პაპირიუსს. პაპირიუსის გამოსვლა ციცერონს არარომაელ ორატორთა ღირსებების ხაზგასასმელად მოაქვს, მაგრამ ამავე დროს გადმოგვცემს ფრეგელში მიმდინარე ამბებსაც. იხ. Cic. Brut. 46, 170

[78] Plut, Gaius, X.

[79] ფლაკუსის როლი მითითებულია ანტიკურ ავტორებთან. განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მას სალუსტიუსი. C. Salustius Crispus, Bellum Iugurthinum, 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის რეფორმისტულ მოძრაობაში ფულვიუს ფლაკუსი ტიბერიუსიდან გაიუსამდე გარდამავალ საფეხურზე ყველაზე აქტიური მებრძოლი იყო.

განხილული საკითხებიდან ირკვევა, რომ ტიბერიუსის გარდაცვალებიდან გაიუსის სახალხო ტრიბუნად არჩევამდე რეფორმისტულ მოძრაობას რომში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაუტარებია. რეფორმისტული პარტიის აღნიშნულმა საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი გაიუსის სახელთან დაკავშირებული მოძრაობის უფრო ფართო მასშტაბით გაშლას, რომელიც რომის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა.

Г. Е. КАВТАРИЯ

РЕФОРМИСТСКОЕ ДВИЖЕНИЕ ОТ ТИБЕРИЯ ДО ГАЯ

Резюме

После смерти Тиберия Гракха аграрная комиссия продолжала свою работу.

В статье рассмотрены трудности, связанные с приведением в исполнение аграрного закона. Деятельности триумвиров нанесло серьезный урон выступление Публия Сципиона Эмилиана — видного представителя римской рабовладельческой аристократии. Фактически к 129 г. до н. э. аграрная комиссия прекратила свою работу, но реформистское движение на этом этапе не было приостановлено.

Аграрная реформа Тиберия в значительной степени способствовала росту количества свободного населения Рима.

От Тиберия Гракха, до выступления его брата Гая, в расширении масштабов реформистского движения важную роль сыграл ближайший друг Гракхов Фульвий Флакк. В 125 г. до н. э. он впервые в истории римской республики внес вопрос о даровании гражданства союзникам. Законопроект Фульвия Флакка представлял собой дальнейшее развитие реформистского движения.

В реформистском движении новый этап начался деятельностью Гая Гракха.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბრეგაძე

ბერიკათა ნიღბები

აგრარული დღესასწაულის — ბერიკაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ნიღბოსნობა, მთავარი პერსონაჟები კი — ნიღბოსნები, ქართულად — ბერიკები[1], რომელთა მონაწილეობა სხვადასხვა აგრარულ დღესასწაულსა და რიტუალებში მოწმდება მსოფლიოს არაერთი ხალხის ყოფაში.

ბერიკათა მთავარი ატრიბუტია ნიღაბი[2]. როგორ ნიღაბს არ შეხვდებით აგრარული დღესასწაულების დროს, დაწყებულს ცხოველ-ფრინველთა გამოსახულებებითა და აირწინაღით დამთავრებულს. მაგრამ, ცხადია, რომ ამ ნიღაბთა უმეტესობა გვიანი ეპოქის პროდუქტია. ადრე მათი რიცხვი გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო და არ უნდა ჰქონოდა ადგილი არც ასეთ ნაირგვარობას. ხოლო დღეობის ჩამოყალიბების ხანისათვის, ალბათ, ნიღაბთა რაოდენობა მინიმუმს შეადგენდა.

რომელი ნიღაბი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად გამოყენებული აგრარული დღეობისადმი მიძღვნილ რიტუალებში და რამ განაპირობა მისი გაჩენა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე გავიხსენოთ, რომ აგრარული დღეობა, რომელსაც უკავშირდება ბერიკათა რიტუალები, მომაკვდავი და აღორძინებადი ასტრალური ღვთაებისადმია მიძღვნილი. დღეობის მთავარი პერსონაჟი კი — თავბერიკა (თავდაპირველად იგივე ბერი და, ალბათ, ერთადერთი ნიღბოსანი[3]) — ამ ასტრალურ ღვთაებას განასახიერებდა. ამდენად, მას უნდა ჰქონოდა მისივე ატრიბუტები და შესატყვისი ზოომორფული სახე.

როგორი იყო ამ ცხოველის ზოომორფული სახე ანუ რომელი საკულტო ცხოველი შეესატყვისებოდა მას?

გავიხსენოთ აგრეთვე, რომ ბერიკაობა წლის დასაწყისთან დაკავშირებული აგრარული დღეობაა და კალენდარს კი საფუძვლად უდევს მზის მოძრა-

---

[1] თვით სახელწოდება ბერიკა (კნინობითი ფორმა სიტყვისა — ბერა. იხ. ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი ბერი-ბერა, „მსე“, IX, 1957, გვ.174) ქართულში ნიღბოსნის სინონიმად ქცეულა (თვით სახელწოდების — ბერა — შესახებ იხ. ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1980, გვ. 52).

[2] მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში ფართოდ ცნობილი, ხანგრძლივი ისტორიის მქონე სხვადასხვა სახისა და დანიშნულების, მათ შორის საბერიკო ნიღბები შესწავლილია არაერთი ავტორის მიერ (იხ. А. Д. А в д е е в, Маски,“ Сборник МАЭ“, გვ. 17—19). ჯ. რ უ ხ ა ძ ე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები, „მსე“, VII, 1955; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, სახიობა, თბ., 1979 და სხვ. (მკვლევრები ეხებიან ნიღბების ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალ საინტერესო მხარეს, მაგრამ არ იხილავენ ამ ნაშრომში დასმულ საკითხებს.

[3] ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53; მ ი ს ი ვ ე, მეფე, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 100, № 3, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის ზოდიაქური სისტემა[4]. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება საცდური იმისა, რომ კანონზომიერად მივიჩნიოთ დღეობის დროს ზოდიაქურ ნიშნებთან და, ამდენად, მზის კულტთან დაკავშირებულ ცხოველთა ნიღბების ტარება. აქვე დავაზუსტოთ, რომ ზოდიაქოსთან დაკავშირებული ყველა გამოსახულების შესატყვისი ნიღბები არ გვხვდება. მაშ გასარკვევია ბერიკების მიერ გამოყენებულ ნიღაბთაგან რომელი უკავშირდება ზოდიაქოს ნიშნებს და რატომ?

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთები უნდა იყოს ხარის (კუროს თანავარსკვლავედის ნიშანი), ცხვრისა (ვერძის თანავარსკვლავედი). და ვაცის (თხის რქის თანავარსკვლავედი) ნიღბები, მაგრამ რამდენადაც თავდაპირველად, ანუ დღესასწაულის ფორმირების პირველ ეტაპზე უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი ბერიკა, ანუ უფრო ზუსტად, იმ დროისათვის ბერი, ღვთაების როლის შემსრულებელი მთავარი პერსონაჟი, ამდენად, ნიღაბიც მხოლოდ ერთი უნდა ეხმარათ. მაგრამ რომელი? გავიხსენოთ, რომ ბერიკაობის, როგორც ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილი აგრარული დღეობის ფორმირების დროისათვის (III ათასწ. ძვ. წ.)[5] მზის საგაზაფხულო ბუნიაობა (ანუ იმ ეპოქის ბაბილონური კალენდრის ახალი წლის თარიღი[6]) ემთხვეოდა მზის შესვლას კუროს თანავარსკვლავედში. გამოდის, რომ იმ ხანად ამ მნათობის ზოომორფული ემბლემა უნდა ყოფილიყო ხარი, რომლის ნიღაბს, ალბათ, ატარებდა კიდეც აგრარული ღვთაების როლის შემსრულებელი ქვეყნის მიწიერი მბრძანებელი, ხელისუფალი (მეფე, ქურუმი)[7], საქართველოში ბერის სახელით ცნობილი, დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი. ამ პერსონაჟის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობათაგანი იყო მეკვლეობა, ანუ რიტუალური კვლის გავლება[8]. ხოლო ეს კვალი რომ სწორედ სახვნელით გაყავდათ, ჩანს, ერთი მხრივ ქართული სახელწოდებიდან — მეკვლე[9] და მეორე მხრივ, სახვნელსა და თოხს შორის პაექრობის ამსახველი შუმერული ტექსტიდანაც, რომელშიც სახვნელი ტრაბახობს რომ, მეფეს ჩაუვლია ხელი მისი ხელნისათვის, თოხის ტარი კი მხოლოდ მონის ხელის ღირსია და არა მეფის საკადრისი[10]. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკვე შესაძლებელია საუბარი ღვთაების როლის შემსრულებელი მეფე-ქურუმისა ანუ იმავე მეკვლე-ბერიკასა[11] და მხვნელი ხარის კავშირზე. მართლაც, გავიხსენოთ, რომ შუამდინარეთის ძველი ღვთაებები გამოსა-

---

[4] ძველ აღმოსავლეთში, კერძოდ, შუამდინარეთში, უძველესი დროიდანვე მოწმდება ვარსკვლავიერი ცის საკმაოდ კარგი ცოდნა, ბაბილონურ ტექსტებში ხშირია ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულებანი მათში მყოფი პლანეტებით (А. Паннекук, История астрономии, М., 1966, გვ. 38). გარდა ამისა, ბაბილონურ პოემაში სამყაროს შესახებ ნათქვამია, რომ გაზაფხულის მზის ღმერთმა და შემოქმედმა, მარდუკმა, გაანაწილა ცაზე თანავარსკვლავედები და დააწესა მათი მოძრაობა (В. И. Авдиев, История Древнего Востока, М., 1953, გვ. 112—113).

[5] ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 65.

[6] იქვე, გვ. 55.

[7] ნ. ბრეგაძე, მეფე.

[8] იქვე, გვ. 750.

[9] ნ. ბრეგაძე, მეკვლე, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 86, № 3, 1977, გვ. 753—754.

[10] С. И. Крамер, История начинается в Шумере, М., 1965, გვ. 96, 97.

[11] ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულნი არიან ხარის რქებითა და აცვიათ ნაკეცებიანი, ე. წ. პლისე სამოსი[12]. ეს ნაკეცები, ალბათ ციური მნათობის სხივებს გამოსახავს. მაშასადამე, საქმე გვაქვს ასტრალურ ღვთაებასთან, რომლის სიმბოლოა ხარი. და აი სწორედ, შუამდინარეთის (ბაბილონის) მთავარ ღვთაებად ქცეული მარდუკის, რომლის სახელს ცისა და „მყარი წელიწადის", ანუ 12-თვიანი კალენდარული სისტემის შემოღება უკავშირდება[13], საკულტო ცხოველი და ნიშანია ხარი[14].

ძვ. წ. III ათასწლეულსვე უკავშირდება ეგვიპტეში, მემფისსა და ჰელიოპოლისში, წმინდა ხარების — აპისისა და მნევისის კულტის შემოღება-დამკვიდრება[15].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკური გამოჩნდება ის ფაქტი, რომ საქართველოში აღმოჩენილ ძვ. წ. III ათასწლეულის საკულტო ნაგებობაში დამოწმებულია აგრარულ ღვთაებასთან დაკავშირებული ნიღბების ნაშთები, რომლებიც წარმოადგენს სწორედ ხარის რქების მორჩებს[16].

ძველი დროის გადმონაშთები შემორჩენია ყოფასაც. აგრარულ დღესასწაულში ხარის ნიღბიანი ან ატრიბუტებიანი ბერიკების მონაწილეობა დამოწმებულია როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, რუსეთში[17], საფრანგეთში[18], გერმანიაში[19], უნგრეთში[20], ხოლო სლოვაკიასა[21] და პოლონეთში დღემდე დაატარებენ „ტურონის"[23] გამოსახულებას[24]. აღნიშ-

---

[12] G. Contenau, Manuel d' Archeologie Orientale, t. 1, გვ. 95, fig. 43, გვ. 223, fig. 316; რქები ამკობდა ბაბილონის მეფეთა გვირგვინსაც (Л. Я. Штернберг, Первобытная религия в свете этнографии, М., 1936, გვ. 306).

[13] А. Паннекук, Указ. раб., გვ. 32.

[14] М. Брикнер, Страдающий бог в религиях древнего мира, СПб, 1909, გვ. 15; ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 103.

მთავარ ღმერთად მარდუკის ქცევამდე „ძლევამოსილი ხარი" იყო ცის ღმერთის — ანუს ეპითეტი (БСЭ, II изд., т, 6, გვ. 492).

თავის მხრივ, ფაქტი, რომ მარდუკის ნიშანი და საკულტო ცხოველი ხარია, და რომ ამ ღვთაებამ არ გაცვალა თავისი ემბლემა მომდევნო ზოდიაქური ეპოქის სიმბოლოზე—ვერძზე, ალბათ, უნდა განვიხილოთ როგორც მოწმობა იმისა, რომ ბაბილონის საგაზაფხულო კალენდარი (რომლითაც საახალწლო თარიღს ემთხვეოდა მარდუკის აღორძინებისა და ქორწინების თარიღი) შემოღებული უნდა იყოს სწორედ კუროს ზოდიაქურ ეპოქაში.

[15] ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971, გვ. 222.

[16] ს. ნადიმაშვილი, გუდაბერტყა — ციხიაგორა, „ლიახვი", № 3, 1963, გვ. 140.

[17] В. И. Чичеров, Зимний период русского народного земледельческого календаря XVI—XIX веков, „ТИЭ", новая серия, т. 40, М., 1957, გვ. 200.

[18] Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы (далее—КОИОСЗЕ), Весенние праздники, М., 1977, გვ. 35.

[19] იქვე, გვ. 146.

[20] იქვე, გვ. 191.

[21] КОИОСЗЕ, Весенние праздники, გვ. 223.

[22] იქვე, გვ. 202; ნ. ბრეგაძე, პოლონეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური (ხელნაწერი).

[23] ტურონი კნინობითი ფორმაა თანამედროვე ხარის ველური წინაპრის (Bos primigenius) სახელისა—ტურ (შდრ. სიტყვის—ბერ—კნინობით ფორმას—ბერიკა).

[24] ახალი წლისა და ყველიერის ციკლების დღეობებში სლავურ საწეს-ჩვეულებო სიმღერებში ტურის მოხსენიებისა და მისი ნიღბის გამოყენების შესახებ იხ. აგრ. Б. А. Рыбаков, Язычество древных славян, М., 1981, გვ. 430.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულს გარდა საქართველოში მოწმდება ხარის კულტის, ახალი წლისა და ასტრალური ღვთაების ურთიერთკავშირის მაუწყებელი სხვა მასალებიც. მაგალითად, ახალი წლის წინა დღეს ასტრალურ ღვთაებას წირავდნენ მისივე ატრიბუტებით, ხარის რქებით შემკულ რიტუალურ კვერს — „ქალ-ბაბარს"[25]. ხოლო ახალ წელს ხარს არა მარტო მიუკვლევდნენ, არამედ მეკვლედაც აირჩევდნენ. ეს ფაქტი კი განსაკუთრებულად საყურადღებო გამოჩნდება, თუ გავიხსენებთ, რომ შორეულ წარსულში მეკვლისა და ბერიკის ფუნქციებს ერთი და იგივე პერსონაჟი ითავსებდა[26].

აღნიშნულთან კავშირში საყურადღებო ჩანს ისიც, რომ წლის შემცველად მიჩნეული ძველქართული წარმართული ღვთაების სახელი ბოსლა// ბოსელი უკავშირდება ხარისა და მისი სადგომის სახელებს[27] (რაც, თავის მხრივ, ალბათ, კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ კალენდარი კუროს ეპოქაშია შექმნილი). ამასთან, ეს აგრარული ღვთაება საახალწლო დღეობის — ბერიკაობის ნიღბოსანი პერსონაჟის — ბერის იდენტურია[28]. ამ სახელწოდებას ფონეტიკურად შეესატყვისება და უკავშირდება კიდეც სიტყვა ბერა, ასე ვთქვათ, საერთო მესაქონლური ტერმინი, რომელიც იხმარება როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობაში[29]. ხოლო რამდენადაც ბერი ვეგეტატური ღვთაების განმასახიერებელი პერსონაჟია, გამოდის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, აგრეთვე წარმოადგენს კიდევ ერთ დადასტურებას საქართველოში ძველთაგანვე სიმბიოზური, კომპლექსური მეურნეობის არსებობისა, მეურნეობის, რომელიც ემყარებოდა როგორც მიწათმოქმედებას, ისე მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობას.

მაშ ასე, გამოჩნდა, რომ ბერიკაობის მთავარი პერსონაჟის სახელთან — ბერი — დაკავშირებული ტერმინი (ბერა) თანაბრად ემსახურება მესაქონლური მეურნეობის ორივე დარგს (მსხვილფეხასაც და წვრილფეხასაც). ხოლო თუ გადავხედავთ ზოდიაქოს ნიშნების შესატყვის საბერიკო ნიღბებს, შევნიშნავთ, რომ მათში ხარის გამოსახულების გარდა მოწმდება ცხვრისა და თხის ნიღბებიც.

რაც შეეხება ცხვრის ნიღაბს, შესაძლებელია დავუშვათ, რომ მისი შემოღება დაემთხვა მომდევნო ზოდიაქურ ხანას — ვერძის ეპოქას (დაახლოებით ძვ. წ. 2250 წ. — II ს.). მართლაც, გავიხსენოთ ჩვენამდე შემორჩენილი ცხვრისთავიანი მზის ღვთაების ძველეგვიპტური გამოსახულებანი[30], ან კარ-

---

[25] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფ., 1939, გვ. 130—133; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 199

[26] ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 51, 52.

[27] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 103.

[28] იქვე, გვ. 116; ნ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი, გვ. 174.

[29] ბერა მსხვილფეხა მესაქონლეობაში ეწოდება სამეურნეო კომპლექსსა და მეწველი პირუტყვის პატრონთა სეზონურ შეამხანაგებას. ესაა მუშასაქონლის ექსპლუატაციის და რძის მეურნეობის გაძღოლის სოციალ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმა; წვრილფეხა მესაქონლეობაში კი—საწველი ცხვრის შესარეკი ადგილი (В. М. Ш а м и л а д з е, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства в Грузии, Тб., 1979, გვ. 63, 181 237; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I).

[30] С. А. К о з л о в, Загадка происхождения народа фульбе, „СЭ", 1967, გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკში ამონის ტაძრის შესასვლელთან ჩამწკრივებული ვერძისავე ეპოქის (ძვ. წ. XIV—XIII სს) რამსეს II-ის ცხვრისთავიანი სფინქსები[31]. ამავე ხანას (ძვ. წ. II ათასწ.) განეკუთვნება საქართველოში აღმოჩენილი ცხვრისნიღბიანი ქალის ბრინჯაოს ქანდაკება[32].

ანარეკლი, ანუ გადმონაშთური მოწმობა იმისა, რომ ღვთაება წარმოდგენილი იყო ცხვრის სახით, შემორჩა ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფასაც. მაგალითად, მთიულეთში ღვთის მსახური ასრულებდა „ღვთის ხატად“ მიჩნეული ცხვრის ქანდაკების ღვინით განბანვის რიტუალს[33].

აღნიშნულთან კავშირში გავიხსენოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით ცხვრის სახელი — ვარძი//ვერძი — უძველეს ხანაში აღნიშნავდა მამაკაცს, რისი მოწმობაა ტერმინი — სავარძელი, ანუ მამაკაცის სკამი[34]. ზემოგანხილული მონაცემების გათვალისწინებით იბადება საცდური სახელწოდების — სავარძელი — წარმოშობის სხვა, განსხვავებული საფუძვლის დანახვისა. სახელდობრ, თუ დავუშვებთ, რომ ვერძის ეპოქაში ღვთაების ზოომორფული ნიშანი იყო ვერძი და შესატყვისად, ბერი წარმოდგებოდა ვერძის ანუ ცხვრის ნიღბითა და მისი ნიშნებით, მაშინ ბუნებრივი გამოჩნდება რომ მისი ბრწყინვალებისათვის (და არა ნებისმიერი მამაკაცისათვის) განკუთვნილ სკამს უნდა დარქმეოდა სავარძელი ანუ ვარძის||ვერძის სკამი. აღნიშნულს საფუძველს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ ქართველთა ყოფაში შემორჩენილ მონაცემთა მიხედვითაც სავარძელი მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტია, რომელშიც ნათლად აისახა საგნის სოციალური ფუნქცია. იგი, პირველ რიგში, სკამია, რომელიც გვარის, ოჯახის უფროსისათვისაა განკუთვნილი[35]. (აქვე გავიხსენოთ აგრეთვე, რომ ძველად არც თუ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა არა თუ სავარძელში, არამედ სკამზეც კი ჯდომა და მრავალი ხალხის ყოფაში დამოწმებულია იატაკსა თუ ტახტზე დაფენილ ბალიშ-საგებზე ჯდომის ჩვეულება, ან ამავ ფუნქციით გამოყენება არა ინდივიდუალური სკამისა, არამედ ე. წ. მერხების, რომლებსაც სხვა, მაგალითად, საწოლის დანიშნულებაც ჰქონდა[36]).

დავუბრუნდეთ კიდევ ნიღბების საკითხს. ბერიკებს შორის ფრიად გავრცელებული თხის ანუ ვაცის ნიღაბი, ალბათ, ზემომოტანილი მსჯელობის ანალოგიურად, შეიძლება დავუკავშიროთ თხის რქის თანავარსვლავედს. როგორია ამ თანავარსკვლავედის კავშირი კალენდართან და ნიღბოსნების დღესასწაულთან?

ეტყობა, თხის ნიღაბი უნდა გაჩენილიყო ვერძისავე ზოდიაქურ ეპოქაში ძველ რომში ახალ, 12-თვიან კალენდარზე გადასვლასთან დაკავშირებით (ძვ. წ. VII ს.). კალენდრის შეცვლამ გამოიწვია ახალი წლის გადანაცვლება ზამთრის სეზონზე, პირველი თვე კი დაუკავშირა იანუსის — სინათლისა და მზის ღვთაების სახელს, რის შედეგადაც წლის დასაწყისი დაემთხვა მზის

---

[31] К Михаловский, Карнак, Варшава, 1970, илл. 4—8.

[32] კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ, 1973, გვ. 113, 115.

[33] В. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, „ВЭК“, Тб., 1952, გვ. 305.

[34] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

[35] გ. ჩიტაია, სვანური „საკურცხილ“, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. II, ტფ., 1925.

[36] Ю. Подольский, Связь времен, М., 1966, გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომას თხის რქის თანავარსკვლავედში. მაშასადამე, ბუნებრივია, რომ წყლის დასაწყისის თანხვედრილი თანავარსკვლავედის ნიშნის შესატყვის ნიღაბს უნდა დაეკავებინა სათანადო ადგილი ბერიკათა საახალწლო რიტუალებში (რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ვაცზე, ისევე როგორც სხვა ცხოველებზე ხალხური შეხედულებანიც, რწმენა-წარმოდგენებიც). ჩანს, ამიტომაც ბერძნულ-რომაულ მისტერიებში მთავარი პერსონაჟი ვაცია[37]. საქართველოშიც, თითქმის ბოლო დრომდე, ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟთაგანი იყო ვაცის ნიღბიანი ბერიკა (ვაც-ბერიკა), თუმც ყოფას შემორჩა ადრეული ხანის გადმონაშთებიც — ხარისა და ცხვრის ნიღბები, აგრეთვე ცხვრის ტყაპუჭიანი ბერიკა.

აღნიშნულთან კავშირში გავიხსენოთ, რომ ჯ. რუხაძის აზრით, ბერიკა თავდაპირველად თხის ნიღაბს ატარებდა და ეს უკანასკნელი მიწის კულტს უკავშირდებოდა[38]. ზემომოტანილი მსჯელობის შედეგად კი, ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ თხის ნიღაბი (ისევე როგორც ხარისა და ცხვრის) ასტრალური კულტის ატრიბუტია და თავდაპირველი საბერიკო ნიღაბი კი არაა, არამედ მოგვიანო ხანის კალენდარული სისტემის ნაყოფია. და ვითარცა ამ კალენდრის საახალწლო თარიღის შესატყვის ზოდიაქურ ნიშანთან დაკავშირებული, იგი მთავარ ნიღბად ქცეულა, დაუკავებია მისი წინამორბედი — ჯერ ხარისა და მერე ცხვრის — ნიღბების ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ზოდიაქური წრის იმავე სისტემიდან მზის კიდევ ერთ სიმბოლოს. სახელდობრ, ცნობილია, რომ ლომი, რომლის სახელს ატარებს ერთ-ერთი ზოდიაქური თანავარსკვლავედი, ითვლება მზის ცხოველად. მისი ფაფარი მზის სხივებთანაა ასოცირებული. აღნიშნულთან კავშირში გავიხსნოთ, რომ კუროს ეპოქაში, როცა შემოღებული იქნა ბაბილონის საგაზაფხულო კალენდარი, მზის შესვლა ლომის თანავარსკვლავედში ემთხვეოდა მზის საზაფხულო დადგს ანუ აგრარული კალენდრის უძველეს საახალწლო თარიღს[39]. ამიტომ ბუნებრივია, რომ მზის საზაფხულო დადგის თანხვედრილი თანავარსკვლავედი ატარებდა ამ მნათობის სიმბოლოდ ქცეული ცხოველის სახელს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ უკვე ძვ. წ. XXIX ს. გიზაში გაჩნდა ფანტასტიკური არსება — ლომკაცი, სფინქსი.

ახალი წლის თარიღის შეცვლა, მისი გაზაფხულის სეზონზე გადანაცვლება კი საფუძვლად დაედო ნიღბოსანთა საგაზაფხულო აგრარული დღესასწაულის ფორმირებას და ბუნებრივია, რომ დღეობის მთავარი სიმბოლო უნდა გამხდარიყო ნიშანი იმ თანავარსკვლავედისა, რომელიც შეესატყვისებოდა უკვე ახალი კალენდრის წლის საწყის თარიღს. აქედან — ხარის გამოსახულება და ნიღაბი, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

---

[37] ძველ რომში თხის რქის თანავარსკვლავედში მზის შესვლის დროისათვის ადგილი ჰქონდა აგრეთვე აგრარული ღვთაებისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ციკლს სატურნალიებს (М. Н. Ботвиник, М. А. Коган и др., Мифологический словарь, Л., 1961)

[38] ჯ. რუხაძე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები, „მსე“, VII, თბ., 1955, გვ. 1961.

[39] ნ. ბრეგაძე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 56; მისივე, ძველქართული წარმართული და ხალხური აგრარული კალენდრების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ ერთი საკითხი ზემოგანხილულ პრობლემასთან დაკავშირებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში ხარი არ იყო მზის სიმბოლო, რომ ეს ცხოველი უკავშირდება მთვარეს, რადგანაც ქართველთა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით მზე მდედრობითი, ხოლო მთვარე მამრობითი სქესისა იყო[40]. მართლაც, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები მოწმობს, რომ საქართველოში მზე ქალღვთაებად იყო წარმოდგენილი. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გარკვეული დროიდან, ჩანს, ეს შეხედულება იცვლება[41]. გავიხსენოთ თუნდაც, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებში რჩევისათვის მისულ გმირს ხვდება თავისი ვაჟის მომლოდინე მზის დედა, რომელიც გმირს ატანს თავისივე ვაჟის ნაბან წყალს და ა. შ. ასე რომ, გამოდის, რელიგიური წარმოდგენების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ადგილი ჰქონია ურთიერთგანსხვავებულ მონაცემებს აზროვნების სფეროდან. მაგრამ აღნიშნულს გარდა იმ დროისათვისაც კი, როცა მზე ქალღვთაებად იყო მიჩნეული, ხომ სავსებით ბუნებრივია მის საკულტო ცხოველად არა მარტო ხარის, არამედ ფაუნის სხვა წარმომადგენელთა ხვადების მიჩნევა. მით უფრო, რომ საქართველოში მზის ღვთაება ბარბარ, პირველ რიგში, ითვლებოდა მსხვილფეხა საქონლის — თანაბრად ძროხისაც და ხარისაც — მფარველად[42]. ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, საახალწლო რიტუალის შესრულებისას საწესო რქიანი ლავაშებით დაილოცებოდნენ სწორედ ღვთაება ქალ-ბაბარის სახელზე. ასევე მზის კულტთან კავშირში განიხილავს ქართული მასალების მიხედვითაც ხარს ვ. ნოზაძე[43].

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ რელიგიის ისტორიიდან ცნობილია ძველწარმართულ ქალღვთაებათა არა ერთი გამოსახულება მათ სიმბოლოდ მიჩნეულ საკულტო ცხოველებთან ერთად და ეს ცხოველები ხვადებია (გავიხსენოთ თუნდაც, რომ ხშირად იშთარის სიმბოლოა ხარი[44]). რელიგიური სინკრეტიზმი ხომ ყოველთვის გულისხმობდა მდედრობითი და მამრობითი საწყისების შერწყმას, რის უამრავ მაგალითს გვთავაზობს უძველესი ხალხური რელიგიური აზროვნების ისტორია. ამასთან ხომ, თვით ძველქართული პანთეონის უმაღლესი ღვთაება — ღმერთი, რომელიც ჩაენაცვლა ქალ-ბაბარს, წარმოადგენს მზისა და ხარის კულტების შერწყმას[45]. ამავე კავშირში ყურადღებას იქცევს შემდეგი მონაცემებიც: ბაბილონის ტაძრის ბიბლიოთეკაში შემორჩენილ ჰიმნში მზე მოხსენიებულია როგორც მხიარული ცოლი, ხოლო ერთ-ერთ ფსალმუნთაგანში იგი შედარებულია თავისი კიდობნიდან გამომავალ ნეფესთან[46].

---

[40] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტები ძველ საქართველოში, თბ., 197, გვ. 190.

[41] В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 309.

[42] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.

[43] ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 102.

[44] მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982, გვ. 114.

[45] В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

[46] В. Ч. Боскавен, Религия вавилонян, сб. „Религиозные верования с древнейших времен до наших дней“, СПБ, 1900, зз. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს, ზემომოტანილი მასალის შეჯამებამდე დავაზუსტოთ: საახალწლო დღეობის — ბერიკაობა — მონაწილეთა სარიტუალო ნიღბების შერჩევაში შემთხვევითობას არ ჰქონია ადგილი და თავდაპირველად მათი რაგვარობა თუ იერსახე უკავშირდებოდა ქრონოლოგიის ზოდიაქურ სისტემას. შემდეგში კი სხვადასხვა ხალხში ბერიკათა ჯგუფი ივსებოდა ახალი პერსონაჟებითა და ატრიბუტებით, რომელთა გაჩენა განაპირობა ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების, ყოფისა და კულტურის სპეციფიკამ, თუ რელიგიური აზროვნების საფეხურებმა. მაგრამ იყო ისეთი ნიღბებიც, რომლებიც, თუ გადმონაშთური მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ფიგურირებს სხვადასხვა ხალხის ყოფაში და რომელთა გაჩენა, ალბათ, ასევე თვით დღესასწაულის ხასიათითაა განპირობებული. მაგალითად, რამდენადაც ბერიკაობის მთავარი რიტუალების განვითარებისა და ურთიერთშერწყმის შედეგად საბოლოოდ მივიღეთ ზამთრის გაცილებისა და გაზაფხულის მიგებებასადმი მიძღვნილი დღესასწაული[47], ამდენად, გამოღვიძებული ბუნების სიმბოლოდ და გამოხატულებად ჩრდილოეთის ხალხებში გააზრებულ იქნა დათვი, რომელიც მცენარეთა მსგავსად ეძლევა ზამთრის ძილს და იღვიძებს გაზაფხულის დადგომის ჟამს. და თუმც დათვის ნიშანი არაა ზოდიაქურ სისტემაში, მაინც შეიმჩნევა ამ ცხოველის კავშირი ვარსკვლავიერ სამყაროსთან. ამასთან, დიდი დათვის თანავარსკვლავედის ხილვადობის საუკეთესო პირობები სწორედ მარტ-აპრილშია[48]. გაზაფხულის მოსვლასვე გამოხატავს გადამფრენი ფრინველების — წეროსა და ყარყატის ნიღბები.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ:

თავდაპირველი და უმთავრესი საბერიკო ნიღბები დაკავშირებული ყოფილა ქრონოლოგიის ზოდიაქურ სისტემასთან; ბერიკათა, ვითარცა საახალწლო დღესასწაულის პერსონაჟთა, ნიღბების წარმოშობა ემყარებოდა სავსებით კანონზომიერ საფუძველს და მათში ასევე კანონზომიერად აისახა ხალხური რელიგიური აზროვნების ასტრალური საფეხური. ე. ი. სხვადასხვა ზოდიაქურ ეპოქაში იმის შესატყვისად, თუ საახალწლოდ მზე რომელ თანავარსკვლავედში შედიოდა, ამ უკანასკნელის ნიშნის შესატყვისი ნიღბის გამოყენება მკვიდრდებოდა რიტუალში. ამდენად, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ხარის ნიღაბი. ესაა კუროს ეპოქა, როცა ახალ წელს (მარტში) ადგილი ჰქონდა მზის დგომას კუროს თანავარსკვლავედში. მომდევნო, ანუ ვერძის ეპოქაში პრეცესიის შედეგად მზემ საახალწლოდ გადაინაცვლა ვერძის თანავარსკვლავედში და, შესატყვისად, გაჩნდა ცხვრის ნიღაბი. მოგვიანოდ კი, იმავე ვერძის ეპოქაში რომაული კალენდრის შემოღებით გამოწვეულმა საახალწლო თარიღის იანვარში გადანაცვლებამ გამოიწვია წლის საწყისი თვის თანხვედრილი თანავარსკვლავედის (თხის რქა) შესატყვისი ვაცის ნიღბის გაჩენა-დამკვიდრება.

თავის მხრივ, ბერიკათა ნიღბებსა და ზოდიაქოს ნიშნებს შორის ურთიერთკავშირი, უფრო ზუსტად, ხარის გამოსახულების ანუ უძველესი, პირველი საბერიკო ნიღბის დაკავშირება კუროს ზოდიაქოსთან და, შესატყვისად, კუროს ეპოქასთან, მეორე მხრივ, წლის შემცვლელი ძველი წარმართული ღვთაების სახელის (ბოსლა||ბოსლო//ბოსელი) კავშირი ხარისა და მისი სად-

---

[47] ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის.

[48] БСЭ, т. III, 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომის სახლებთან დადასტურებაა იმისა, რომ აგრარული საგაზაფხულო დღესასწაულის — ბერიკაობის — ფორმირებას და შუამდინარეთში ახალ, საგაზაფხულო კალენდარზე გადასვლას ადგილი უნდა ჰქონოდა სწორედ ძვ. წ. III ათასწლეულში.

ეს მონაცემები ზედნაშენური კატეგორიის ანუ ხალხის რელიგიური აზროვნების სფეროდან, ცხადია, ანარეკლია და, თავის მხრივ, მოწმობაა იმ ბაზისური მოვლენებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამეურნეო ყოფის განვითარების ისტორიაში ძვ. წ. III ათასწლეულში. კერძოდ, ესაა ხანა მეურნეობის ორივე დარგის — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის — ანუ კომპლექსური, სიმბიოზიური მეურნეობის განვითარებისა, როცა უკვე შესაძლებელი გახდა გამწევი ძალის გამოყენებით სახნავ მიწათმოქმედებაზე გადასვლა (რამაც, თავის მხრივ, განაპირობა საახალწლო პერსონაჟის — მეკვლე — ბერის — გაჩენა), ანუ როცა მომხდარა უკვე „მამალი ძროხის“ მუშასაქონლად, მხვნელად — ხარად გადაქცევა, რაც ნათლად აისახა ხალხის ხატოვან აზროვნებაშიც (კუროს ზოდიაქო, ხარის კულტი, ხარის ნიღბები...). ეს ის ხანაა, როცა დაწინაურებული მეურნეობის პირობებში შესაძლებელი გახდა სოციალური ყოფის იმ დონემდე განვითარება, რომ ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მაღალგანვითარებული საირიგაციო სისტემის შექმნას, სისტემის, რომელმაც განაპირობა საგაზაფხულო კულტურათა დანერგვა.

მოგვიანებით, იმავე ძვ. წ. III ათასწ. ბოლო ხანებში კუროს ზოდიაქურ ეპოქას ენაცვლება ვერძის ეპოქა. ეს კი, ჩანს, ის ხანაა, როცა მეცხვარეობაში უკვე დანერგილია ნერბვის და, შესატყვისად, დოლის ვადების ხელოვნურად რეგულირების პრაქტიკა[49], რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო მეურნეობის ამ დარგის და მასზე დამყარებული პროდუქტების წარმოების სწრაფი ტემპით განვითარებას. ამან კი ასახვა პოვა ზედნაშენური კატეგორიის მასალაში (ვერძის ეპოქა, ცხვრის კულტი, ცხვრის ნიღბები...).

ზოდიაქურ ნიშნებთან ასტრალური ღვთაების კავშირი აისახა არა მარტო საბერიკო ნიღბებში. დღესასწაულის — ბერიკაობა — ფორმირებას და ბაბილონის საგაზაფხულო კალენდრის შემოღებას ძველ აღმოსავლეთში წინ უსწრებდა კალენდარული სისტემა, რომლის მიხედვით წლის დასაწყისი მზის საზაფხულო დადგეზე მოდიოდა. ეს თარიღი კი (იმავე კუროს ეპოქაში) ემთხვეოდა მზის შესვლას ლომის თანავარსკვლავედში. ამ ფაქტმა ასევე სათანადო ასახვა პოვა ზედნაშენური კატეგორიის მასალაში (ლომი — მზის სიმბოლო და საკულტო ცხოველი, სფინქსები — ფარაონთა ლომისტანიანი ქანდაკებანი...).

Н. А. БРЕГАДЗЕ

МАСКИ «БЕРИКА» (РЯЖЕНЫХ)

Резюме

В статье на основе анализа историко-этнографического материала выявлено, что в масках ряженых персонажей аграрного праздника берикаоба (связанного происхождением с новогодним циклом)

[49] ნ. ბრეგაძე, მეცხვარეობის ისტორიისათვის, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, VII, თბ., 1979.

ეროვნული ბიბლიოთეკა

отразилась астральная ступень религиозного мышления наших далеких предков. Первоначально выбор этих масок был обусловлен зодиакальной системой хронологии — маски соответствовали знаку того созвездия, в котором находилось солнце в новом году. Так, время (эпоха пашенного земледелия, развитого комплексного — земледельческо-скотоводческого — хозяйства) и место формирования главных ритуалов ряженых в весенний аграрный праздник обусловили выбор маски, соответствующей образу вегетативного астрального божества зодиакальной эпохи Тельца, Мардуку, чей символ — бык. С последующей зодиакальной эпохой (Овна — эпоха развития интенсивного овцеводства) должно быть связано появление маски барана, а с введением римского календаря, когда наступление Нового года совпало с вступлением солнца в созвездие Козерога, к маскам ряженых прибавился и образ козла, что подтверждается также данными археологии и образцами искусства древнеземледельческих народов.

Связь астрального божества с эпохой зодиака отразилась не только в масках ряженых. Ведь Вавилонскому весеннему календарю на Древнем Востоке предшествовал календарь с новогодней датой, совпадавшей с летним солнцестоянием, которое в эпоху Тельца имело место в созвездии Льва. Этот факт также нашел отражение в надстроечном материале (лев — символ и культовое животное солнца; или же появление изображений фараонов в виде сфинкса — полульва-получеловека).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე ჭადაგიძე

ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში

ძველი ქართული ისტორიული მწერლობის ძეგლები ღარიბია ქრონოლოგიური მონაცემებით. საკმარისია ითქვას, რომ ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროს „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ თხზულებაში საერთოდ არ არის ნაჩვენები თარიღები, ხოლო რაც არის, ისინიც საგანგებო კვლევასა და დაზუსტებას საჭიროებს[1].

ამავე დროს ნებისმიერი პერიოდის ისტორიის გადმოცემის დროს ფაქტები აუცილებლად უნდა დალაგდეს თანმიმდევრობით, განისაზღვროს როგორც სივრცეში, ისე დროშიც[2]. ამის გამო მკვლევარნი იძულებული არიან სხვადასხვა არაპირდაპირი მონაცემით და პარალელური მასალით ისარგებლონ საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის დადგენის დროს და ზოგჯერ სავარაუდოდ განსაზღვრონ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის თარიღი.

განსაკუთრებით მწირი მასალა მოიპოვება წყაროებში თამარის მეფობის ხანის ქრონოლოგიისათვის. „ქართლის ცხოვრების“ შევსებისა და რედაქტირების დროს ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ კომისიამ დიდი სამუშაო ჩაატარა, მნიშვნელოვნად შეავსო თამარის პირველი ისტორიის ტექსტი სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ცნობებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ქრონოლოგიურად არ გაუმდიდრებია თამარის ხანის ისტორია[3]. პირველმა ვახუშტი ბატონიშვილმა სცადა ისტორიული თხზულებების ხელახლა გადამუშავება და თარიღებით გამდიდრება[4]. ვახუშტი გვევლინება ქართული ქრონოლოგიის ფუძემდებლად, მაგრამ, როგორც პლ. იოსელიანმა აღნიშნა, მისი ქრონოლოგია მკაცრ კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს[5]. თუმცა, მიუხედავად გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომებისა, ვახუშტის მონაცემები მაინც დიდად საყუ-

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ; I, ტფ., 1892, გვ. LII, LIV; ა. ბარამიძე, ნარკვევები XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბ., 1979 გვ. 76; ივ. ჯავახიშვილი იძულებული იყო ისიც კი ეთქვა, რომ „ქართველ ისტორიკოსებს ქრონოლოგიური ცნობებისათვის მაინც-დამაინც თავი ძალიან არ შეუწუხებიათ“ (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა).

[2] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, ტექსტები, შესავალი წერილი და კომენტარები, თბ., 1968, გვ. 3; Э. Бикерман, Хронология древнего мира, М., 1976, გვ. 7.

[3] რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 105—106.

[4] ალ. ბარამიძე, ნარკვევები XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიიდან, 1979, გვ. 91—93.

[5] იქვე, გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღებოა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისათვის[6]. ეპოქის ქრონოლოგიის დადგენაში დიდი დამსახურება მიუძღვით მარი ბროსეს და ივ. ჯავახიშვილს. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წლებშიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მოვლენის თარიღი დღესაც საკამათოა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

კარგა ხნის განმავლობაში მკვლევართათვის ცნობილი იყო თამარის მხოლოდ ერთი ისტორია — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", რომელშიც არც ერთი თარიღი არ არის დასახელებული.

1923 წელს „ქართლის ცხოვრების" ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ ხელნაწერში, რომელსაც პირობითად ჭალაშვილისეული ნუსხა ეწოდა, გამოვლინდა თამარის კიდევ ერთი ისტორია[7]. ამ თხზულებას, რომელიც შინაარსით საგრძნობლად განსხვავდება „ისტორიათა და აზმათა" ტექსტისაგან, ივ. ჯავახიშვილმა სავარაუდოდ დაარქვა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი". ამ თხზულების ტექსტი მხოლოდ სანახევროდ (1202 წლამდე) არის შემონახული ჭალაშვილისეულ ნუსხაში. მისი მეორე ნახევარი ივ. ჯავახიშვილმა პირობითად აღადგინა ვახტანგისეული რედაქციის ტექსტისათვის „ისტორიათა და აზმათა" გამოკლებით, რადგან, როგორც გამოირკვა, „სწავლულ კაცთა" კომისიას ძირითადად ამ ორი ნაწარმოების შეერთებით შეუდგენია თამარის ისტორია[8]. ამ თხზულებას აღმოჩენის რიგის მიხედვით ეწოდა თამარის მეორე ისტორია. ხოლო მის ანონიმ ავტორს — თამარის მეორე ისტორიკოსი[9].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობაში ხშირად დარღვეულია მოვლენათა თანმიმდევრობა[10]. აღნიშნულია აგრეთვე, რომ „ისტორიანი და აზმანი" არ არის ზუსტ ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი თხზულება, რომ მასში გვხვდება ქრონოლოგიური წინააღმდეგობანი[11]. არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომლის მიხედვით თამარის მეორე ისტორიკოსსაც „თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სრულებით არ აინტერესებს და იგი არც იცავს მას"[12]. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ართულებს XII ს-ის უკანასკნელი ოცწლეულისა და XIII ს-ის დამდეგის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის აღდგენას და ამავე დროს გადაუდებლად აყენებს დღის წესრიგში არსებული მასალის უფრო ღრმად, ყოველმხრივ შესწავლის აუცილებლობას.

---

[6] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", გვ. 130.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბ., 1977.

[8] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, მასალა დასაბეჭდად გაამზადეს ნ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ, თბ., 1944.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება, გვ. 373.

[10] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 110,, 116—120, 126—127.

[11] ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დასახ ნაშრომი, გვ. 93, 95.

[12] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1956, გვ. 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ქრონოლოგიური მასალა და ნაჩვენებია მისი მნიშვნელობა თამარის მეფობის ხანის ისტორიულ მოვლენათა დათარიღების საქმეში.

თხრობის დასაწყისში ისტორიკოსი გვაწვდის ცნობას თამარის მამის გიორგი III-ის გამეფების შესახებ: „დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შვილისა[13]. ქორონიკონსა სამას სამოცდათხუთმეტსა[14].

ერთი კინკლოსური ცნობის მიხედვით, გიორგი გამეფდა 1156 წელს[15]. ამავე თარიღს იმეორებს სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც[16]. სამთავისის წარწერის მიხედვითაც გიორგი 1156 წელს გამეფებულა[17], ხოლო პაღარწინის წარწერით — 1156 წელს[18].

გიორგი II-ის გამეფების წელი უშუალოდ უკავშირდება მამამისის, დემეტრე I-ის გარდაცვალების თარიღს. ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს დემეტრეს გარდაცვალების ორი თარიღი აქვს ნაჩვენები — 1154 და 1155[19]. სტეფანოს ორბელიანი 1158 წ. ასახელებს, ხოლო ვარდანი — 1157 წ.[20]. შირვანელი პოეტი ფელექი (გარდ. 551/1156 წ.) დემეტრეს გარდაცვალების გამო დაწერილ ყასიდაში აღნიშნავს, რომ მან 63 წელი იცოცხლა[21]. სამწუხაროდ, ამ ცნობის გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან უცნობია დემეტრეს დაბადების თარიღი (ზ. ბუნიატოვის აზრით, იგი 1093 წელს დაბადებულა, მაგრამ ეს თარიღი გამოყვანილია დემეტრეს გარდაცვალების: 1156-63-1093)[22].

როგორც ვხედავთ, წყაროებში ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებია შემონახული დემეტრე I-ის გარდაცვალებისა და გიორგი III-ის გამეფების თარიღთან დაკავშირებით. ამ წყაროთა ზოგიერთი მონაცემი მხარს უჭერს თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობას. მთელი ამ მასალის გათვალისწინებით ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ გიორგი III 1156—1156 წ. ასულა ტახტზე[23]. საბოლოოდ ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა 1156 წელი.

თამარის მეორე ისტორიკოსს აღნიშნული აქვს თამარის გამეფების თარიღიც: „დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექუსიათას ექუსას ოთხმოცდაექუსსა, ქორონიკონსა ოთხას და სამსა“[23]. ამ ცნობით თამარი გამეფებულა 1183 წელს[24].

---

[13] ხელნაწერში შეცდომით არის: „ძე დავითისი, დემეტრეს შვილისა“.

[14] ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 115.

[15] მცირე ქრონიკები, გვ. 26.

[16] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983, გვ. 227.

[17] იქვე, გვ. 227.

[18] იქვე, გვ. 228.

[19] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 366, 367 (ხელნაწერში „სამას სამოცდახუთი“ წერია, რასაც ივ. ჯავახიშვილი გადამწერის დაუდევრობით ხსნიდა).

[20] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ, 227.

[21] З. М. Буниатов, Грузия и Ширван в первой половине XII в., Сборник: „Грузия в эпоху Руставели“, Тб., 1966, გვ. 285, 290.

[22] იქვე, გვ. 285.

[23] ქართლის ცხოვრება II, გვ. 116 (ამგვარად, მეორე ისტორიკოსი დათარიღების ორნაირი სისტემით სარგებლობს — „ქორონიკონით“ და „დასაბამითგან“).

[24] პირველი ისტორიის მიხედვით დემნას აჯანყების შემდეგ გიორგი III-ემ გაამეფა თამარი 1178—1179 წწ. (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 243—244). ამის შესახებ მეორე ისტორიკოსთან არავითარი ცნობა არ გვხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინკლოსური ცნობებით გიორგი III 1184 წ. გარდაიცვალა და იმავე წელს გამეფდა თამარი[25]. ამასვე ადასტურებენ ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი და სანაჰინის მონასტრის სომხური წარწერაც[26]. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, გიორგი III-ემ „იმეფა ოცდარვა წელი და მიიცვალა სტაგირს კახეთისასა, თუესა მარტსა ოცდაშვიდსა, სამშაბათსა ვნებისასა“[27].

ივ. ჯავახიშვილმა გიორგის მეფობის 28 წელი მიუმატა 1156 წელს და მიიღო მისი გარდაცვალების თარიღი — 1184 წელი[28]. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს, როგორც აღვნიშნეთ, დემეტრე I-ის გარდაცვალების (და შესაბამისად გიორგის გამეფების) თარიღად დასახელებული აქვს 1154 და 1155 წწ. ამავე მეთოდით თუ ვიანგარიშებთ, შეიძლება მივიღოთ, რომ გიორგი III გარდაიცვალა 1182 ან 1183 წელს, ხოლო თამარი როგორც ვიცით, გამეფდა მისი გარდაცვალების უმალ.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ თამარის მეორე ისტორიკოსს დასახელებული აქვს მეფის გარდაცვალების თვე და რიცხვი: „თამარ დაიძინა ძილი იგი მართალია თუესა იანვარსა იβ“[29]. რამდენადაც თამარის გარდაცვალების წელი დღესაც საკამათოა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მეორე ისტორიკოსის ცნობას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დადგენისათვის. ქართული, სომხური და არაბული წყაროების მონაცემებით თამარი გარდაიცვალა 1207 წელს[30]. სხვა თარიღი წყაროებში მითითებული არ არის. მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ მეფე გარდაცვლილა ქართველთა მიერ კარის აღებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ე. ი. ის არსებითად მხარს უჭერს დასახელებულ თარიღს და თვისა და რიცხვის ჩვენებით მნიშვნელოვნად აკონკრეტებს მას[31].

კონკრეტული თარიღების გარდა, მეორე ისტორიკოსს მოტანილი აქვს სხვა სახის ქრონოლოგიური მასალაც, რომლის საფუძველზე შეიძლება თამარის მეფობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის დათარიღება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მემატიანეს ნაჩვენები აქვს თამარის მეფობის ხანგრძლივობა. პირველ შემთხვევაში ის წერს: „ხოლო წარმოთქუათ ესეცა, რამეთუ აცდამესამედ, გინა-თუ მეოთხედ, აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა“[32]. კარის აღება არაბული და

---

[25] მცირე ქრონიკები, გვ. 25—26

[26] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 244.

[27] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

[28] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II. გვ. 244.

[29] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 146

[30] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., გვ. 228—230.; მ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, გვ. 124—129; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, — „ცისკარი“, 1976, № 1.

[31] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის მიხედვით, თამარი გარდაიცვალა 12 იანვარს, ოთხშაბათ დღეს (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369). სარგის კაკაბაძის აზრით, ხელნაწერში შეცდომაა დაშვებული, ზუსტი თარიღია 18 იანვარი ოთხშაბათი, თუმცა 1207 წ. ოთხშაბათი 17 იანვარზე მოდიოდა, მაგრამ წინა აზიის ქვეყნებში, მისივე სიტყვით, დღე იანგარიშებოდა წინა დღის საღამოდან (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1968, გვ. 229).

[32] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხური წყაროებით 1206 წლით თარიღდება[33]. ე. ი. ეს ამბავი, მართლაც, თამარის მეფობის 23-ე წელს მომხდარა. ჩვენს ისტორიკოსს ისიც აქვს აღნიშნული, რომ „თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია ყოველი გუარი კეთილმეფობისა“[34]. აქ უკვე მეფობის მთელი პერიოდია ნაგულისხმები. ასეთივე ცნობა მოეპოვება ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანესაც („მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა“[35]). სომეხი ისტორიკოსი ვარდანი თამარის მეფობის ხანგრძლივობას 22 წლით განსაზღვრავს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში იმით არის ახსნილი, რომ ქართველ ავტორებს არასრული 23 წელი აქვთო აღნიშნული, ვარდანს კი სრული 22[36]. მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც და მეორე ისტორიკოსიც თამარის გამეფების უფრო ადრინდელ თარიღს უჩვენებენ და, ალბათ, იქიდან ანგარიშობენ 23 წელიწადს.

თამარის მეორე ისტორიკოსთან გვხვდება კიდევ ერთი დამათარიღებელი ცნობა, რომლის ზუსტი აზრი, სამწუხაროდ, დადგენილი არ არის. ქართველთა მიერ კარის აღებისა და სამეფოდ დაჭერის შესახებ თხრობის შემდეგ ისტორიკოსი წერს: „და ვისცა ათჩჯდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისაგან გემცრებიან და მისთა ლაშქართაგან, წელიწადისა ერთისა დღეთა თუ ვითარ შეუძლო ყოველთა მათ გარეთა აღმართ ოდენ შეხედენ, რომელნი ჰქონან ციხენი მჯარგრძელთა ოდენ სახლთა, ზემოთ და ქუემოთ“[37]. ივ. ჯავახიშვილმა ოდნავ განსხვავებული პუნქტუაციით გამოაქვეყნა ეს წინადადება და, რაც მთავარია, „ათჩჯდმეტის“ ნაცვლად აღადგინა — „(ოცდა)ათჩვიდმეტსა“[38]. ამ აღდგენის საფუძველზე მ. ბერძნიშვილმა ივარაუდა, რომ შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს თამარის სიცოცხლის მთელი ხანგრძლიობა დაბადებიდან გარდაცვალებამდე (1207 წლამდე)[39]. თ. ჟორდანია კი, რომელიც შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იცნობდა ამ წინადადებას, ფიქრობდა, რომ აქ ივარაუდებოდა თამარისა და დავითის ერთობლივი მეფობის პერიოდი მათი ქორწინებიდან დავითის გარდაცვალებამდე[40]. ასეთი ვარაუდის საფუძველს მკვლევარს, ალბათ, ისიც აძლევდა, რომ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ეპიზოდს მოსდევს მოთხრობა დავითის გარდაცვალების შესახებ[41]. ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარის მეორე ქორწინების თარიღად დადგენილია 1188 წელი, ხოლო დავითის გარდაცვალების თარიღად — 1205 წელი[42]. მათი თანამეფობის ხანა, მართლაც, 17 წელიწადს შეადგენს, მაგრამ,

---

33 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 117.

34 ქართლის ცხოვრება, II გვ. 150.

35 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

36 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, გვ. 229.

37 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 144.

38 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., გვ. 32.

39 Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, иследование и примечание М. М. Бердзнишвили, Тб., 1985, გვ. 62.

40 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 296.

41 ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდე, I, მ. ბ რ ო ს ე ს გამოც. სპ/ბ., 1849, გვ. 326—327.

42 ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, XII—XIII სს საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2 გვ. 145; გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი, XII—XIII სს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, ამ პერიოდს ეხება თუ არა ისტორიკოსის სიტყვები, ამის გადაჭრით თქმა, რასაკვირველია, არ შეიძლება.

თამარის მეორე ისტორიკოსი ხშირად გადმოგვცემს ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც სხვადასხვა მონაცემების მიხედვით მეტ-ნაკლები სიზუსტით არის დათარიღებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენათა მემატიანისეული ქრონოლოგიური რიგი თითქმის მთლიანად ემთხვევა მათ თანამედროვე თარიღებს. მეორე ისტორიკოსის თხზულებაში არ გვხვდება არც ერთი უხეში ანაქრონიზმი. არ მართლდება მოსაზრება თითქოს ისტორიკოსი არ იცავდეს თხრობის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. როგორც გამოირკვა, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ზუსტ ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი ნაწარმოებია. მის მიერ მოწოდებულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს თამარის მეფობის პერიოდის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესასწავლად.

М. А. КАДАГИДЗЕ

ВОПРОСЫ ХРОНОЛОГИИ В СОЧИНЕНИИ ВТОРОГО ИСТОРИКА ЦАРИЦЫ ТАМАР

Резюме

Памятники древнегрузинской исторической литературы сохранили скудный материал для восстановления хронологии. Особенно это относится к истории Грузии последней четверти XII — начала XIII вв. В сочинениях т. н. первого и второго историков царицы Тамар содержится очень мало хронологических данных по истории эпохи. В этой связи в историографии высказано мнение, что указанные историки мало интересовались датированием исторических фактов и даже не обращали внимания на соблюдение хронологической последовательности повествования.

В статье изучен хронологический материал, имеющийся в сочинении второго историка, условно названном И. А. Джавахишвили «Жизнью царицы цариц Тамар». На основе сопоставительного анализа этого материала сделан вывод, что сочинение не содержит грубых анахронизмов, последовательность в изложении исторических фактов и событий соблюдена точно, летописец сообщает ценные сведения для установления хронологии истории Грузии XII—XIII вв.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981, გვ. 23; ბ. სილაგაძე, XIII—X⁴II სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 25; რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 128, 131.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერი ვაშაკიძე

შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ყოველი ცნობის კრიტიკულ შესწავლას, მისთვის ნდობის ან უნდობლობის გამოცხადებას ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამა თუ იმ საკითხის სწორად გაშუქებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ წინა თაობის ქართველი მეცნიერნი ვალში არ დარჩენილან, მაგრამ ასეთი ხასიათის ძიებანი დღესაც არ კარგავენ აქტუალურობას. ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტია არა მარტო ახალი წყაროების გამოვლენა და მათი მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა, არამედ უკვე არსებული ცნობების ხელახალი, საგულდაგულო კვლევა და ახლებურად გააზრება[1]. სწორედ ამგვარ მიდგომას საჭიროებს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი, რომლის ავტორად (თუ რედაქტორად) ლეონტი მროველია მიჩნეული. მასში მოთავსებული თითოეული ცნობის სანდოობის ჩვენება ვფიქრობთ, თანდათანობით გააქირავებს იმ სკეპტიკურ დამოკიდებულებას, რომელსაც დღემდე იჩენენ ქართველი ისტორიკოსნი „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის მიმართ.

ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ „მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა. და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“[2]. ქართლის მეფე საურმაგს იცნობს მეორე ქართული ნარატიული წყაროც, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“[3]. ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრება“ ქართლის პირველ მეფედ ფარნავაზს მიიჩნევს, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — აზონს (აქედან გამომდინარე პირველში საურმაგი რიგით მეორე მეფეა, მეორეში კი — მესამე), ცალკე საკვლევი პრობლემაა. ამჯერად საინტერესო ისაა, რომ ორივე ქართული წყარო ასახელებს ქართლის სამეფოს ერთ-ერთ პირველ მეფეს — საურმაგს, რომლის ხელმწიფობაშიც, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო პოლიტიკურ მოვლენას ჰქონია ადგილი.

გამეფდა თუ არა საურმაგი, „მას ჟამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ. განამტკიცეს განზრახვა და მოკვლა საურმაგისი“[4] — წერს მემატიანე. „ქარ-

---

[1] С. О. Шмидт, Современные проблемы источниковедения. В кн. Источниковедение, теоретические и методологические проблемы, М., 1969, გვ. 43—44.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I, თბ., 1955, გვ. 26.

[3] მოქცევაჲ ქართლისაჲ. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 82.

[4] ქართლის ცხოვრება, გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლის ცხოვრების“ ამ ცნობას მოვლენათა შემდგომი განვითარების აღწერა მოსდევს. საურმაგი დედითურთ დურძუკეთს გაიქცა, სადაც ბიძების დახმარებით დიდძალი ლაშქარი შეკრიბა. ქართლის ლტოლვილი მეფისათვის ხელი გაუმართავს „ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა“[5]. საურმაგი მთიელთა მრავალრიცხოვანი მხედრობით ქართლში დაბრუნდა. მეფემ განდგომილ ერისთავთა ნაწილი გაწყვიტა, ნაწილი დაინდო, ერთგულები კი „წარჩინებულ ყვნა... და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ“[6]. ამის შემდეგ მას მორჭმით კიდევ მრავალი წელი უმეფია. ასეთია მოკლედ „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობი. საინტერესოა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არაფერს ამბობს მომხდარი ამბის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ თხზულების ავტორი სხვა დიდ მიზანს, ქართლის გაქრისტიანების ისტორიის გადმოცემას, ისახავდა და მირიანამდელი ქართლის მეფეთა ცხოვრების წვრილად აღწერა მისი ინტერესის სფეროში არც შედიოდა. ამდენად, მეფე საურმაგის წინააღმდეგ ქართლის ერისთავთა გამოსვლას მხოლოდ და მხოლოდ ერთი წყარო — „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს. მოგვიანებით ვახუშტი ბაგრატიონმა იგი თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა[7].

ახლა ვნახოთ, რა ასახვა პოვა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულმა ამ ცნობამ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ წყაროს ეს, ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო მონათხრობი მთლიანად უგულვებელყოფილია ისტორიოგრაფიაში. ის მეცნიერნი, რომლებიც უკრიტიკოდ ეკიდებოდნენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, პირდაპირ იმეორებდნენ მას, მეორენი უნდობლობას უცხადებდნენ, მესამე ნაწილი კი საერთოდ არ ამჩნევს ქართლის მეფესა და ერისთავთა შორის წარმოებულ ბრძოლას.

მ. ბროსე იძლევა საურმაგის მეფობის თარიღს (237—162 წწ.) და. შემდეგ მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ ზემომოტანილ ცნობას იმეორებს[8].

დ. ბაქრაძეც ახსენებს მეფე საურმაგს, მ. ბროსეს მსგავსად განსაზღვრავს მისი ზეობის წლებს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ საურმაგმა დურძუკთა ჭარბი მოსახლეობა მთიანეთში, დიდოეთიდან სვანეთამდე, ჩაასახლა და კერპები „აინანა და დანანა“ აღმართა[9]. რა თქმა უნდა, დ. ბაქრაძე ზუსტად მიჰყვება „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ფაქტს რატომღაც გვერდს უვლის.

თითქმის ერთნაირი ვითარება გვხვდება ალ. ჭყონიასა და მ. ჯანაშვილის ნაშრომებში. ავტორები საურმაგის მეფობის ერთნაირ (ბროსესეულ) თარიღს იძლევიან და ქართლის ერისთავთა მეფისაგან განდგომის ამბავსაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გადმოგვცემენ[10].

---

[5] ქართლის ცხოვრება, გვ. 27.

[6] იქვე.

[7] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა., — ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 58.

[8] M B r o s s e t, Histoire de la Georgie, I, СПб., 1849, გვ. 43—44.

[9] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, უძველესი დროდამ X ს-ის დასასრულამდე. ტფილისი, 1889, გვ. 89.

[10] ალ. ჭ ყ ო ნ ი ა, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის (უძველესი დროდამ ბაგრატიონთ გამეფებამდე), ტფილისი, 1890, გვ. 188; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 12; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორია, ტ. 1, უძველეს დროითგან 985 წლ. ქრ. შ. — ტფილისი, 1906, გვ. 97—98.

10. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1985, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან განსხვავდება ს. გორგაძის „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისადმი დამოკიდებულება. მეცნიერი მეფე საურმაგთან დაკავშირებულ ამბებში საერთოდ არ იზიარებს ქართული წყაროს მონაცემებს. ს. გორგაძე იძლევა ამ მეფის ზეობის განსხვავებულ თარიღს (დაახლ. 206—162 წწ.) და წერს, რომ სწორედ საურმაგის ხელმწიფობაში ასურასტანის მეფის ანტიოქოს დიდის ორმა სარდალმა არტაშესმა და ზარიადრმა ძვ. წ. 189 წლის მახლობლად სომხეთს დამოუკიდებლობა მოუპოვეს. მათი მცდელობით მეზობელმა სახელმწიფოებმა რამდენიმე პროვინცია დაკარგეს. ქართლისათვის ამ მეფეებს არაქსისა და ჭოროხის ხეობებში მდებარე მიწები ჩამოუჭრიათ[11]. როგორც ვხედავთ, ქართლის მეფესა და მის ერისთავებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე არც აქაა რაიმე ნათქვამი.

ივ. ჯავახიშვილი ზედმეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილისადმი. „მისი (ლეონტი მროველის — ვ. ვ.) თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის, ახლა თითქმის სრულებით გამოუსადეგარია[12]“ — წერდა იგი.

ამ აზრს იზიარებდა ს. ჯანაშიაც. ერთგან იგი შენიშნავს: „ჩვეულებრივად, საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას იწყებენ რომაელთა შემოსვლით ამიერკავკასიაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ დროიდან მოყოლებული განსაკუთრებით მრავლდება ცნობები საქართველოს შესახებ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში“[13].

ნ. ბერძენიშვილი სპეციალურად არ დაინტერესებულა საქართველოს უძველესი ისტორიის საკითხებით და ამდენად არც „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ცნობაზე გამოუთქვამს თავისი აზრი.

უკანასკნელი ოთხი-სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოს უძველესი წარსულის ამსახველი ორიგინალური ნარატიული წყაროებისადმი რამდენადმე სასიკეთოდ შეიცვალა და შედარებით ობიექტური გახდა. ამას დიდად შეუწყო ხელი არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაფართოებამ და უცხოენოვან წყაროთა სამეცნიერო მიმოქცევაში ინტენსიურად შემოტანამ. სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ყოველმხრივმა წყაროთმცოდნეობითმა შესწავლამ, მასში დაცული ცალკეული ცნობების ანალიზმა. მეცნიერნი ამა თუ იმ ცნობის კრიტიკულად განხილვისას, მაშინაც კი, როცა საკონტროლო მასალა არ მოიპოვება, ცდილობენ გაითვალისწინონ კონკრეტული ისტორიული ვითარება და ლოგიკური მსჯელობით სათანადო ადგილი მიუჩინონ წყაროში დაცულ რეალიებს.

ამ დიდი სამუშაოების ჩატარებისდა მიუხედავად, ჩვენ მიერ ზემომოტანილი ცნობა, რომელიც საურმაგ მეფისაგან ქართლის ერისთავთა განდგომაზე მოგვითხრობს, არც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აისახა. მხოლოდ ქართლის პირველი მეფეების კავკასიის მთიანეთში მცხოვრებ ტომებთან დამოკიდებულების განხილვისას გვხვდება ასეთი შენიშვნა: „საურ-

---

[11] ს. გ ო რ გ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, მოკლე სისტემატური კურსი მოზრდილთათვის, I, თბ., 1910, გვ. 43; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორია, მოკლე სისტემატური კურსი, I, ქუთაისი, 1915, გვ. 50.

[12] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, თორმეტ ტომად, VIII, თბ., 1977, გვ. 187.

[13] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, უძველესი პოლიტიკური ისტორია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგი დურძუკთა დახმარებით იბრუნებს ტახტს"[14]. ის კი, თუ რა ვითარებაში მოხდა საურმაგ მეფის დროებით ტახტიდან ჩამოგდება, არც იხსენიება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობის შესამოწმებლად სხვა მასალა არ მოგვეპოვება, ჩვენი აზრით, ისტორიულად არსებული პროცესების გათვალისწინებითა და ლოგიკური მსჯელობის გზით მაინც შეიძლება მის ავკარგიანობაზე ლაპარაკი. ამისათვის კი იმ ფაქტებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისას.

ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა ძვ. წ. IV—III სს. მიჯნაზე მომხდარ იმ დიდ ძვრებს რომ ემთხვევა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანთა სპარსეთის განადგურებას, შემდეგ კი თვით მისი იმპერიის დაშლას მოჰყვა, კარგა ხანია სადავო არ არის[15]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას წინ უსწრებდა ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომების მრავალსაუკუნოვანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ძვ. წ. VII—VI სს-ში გვაროვნული საზოგადოების წიაღში აღმოცენდნენ თვისობრივად სრულიად ახალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები. ძვ. წ. VI—IV სს-ით დათარიღებული ახალგორის, ყანჩაეთისა და წინწყაროს მდიდრული სამარხები იმის მოწმობაა, რომ აქ დაკრძალულთა სახით საქმე გვაქვს არამარტო ქონებრივად დაწინაურებულ, არამედ სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგარ პირებთან. ეს ძეგლები, წერს ოთ. ლორთქიფანიძე, „სრულიად გარკვევით მიუთითებენ, რომ აქ ჩვენ სახეზე გვაქვს სრულიად აშკარად გამოხატული კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ერთეულები"[16]. ასეთ ერთეულებს „ხევები" წარმოადგენენ[17].

ქართლის სამეფო სწორედ ზემოდასახელებულ სახელმწიფოებრივ ერთეულთა ურთიერთბრძოლის შედეგად წარმოიქმნა. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სხვადასხვა გაერთიანებებს შორის პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ამტყდარი ჭიდილი ნათლად აისახა „ქართლის ცხოვრებაში". „და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანეთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან"[18], — წერს მემატიანე.

როგორც ვხედავთ, ქართლში პირველობისათვის ბრძოლა ხანგრძლივი პროცესი იყო. შეტაკებისას სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულები მოკავშირეებს იძენდნენ, დამარცხებულს გამარჯვებულნი იერთებდნენ და იქმნებოდ-

---

[14] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 462.

[15] А. И. Болтунова, Возникновение классового общества и государственной власти в Иберии,—ВДИ, 1956, № 2, გვ. 43. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии,—Тб. 1959, გვ. 266—283; ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ., 1968, გვ. 12; Н. Ю. Ломоури, Возникновение древнеиберийского (Картлийского) государства,—Проблемы античной культуры, Тб., 1975, გვ. 481—494; გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში—თბ., 1979, გვ. 112, 162.

[16] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[17] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, თბ., 1977, გვ. 40—43.

[18] ქართლის ცხოვრება, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ კიდევ უფრო დიდი გაერთიანებები. საბოლოოდ ერთიანი ქართლის სამეფოს შექმნა ორი დიდი პოლიტიკური ერთეულის შერწყმით მოხდა. „ქართლის ცხოვრება“ ვრცლად მოგვითხრობს ფარნავაზისა და აზონის ბრძოლაზე. იმარჯვა პირველმა. ფარნავაზის ლაშქარმა მტრის ბანაკი აოტა, აზონი კი ბრძოლაში მოკლეს. მცხეთას შემობრუნებულმა ფარნავაზმა ქვეყანა შემოიმტკიცა და დიდი რეფორმები გაატარა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზმა სამეფოს ტერიტორია საერისთაოებად დაჰყო. საერისთაო ქვეყნებზე დაკვირვებით ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ისინი „იგივე ქართლოს-მცხეთოსის (და ეგროსის) ძეთა სამამასახლისო ქვეყნებია... აშკარაა, ფარნავაზი ამ თავის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობით, ძველიდანვე არსებული ქვეყნების, ე. ი. ეთნიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნების, მონათესავე ტომების... პოლიტიკური გაერთიანების ფაქტიდან ამოდის“[19]. ოთ. ლორთქიფანიძის აზრითაც, ქვეყნის საერისთაოებად დაყოფა არსებითად შექმნილი ვითარების ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების აღიარება იყო“[20].

მკვლევართა ეს შეხედულებანი ნაწილობრივ არქეოლოგიური გათხრების შედეგებითაც მტკიცდება. უფლისციხის მიდამოებში, დაბა ბამბებში ძვ. წ. III—II სს-ის სამარხში აღმოჩენილ იქნა თიხის საბეჭდავი, რომელსაც ოფიციალური ბეჭდის ფორმა აქვს. დ. ხახუტაიშვილის აზრით, მისი პატრონი რიგითი პირი არ უნდა ყოფილიყო. „ოფიციალური საბეჭდავის ქონება, — წერს დ. ხახუტაიშვილი, — ამ დროისათვის, როგორც ჩანს, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ დაბის განმგებელი ფორმალურადაა თემის მიერ არჩეული უხუცესი, ხოლო ფაქტობრივად იგი სამეფო მოხელეა, მამასახლისია... სამეფო ხელისუფლება არა მარტო ამ დროს, არამედ უფრო გვიანაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინასახელმწიფოებრიობის ხანიდან შემორჩენილ ტრადიციებს“[21].

ამრიგად, ჩვენი აზრით, ნათელია, რომ ფარნავაზის ერისთავები ერთიანი ქართლის სამეფოს წარმოქმნამდე არსებული დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების უფლებები იყვნენ. ყველა ამ ერთეულის გაერთიანების შემდეგ, რასაც წარმართულ ღვთაებათა კერპების გვერდიგვერდ აღმართვაც მოწმობს, ფარნავაზმა ყოფილი დამოუკიდებელი ხელისუფალნი თავის მოხელეებად-ერისთავებად აქცია, რითაც სწორედ მათ მეფისადმი ქვეშევრდომობას გაუსვა ხაზი.

სახელმწიფოებრიობის ხანამდე ქართლის ერისთავთა სრულ დამოუკიდებლობას მათივე სიტყვები ცხადყოფენ: „ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ“. ამიტომ ვფიქრობთ, ერისთავთა განდგომა საურმაგ მეფისაგან და მათი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა სრულიად ბუნებრივი მოვლენა ჩანს. „ქართლის ცხოვრების“ ჩვენ მიერ ზემომოტანილი ცნობაც სწორედ ამას გვამცნობს. ისტორიაში, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაშიც, არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც ამა თუ იმ ძლიერი მეფის მიერ შევიწროებული წარჩინებულნი მისი გარდაცვალებისთანავე წამოჰყოფდნენ თავს და ცდილობდნენ შელახული პატივისა და დიდების აღდგენას.

---

[19] ნ. ბერძენიშვილი, საერისთაო ქვეყნების ცვლა. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 152—153.

[20] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 15.

[21] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, II, თბ., 1970, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ის ცნობა, რომელიც ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების თავდაპირველ ეტაპზე სახელმწიფოში დატრიალებულ შინაპოლიტიკურ ბრძოლას გვიხატავს, სრულიად სანდოა და მან სათანადო ადგილი უნდა დაიმკვიდროს სამეცნიერო ლიტერატურაში. ქართველ ისტორიკოსებს ქვეყნის უძველესი წარსულის აღსადგენად არც თუ ისე მრავალრიცხოვანი წყაროები გვაქვს ხელთ, რომ ამგვარ საინტერესო ცნობაზე უარი ვთქვათ.

В. В. ВАШАКИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ВНУТРИПОЛИТИЧЕСКОЙ БОРЬБЫ НА НАЧАЛЬНОМ ЭТАПЕ СТАНОВЛЕНИЯ КАРТЛИЙСКОГО ЦАРСТВА

Резюме

В статье дана попытка всестороннего источниковедческого изучения одного сведения из «Картлис цховреба», где сообщается об отступлении картлийских эриставов от царя Саурмага. Логический анализ событий с учетом исторического процесса становления Картлийского государства подтверждает правдивость указанного сведения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსუდან რუსიშვილი

ძველი ანაგის შუა გრინჯაოს ხანის სამარხი

1975 წელს სიღნაღის რ-ნის სოფელ ძველ ანაგაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიწის სამუშაოების დროს დააზიანეს სამარხი. სამწუხაროდ, სამარხის ტიპის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხეული მასალა: ტუფის სარქველი და ხელით ნაძერწი თიხის ხუთი ჭურჭელი (ტაბ. 1^{1-6}) კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადასცა ქ. სიღნაღის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ე. ჩალაბაშვილმა[1].

სამარხში გამოვლენილი შავპრიალა, ორყურა ქილა (ჩ—37 სმ. პირის დმ. 20,7 სმ., მუცლის დმ. 30 სმ., ძირის დმ. 11,5 სმ) (ტაბ. 1_5) დამზადებულია უხეში, ქვიშანარევი თიხით და გამომწვარია შავად. პირის მოყვანილობით იგი უახლოვდება ალაზნის ველის ადრებრინჯაოს ხანის I და II გორასამარხების დერგებს[2], მუცლის მოყვანილობით თრიალეთის ადრეული XXV ყორღანის მოზრდილ ჭურჭელს და ზემო ალვანის შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით დათარიღებულ სამარხის ქილებს[4]. ოდნავ გამოყოფილი ძირით კი თრიალეთის ადრეული IV, XI^5 ყორღანის და სადუღას № 2 გორასამარხების დერგებს. ეს უკანასკნელი შუაბრინჯაოს ხანის პირველი ნახევრით თარიღდება. ჩამოთვლილ ჭურჭლებს (სადუღას ერთი დერგის გამოკლებით) საერთო აქვთ შავი, პრიალა ზედაპირი.

განსახილველ ჭურჭელს ორიგინალობას ანიჭებს ერთმანეთის საპირისპიროდ დაძერწილი ორხვრელიანი ბრტყელი ყური, რომელიც ზედა ნაწილში შვერილით ბოლოვდება და ცხოველის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი ორხვრელიანი ყური არ შეინიშნება არც შუაბრინჯაოს და არც წინამორბედი კულტურების კერამიკაზე. ვფიქრობთ, იგი ჩანასახია იმ ზოომორფული ყურებისა, რომელიც დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებისათვის. რაც შეეხება ყურის ზემოთ მოცემულ შვერილს, თრიალეთის პირველი ჯგუფის კერამიკაზე იგი წარმოდგენილია ტოლჩის და მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტების ყურებზე[7] და ქილაზე[8]. ამ უკანასკნელზე დაბალი შვერილის მქონე რამდენიმე ყურია მოცემული. ასეთივე შვერილი

---

[1] მასალა ინახება ქ. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ინვ. № 305. 1—6

[2] Ш. Ш. Дедабришвили, Курганы Алазанской долины, Тб., 1975, ტაბ. XX_{22} XXX_{23} $IV_{1,3}$

[3] ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, ტაბ. II.

[4] შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, ზემო ალვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი, კაე შრომები IV თბ., 1980. ტაბ. XXIX, XXX_4

[5] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 5_{11} 7_8

[6] შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, სადუღას შუაბრინჯაოს ხანის № 2 გორასამარხი, კაე შრომები, VI თბ., 1984. ტაბ. $XXX_{1,4}$

[7] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. $30_{1,3}$

[8] იქვე, ტაბ. 30_4

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ მეორე ჯგუფის ხელადების[9] ყურებს და დერგის[10] მხარზე ერთ რიგად გარშემოყოლებულ მომცრო ყურებსაც. ახჩიას № 6 ყორღანის[11] და ნაოხვამუს ქვედა ფენის[12] მასალებში ვხვდებით შვერილ ყურიან ბადიებს. ნაოხვამუს დასახელებულ ფენაში მოპოვებულია აგრეთვე მსგავსი ყურის მქონე ტოლჩა[13] და ქილები[14]. ეს უკანასკნელი აღმოჩენილია დიხა გუძუბას შუა ფენაშიც[15], აღნიშნული თიხის ნაწარმი შუაბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ამ ჭურჭლებზე შვერილიანი ყურების არსებობა ადრეული ტრადიციების გაგრძელებაზე მეტყველებს, რადგან, როგორც ცნობილია, შვერილიანი ყური ჩვენში მტკვარ-არაქსის ხანაში იჩენს თავს[16], იგი ხშირად გვხვდება ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის თიხის ჭურჭლებზე. ქორეთის № 1 სამარხის[17] და ხოვლეს ყორღანის[18] კასრისებურ ჭურჭლებს ჩვენი ქილის მსგავსად ორი შვერილიანი ყური აქვთ. ზველის და ლოდობანის ქილებს[19], შაუმიანის № 4,5 ყორღანების ქოთანს და ტოლჩას კი ცალი ყური[20]. მსგავსი ყურები წარმოდგენილია ახალციხის ამირანის გორის[21] და ილტოს[22] ნამოსახლარების აღნიშნული პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებზეც, შ. დედაბრიშვილი მათ ნახევარსფერული ყურების შემდგომ განვითარებად მიიჩნევს[23].

საქართველოს ფარგლებს გარეთ მსგავსი ყურები გვხვდება დაღესტანში — გინჩის სამაროვანის ქილებზე (მათ უმრავლესობას ორი ყური აქვთ) და ტოლჩებზე[24]. სამაროვანი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება[25].

ძველი ანაგის ორყურა ქილაზე მოცემულია უხეშად შესრულებული ამოკაწრული ორნამენტი. ბადისებრი ხაზებით შევსებული სარტყელი და მასზე ფუძით მიბჯენილი, ერთმანეთში ჩახაზული სამკუთხედები. შიდა სამკუთხედე-

---

[9] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 24_8, 9, 11, 19, 20

[10] იქვე, ტაბ. 22_{14}

[11] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, სურ. 16_{171} ტაბ. XXII_{171}.

[12] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиди, т. II, Тб., 1949, სურ. 60_5.

[13] იქვე, სურ. 61.

[14] იქვე, სურ. 48_{106}, 109.

[15] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, სურ. $60_{3,9}$.

[16] ი. კიკვიძე, ხიზანანთ გორა, თბ., 1972, ტაბ. 222.

[17] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, სურ. 29.

[18] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1963, გვ. 118.

[19] ა. ორჯონიკიძე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1981, გვ. 35; მისივე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983, ტაბ. 32_{11}.

[20] ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975, ტაბ. $XXII_{1,2}$ XXVIII_2.

[21] ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1962, ტაბ. 9_3 21_2

[22] Ш. Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы ТКАЭ т. I Тб., 1961, სურ. 13_1—$_4$.

[23] იქვე, გვ. 58.

[24] М. Г. Гаджиев, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы (Могильник Гинчи) Махачкала, 2969, სურ. 4_8 8_6 19_7 $25_{5,8}$ $32_{2,7}$.

[25] იქვე, გვ. 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი შევსებულია შვეული და ირიბი ხაზებით. სამკუთხედებს ძირში ამოღარული ტეხილი ხაზი შემოსდევს.

სარტყელი და მასზე ფუძით მიბჯენილი სამკუთხედები ერთ-ერთი დამახასიათებელი ორნამენტია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი შუაბრინჯაოს ხანის კერამიკისათვის.

გვხვდება როგორც სადა, ასევე სხვადასხვა სახეებით შევსებული სარტყელი და სამკუთხედები. სამკუთხედების რაოდენობა, სიდიდე და განლაგება ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავდება.

ჩვენი ქილის ორნამენტთან ახლოს დგას სადუღას № 2 გორასამარხის ყელდაბალ დერგზე[26] მოცემული ორნამენტი. მათი საერთო ელემენტია სარტყელი და ცალ-ცალკე განლაგებული, ერთმანეთში ჩახაზული, გრძელი სამკუთხედები. განსხვავებაა სარტყლის და სამკუთხედების შემავსებელ ორნამენტში. სარტყელი აქ ირიბი ხაზებით არის შევსებული სამკუთხედები კი ირიბი და ტალღოვანი ხაზებით.

ჭაჭუნას სამარხის დაბალყელიან ქილაზე[27] და დიდი სერების № 1 გორასამარხის მცირე კოჭობზე[28], სარტყელზე ფუძით მიბჯენილი, კუთხეებით შეერთებული, მოკლე სამკუთხედების მწკრივია მოცემული. ქილის სარტყელი სადაა, სამკუთხედები კი დაშტრიხულია ირიბი ხაზებით. ასეთივე ორნამენტით შევსებულ კოჭობის სარტყელზე ორფა სამკუთხედებია მიბჯენილი.

ჭაჭუნას და დიდი სერების სამარხები, ისევე როგორც სადუღას № 2 გორასამარხი, შუაბრინჯაოს ხანის პირველი ნახევრით თარიღდება.

თუ ძველი ანაგის სამარხის ქილაზე და სხვა ჩამოთვლილ ყელდაბალ ჭურჭლებზე აღნიშნული ორნამენტი მხოლოდ ამოკაწრული ხაზებით არის შესრულებული, შვინდიანის სამაროვანის მაღალყელიანი ქილების[29] სარტყლები, ცალ-ცალკე განლაგებული ან კუთხეებით შეერთებული სამკუთხედები, სავარცხლის კაბილისებური და წერტილოვანი ირიბი ხაზებით არის ამოვსებული. ამ უკანასკნელით არის შევსებული ზემო ალვანის სამარხის შავპრიალა მაღალყელიან ქილებზე[30] და ქილების ფრაგმენტებზე დატანილი წყვილი სარტყლები, კუთხეებით შეერთებული ან სამ-სამად დაჯგუფებული სამკუთხედები.

მსგავსება შეინიშნება ზურტაკეტის № 3 ყორღანში გამოვლენილ შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებთან, რომლებზედაც ამოკაწრულია ტეხილი ხაზები[31], ბადისებრი ორნამენტით შესრულებული სარტყელი და ერთმანეთში ჩახაზული სამკუთხედები[32]. მსგავსი ტექნიკით შესრულებული სარტყლები ჩანს № 4[33] და № 6[34] ყორღანების შავპრიალა დერგებზეც. № 4

---

[26] შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXX_4.
[27] მასალა ინახება ქ. გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 304—1.
[28] მასალა ინახება ქ. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 227—1, 7.
[29] რ. რუსიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. IV_3.
[30] შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, ზემო ალვანის... ტაბ. VIII_{1-6}
[31] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები... სურ. 24.
[32] იქვე, სურ. 23, 24, 25. ტაბ. XV
[23] იქვე. სურ. 34.
[34] იქვე. სურ. 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორღანი ძვ. წ. XVII საუკუნის შუახანებით თარიღდება[35], № 3 და № 6 ყორღანები კი ძვ. წ. XVII საუკუნის მეორე ნახევრით[36].

ჩვენს ქილაზე მოცემული ორნამენტი თრიალეთის I და II ჯგუფის შავპრიალა კერამიკაზე რთულ ორნამენტულ სახეებთანაა შერწყმული[37]. საერთო ჩანს შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის სტალინირის სატყეო კომბინატის სამარხების და ახჩიას ყორღანების ქილებზე წარმოდგენილ ორნამენტულ სახეებთან.

სატყეო კომბინატის შავპრიალა დაბალყელიან ქილებზე მოცემულია ირიბი ხაზებით შევსებულ სარტყელზე ფუძით მიბჯენილი, ცალ-ცალკე განლაგებული[38] სამკუთხედები, რომლებიც ამოვსებულია შვეული[39] და ირიბი[40] ხაზებით. აგრეთვე ერთმანეთში ჩახაზული სამკუთხედებით[41]. ასეთივე ორნამენტი ავსებს ახჩიას მაღალყელიან ქილებზე დატანილ სარტყელს და წვერით ქვევით მიმართულ კიდეებით შეერთებულ[42], სამად[43] ან წყვილად[44] დაჯგუფებულ სამკუთხედებს. აქ გამოვლენილ ერთ დერგზე[45] და ქილაზე[64], ამოკაწრული, ბადისებრი ორნამენტიანი სარტყელიც გვხვდება.

ახჩიას აღნიშნული ჭურჭლების უმრავლესობა შავპრიალაა.

სარტყელზე ფუძით მიბჯენილი სამკუთხედები მოცემულია ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებულ გინჩის სამაროვნის ქილებზე და ტოლჩებზეც. აქ სარტყელს და კუთხეებით შეერთებულ პატარა სამკუთხედებს ირიბი ხაზები ავსებს[47].

მ. გაჯიევი დაღესტანში სამკუთხედისებური ორნამენტის გამოჩენის თარიღად ძვ. წ. III—II ათასწლეულის მიჯნას მიიჩნევს (გონოს, ყარაბუდახკენტის სამარხები, ზედა გუბინის ნამოსახლარი)[48].

სომხეთში, ლჭაშენის № 6 ყორღანის დერგზეც ვხვდებით უხეშად ამოკაწრულ სარტყელს და ცალ-ცალკე განლაგებულ გრძელ სამკუთხედებს. სარტყელი ირიბი ხაზებით არის დაშტრიხული, სამკუთხედები კი ხშირი შვეული ხაზებით[49]. ყორღანი ძვ. წ. II ათასწლეულის I პერიოდით თარიღდება[50].

---

35 ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები... გვ. 248.

36 იქვე გვ. 246.

37 ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. $18_{20,26}$ $19_{11,1\ 3,14}$,

38 მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმში, ინვ. № 28—61:5 (247), 17(255), 18 (256), 21(259), 25(262).

39 ინვ. № 28—61:5 (247), 18(256).

40 ინვ. № 28—61:21 (259).

41 ინვ. № 28—61:17 (255), 25 (262); ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXVI.

42 ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, სურ. 24, 251.

43 იქვე, სურ. $5_{21,40}$ სურ. 6_{35}.

44 იქვე, სურ. 24_{250}.

45 იქვე, სურ. 5_{43}.

46 იქვე, სურ. 16_{152}.

47 М. Г. Гаджиев დასახ. ნაშრ., სურ. $8_{6,11}$ $10_{8,9}$ $12_{4,8}$ $23_{,4,\ 8,\ 9,\ 10}$ $39_{1,\ 2,\ 5,}$ და სხვ.

48 М. Г. Гаджиев დასახ. ნაშრ., გვ. 131.

49 А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Е., 1964, გვ. 25.

50 Э. В. Ханзадян, Лчашенский курган № 6, КСИА, вып. 91, М., 1962, გვ. 70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ. ხაჩატრიანი სომხეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაზე არსებულ, ამოკაწრულ ხაზებით შესრულებულ სამკუთხედებს გენეტიკურად უკავშირებს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ორნამენტს[51].

ჩვენს ქილაზე მოცემული ორნამენტი კერამიკის შემკობის ძველ ტრადიციებზეა აღმოცენებული. ამას მოწმობს მტკვარ-არაქსისა (ამირანის გორა[52], სამშვილდე[53], დანგრეული გორა[45], ღაით-მაზი[55]) და ადრებრინჯაოს (თრიალეთის ადრეული ყორღანები[56], ზველი[57], ალაზან-ბედენური[58] კერამიკა) ხანით განსაზღვრულ, კერამიკის დეკორში, მისი შემადგენელი ელემენტების არსებობა.

ძველი ანაგის სამარხიდან კიდევ ერთი შავპრიალა ქილა გვაქვს (ჩ—9,7 სმ. პირის დმ. 8,6 სმ. მუცლის დმ. 15 სმ. ძირის დმ. 6,2 სმ) (ტაბ. I_3). იგი დამზადებულია უხეში, ქვიშის და თეთრი მინარევის შემცველი თიხით. აქვს მოვარდისფრო შიდაპირი და კეცი. ქილას ყელზე გარშემოუყვება რელიეფური მრგვალი სარტყელი, რომელსაც ქვევით გასდევს ნაცრისფერი ხაზი. მასზე ნაპრიალები წვრილი ხაზებით რომბებია დატანილი. ჭურჭლის მხარზე და მუცელზე ასეთივე რომბებით შევსებული ნაცრისფერი ხაზებით იქმნება სარტყელი. მათ შორის ჩასმულია ასევე შესრულებული, სამი ირიბი და რელიეფური ვერტიკალური ხაზი.

დამზადების ტექნიკით ქილა ახლოს დგას სადუღას № 2 გორასამარხის[39] და მესხეთის ყორღანების[60] თიხის ნაწარმთან. ყელის ფორმა მას აახლოვებს აკაკიანთ ხევის შუაბრინჯაოს ხანის № 1 გორასამარხის ქილებთან[61] და საბიდ აღჩას № 5 ყორღანის დერგთან[62]. ეს უკანასკნელი დაახლოებით ძვ. წ. XVIII საუკუნით თარიღდება[63].

ჩვენს ქილაზე მოცემული ვერტიკალური, რელიეფური ხაზები გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის როგორც მოზრდილ, ისე მცირე ზომის თიხის ჭურჭლების მხარეზე, ან მხარიდან მუცელზე გადასვლის ადგილას.

---

[51] Т. С. Хачатрян, Древняя культура Ширака, Е., 1975, გვ. 99.

[52] ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. 7, სურ. 45, 46.

[53] გ. მირცხულავა, სამშვილდე, თბ., 1975, ტაბ. IV_3.

[54] ლ. ღლონტი, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1963—1971 წწ.), თბ., 1975, სურ. 56_1, 6, 13.

[55] იქვე, სურ. 55_3.

[56] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. 8_4, 7,8 9, 10 4,5.

[57] ა. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. 27^6.

[58] Ш. Ш. Дедабришвили, Курганы... ტაბ. XXVII_{34}, XXVIII, XXIX_{20}; გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1981, სურ. 27, 40, ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ყორღანები... სურ. 61, 62.

[59] შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, სადუღას... გვ. 57, 58.

[60] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრ. გვ. 146.

[61] მ. კაპანაძე, აკაკიანთ ხევის შუაბრინჯაოს ხანის № 1 გორასამარხი, კაე შრომები, IV, თბ., 1980, გვ. 43, ტაბ. VII 5, 8.

[62] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები..., სურ. 63.

[63] იქვე, გვ. 248.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადულას № 2 გორსამარხის დერგს სამ მხარეს აქვს წყვილი, ვერტიკალური, რელიეფური ხაზები[64], დიდი სერიების № 1 გორასამარხის ქოთანს[65] კი ცალ მხარეს. ახჩიას № 2 ყორღანის[66] ცალყურა ჭურჭელზე ასეთი ხაზები ერთმანეთის საპირისპიროდ არის წარმოდგენილი. ახჩიას № 9 ყორღანის[67] ქილის მხარს ოთხი, ვერტიკალური, რელიეფური ხაზი ამშვენებს. დუმეილას № 2 ყორღანის[68] დერგზე აღნიშნული ხაზები ორ ადგილას სამად არის დაჯგუფებული. თრიალეთის ძვ. წ. XVII საუკუნით დათარიღებულ VII ყორღანის ქილაზე[69], ერთმანეთის საპირისპიროდ თითო ვერტიკალური, რელიეფური ხაზია მოცემული. ერთი ასეთი ხაზი ჩანს თრიალეთის XXXVI ყორღანის თიხის ჭურჭლის პატარა ფრაგმენტზეც[70].

ზევით აღნიშნული კერამიკა ახჩიას ჭურჭლების გარდა, შავპრიალაა.

თრიალეთის VII ყორღანის ქილაზე, ვერტიკალურ, რელიეფურ ხაზებთან ერთად გვხვდება რელიეფური ნალისებური ორნამენტი. ახჩიას № 9 ყორღანის ქილაზე იგი კოპებთან ერთად არის წარმოდგენილი, ხოლო ჩვენს ქილაზე, როგორც ადრე იყო აღნიშნული, ნაპრიალებ ორნამენტთან ერთად აღსანიშნავია, რომ ვერტიკალური, რელიეფური ხაზების და ნაპრიალები ორნამენტის კომბინაცია სხვა კერამიკაზე არ შეინიშნება.

რელიეფური ხაზები არ ჩანს შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაზე. საერთოდ ამ მხარის ჭურჭლებს რელიეფური ორნამენტი არ ახასიათებს[71].

განსახილველი ორნამენტი შეგვიძლია დავუკავშიროთ მტკვარ-არაქსულ კერამიკაზე (ამირანის გორა[72], კიკეთი[73], სამშვილდე[74], დაბლაგომი[75], ნახჭევანის ქიულ-თეფე[76], ზაქლიკი[77], კარნუტი[78], გეოი-თეფეს[79] პერიოდი) ცალ მხარეს მოცემულ, ირიბულად განლაგებულ, რელიეფურ ხაზებს, რომლებიც ზოგჯერ სხვა ორნამენტთან (რელიეფური, ფოსოები, კოპები) ერთად არის წარმოდგენილი.

ვერტიკალურ, რელიეფურ ხაზებს ვხვდებით კახეთში, ადრებრინჯაოს ხანით განსაზღვრულ თიხის ჭურჭლებზეც. ალაზნის ველის № 1 ყორღანის ერთ

---

[64] შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXX_6.

[65] მასალა ინახება ქ. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 06, 227—1. 3. 74.

[66] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრ., სურ. 6_{24}.

[67] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი. ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, სურ. 18_{186}.

[68] იქვე, სურ. 54_{617}

[69] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. 19_4; ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები... გვ. 241.

[70] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. 28_{21}.

[71] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების... გვ. 61.

[72] ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 11 4_2 ტაბ. VIII_4.

[73] იქვე, სურ. 15 $_{6, 7, 11}$

[74] გ. მირცხულავა, დასახ. ნაშრ., ტაბ. XIII $_{6, 12, 13}$ XVI_5 $XXIX_{5, 6}$.

[75] Б. А. Куфтин, Материалы,.., сур. 35_7.

[76] ტ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., სურ. 15 $_{30, 34}$.

[77] იქვე, სურ. 104.

[78] Е. Ханзадян, Культура Армянского нагорья в III тыс. до н. э. 1967, ტაბ. XXIV.

[79] Burton-Brown, Excovations in Azerbaijan, 1948, London, 1951, სურ. 7, 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავპრიალა დერგის[80] მხარზე აღნიშნული ხაზები ერთმანეთის საპირისპიროდ არის განლაგებული და სამად არის დაჯგუფებული. მარტყოფში ულევარის № 3 ყორღანში მოპოვებული შავპრიალა, ყვითელ ლაქებიან, საშუალო ზომის, ცალყურა ჭურჭლის[81], რელიეფური ხაზები მხარის გარშემო შემოსდევს. მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭლები ცნობილია მაიკოპის კულტურაშიც[82].

ძველი ანაგის სამარხის ქილაზე მოცემული, პრიალა ხაზებით შესრულებული რომბები კახეთის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკაზე არსებულ ნაპრიალებ ორნამენტს შორის არ გვხვდება. იგი წარმოდგენილია მეტეხის და სადგურ გრაკალთან, სალოკის ხევში აღმოჩენილი, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის სამარხების, ორი ქილის[83] მუცელზე, და ჭაჭკარის № 2 ყორღანის შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებზე[84]. აღნიშნული ორნამენტი ამ ჭურჭლებზე სავარცხლის კბილისებურ ორნამენტთან ერთად არის წარმოდგენილი.

ე. გოგაძე პრიალა ორნამენტის საწყისებს მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკაზე ხედავს (ბეშთაშენი, ოზნი) და აღნიშნავს მის განვითარებას შემდეგ ხანაშიც[85].

ილტოს ნამოსახლარზე მოპოვებულ II და III ფენის შავპრიალა თიხის ჭურჭლის პრიალა ორნამენტიან ფრაგმენტებზე დაყრდნობით შუაბრინჯაოს ხანაში აღრეული ტრადიციების გაგრძელების ფაქტს აღნიშნავს შ. დედაბრიშვილიც[86].

ჩვენი ქილის ორნამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ვარაუდს.

ძველი ანაგის სამარხი შეიცავს მესამე ქილასაც წინა ორი ქილისაგან განსხვავებით იგი მოწითალო-მოყავისფროდ არის გამომწვარი. ზედაპირი პრიალა აქვს. დამზადებულია უხეში, ქვიშის და თეთრი მინარევის შემცველი თიხით (ჩ—21 სმ. მუცლის დმ. 20 სმ. ძირის დმ. 11,3 სმ) (ტაბ. I_4). ჭურჭელი ასიმეტრიულია. მსგავსი შეფერილობის ქილები მოპოვებულია მესხეთის ყორღანებში[87] და შვინდიანის სამაროვანზე[88]. რაც შეეხება ქილის ფორმას, იგი უცნობია სხვა შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის. საერთო იერით და ფორმით ჭურჭელი მტკვარ-არაქსის თიხის ნაწარმს უახლოვდება.

ჩვენი სამარხის მეოთხე ჭურჭელი წარმოადგენს უხეში თიხისაგან დამზადებულ, მოწითალო მონაცრისფრო სასმისს (ჩ—5 სმ. პირის დმ. 9,1 სმ. მუცლის დმ. — 9 სმ. ძირის დმ. 6,5) (ტაბ. I_1) მას უსწორმასწორო კედლები აქვს. ასეთი ოღონდ უფრო მცირე ზომის ე. წ. დასაკრძალავად განკუთვნილი

---

[80] Ш. Ш. Дедабришвили, Курганы.... ტაბ. XXIII.

[81] მასალა ინახება საქ. სსრ. მუზეუმში, ინვ. № 6, 979—41.

[82] Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, სურ. 62_4 65_9.

[83] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები.... 96—97.

[84] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, სურ. 46_{607}.

[85] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრ., სურ. 23_{236}.

[86] Ш. Ш. Дедабришвили, Памятники...., გვ. 61.

[87] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

[88] რ. რუსიშვილი, შვინდიანის..., გვ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიხის ჭურჭლები მოპოვებულია შვინდიანის სამაროვანზეც. ფორმა და დამზადების ტექნიკა მას აახლოვებს ილტოს ნამოსახლარის I ჯგუფის კერამიკასთან[89].

განსახილველი სამარხის მეხუთე ბიკონუსური ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშის შემცველი თიხით. იგი უხეში და ხორკლიანია. გამომწვარია შავად (ჩ—9,7 სმ. პირის დმ. 8,6 სმ. მუცლის დმ. 15 სმ. ძირის დმ. 6,2 სმ) (ტაბ. I_2). მსგავსი ჭურჭელი სხვაგან არ გვხვდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ადგილობრივ ჩამოყალიბებული ფორმაა ჭურჭლის.



ტაბ. 1

რაც შეეხება ტუფის სარქველს (ჩ. დმ) ჩვენი სამარხის გარდა ისინი მოპოვებულია შუაბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებზეც: შვინდიანის[90] და ფურ-

[89] Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 8 $_2$, $_3$

[90] ინახება ქ. თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელწყალის სამაროვნებზე[91], ლაფანყურის სამარხში[92], სიონის № 4 სამარხში[93], აშურიანის ველის და მესხეთ-ჯავახეთის ყორღანებში[94] და წაღვლის სამარხებში[95].

ძველი ანაგის სამარხეული მასალის ანალიზმა ცხადი გახადა, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო კახეთის, არამედ საქართველოს, განსაკუთრებით კი შიდა ქართლის და მესხეთ-ჯავახეთის შუაბრინჯაოს ხანის მასალებთან. ამავე დროს თავისი ფესვებით იგი დაკავშირებულია წინამორბედი კულტურების თიხის ნაწარმთან. მასალის ანალიზმა გამოავლინა აგრეთვე თიხის ჭურჭლის ახალი ნიშნები (ორხვრელიანი, შვერილიანი ყური, რელიეფური სარტყელი ყელზე, რელიეფური და ნაპრიალები ორნამენტის კომბინაცია. ბიკონუსური ჭურჭელი), რომლებმაც კომპლექსს ორიგინალური სახე მისცა და განასხვავა, როგორც შუაბრინჯაოს, ისე წინარე ხანის თიხის ნაწარმისაგან.

ძველი ანაგის სამარხის კომპლექსი კახეთის და სხვა შუაბრინჯაოს ხანის პარალელური მასალების საფუძველზე აღნიშნული პერიოდის დასასრულის მიახლოვებით უნდა დათარიღდეს.

Р. Н. РУСИШВИЛИ

СРЕДНЕБРОНЗОВЫЙ МОГИЛЬНИК ИЗ с. ДЗВЕЛИ АНАГА

Резюме

В 1975 г. в с. Дзвели Анага Сигнахского р-на местным населением во время земляных работ был поврежден могильник. Тип могильника установить не удалось. В нем выявилась крышка из туфа (табл. 1—6), два чернолощеных, (табл. 1—3,5) обработанных вручную, и один лощеный асимметрический сосуд красно-коричневого обжига (табл. 1—4), а также красно-сероватый сосуд (пиала) (табл. 1—1) и черная биоконическая посуда грубой лепки (табл. 1—2). Вся посуда изготовлена из грубого песка, иногда из глины с белой примесью.

Могильный материал тесно связан с кахетинским шида-карталинским и Месхет-Джавахетским материалом среднебронзового времени. Своими корнями также—связан—с глиняной продукцией предыдущих культур. Глиняная посуда характеризуется новыми признаками (ушки с двумя отверстиями, рельефный поясок на горловине, комбинация рельефного и лощеного орнамента, биконическая посуда), которые придают комплексу оригинальность и отличают ее как от керамики средней бронзы, так и от предыдущего периода.

Комплекс Дзвели-Анагского могильника на основе кахетинских и других параллельных материалов среднебронзовой эпохи можно датировать приблизительно концом этого периода.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

[91] ინახება ქ. სიღნაღში, კაე ბაზაში, ინვ., 06/310, 44, 95.

[92] ინახება ქ. თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 302—6.

[93] მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981, ნახ. 68.

[94] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

[95] ცნობა მოგვაწოდა ა. რამიშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დისკუსია და განხილვა

ანრი გოგვერაძე

ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან

1. სამოელ ეპისკოპოსი

ეს მღვდელმთავარი ორჯერ იხსენიება იაკობ ცურტაველის თხზულებაში: პირველად ეპისკოპოსად, ხოლო მეორედ „ეპისკოპოსთა თავად". კ. კეკელიძემ კარგა ხანია გამოარკვია, რომ შუშანიკის პირველ ტანჯვას ადგილი ჰქონდა 469 წ. 8 იანვარს[1]. მეორე დღეს ვარსქენ პიტიახში სანადიროდ წავიდა. იაკობმა ისარგებლა ამით და შუშანიკი ინახულა.

ამ ეპიზოდის თხრობისას ვეცნობით პირველ ცნობას სამოელ ეპისკოპოსზე: „მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღუნა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფ ა რ უ ლ ა დ ი ღ უ წ ი დ ე ს და ნუგეშინის-სცემდეს"-ო.

როდის და, თუ შესაძლებელია, ითქვას, ვის მიერ იქნა ზემოხსენებულ პირთაგან გამოგზავნილი საჭმელი სენაკში გამოკეტილ დედოფალთან შეტანილი? იაკობს აღნიშნული აქვს, რომ მანამდე შუშანიკს „ყოველი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს", რომლის ანგარიში ალბათ უნდა დავიწყოთ 2 იანვრიდან, როცა შუშანიკმა ვარსქენის გამაზდეანება შეიტყო[2]. მაგრამ 2-დან 6 იანვრამდე შუშანიკი ეკლესიის მახლობლად ერთ მცირე სახლში იყო შეფარებული, სადაც მის ნებაზე იყო ჭამდა თუ იშიმშილებდა (5 იანვრამდე ვარსქენიც არ დაბრუნებულიყო ცურტავში). ასე რომ, ამ დღეებში სამოელ ეპისკოპოსისაგან მის მიმართ გამოჩენილ მზრუნველობას და ისიც „ფარულს", აზრი არ ჰქონდა. 6-დან 8 იანვრამდე შუშანიკი დედოფლადაა შემოყვანილი სასახლეში და ამიტომ არც ამ დროს საჭიროებდა ის ვისმესგან მატერიალურ საზრდოს და ისიც ფარულად გამოგზავნილს. მას შემდეგ კი, რაც პიტიახშმა ის გვემა და სენაკში გამოკეტა, შუშანიკს მხოლოდ ფარულად შეგზავნილი საჭმლის მიღება შეეძლო. მაგრამ ეს იქნებოდა უკვე მეორე დღეს, 9 იანვარს, როცა ვარსქენი სანადიროდ წავიდა და შუშანიკზე მეთვალყურეობა მცველებს მიანდო.

იაკობი არ ამბობს, მაგრამ უთუოდ მისი შეტანილია დედოფალთან ეპისკოპოსისაგან მოძღვნილი „ჭამადი". ცხადია, მისი შოვნა არც მას გაუჭირდებოდა, მაგრამ სხვა მორალური ფასისა იყო უმაღლესი მღვდელმთავრისგან მოკითხული. უთუოდ 8-შივე ან 9-ში დილით იაკობმა ინახულა ზემოხსენებული პირები და მათ პიტიახშის სასახლეში მომხდარი ამბავი აცნობა და დედოფლის ნახვის სურვილიც გაანდო. სამოელ ეპისკოპოსმა და მისმა „მოყვასმა" იოანემ იაკობის პირით შუშანიკს თანადგომა და „ნუგეშინის-ცემა" აღუთქვეს, რისი დასტურიც იყო მათგან მოძღვნილი საჭმელი. ეს მღვდელმთავ-

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 118.
[2] ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, შუშანიკის წამება, I, 1980, გვ. 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები თავიანთ სიტყვასა და საქმეს არც მერმე გადასულან, რადგან იაკობს შუშანიკის წამების ბოლო წელსაც აქვს აღნიშნული, რომ ამ დროს უკვე „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ“ სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი „იყვნეს განმამტკიცებელ და დიდად დამაშრეალ, სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს მონა, და მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა“.

მთელი ეს მსჯელობა იმიტომ დაგვჭირდა, რომ მკითხველისთვის გვეჩვენებინა შუშანიკის მოძღვრის ახლო, ყოველდღიური კავშირურთიერთობა სამოელ ეპისკოპოსთან. აფოციისგან განსხვავებით, რომელიც იაკობის არაერთგზის მითითებით პიტიახშის კარის ეპისკოპოსი იყო, სამოელი, უეჭველია, ეპარქიული მღვდელმთავარია, რომლის სამწყსოზე პიტიახშის ძალაუფლება ვრცელდება. ამიტომ იღწვის ის შუშანიკისთვის ფარულად, თორემ სხვა საეპისკოპოსოს საჭეთმპყრობელს საამისო არაფერი სჭირდა და ვერც ასე სწრაფად შეიტყობდა პიტიახშის სასახლეში დატრიალებულ ამბავს. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ სამოელი ბოლნისის ეპისკოპოსი ანუ ბოლნელი იყო, რადგან საპიტიახშოს ტერიტორიაზე აღრეულ შუა საუკუნეებში მხოლოდ ეს ერთადერთი საეპისკოპოსო არსებობდა. ამიტომ, წარმოუდგენელია რომ ამ ქვეყნის მღვდელმთავარი განზე მდგარიყო და მის ნაცვლად სხვა რომელიმეს ეზრუნა ასე საპიტიახშოს ყოფილი დედოფლის „განსამტკიცებლად“ და „ნუგეშინის-საცემლად“.

თვით ის გარემოებაც, რომ ეს ეპისკოპოსები მხოლოდ სახელებით არიან მარტვილობაში მოხსენიებული და არა საეპისკოპოსოების სახელწოდებითაც, იმის ნიშანია, რომ ავტორი წარმოადგენდა ადგილობრივი საეპისკოპოსოს მესვეურებს, რომელთაც იმდროინდელი მკითხველი იცნობდა ანდა განმარტების გარეშეც ხვდებოდა.

2. იოანე ეპისკოპოსი

475 წ. ახლო ბოლნისის საეპისკოპოსო საყდარი იოანეს დაუჭერია, რადგან სამოელის კათალიკოსად კურთხევის შემდეგ, იაკობი მას უკვე ეპისკოპოსად და „ეპისკოპოსთა თავის“ „მოყვასად“ იხსენიებს. ეს საეკლესიო იერარქი ასე შინაურივით რომ ტრიალებს ცურტავის ეკლესიაში და პიტიახშის კარის ეპისკოპოსთან ერთად ღონეს არ იშურებს შუშანიკის გვამის გასაპატიოსნებლად, შეუძლებელია სხვა ეპარქიის მწყემსი ყოფილიყო. საერთოდ, დაუშვებდა ვარსქენ პიტიახში არაადგილობრივი ეპისკოპოსის ასეთ აქტიურობას მისი ნების საწინააღმდეგო საქმეში? რა თქმა უნდა, რომ არა. თავის მხრით, ვერც სხვა ეპისკოპოსი მისცემდა თავს უფლებას საამისოდ.

ამ დასკვნების შესამოწმებლად ახლა მატიანეებს მივმართოთ.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ვახტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმამდე ქართლი წარმოადგენდა ერთ მთლიან სამწყსოს, რომელსაც ეპისკოპოსი ედგა სათავეში. მიქაელ ეპისკოპოსთან მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ვახტანგმა გადააყენა ის და ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან ითხოვა ქართლისათვის კათალიკოსისა და 12 ეპისკოპოსის ერთბაშად კურთხევა, რათა ეს მღვდელმთავრები საეპისკოპოსო ოლქებად დანაწილებულ მის სამეფოს სათავეში ჩადგომოდნენ. ვახტანგს მემატიანის ცნობით, კათალიკოსად და ერთ-ერთ ეპისკოპოსად თვითონ შეურჩევია კანდიდატები: პეტრე ხუცესი კათალიკოსად და სამოელ მონაზონი ეპის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპოსად, დანარჩენები კი ანტიოქიის პატრიარქს და ვახტანგის კანდიდატებთან ერთად უკურთხებია. აი, ეს ეპისკოპოსი სამოელი, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით იკავებს გარდაცვლილი პეტრე კათალიკოსის ადგილს. „მოქცევაჲ“-ს ცნობითაც პეტრე კათალიკოსს ბიზანტიიდან თან მოჰყოლია სამოელ მონაზონი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, არის ამავე წყაროში მეორე კათალიკოსად მოხსენიებული სამოელი.

ჩვენი მატიანეების ეს ცნობები მართლდება იაკობის ცნობებითაც. 469 წ. დასაწყისისათვის სამოელი ამ თხზულებაში მოხსენიებულია ეპისკოპოსად, ხოლო 475 წ. მახლობლად „ეპისკოპოსთა თავად“ ანუ იგივე კათალიკოსად, როგორც მიუთითა თავის დროზე კ. კეკელიძემ[3]. მაგრამ ამის შემდეგ ჰაგიოგრაფისა და მემატიანის ცნობები განსხვავდებიან. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად სამოელი ვახტანგს ეპისკოპოსად დაუსვამს მცხეთის საეპისკოპოსოში და არა ბოლნისში, მაგრამ, საეჭვო არაა, რომ სიმართლე ამ შემთხვევაში იაკობის მხარეზეა. მცხეთის ეპისკოპოსი ვერაგზით ვერ მიაწვდენდა საჭმელს ასე სწრაფად სენაკში გამოკეტილ შუშანიკს, ამასთან არც „ფარულად იღუწიდა“ მისთვის. ამდენად, ის საპიტიახშოს ეპისკოპოსია და არა მცხეთისა. ვერც მისი მონაცვლე იოანე შეძლებდა ამდენს და ასე სწრაფად შუშანიკისთვის საპიტიახშოს საზღვრებს გარედან. იაკობს აღნიშნული აქვს, რომ როგორც კი გარდაიცვალა შუშანიკი: „მ ს წ რ ა ფ ლ მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად სუდარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთაჲ[4]“. ეს მცხეთის ეპისკოპოსს არ შეეძლო, ბოლნელ ეპისკოპოსს კი თავისუფლად.

ამრიგად, სამოელი ვახტანგს დაუსვამს ბოლნელად. ჩვენი ანგარიშით ეს იყო 468 წელს[5], როცა ვარსქენი ჯერ კიდევ არ იყო ცურტავში დაბრუნებული. სამოელ ეპისკოპოსი იოანესთან ერთად, ჩანს, ცდას არ აკლებდა შუშანიკის გასამხნევებლად და განსამტკიცებლად, რაც საბოლოოდ ვარსქენის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ პოზიციას და ავტორიტეტს არყევდა ამ ქვეყანაში. ალბათ, ესეც იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ პეტრე კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგმა არჩევანი სამოელ ეპისკოპოსზე შეაჩერა. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე ცდება, როცა სამოელი კათალიკოსად დაჩი მეფის დასმულად მიაჩნია. იაკობის ცნობა, რომ სამოელი შემდეგ „ეპისკოპოსთა თავი“ ანუ კათალიკოსი შექმნილიყო, ეჭვს არ იწვევს. ხოლო კათალიკოსი არის ადმინისტრაციული და არა იერარქიული ტერმინი, იერარქიულად კათალიკოსი ყოველთვის მთავარეპისკოპოსი იყო[6], მაგრამ, რადგან „მოქცევაჲ“ უკვე მეორე ეპისკოპოსს მთავარ ეპისკოპოსად მოიხსენიებს და სხვებსაც ამის შემდეგ კათალიკოსობის დაწესებამდე ჩვენში, ამაში ხედავენ ზოგიერთები ქართლის საეპისკოპოსოებად დანაწილების მოწმობას IV საუკუნიდანვე. „ქართლის ცხოვრება“ კი ეკლესიის ყველა მეთაურს ჩვენში კათალიკოსობამდე ეპისკოპოსს უწოდებს, რაც მემატიანის ურყევ შეხედულებას გადმოსცემს ამ საკითხზე. მაგრამ თუ სამოელს არა მეორე კათალიკოსად, არამედ წინამორ-

---

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 335, 341.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 28.

[5] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII სს-ში, გვ. 52.

[6] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება..., გვ. 335.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედ მღვდელმთავრების რიგში ჩავაყენებთ, ჩვენი წყაროების პირთა და ცნობების თანმიმდევრობა დაირღვევა მთლიანად[7]. ამას კი ისტორიკოსი ვერ დაეთანხმება.

ქართლი რომ საეპისკოპოსოებად ადრეც ყოფილიყო დაყოფილი, ქართლის მოქცევის მატიანეშივე არ იქნებოდა აღნიშნული, რომ პირველივე კათალიკოსს ჩვენში თან მოჰყვა სამოელი, რომელიც იაკობის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ჯერ ეპისკოპოსად დამჯდარა, ე. ი. კათალიკოსს თან მოჰყოლია ეპისკოპოსიც ანუ ეპარქიული მწყემსი, რაც იმის მინიშნებად უნდა ვცნოთ ამ ქრონიკაში, რომ მხოლოდ ვახტანგის საეკლესიო რეფორმების შედეგად შექმნილა უმაღლეს მღვდელმთავართან ერთად ეპარქიული იერარქების მოყვანის საჭიროება ჩვენში.

3. დავით ეპისკოპოსი

506 წ. ბოლნისის ეპისკოპოსად დავითი ყოფილა, რომელსაც სომხური „ეპისტოლეთა წიგნი" დვინის საეკლესიო კრებაზე დამსწრე ქართველ იერარქთა შორის იხსენიებს. ფიქრობენ, ეს დავით ეპისკოპოსია მოხსენიებული ბოლნისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, აფსიდის სარკმლის თავზე გამოქანდაკებულ წარწერაში:

„ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანისმცემელნი შეიწყალენ. და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე. იყავნ, იყავნ"[8].

ამ წარწერას უნდა მივაქციოთ ახლა ყურადღება, რადგან მასში მოხსენიებული დავით ეპისკოპოსი მკვლევრებს მიაჩნიათ ბოლნისის სიონის ამშენებლად, რაც დამყარებულია შემდეგ მონაცემებზე:

1. ბოლნისის სიონი, როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლი, თარიღდება V ს. დასასრულით, ე. ი. იმ დროით, როცა ეპისკოპოსად უნდა ყოფილიყო უკვე ზემოხსენებული დავითი.

2. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის თანახმად, ამ ტაძრის დაწყება განსაზღვრულია V ს. მეორე ნახევარში მოღვაწე პეროზ ირანის შაჰის მმართველობით, რასაც აგრეთვე V ს. დასასრულისაკენ მივყავართ.

3. თვით დავით ეპისკოპოსის წარწერა შეიცავს იმის პირდაპირ მაჩვენებელს, რომ აღნიშნული ტაძარი ამ იერარქის თაოსნობითა და მოღვაწეობის დროს შენდებოდა.

ყოველივე ამის საფუძველზე, თავის დროზე ბოლნისის ჩრდილოეთი კარის თავზე არსებულ, დღეს ძლიერ დაზიანებულ სამშენებლო წარწერაში უსახელოდ დარჩენილი ეპისკოპოსი დავით ეპისკოპოსად იქნა მიჩნეული და ამის შესაბამისად, აღნიშნული წარწერა დავით ეპისკოპოსის სამშენებლო წარწერით შევიდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მართალია, ისტორიკოსისათვის პეროზ მეფის სახელის შემცველი სამშენებლო წარწერაა თითქოს გადამწყვეტი მნიშვნელობის, მაგრამ ყურადღება ჯერ სწორედ დავით ეპისკოპოსის წარწერაზე გადავიტანოთ. არის აღნიშნული წარწერა სამშენებლო, ანდა შეიცავს რაიმე საამისო მაჩვენებელს?

---

[7] ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

[8] ქართული წარწერების კორპუსი, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, 1980, გვ. 66.

ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ამ წარწერით არ ჩანს, რომ დავით ეპისკოპოსი აღმაშენებელი ყოფილიყო[9] (ამ შეხედულების არიან დღეს ბ. მჭედლიშვილი და რ. პატარიძეც). მისი აზრით, „მშრომელნი“ ამ წარწერაში ალბათ ეკლესიაში მომუშავეთ აღნიშნავდა, რომლებიც თითქოს უფრო არსებული ტაძრის გასამშვენიერებლად მუშაობდნენ[10]. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, მართალია აღნიშნულ წარწერაში დავით ეპისკოპოსი მაშენებლად პირდაპირ არ იწოდება, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს მისი ვედრება კრებულითურთ ამ ტაძარში მომუშავეთა მიმართ შეწევნაზე, თუ არა მის აღმაშენებლობას? მისივე განმარტებით, ეს წარწერიანი ქვა ტაძრის დამთავრებამდე ბევრად ადრეა შენობის წყობაში ჩადებული და აქედან გამომდინარე, ვიცით რა ხუროთმოძღვრის მხატვრულ მიზანსწრაფვათა მიმართულება — ეპოქის მოთხოვნილებათა შესაფერისად ტაძრის შინაგანი სივრცის გაფორმებაზე, სავსებით გასაგები ხდებაო დავითის ლოცვა-ვედრება ხუროთმოძღვრის და მისი ხელქვეითების საქმეთა კეთილად განსრულებაზე ამ ტაძარში[11].

თუ ი. ჯავახიშვილის დაკვირვებას ამაგრებდნენ ქართული საისტორიო წყაროების ცნობები, რომელთა თანახმად ბოლნისის სიონის მაშენებლები V ს. დამდეგის ქართლის მეფეები იყვნენ, დავით ეპისკოპოსის წარწერის გ. ჩუბინაშვილისეული ანალიზი, რომელიც ახლად აღმოჩენილ სამშენებლო წარწერასაც ითვალისწინებდა, ურყევი და უცილობელი გახდა წლების მანძილზე. ვიდრე აღნიშნულ წარწერებს, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთმანეთთან კავშირში დაწვრილებით განვიხილავდეთ, მანამდე უნდა განვაცხადოთ პირდაპირ, რომ დავით ეპისკოპოსის წარწერაში მოხსენიებული „მშრომელნი“ ამ ეკლესიის მაშენებელნი არ შეიძლება ყოფილიყვნენ. მაშინ ვინ უნდა იყვნენ ისინი?

ბერძნულ საეკლესიო ორგანიზაციაში ცნობილი იყო ხალხი „κοπιᾶται“-ს სახელწოდებით (ნაწარმოებია ზმნიდან κοπιάω —დაღლა, დაქანცვა), რომელიც ფართო აზრით ეკლესიის კრებულში ანუ კლირში შედიოდა და მის დაბალ ordinis minoris ჯგუფს მიეკუთვნებოდა[12]. ამ რიგის ხალხს რუსულ ეკლესიაში ეწოდებოდა „труждающиеся“, ხოლო ქართულში სწორედ „მშრომელნი“. ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ვ. ბოლოტოვი მათ აღნიშნავს აგრეთვე ტერმინით „трудники“ და ამბობს, რომ ესენი ძირითადად უბრალო ხალხიდან იყვნენ გამოსული, რომლებმაც თავისი ფიზიკური შრომა ეკლესიის სამსახურში ჩააყენეს და საეკლესიო ხელისუფალთა მითითებით ასრულებდნენ სხვადასხვა შავ სამუშაოს[13]. ვ. ბოლოტოვი ამ ხალხის საეკლესიო მდგომარეობის წარმოსადგენად მიუთითებს ერთ ვედრებას ერთ-ერთი ვრცელი ეკთენიიდან (ქართ. კვერექსი): „κοπιώντων, ψαλλόντων...“, და მოყავს მისი ძველრუსული შესატყვისი: „труждающихся, поющих и предстоящих людех“. რომელიც ადეკვატურია ბასილი დიდისა და

---

[9] ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 163.

[10] იქვე.

[11] Г. Н. Чубинашвили, Болнисский сион, ენიმკის მოამბე, IX, 1940, გვ. 68.

[12] В. В. Болотов, Лекциии по истории древней церкви, III, 1913, გვ, 154.

[13] იქვე, გვ. 155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ოქროპირის ჟამის წირვის მოსახსენებლის იმ ადგილისა, რომელშიც იხსენებიან „მშრომელნი“: „ამას შინა მშრომელთა (κοπιώντων) და მგალობელთა (ψαλλόντων) და აქა მდგომარე ერთათვის (и предстоящих людех)[14].

და განა ამის გარეშეც არ ჩანს, რომ „მშრომელნი“ დავით ეპისკოპოსის წარწერაში ეკლესიის მშენებლები არ არიან. ერთი იმის გამო, რომ „მშრომელი“ პირდაპირი მნიშვნელობით არ ნიშნავდა მაშენებელს, მშენებელს, და მეორეც, თუ მშენებლები ჰყავდათ მხედველობაში, რატომ უნდა ეთქვათ: „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე“-ო — ისინი მაინცდამაინც ამ ტაძრის შიგნით შრომობდნენ? დღენიადაგ ამ ტაძარში („ამას ეკლესიასა შინა“) მშრომელთა მიმართ ღმერთისგან დახმარების, ხელის აპყრობის გამოთხოვნა ბუნებრივია, ხოლო თუ მშენებლებზე უნდოდათ იგივეს თქმა, იტყოდნენ: „მაშენებელთა ამის ეკლესიაჲსა შეხეწიე“-ო და არა „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე“-ო.

მოკლედ, „მშრომელნი“ დავით ეპისკოპოსის წარწერაში ნიშნავს ბოლნისის საეპისკოპოსო ორგანიზაციაში შემავალი ხალხის განსაკუთრებულ ჯგუფს და არა მაშენებლებს. ამდენად ეს წარწერა არაა სამშენებლო, არამედ მოსახსენებელია ეპისკოპოსისა კრებულითურთ, მლოცველთა და მშრომელთა (ნ. შოშიაშვილი ამ წარწერას უწოდებს ამშენებლისა და ხელოსნების მოსახსენებელს, რ. პატარიძე დავით ეპისკოპოსის მოსახსენებელს).

ერთი სიტყვით, აფსიდის სარკმლის თავზე არსებული წარწერის თანახმად, დავით ეპისკოპოსი ბოლნისის სიონის მაშენებელი არ ჩახს. ამის შემდეგ რა საბუთი გვრჩება ამ ტაძრის მაშენებელი ეპისკოპოსი დავით ეპისკოპოსად გამოვაცხადოთ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ახლა სამშენებლო წარწერა განვიხილოთ.

ამ წარწერის შუა და ძირითადი ნაწილი, რომელიც მთელი წარწერის ნახევარზე მეტია, 1937 წ. აღმოჩნდა ბოლნისის სიონში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს. თავის დროზე ის ამ ტაძრის ჩრდილოეთი ფასადის აღმოსავლეთის კარის თავზე იყო მოთავსებული, რომლის მარცხენა და მარჯვენა ნაწილები დღესაც თავის ადგილზეა კარის წირთხლში, მაგრამ მარცხენა ნაწილზე უკვე აღარაფერი განირჩევა, ხოლო მარჯვენაზე კიდევ ჩანდა და ჩანს აქამდეც (უფრო ნაკლებად, რა თქმა უნდა) რამდენიმე ასო-ნიშანი. სამწუხაროდ, დაუზიანებელი წარწერის არც ეს შუა ნაწილია. უეჭველი (არა სათუო და საალბათო) მასში დარჩენილია შემდეგი ასო-ნიშნები:

1. — ისა სამებისაჲთა ო---ისა პერო ეფე

2. — ამისა ეკლესიაჲსაჲ და ათხოჯთმეტ წლი

3. — ნ აქა შინა თაჯყანისხცეს ღ-ნ შეიწყალენ და ვინ ა

4. — პისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღ-ნ შეიწყალენ

ყველაზე მარტივი ზემოაღნიშნულ ტექსტში აღმოჩნდა (თუ პირველი სიტყვების აღდგენას არ მივიღებთ მხედველობაში), „პერო ეფე“ აღდგენილიყო „პერო(ზ მ)ეფე“-დ. ძნელია გაექცეს მკვლევარი ცდუნებას და ამ პიროვნებაში V ს. მეორე ნახევარში მოღვაწე (459—484) ირანის შაჰი არ დაინახოს, მით უფრო, რომ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორც გ. ჩუბინაშვილი იყო, ბოლნისის სიონს მისი სამშენებლო წარწერის აღმოჩენამდეც VI ს. დამდეგით ათარიღებდა (წერილო-

[14] В. В. Болотов, Лекции по истории древней церкви, გვ. 154—155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით წყაროზე დამყარებული სათარიღო მაჩვენებელი მაშინ მხოლოდ დავით ეპისკოპოსი იყო). ამ დაშვების შემდეგ, რომელიც მთელი წარწერის საყრდენი ხდება, ბუნებრივად მოქმედებს კვლევა-ძიების ის მექანიზმი, რომელმაც სანიმუშოდ ა. შანიძის მიერ წაკითხული და აღდენილი ტექსტი მოგვცა:

(შეწევნითა წმიდ)ისა სამებისაჲ თა ოც წლისა პეროზ მეფ(ისა ზე)

(ხიქმნა დაწყება) ამის ეკლესიაჲსა და ათხოჳთმეტ წლის(ა შემდგომად)

(განხეშორა ვი)ნ აქა შინა თაჳყანის ხცეს ღ-ნ შეიწყალენ და ვინ ა(მის ეკლ)

(ესიაჲსა დ(ავი)თ ე)პისკოპოსსა ხოჳლოცოს იგიცა ღ-ნ შეიწყალენ (ამ-ნ)[15].

ა. შანიძის წაკითხვა, შეიძლება ითქვას, არსებითად გაიზიარა იმდროის მთელმა ქართულმა მეცნიერებამ (კრიტიკოსები მას მოგვიანებით და განსაკუთრებით ბოლო ხანებში გამოუჩნდნენ), მაგრამ თვითონ პირველწამკითხველი ამ წარწერაზე მუშაობას, მისი დაზუსტების მიზნით, შემდეგშიც აგრძელებდა. საბოლოოდ, თითქმის ერთდროულად, ა. შანიძემ ამ წარწერის ორი განსხვავებული ტექსტი გამოაქვეყნა[16].

ა. შანიძის ბოლო, პირობითად, წაკითხვა ყველაზე მეტი ეჭვის აღმძვრელია, რამდენადაც მკვლევარი, ჩვენი აზრით, ამჯერად ზედმეტი გაბედულებით ჩაერია აღსადგენ ტექსტში (პ. ინგოროყვას მიერ თავის დროზე შეტანილი კორექტივი გაიზიარა: „ათხუთმეტ წლისა კავატ მეფისა ზე განხეშორა“). არავითარი კვალი კავატ მეფის ზეობაზე მითითებისა ტექსტში არ ჩანს და, ვფიქრობთ, არც იყო იმის აუცილებლობა, რომ პეროზ მეფის გვერდით კავატ მეფის მოხსენიებაც საჭირო ყოფილიყო (თუ ამ ტაძრის დაწყება პეროზის ზეობით იყო განსაზღვრული, საკმარისი იქნებოდა შენების ხანგრძლიობის ჩვენება მხოლოდ, როგორც წარწერაშია, და დაინტერესებული მკითხველი ისედაც გაიგებდა ვის დროს დაუსრულებიათ მისი შენება).

მაგრამ მთავარი ეს არაა. თუ ამ ტაძრის ასაშენებლად 25 წელი ნორმალურად ეჩვენება მკვლევარს, იმ ეპისკოპოსისათვის კი, რომელიც ამდენივე ხანს აშენებდა ამ ტაძარს და შემდეგ სამი წლის გასვლისა დვინის საეკლესიო კრებასაც დაესწრო და რა ვიცით, რამდენ წელს იყო კიდევ ცოცხალი, ამდენი ხნის მოღვაწეობა ბუნებრივია? ამიტომ ამ ტაძრის შენების თაოსანი, თუ ის მართლა 479 წ. დაიწყეს, 475 წ. ახლოს ნაკურთხი იოანე ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო და არა მისი დაწყებიდან 28 წლის შემდეგ — 506 წ. დვინის საეკლესიო კრებაზე დამსწრე დავით ბოლნელი. ამ ეჭვის გაფანტვა შეუძლია მხოლოდ ფაქტებს და არა ამ მომენტის გაუთვალისწინებლად შემუშავებულ მოსაზრებას.

სხვებისაგან განსხვავებით, ამ წარწერის აღდგენისგან თავს ვიკავებ. ჩემთვის ისიც საკმარისია, რაც მასში უეჭველად იკითხება. მხოლოდ ჯერ მაინც მინდა „პეროზ მეფე“-ს შემდეგ ლ. მუსხელიშვილისაგან შენიშნულ ახპ ასო-ნიშნების კომპლექსთა კვალზე შევჩერდე (საბოლოოდ მკითხველი დაინახავს, რომ ჩემს დათარიღებაში არც ამ ასოებს აქვთ არსებითი მნიშვნელობა). მართალია, ლ. მუსხელიშვილი ამ გრაფემებს კითხვის ნიშნით იძლევა, მაგრამ ბევრად უფრო გამართლებულია ისინი მივიღოთ სახელმძღვანელოდ,

---

[15] Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, გვ. 69.

[16] ა. შანიძე, ბოლნისის წარწერები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 2, გვ. 454; ბოლნისის წარწერები, ნობათი, № 1, 1975, გვ. 30, 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინემ დღეს, თითქმის ნახევარი საუკუნის გასვლიდან, მათ ადგილზე სხვა ასონიშნები ამოვიკითხოთ.

პირველად ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში „ნახპეტის“ არსებობაზე სარგის კაკაბაძის მოხსენებიდან შევიტყვე 1959 წელს. კარგა ხნის შემდეგ ბ. მჭედლიშვილმაც ს. კაკაბაძისგან დამოუკიდებლად ასოთა ზემოაღნიშნული კომპლექსი „ნახპეტად“ წაიკითხა. არ ეეჭვება ეს ტერმინი აქ არც რ. პატარიძეს. მართლაცდა, წარმოუდგენელია ზემოაღნიშნულ გრაფემებში რომელიმე სხვა სიტყვა ვივარაუდოთ, ხოლო მშენებლობის დაწყების აღმნიშვნელი ზმნა ამ წარწერებში მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოდიოდეს.

ტერმინი „ნახპეტი“ საკმაოდ ხშირად იხმარება ჩვენს ძველ ნათარგმნ წერილობით ძეგლებში (ნახპეტი — მთავარი ტომისა ან ქვეყნისა; სატრაპესი)[17]. წარმომავლობით ის ირანულია, გავრცელებული იყო ძველ სომხეთშიც („ნაჰაპეტი“ სომხეთში უპირატესად ამა თუ იმ სახლის ანუ გვარის უფალს ეწოდებოდა). შორს რომ არ წავიდეთ, თვით ბოლნისის ტაძრის ინტერიერში, ერთ-ერთ სვეტზე გვაქვს, როგორც მიაჩნიათ, ამავე ხანის წარწერა, ვინმე ვარდან თუ ვარსქენ „ნახპეტის“ მოხსენიებით[18]. მოგვეპოვება V—VI საუკუნეებით დათარიღებული „ბოლნისის ნახპეტის“ წარწერაც. ასე რომ, აღნიშნული ტერმინი ამ დროს და ამ მხარეში საკმარისად ყოფილა გავრცელებული.

როგორ შეიძლება გავიგოთ „ნახპეტი“ ზემოაღნიშნულ კონტექსტში? ეს ტერმინი, ცხადია, პეროზ მეფეს არ მიეკუთვნება, ამ სახელით წარწერაში, საეჭვო არაა, სხვა პიროვნებაა წარმოდგენილი. მაშინ ის პეროზ მეფის ნახპეტი ყოფილა? არა, ეს ვარაუდიც გამორიცხულია მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო.

თუ პეროზ მეფე წარწერაში იმიტომაა მოხსენიებული, რომ მისი მმართველობითაა დათარიღებული ბოლნისის სიონის დაწყება, მისი ადგილობრივი ნახპეტი თვით ამ ტაძრის ერთ-ერთი მაშენებელი უნდა ყოფილიყო, რომ სამშენებლო წარწერაში მოეხსენებინათ. მაგრამ პეროზ შაჰის დროს ამ ქვეყნის გამგებელი ვარსქენ პიტიახში იყო. შეიძლებოდა კი მამა-პაპის სარწმუნოებიდან განმდგარი ეს მმართველი ამოდენა ქრისტიანული ტაძრის მაშენებელი ყოფილიყო? გამორიცხულია, რა თქმა უნდა. მაშ რატომაა ამ წარწერაში ნახპეტი და ისიც სახელმოუხსენებლად? იქნებ სწორედ პეროზია ამ კაცის სახელი და მისი ნახპეტობითაა დათარიღებული ბოლნისის სიონის მშენებლობა? გამოვიკვლიოთ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა.

1959 წელს სარგის კაკაბაძემ ისტორიის ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის შესახებ, რომელშიც გაატარა აზრი, რომ აქ მოხენიებული პეროზი ირანის შაჰი კი არაა, არამედ „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთგზის მოხსენიებული ფეროზ „მეფეთა ნათესავი“ (მხოლოდ თვით წარწერაში, მისი აზრით, „ნათესავი“ კი არ იკითხებოდა, არამედ მისი შესატყვისი ირანული „ავადაგი“, რომელიც ძველ ქართულშიც იხმარებოდა), IV ს. მეორე ნახევრის მოღვაწე — ქვემო ქართლის გამგებელი მირიან მეფის მემკვიდრეების დროს (თუ, მგონი, სულაც ამ პეროზის შთამომავალი — მისი სეხნია).

---

[17] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 325.

[18] ქართული წარწერების კორპუსი, I გვ. 74—75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაცდა, ვინც ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ „პეროზ მეფე...“-ს პეროზ ირანის შაჰთან გაიგივებას საეჭვოდ მიიჩნევს, ძალაუნებურად „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილ პეროზ „მეფეთა ნათესავს“ უნდა მიადგეს (როგორც, მაგალითად, დიდი ხნის შემდეგ ბ. მჭედლიშვილი მივიდა ამავე აზრამდე სარგის კაკაბაძისაგან დამოუკიდებლად).

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ფეროზი მირიან ქართლის მეფეს მოუყვანია ირანიდან. ის, როგორც თვით მირიანი, ირანის სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამდენად, ამ წყაროს ენაზე ის იყო მირიანის „თჳსი“ და „ნათესავი მეფეთა“. ფეროზი მირიან მეფეს დაუქორწინებია თავის ასულზე და საერისთავოდ მიუცია „ქვეყანა ხუნანითგან ბარდავამდე“ (მეორეგან: „რანი ბარდავამდის“). თავდაპირველად ფეროზს გაქრისტიანებაზე უარი უთქვამს, მაგრამ უკვე მირიან მეფის მემკვიდრის ბაქარის დროს რანის საერისთავოს ნაცვლად მას მიუღია „სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა“. ამის შემდეგ ფეროზი გაქრისტიანებულა.

რა თქმა უნდა, ამ ცნობაში ყველაფერი მისაღები არაა. კერძოდ, მირიან მეფის სასანიანობა სიმართლეს არ შეეფერება და არც რანის ქვეყანა ეკუთვნოდა მას, რომ ვინმეზე გაეცა საერისთავოდ. მაგრამ წყაროს სხვა ცნობები, რომ მირიან მეფის მემკვიდრეების დროს ქვემო ქართლის გამგებლად ვინმე ფეროზი ყოფილა, რომელიც წარმოშობით ირანის სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა და, ამის გამო, „მეფეთა ნათესავად“ ითვლებოდა, ყუადღების ღირსია.

სწორედ ამ პეროზ „მეფეთა ნათესავი“-ს ზემოხსენებულ სამშენებლო წარწერაში შეყვანის შესაძლებლობა გვინდა ახლა განვიხილოთ. მაგრამ თვით წარწერაში არც „ნათესავი“ და არც მისი სინონიმი „ავადაგ“ სიტყვები არ უნდა იხმარებოდეს მათი სიგრძისა გამო. ამიტომ გაგვიჩნდა აზრი, რომ აქ მხოლოდ „ნათესავის“ სინონიმის „თჳსი“-ს დაშვება შეიძლებოდა მხოლოდ. როგორც მერმე გამოირკვა, რ. პატარიძეც ასეთივე მოსაზრებამდე მისულა, თანაც, როგორც თავის დაბეჭდილ წერილში აღნიშნავს, მას ნათესაობით ბრუნვაში არსებული ამ სიტყვის ყველა გრაფემის კვალი შეუნიშნავს ადგილზე პირველი „ს“ (სან)-ის გამოკლებით[19]. რამდენად მისაღებია ეს დაკვირვება, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, „პეროზ მეფე(თა თჳსისა)-ს დაშვებას საძიებელ ადგილზე ხელს არაფერი უშლის[20]. ამის შემდეგ, როგორც ითქვა, ჩანდა „ახპ“ ასოების კვალი, რაც მხოლოდ „ნახპეტ“ ტერმინად შეიძლება გაიხსნას და ტექსტი იმ ადგილას ასეთი სახით აღდგებოდა: „პეროზ მეფე(თა თჳსისა (ნ)ახპ (ეტობასა...)“, — როგორც რ. პატარიძეს აქვს ეს ადგილი წარმოდგენილი თავის გამოკვლევაში. რა შეიძლება ამ აღდგენის საწინააღმდეგოდ ითქვას.

---

[19] რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[20] ყველა ადამიანს, რაგინდ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა არ უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებულ პატივს სდებდა მეფეთა ნათესაობა ანუ მეფეთა თვისობა, რასაც ამიტომ ყოველთვის ხაზს უსვამდნენ: „...მიეგებვოდიან იგი ჯპატის, თ ჳ ს ს ა მ ე ფ ი ს ა ს ა“; „...ხოლო ჯპატი, მ ე ფ ი ს ა თ ჳ ს მ ა ნ“. (იხ. „ცხორება ნეტარისა საბაჲსი“, მამათა ცხოვრებანი, 1975). ეს უკანასკნელი იყო ერთი კონკრეტული მეფის, ანასტასი იმპერატორის, ძმიშვილი და ბიძამისივით არ ეკუთვნოდა მეფეთა საგვარეულოს. ხოლო, როცა, ჯუანშერი აღნიშნავს,— ირანის შაჰი ვახტანგ გორგასალს ცოლად აძლევდა „თჳსთაგან მეფეთასა“, ეს ნიშნავს, რომ ეს ქალი „მეფეთა თჳსი“, ანუ სასანიანი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერაში დარჩენილი ასოებით — სრულად და გარკვევით შემონახულთა თუ მათ ნაკვალევთა და ნაშთების მიხედვით, ასე აღდგენა ტექსტისა ამ ადგილზე ბუნებრივია და ძალდაუტანებელი. მაგრამ რადგან წარწერა საძიებელ ადგილზე მაინცდამაინც ისე დაზიანდა, რომ უეჭველი მხოლოდ „...პეროზ მეფე...“ დარჩა, ხოლო კონტექსტი აღსადგენი შეიქნა, ბევრს მაინც დარჩება იმის შთაბეჭდილება, რომ „პეროზ მეფე...“-ა ნაღდი, „პეროზ მეფე(თა თჳსისა (ნ)ახპ(ეტობასა...) კი, რაც არ უნდა იყოს, პირობითი. ან ვინაა, საერთოდ, ეს ნახევრად ლეგენდარული პეროზ „მეფეთა ნათესავი“, რომელსაც ლეონტი და ჯუანშერი იხსენიებენ, რომ ის სრულიად რეალურ პეროზ ირანის შაჰს დავუპირისპიროთ? მაგრამ ასე მსჯელობა ერთხელ შეთვისებულზე ხელის აუღებლობა იქნება და არა ჭეშმარიტებაში გარკვევის სურვილი. კარგი, ვთქვათ, „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთის ავტორმა ლეონტი მროველმა ქვემო ქართლის მმართველი პეროზ „მეფეთა ნათესავი“ და „თჳსი“ რაღაც უსაფუძვლო გადმოცემებისა და საეჭვო ღირსების ცნობებით გამოიყვანა ქართლის პოლიტიკურ სარბიელზე. მაგრამ უკვე ჩვენს დროში ასე უმტკივნეულოდ როგორ შევიდა ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის დაზიანებულ ადგილზე?

უმტკივნეულოდ იმიტომ ვამბობთ, რომ იმ ორი არსებითი ცნობით ამ კაცის შესახებ, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვება, ასე გამოდის: 1. მას ერქვა პ ე რ ო ზ ი და იყო ამასთან „მ ე ფ ე თ ა ნ ა თ ე ს ა ვ ი“ ანუ „მეფეთა თჳსი“ (მამათა ცხოვრება: „არავინ აქუნდა მას სახლსა შინა თჳსსა თჳსი ანუ ნათესავი“)[21]. 2. „ქართლის ცხოვრებისავე“ ცნობით, ამ პეროზს მირიან მეფის მემკვიდრეების დროს სამმართველოდ აქვს მიღებული ქვემო ქართლი ანუ შემდეგდროინდელი საპიტიახშო, სადაც შედიოდა სწორედ ბოლნისი. ამიტომ ამ წარწერაში, რომელშიც გვაქვს „პეროზ მეფე(თა...“) და შემდეგ ლაკუნა, ამ პეროზის შეყვანას ჯერ ფორმალურად და შემდეგ უკვე რეალურად წინ არაფერი ეღობება. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მას აქ ისეთივე უფლება აქვს, როგორც ირანის შაჰს, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ცნობების გათვალისწინებით აღდგენილი „პეროზ მეფეთა თჳსისა ნახპეტობასა“ თუ ისე დაზიანდებოდა, რომ დაგვრჩებოდა „პერო... ეფე...“ და ამის შემდეგ „ახპ“ ასოების კვალი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „პეროზ მეფე...“ პეროზ ირანის შაჰია, ხოლო პეროზ „მეფეთა თჳსი“ უარსაყოფი იყოს. ამიტომ ობიექტური მკვლევარი აქ დასვამდა კითხვას: ბოლოს და ბოლოს რომელ პეროზს უნდა მიენიჭოს ამ წარწერაში უპირატესობა? შეიძლება ეს კითხვა უპასუხოდ დარჩენილიყო, ზემოხსენებული პირები რომ ერთმანეთის თანამედროვენი ყოფილიყვნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა ხანაში ცხოვრობდნენ, ჩვენ ამის შემოწმების სხვა საშუალებაც გაგვაჩნია.

ბოლნისის სიონი არაა ისეთი უმნიშვნელო ძეგლი, რომ ის ჩვენი ქრონისტებისა და მემატიანეების ყურადღების გარეშე დარჩენილიყო. მართლაც, როგორც ქართლის მოქცევის ქრონიკაში, ისე „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვება ცნობა მისი აშენების შესახებ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ორივე რედაქცია მის აშენებას მეხუთე ქრისტიანი მეფის ბაკურ თრდატის ძის მმართველობით ათარიღებს. მაგრამ თუ შატბერდული რედაქცია მის აშენებას უშუალოდ ბაკურ მეფეს მიაწერს,

[21] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭელიშურ რედაქციაში, მისი სიმოკლის გამო, ბოლნისის სიონის მაშენებლად ელია მთავარეპისკოპოსი გამოდის.

შატბერდული რედაქცია: „...მეფობდა ბაკურ, ძე თრდატისი, და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესია ბოლნის(ს), და იმერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“[22].

ჭელიშური რედაქცია: „და მეხუთედ მეფობდა (ბაკურ), ძე თრდატისი. მთავარეპისკოპოსი იყო მაშინ ელია. ამან აღაშენა ეკლესია ბოლნისსა“[23].

როგორც ჩანს, ცნობათა ეს განსხვავებულობა ჭელიშური რედაქციის შეკვეცილობით აიხსნება მხოლოდ. საერთოდ, ჩვენი მატიანეები ამ პერიოდში და შემდეგშიც კარგა ხანს ეკლესიების აგებას ჩვენში ძირითადად მეფეებს მიაწერენ და ზოგჯერ აზნაურებსაც, ერსა და ერისთავებსაც, მაგრამ ეპისკოპოსებს არასოდეს.

„ქართლის ცხოვრებაში“ ბოლნისის ეკლესიის მაშენებლად მეექვსე ქრისტიანი მეფე ფარსმან ვარაზ-ბაქარის ძეა მითითებული. ამან: „განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა“[24]. მაგრამ ამ წყაროების ცნობათა განსხვავებულობა მარტო ამით არ ამოიწურება. „ქართლის ცხოვრებაში“ საერთოდ არ იხსენიება ქართლის მოქცევის ქრონიკაში ბოლნისის სიონის ამშენებლად გამოყვანილი ბაკურ მეფე, ხოლო ამ უკანასკნელში, თავის მხრით, ფარსმან მეფე არაა თავის ადგილზე (ეს უკვე უცხოური აუთენტური წყაროთი ირკვევა). ასე რომ, თითქოს ადვილი ჩანს ზემოაღნიშნულ წყაროებზე ხელის აღება და ისევ ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერის „პეროზ მეფე“-ზე შეჩერება. მაგრამ ისტორიკოსი ასე ვერ მოიქცევა და ამ წინააღმდეგობებში გარკვევას შეეცდება.

პეტრე იბერიელის სირიული „ცხოვრების“ ცნობით, ფარსმანი ადრე სპასალარად ყოფილა იმპერატორ არკადიუსის (395—408) კარზე, მაგრამ შემდეგ იძულებული გამხდარა სამშობლოში გამოქცეულიყო, სადაც კიდევაც გამეფებულა. ფარსმანი ქართლში IV ს-ის მიწურულში უნდა გამეფებულიყო[25]. ის ყოფილა პეტრე იბერიელის ბებიის ძმა მამის მხრიდან და, ამდენად, მისმა ბიოგრაფმა იოანე რუფუსმა საჭიროდ ცნო მისი მოხსენიება პეტრეს ნათესავებში. 400-იანი წლების დასასრულს ქართლში მეფედ უკვე ბაკური უნდა ყოფილიყო, რომელმაც იმეფა დაახლოებით 410-იანი წლების ბოლომდე[26]. ბაკური ყოფილა პეტრეს პაპა დედის მხრიდან. საეჭვო არაა, რომ ფარსმანის მომდევნო მეფე უშუალოდ ბაკური იყო. ასე რომ, ზემოაღნიშნულ ცნობებს შორის არაა იმდენად დიდი წინააღმდეგობა, ერთი შეხედვით რომ შეიძლება მოგვეჩვენოს. ჯერ კიდევ. ი. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ „ქრონოლოგიურად ამ ორი ისტორიკოსის განსხვავებულ ცნობათა შორის მაინც მცირე მანძილიაო“[27], მით უფრო რომ, როგორც თვით „ქართლის ცხოვრება“ მიუთითებს (და ეს იოანე რუფუსის თხზულებითაც საფიქრებელია), ფარსმან მეფე „მცირედ-ჟამ მეფობდა და მოკვდა“. ასე რომ, ტაძარი, რომელიც თხუთმეტი წელი შენდებოდა, ცხადია, მხოლოდ ამ ერთი მეფის მმართველობაში ვერ

---

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 92.

[23] იქვე.

[24] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138.

[25] ლ.-ნ ჯ ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 93—94.

[26] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[27] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთავდებოდა და ბაკურ მეფის დროსაც გაგრძელდებოდა, ბუნებრივია, მისი შენება.

მაგრამ თუ ბოლნისის სიონი ზემოაღნიშნულ მეფეთა დროს შენდებოდა, სხვადასხვა საისტორიო ტრადიციის თანახმად, ერთიც შეიძლებოდა მისი მაშენებელი ყოფილიყო და მეორეც და ამით აიხსნებოდეს წინააღმდეგობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-სა და „ქართლის ცხოვრების" ცნობებს შორის. ერთი კია, რომ არც ერთი ამათგანი ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერიდან არ მომდინარეობს[28], რომელშიც, საეჭვო არაა, არც ფარსმანი იხსენიება და არც ბაკური და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მისი უშუალო მაშენებელნი ისინი არ ყოფილან. მაგრამ ამ სამშენებლო წარწერის აღდგენისას ქართული საისტორიო წყაროების ცნობები გათვალისწინებული უნდა იქნეს, რამდენადაც მათში დათარიღებულია ეს ტაძარი ზემოაღნიშნულ მეფეთა მოღვაწეობით. ცხადია, მათ არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცეთ, ხოლო სამშენებლო წარწერის სრულად დაცულობისა და განსხვავებული ცნობების შემცველობის პირობებში ხომ სრულად დაკარგავდნენ ღირებულებას, მაგრამ მისი აღდგენისას კი ამ საისტორიო გადმოცემების (უთუოდ ადრევე წერილობით ფიქსირებულის) უგულებელყოფა გამართლებული არ იქნება. თავის დროზე მათ ანგარიში არ გაეწიათ, რადგან არავინ დაეჭვებულა, რომ სამშენებლო წარწერაში პეროზ მეფე იხსენიებოდა. ახლა, როცა დავინახეთ, რომ მასში, მეტი თუ არა, არანაკლები უფლებით შეიძლება ქვემოთ ქართლის გამგებელი პეროზ „მეფეთა თჳსი" იხსენიებოდეს, ამის საბოლოო გამოსარკვევად ყველა სხვა ცნობა უნდა იქნეს მომარჯვებული და გათვალისწინებული.

თუკი ზემოაღნიშნული ცნობები სიმართლეს შეეფერება, ბოლნისის სიონის მშენებლობისა და დასრულების დროის მიახლოებით განსაზღვრაც შეიძლება: ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ ფარსმანის მეფობაში — დაახლოებით IV ს. დასასრულს და დაუსრულებიათ ბაკურის მეფობაში 410 წლის შემდეგ. მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ პეროზი ტაძრის დასრულებისას თუ არა, მშენებლობის დასაწყისში მაინც ცოცხალი ყოფილიყო?

„ქართლის ცხოვრების" თანახმად, პეროზი მირიან მეფის უმცროსი თანამედროვე, მისი ასულის ქმარი ყოფილა. რადგან თვით მირიანი ამიანე მარცელინეს თანახმად, 362 წლამდე მეფობდა, შეუძლებელი არაა, რომ მისი სიძე IV ს-ის დასასრულამდე ცოცხალი ყოფილიყო. მაგრამ მთელ იმ ცნობებში, რომელსაც „ქართლის ცხოვრების" ამ მონაკვეთის ავტორი ლეონტი მროველი პეროზის შესახებ იძლევა, ყველაზე სანდო და რეალური მისი მთავრობა ჩანს ქვემო ქართლში მირიან მეფის მემკვიდრეების დროს. საფიქრებელია, რომ პეროზი ქვემო ქართლში 370-იანი წლების დასასრულს ან

---

[28] საკვირველი კია, რომ ჩვენი მემატიანენი ამ წარწერას არ იცნობენ, რომელიც მათ დროს თავის ადგილზეც იყო და დაუზიანებელიც. კერძოდ, შეეძლო განა ლეონტის ეს სიონი, რომელიც 15 წელი შენდებოდა, მკითხველისათვის ფარსმან მეფის აგებულად წარმოედგინა, როცა ის მისივე ცნობით „მცირედყამ" მეფობდა? აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სამშენებლო წარწერაში ამ ტაძრის დაწყება სულ სხვა პიროვნების მმართველობითაა დათარიღებული, განურჩევლად იმისა, — ლეონტისთვის უცნობი პეროზ მეფე იკითხებოდა მასში, თუ მისთვის ესოდენ ცნობილია პეროზ „მეფეთა თჳსი" („თჳსი"-ს მნიშვნელობა კი ლეონტის საუცხოოდ ესმოდა: თავისი „მეფეთა ცხოვრების" დასაწყისშივე ხმარობს ის ამ სიტყვას „ნათესავის" შესატყვისად და პარალელურად). ამიტომ, საეჭვო არაა, რომ ზემოაღნიშნულ წყაროებს სხვადასხვა, მაგრამ არა ერთმანეთის გამომრიცხველი, წერილობითი ტრადიციები აქვთ დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

380-იანი წლების დასაწყისში უნდა მკვიდრდებოდეს, როცა ორმეფობას ქართლში ბოლო მოეღო და მთელი სამეფო ირანის ქვეშევრდომ ასპაგურ მეფეს დარჩა. მანამდე ეს მხარე რომის ქვეშევრდომ საურმაგ მეფის სამეფოს უმთავრესი პროვინცია იყო და, საეჭვოა, იმ დროს აქ მთავრად ირანის სამეფო საგვარეულოს წევრი ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ პეროზი ქვემო ქართლში, რომაელთა ერთგული საურმაგ მეფის ქვეყანაში ირანის შაჰის მიერ იყო დამკვიდრებული ქართლის სამეფოზე კონტროლის უზრუნველსაყოფად. გამორიცხული არაა, რომ მანამდე ის ალბანეთში ან მის მომიჯნავე ქვეყანაში პროვინციების გამგებელი ყოფილიყო და დაქორწინებული ქართლის სამეფო სახლის ერთ-ერთ წევრზე, მაგრამ გვიანდელ გადმოცემებში ის მირიან მეფის ერისთავად და უშუალოდ მის სიძედ ქცეულიყო. ამ პეროზის უცხოელობას უნდა მოწმობდეს მისი სახელიცა და ტიტულიც, რომელიც წარწერებით დამოწმებული გვაქვს სწორედ ქვემო ქართლში. ქართულ კულტურულ-ეთნიკურ და პოლიტიკურ გარემოში მოხვედრილი პეროზ ნახპეტი, საფიქრებელია, რომ მართლა გაქრისტიანდა და გაქართველდა, რასაც შემდეგში პეროზიანთა სახლის მოთხრა მოჰყვა ირანელთა მიერ (ლეონტის ცნობით, მათ სარდალს დაუტყვევებია პეროზის შვილები და ირანში წაუსხამს ისინი). ყოველ შემთხვევაში, 420-იანი წლებიდან საუკუნეების სიგრძეზე არშუშა პიტიახშის საგვარეულოში არც სახელი პეროზია და არც მისი ტიტული, რაც უნდა გამორიცხავდეს ამ საგვარეულოებს შორის გენეტიკურ კავშირს.

რაც არ უნდა იყოს საბოლოოდ, ჩვენი მემატიანეების ცნობებით ბოლნისის სიონი პეროზ ირანის შაჰის შემდეგდროინდელ ხანაზე საკმაოდ ადრეა აშენებული. ჩვენ არ ვართ იმ აზრის, რომ გამორიცხულია ქრისტიანული ტაძრის სამშენებლო წარწერაში პეროზ შაჰის ხსენება იმ მიზეზით, რომ ის მაზდეანი იყო, ანდა აუცილებელი იყო აქვე მისი თანამედროვე ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის მოხსენიებაც (ხომ არ იხსენიება ამ წარწერაში ქართლის მეფე, პეროზ შაჰის ნაცვლად, პეროზ „მეფეთა თჳსის“ დაშვების დროსაც?). მაგრამ ამ წარწერაში ვახტანგ გორგასლის მოუხსენებლობის პირობებშიც, მოსალოდნელი იყო ჩვენს მემატიანეებს ბოლნისის სიონი ადრეული შუა საუკუნეების ამ დიდი აღმაშენებლის სახელთან დაეკავშირებინათ, ის მის გარეშეც რომ მართლა V ს. დასასრულს ყოფილიყო აგებული. როცა 460-იანი წლების დასასრულს ვახტანგმა ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია მოახდინა და მისი სამეფო საეპისკოპოსოებად დაყო, მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომელი იყო საეპისკოპოსო საყდრებად ქცეულ ეკლესიებში ვახტანგის აშენებული და რომელი ამის გათვალისწინებით, მანამდე აგებული: ბ ო ლ ნ ი ს ში ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ს ა დ რ ე ა გ ე ბ უ ლ ტ ა ძ ა რ ში დ ა უ ს ვ ა მ ს (იგულისხმებოდა, რომ ის ფარსმან მეფის აშენებული იყო).

მაგრამ ხომ შეიძლებოდა რომელიმე ბოლნელ ეპისკოპოსს ახალი ეკლესიის შენება წამოეწყო და ეს ყოფილიყო უკვე ვახტანგის ღონისძიების შემდეგ, ვთქვათ 479 წელს? მაგრამ თუ ჩვენს ზემოხსენებულ საისტორიო წყაროებს ბოლნისის სხვა, უფრო ადრინდელი ტაძარი ჰქონდათ მხედველობაში, ამ დიდებული სიონის აგების შესახებ ცნობა რატომ გამორჩათ? ანდა თუ ბოლნისის სიონის შენება 479 წ. დაიწყო, ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი მაშენებელი 506 წლის დვინის საეკლესიო კრების მონაწილე დავით ეპისკოპოსი ყოფილიყო და არა ჩვენთვის უკვე ცნობილი იოანე ბოლნელი. მხედვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში მისაღებია ისიც, რომ ამოდენა ტაძრის ასაგებად საჭირო იქნებოდა გარკვეული წინასწარი სამუშაოების ჩატარებაც: უნდა გამოძებნილიყო სახსრები მშენებლობის დასაწყებად მაინც, შერჩეულიყო ხუროთმოძღვარი, შემუშავებულიყო ასაგები ტაძრის გეგმა და გადაწყვეტილიყო სხვა არაერთი ორგანიზაციული საკითხი. ერთი სიტყვით, ამ დიდი ტაძრის აგების თაოსანი, თუ ის მართლა 479 წ. დაიწყო, იოანე ეპისკოპოსი იქნებოდა, ყოფილი ბოლნელის, ქართლის კათალიკოსის სამოელის თანადგომითა და მხარდაჭერით და არა დავით ბოლნელი, რომელიც ამ თარიღიდან ოცდამერვე წელს იხსენიება მხოლოდ და, ამდენად, ის იოანეს უშუალო მემკვიდრე იყო თუ არა, ამასაც ვერ ვიტყვით.

ანდა იყო კი 479 წელს ქვემო ქართლში იმის პირობა, რომ იმ დროის კვალობაზე ასეთი დიდი ქრისტიანული საკულტო ძეგლის შენება დაეწყოთ?

ამ მხარის უშუალო განმგებელი თავის შვილებიანად გამაზდეანებულია, ყოფილმა დედოფალმა ასეთ პირობებში სასახლეში ცხოვრებას საპყრობილეში ტანჯვა-წამება და მოწამებრივი აღსასრული ამჯობინა, რამაც არათუ საპიტიახშოს, არამედ მთელი ქართლის მოსახლეობა ააღელვა და ურჯულო ვარსქენის მიმართ გულისწყრომით აღავსო (ვახტანგ გორგასალმა მშვენივრად გამოიყენა 482 წელს ხალხის ეს განწყობილება). და მიუხედავად ამ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ვითარებისა, ბოლნელმა ეპისკოპოსმა 479 წელს საპიტიახშოს ცენტრის მახლობლად ამ მხარის სხვა საკულტო ძეგლებისგან სრულიად გამორჩეული ტაძრის შენება დაიწყო? მართალია, როგორც ეს იაკობ ხუცესის თხზულებიდან ჩანს, გამაზდეანებული პიტიახშის დროსაც ქრისტიანული სარწმუნოების გამო არც მრევლი იდევნებოდა, არც კულტის მსახურნი და ამის შესაბამისად ალბათ არც ეკლესიების შენებას აბრკოლებდნენ, მაგრამ რომ მაინცდამაინც ამ დროს წამოიწყეს ისეთი ეკლესიის შენება, რომელსაც იქამდე ამ მხარეში ტოლი არ ჰქონდა და რომლის ასაგებად პიტიახშის ნებართვა, უეჭველია, საჭირო იყო, ეს ფაქტი დამაფიქრებელია თავისთავად. ვარსქენს, ჩანს, რომ გამაზდეანებამდეც არ შეუწუხებია თავი ეკლესიების შენებით. „მამამან შენმან აღჰმართნა სამარტჳლენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განრჰყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი“-ო, — ამ სიტყვებით უპირისპირებს შუშანიკი არშუშას (ბოლოს მოჩვენებითი მაზდეანის) მოღვაწეობას მისი შვილის მოქმედებას. როცა ვარსქენმა ირანში პეროზ შაჰს ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღების სურვილი განუცხადა და ამ სარწმუნოებაში მისი ოჯახის წევრების გადაყვანაც იკისრა, მას მისი ქვეშევრდომების თანდათანობითი გამაზდეანების პირობაც უნდა მიეცა შაჰისათვის, თუ ამის ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები იქნებოდა. მერედა, როგორ შეხედავდნენ და გაიგებდნენ შაჰის კარზე ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის შენების ფაქტს ქართველი მაზდეანის სამფლობელოში? ეს ხომ ქრისტიანობის არამარტო სრული შეუზღუდველობის და ქრისტიანების ხელშეწყობის მაუწყებელი იქნებოდა, არამედ ამასთანავე მაზდეანი ვარსქენის თუ არა პოლიტიკური, მისი უცილობელი მორალური მარცხი ხომ მაინც.

არ გამოდგება ამის გასაბათილებლად იმ არგუმენტის მოტანა, რომ ირანის თუ შემდეგ არაბების პოლიტიკური ბატონობის პირობებშიც არ შეჩერებულა საქართველოში მნიშვნელოვანი საეკლესიო ძეგლების შენება. ჩვენ უცხოელთა ბატონობის ზოგადი ფაქტი კი არ გვაქვს მხედველობაში, როცა სარწმუნოება და ეკლესია ჩვენში ამ დროს ჩვეულებრივად შემწყნარებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა და პრივილეგიებითაც კი სარგებლობდა, არამედ საგანგებო პოლიტიკური და რელიგიური სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საპიტიახშოში მისი უშუალო მმართველის თავის ხალხისგან სარწმუნოებრივად ნებაყოფილობით მოწყვეტით, შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნების გამო.

ერთი სიტყვით, ბოლნისის სიონის მშენებლობის დაწყება 479 წელს ეჭვს იწვევს საპიტიახშოში საამისოდ არსებული არახელსაყრელი პირობების გამო. ცხადია, ეს ეჭვი არც წარმოიქმნებოდა, პეროზ მეფის არსებობა სამშენებლო წარწერაში უცილობელი რომ იყოს, მაგრამ, როცა აქ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იხილება, ზემოაღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლობა გამართლებული არ იქნება.

კიდევ უფრო საეჭვო ჩანს პეროზ შაჰის მოხსენიების საფუძვლიანობა ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში 494 წლისთავის — როცა ფიქრობენ, რომ ეს ტაძარი დაუსრულებიათ.

რისი ნიშანია პეროზ შაჰის მოხსენიება ამ წარწერაში, თუ არა იმის გამოხატულება და მოწმობა, რომ ქართლი არამარტო პეროზის დროს, არამედ კიდევ უფრო მეტად ამ ტაძრის დასრულებისას — 494 წელს ირანის მორჩილებაში მყოფი ქვეყენა იყო. ეს რომ არა, პეროზ შაჰს ამ ტაძრის მაშენებელნი აღარ მოიხსენიებდნენ და მის ნაცვლად თუ საკუთარ მეფეს არა, ბიზანტიის იმპერატორს მაინც გაიხსენებდნენ. ამის გასამართლებლად ქართლის საპიტიახშოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია აღარ გამოდგება, რადგან ის თვით იყო ნაყოფი ქართლის ირანზე პოლიტიკური დაქვემდებარებისა.

მაგრამ იყო კი საამისო პირობები 492 წლიდან 490-იანი წლების მიწურულამდე? როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ ყოფილა.

VI ს. დამდეგს შედგენილი უაღრესად სანდო სირიული წყაროს იეშუ სტილიტის ქრონიკის თანახმად, მას შემდეგ, რაც 491 წ. დამდეგს კავად შაჰს უარი ეთქვა ახლად გამეფებულ ანასტასი იმპერატორისაგან მორიგ ფულად შესატანზე, ირანელებს ერთბაშად ძალიან ცუდად წაუვიდათ საქმე. შაჰის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო მას აუჯანყდა, როგორც საკუთარი დიდკაცობა და სამღვდელოება, ისე ირანის პოლიტიკურ მორჩილებაში მყოფი ხალხები. მართალია, კავადმა ერთხანს ტახტზე თავი შეიმაგრა, რადგან შინაგან ოპოზიციას მაზდაკის მოძრაობა დაუპირისპირა, მაგრამ აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება კი ვეღარ შეძლო. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა იმპერიისათვის თავისი შედეგებით სომხეთის დიდი აჯანყება ვაჰან მამიკონიანის წინამძღოლობით. აჯანყებულმა სომხებმა დაანგრიეს თავიანთ მიწა-წყალზე ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრები და მოგვები და საკუთარი მაზდეანები სულ ერთიანად მოსრეს. სომხების წინააღმდეგ გაგზავნილი დამსჯელი ლაშქარი აჯანყებულებმა გაანადგურეს და ირანის ბატონობისაგან განთავისუფლდნენ[29]. ირანელებს აუჯანყდნენ აგრეთვე მათ მორჩილებაში მყოფი არაბთა ტომები. იეშუ სტილიტის ცნობით, როცა არაბებმა დაინახეს არეულობა ირანის სახელმწიფოში, მთელ მათ მიწა-წყალს მოედვნენ საყაჩაღოდ[30].

ირანის იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ხალხებისა და ტომების აჯანყებებმა კიდევ უფრო გაართულეს მისი ისედაც მძიმე საშინაო მდგომარეობა,

[29] Н. В. Пигулевская, Месопотамия на рубеже V—VI вв., Труды Ин. востоковедения, т. XXXVI, М.—Л., 1940; Очерки истории СССР, III—IX вв., М., 1958, გვ. 210.

[30] Н. Пигулевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც მძაფრი სოციალური ბრძოლა მიმდინარეობდა[31]. ყველაფერი ეს პირველ ეტაპზე დამთავრდა იმით, რომ 496 წელს ირანის დიდკაცობამ კავადი ტახტიდან ჩამოაგდო. შაჰმა ჰუნებს შეაფარა თავი, რომელთა დახმარებით 498/9 წელს ტახტი დაიბრუნა და 502—503 წლების ირან-ბიზანტიის ომის წინ ადრინდელი ვითარებაც აღადგინა.

იყო თუ არა 492 წლიდან ქართლიც აჯანყებულთა რიცხვში, იეშუ სტილიტის ქრონიკაში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს დასაშვებია სავსებით[32]. მაგალითად, ს. ერემიანი არ ეჭვობს, რომ აჯანყებულ სომხებს ქართველებიც შეუერთდნენ[33]. და ნუთუ აჯანყებულ და შემდეგ გამარჯვებულ სომხეთს ქართლმა არ მიბაძა, რომელთანაც მას 482—484 წლებში ირანელთა წინააღმდეგ აჯანყების საერთო ფრონტი ჰქონდა შეკრული? დავიჯეროთ, რომ ირანისათვის ამ მძიმე კრიტიკულ სიტუაციაში, როცა სომხეთმა შეძლო მისგან თავის დაღწევა, ქართლი კვლავ შაჰის ნებაყოფლობით მორჩილებასა და ერთგულებას ირჩევდა და ისიც, ყველა ნიშნით ვახტანგ გორგასლის მმართველობაში?[34].

სწორედ აღნიშნულ პერიოდში უნდა დასრულებულიყო ბოლნისის სიონი, თუ მის ტრადიციულ დათარიღებას გავიზიარებთ. ნუთუ დასაშვებია, რომ ამ პოლიტიკურ სიტუაციაში ესოდენ მნიშვნელოვანი ძეგლის აგება დაცემული ირანის ყოფილი შაჰის — პეროზის ზეობით დაათარიღეს, რომლის ბატონობის წინააღმდეგაც არც ისე დიდი ხნის წინ ქართველებმა ვახტანგის წინამძღოლობით თავგამოდებით იბრძოლეს? თუ გამორიცხული არა, წარმოსადგენად მაინც ძნელია.

ნუთუ ყველაფერი ის, რაც აქამდე ბოლნისის სიონის ადრინდელობის მაჩვენებლად ითქვა, თვით ამ ტაძრის ზემოაღნიშნულ უძველეს წარწერებში, პირდაპირ თუ არა, არაპირდაპირ მაინც არ აისახა?

დავით ეპისკოპოსის წარწერა, ჩვენ, მაგალითად, ამ ტაძრის სამშენებლო წარწერაზე გვიანდელი გვგონია, თუნდაც იმიტომ, რომ მასში ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ი ო ნ ი მ ო ქ მ ე დ ი ე კ ლ ე ს ი ა ჩ ა ნ ს, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ქ რ ი ს ტ ე ს თ ა ყ ვ ა ნ ი ს ს ა ც ე მ ა დ ხ ა ლ ხ ს ა ქ უ კ ვ ე უ ვ ლ ი ა: „ქრისტე... ა მ ა ს ე კ ლ ე ს ი ა ს ა შ ი ნ ა შენდა მიმართ თაჳყანისმცემელნი შეიწყალენ“-ო. თუ ვიტყვით, რომ დავით ეპისკოპოსის წარწერა რამდენადაც მოსახსენებელია, გამორიცხული არაა იმთავითვე (წინასწარ) ეთქვათ ისე, როგორც მასშია ნათქვამი, რატომ სამშენებლო წარწერაში, მით უფრო თუ ის ამაზე გვიანდელია, დროის სხვა მომენტია ნაჩვენები: „ვინ აქა შინა თაჳყანი სცეს, ღმერთმან შეიწყალენ“, და არა: „ვინ აქა შინა თაჳყანსა სცემს“-ო. ერთი და იგივე

[31] იქვე. გვ. 210.

[32] შეიძლება ამ ქრონიკაში არც ჩათვალეს ქართლის ცალკე მოხსენიება საჭიროდ. მაგალითად, ამავე ხანებში დაწერილ მეორე სირიელი ავტორის ზაქარია რიტორის ქრონიკაში ქართლი და ალბანეთი, პირდაპირაა ნათქვამი, სომხეთში შემავალი ქვეყნებიაო.

[33] Очерки истории СССР..., გვ. 210.

[34] „ვახტანგის ცხოვრებაში“ არის ერთი საყურადღებო მინიშნება ირანელების წინააღმდეგ მისი უკანასკნელი ბრძოლის მიზეზზე. მემატიანის ცნობით, ვახტანგს უარი უთქვამს შაჰისათვის მონაწილეობა მიეღო ბიზანტიის წინააღმდეგ განზრახულ ომში. აღსანიშნავია, რომ ირანელებმა ასეთივე პირობა წაუყენეს სომხებს მათგან მორჩილების ნიშნად, რაც სომხებმაც უარყვეს, მაგრამ დამარცხების შემდეგ იძულებული შეიქნენ მიეღოთ. შესაძლებელია ეს ცნობა ვახტანგის სიკვდილის მიახლოებით თარიღს მიგვანიშნებდეს — V ს. მიწურულს. ყოველ შემთხვევაში, ის 490-იანი წლების პირველ ნახევარში მაინც ცოცხალი უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოსი, რატომაა, რომ მლოცველთა მოსახსენებელს სხვადასხვა დროში იძლევა? პირველ შემთხვევაში დროს ცვლის, ხოლო მეორე შემთხვევაში არა: ვინც აქ თაყვანი სცეს, ღმერთმა შეიწყალოსო. თუ ტაძრის დასრულების შემდეგაა ეს ნათქვამი, ტაძრის შენებისას ხომ, მით უფრო უნდა ეთქვათ: „ქრისტე... ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ ვინ თაჴყანი სცეს, შეიწყალენ"-ო.

ამის შემდეგ უფრო არსებით მომენტებზე მივუთითოთ. თუ დავით ეპისკოპოსის წარწერაში ბოლნისის საეპისკოპოსო ორგანიზაციაა სახეზეა, სამშენებლო წარწერით მიღებული პირველივე შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ ტაძრის დამთავრებისას აქ საეპისკოპოსო ჯერ კიდევ დაარსებული არაა.

თუ მაგალითად, ბოლნისის საეპისკოპოსო ბოლნისის სიონის აგებამდე დაარსდა, როგორც ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ, ორგანიზაციულად ის ამ შენობამდეც ჩამოყალიბდებოდა რასაკვირველია. ხომ არავინ ეჭვობს, რომ დავითის მოღვაწეობამდეც (ამ ტაძრის მაშენებლად .რომ წარმოვიდგინოთ იგი) ბოლნისის საეპისკოპოსო ორგანიზაციულად გაფორმებულია, ე. ი. სახეზე უნდა ყოფილიყო ყოველივე ის, რაც დავით ეპისკოპოსის წარწერაშია მოგვიანებით მოხსენიებული: ეპისკოპოსი კრებულითურთ (ღვთისა და ეკლესიის მსახურთა შტატი), მრევლი (ამ ეკლესიაში მლოცველნი ანუ ეპისკოპოსის ენაზე — „ქრისტეს მიმართ თაყვანისმცემელნი") და მშრომელნი.

განსხვავებული და ადრინდელი სურათი გვაქვს ამ მხრივ სამშენებლო წარწერაში, რომელშიც ღმრთისაგან შეწყალებაა გამოთხოვილი ჯერ იმათთვის — „ვინ აქა შინა თაყვანი სცეს" (ე. ი. მომავალი მრევლისათვის) და შემდეგ იმ მღვდელმსახურისათვის — „ვინ ამის... ეპისკოპოსსა ულოცოს". რატომაა, რომ დავით ეპისკოპოსის წარწერაში უძველეს ჟამის წირვებში დადგენილი რიგი — ჯერ მღვდელმთავრის მოხსენიებისა და მერმე მრევლისა, დაცულია, ხოლო სამშენებლო წარწერაში შებრუნებითაა[35]. ცხადია, რომ ამ წარწერებში ერთი და იგივე საეკლესიო ტრადიცია და ცოდნა არაა დაცული.

სამშენებლო წარწერა არაა იმ ეპისკოპოსის, რომელიც ამ ახალი ეკლესიის აშენების შემდეგ თავისი კრებულითა და მრევლით იქ დაივანებს. ის აქაური მღვდელმთავარი არაა, სხვაგან ზის და სამღვდელმსახურად ამ ტაძარში არ ჯდება, მაგრამ ამ ეკლესიის დასრულების შემდეგ აქ მოსახსენებელი დაუდეს: ჟამის წირვაში ადგილობრივმა მღვდელმა უნდა მოიხსენიოს ცოცხალიცა და მკვდარიც.

არც ერთ მაშენებელ ეპისკოპოსს (არც ერისკაცს) სამშენებლო წარწერებში არ უთქვამს: ვინც ამ ეკლესიაში მილოცოს, იგი ღმერთმან შეიწყალენ. ყველა პირველ ან მესამე პირში უშუალოდ ღმერთს შესთხოვს შეწყალებას ანდა წმინდანს მეოხებას. მით უფრო უჩვეულოა, რომ მაშენებელი ეპისკოპოსი, რომელიც თვით იყო ამ საყდრის უფალი და მთავარი მღვდელმსახური, სამშენებლო წარწერაში გარეშე ეპისკოპოსივით პირდაპირ კი არა, არამედ მასზე მლოცველი მღვდელმსახურის შეწყალების თხოვნით გამოეყვანათ[36].

---

[35] ამ შეუსაბამობაზე მიგვითითა ქართული ეკლესიის ისტორიკოსმა ბ. ლომინაძემ.

[36] ამ მომენტის ნათელსაყოფად მივუთითებთ ერისთავ ხურსის წარწერის ფრაგმენტს ოთხთა ეკლესიიდან, რომელშიც ხურსი ამბობს: „დაუდევით ჩუენ ოთხთა ეკლესიისა კრებულსა სალოცავი მომავლისა სახლისა ჩუენისა" ...(ვინ ულოცოს) — „ღმერთმან შეიწყალენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ეს ეპისკოპოსი ადგილობრივი მღვდელმთავარი არაა დავით ეპისკოპოსივით. აბა, როგორ დავიჯერებთ, რომ დავით ეპისკოპოსი, რომელიც 506 წელსაც ამ ტაძარში მთავარ მღვდელმსახურად ზის, 494 წლის სამშენებლო წარწერაში გარეშე ეპისკოპოსივით, არა უშუალოდ თავისთვის, არამედ, პირველ რიგში, იმ მღვდელმსახურისათვის ითხოვდეს შეწყალებას, რომელიც აქ მისთვის ილოცებს.

ხოლო გარეშე ეპისკოპოსზე (გარეშე, მაგრამ არა სხვა ეპარქიის), რომელიც ამიტომ მთელი ქვეყნის ეკლესიის სათავეში უნდა მდგარიყო, სრულიად ბუნებრივია ეთქვათ: ვინც აქ მას ულოცოს, ღმერთმა შეიწყალოსო. სწორედ ამ სახელწოდების მღვდელმთავარი ჰყავდა ქართულ ეკლესიას ფარსმან და ბაკურ მეფეების დროს (შეიძლება მას „მთავარეპისკოპოსიც“ ეწოდებოდა, ვითარცა მთელი ქვეყნის ეკლესიის საჭეთმპყრობელს, მაგრამ პატივით და არა იერარქიული აზრით), რომელთაც ჩვენი წყაროები მიაწერენ ბოლნისის სიონის აგებას და სწორედ ასეთ ეპისკოპოსზე შეეძლოთ ეთქვათ: „ვინ ამის (მაშენებელსა)... ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ“. ვითარცა ქართული ეკლესიის მეთაურს და, ბუნებრივია, ამ ტაძრისა და იქაური მღვდელ-დიაკვნების მაკურთხეველს, ის მაშენებელიც რომ არ ყოფილიყო, აქ მოსახსენებელს მაინც დაუდებდნენ[37].

მაგრამ თუ ბოლნისის სიონი ბოლნისის საეპისკოპოსოს დაარსებამდეა აგებული, მისი მშენებლობის დაწყება პეროზ შაჰის მმართველობით ვეღარ დათარიღდება, რადგან ბოლნისში ეპისკოპოსის დასმას ადგილი აქვს V ს. 60-იანი წლების მიწურულში მხოლოდ[38]. ამიტომ ბოლნისის სიონის შენება. და კურთხევა ქართლის უკანასკნელ ეპისკოპოსსაც რომ მივაწეროთ, სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული პეროზი ვერ იქნება პეროზ შაჰი, რადგან ამ სიონის დაწყება გადაცდებოდა მისი მმართველობის წლებს (სამოციან წლებს მინუს 15 წელი).

ეს ბოლო დაკვირვებაც, ვფიქრობ, ლაპარაკობს პეროზ შაჰის ნაცვლად ამ სამშენებლო წარწერაში პეროზ „მეფეთა თჳსი“ არსებობის სასარგებლოდ. არა მგონია საკამათო იყოს ამ დიდი ხელისუფლის მმართველობით ბოლნისის სიონის მშენებლობის დაწყების დათარიღება. თვითონ ეს პეროზი,— ცხადია, ამ ტაძრის მაშენებელი არაა (ერთ-ერთი შემწირველი კი შეიძლება იყოს), მაგრამ იხსენიება ამ წარწერაში, ვითარცა ამ ქვეყნის უშუალო გამგებელი (ისევე, როგორც ამავე მხარეში მოგვიანებით ვინმე თათვარაზმა უშუალოდ მისი კუთხის ხელისუფლის — პეტრეს ხუცესობით დაათარიღა მის მიერ აღმართული ჯვარი: „პეტრეს ხუცესობასა მე, თათვარაზ აღხუმართე ესე ჯვარი“-ო[39]).

ვინ იყო ქართლის ეკლესიის ის საჭეთმპყრობელი, რომელიც უნდა იხსენიებოდეს ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში, დღეს უკვე არ ვიცით. „მოქცევაჲ“, როგორც ითქვა, მის აშენებას ბაკურ მეფეს მიაწერს, რომლის დროსაც უმაღლეს მღვდელმთავრად ჩვენში ელია ყოფილა. „ქართლის ცხოვ-

---

ვინ არ ულოცოს, ღმერთმან იგიცა განიკითხოს“ (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 289.). როგორც ვხედავთ, აქ ისევეა ნათქვამი, როგორც ზემოხსენებულ ჩვენს ეპისკოპოსზე, რამდენადაც არც ის შედის ეკლესიის კრებულში.

[37] ამ გარემოებაზე ყურადღება მიგვაქცევინა ბ. ლომინაძემ.

[38] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 52.

[39] ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების“ მიხედვით, ბოლნისის მაშენებლის ფარსმან მეფის დროს ეპისკოპოსად ჯერ იყო ელია, მერმე კი სვიმონი. იყო მართლა ერთ-ერთი ამათგანი აღნიშნული ტაძრის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული, თუ ჩვენთვის უცნობი სხვა ეპისკოპოსი კიდევ (კორიუნი ბაკურ მეფის დროს ეპისკოპოსად ჩვენში მოსეს ასახელებს), ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან წარწერის ეს ადგილი უკვალოდ გადაქარდა, ხოლო ქართლის ეპისკოპოსების სიები, ისევე, როგორც მეფეებისა, აღრეულიცაა და ნაკლული. ამიტომ ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში ხსენებული ეპისკოპოსის სახელი, გასაგებია, დღეს რომ ვეღარ მივუთითოთ.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ბოლნისის სიონი 410-იან წლებში აგებული ძეგლია და არა იმავე საუკუნის მიწურულში, როგორც ჩვეულებრივ მიაჩნიათ. აქეთ გვეწევა ჩვენ, როგორც თვით მისი სამშენებლო წარწერის ანალიზი, ისე ქართული საისტორიო მატიანეების ცნობები და ისტორიული ვითარების გათვალისწინება.

А. А. БОГВЕРАДЗЕ

РАЗЫСКАНИЯ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ V ВЕКА

Резюме

В статье поставлено несколько вопросов.

Автором утверждается, что упомянутого в «Мученичестве Шушаники» епископа Самуэла надо признать первым иерархом Болнисской эпархии, созданной церковной реформой Вахтанга Горгасала. Он был на этой должности между 468—474 годами. После смерти первого католикоса Картли Петра, Самуэл занимает его место, а Болнисским епископом вместо него становится упомянутый в том же литературном памятнике Иоан.

Болнисский епископ Давид, который упоминается в 506 году в армянской «Книге посланий» и на восточном фасаде строения над окном алтаря, по мнению автора, не является строителем этого храма. В строительной надписи, вследствие ее повреждения, оставшийся безымянным епископ не местный иерарх, а высший церковный правитель страны, который до конца 460-ых годов носил звание епископа.

Упомянутый храм должен был быть построен не в 494 году, как принято считать, а в десятые годы V века, как и предполагается грузинскими источниками, а также подтверждается анализом надписей Болнисского Сиона и исторической ситуацией того времени.

Что же касается упоминания царя Пероза в строительной надписи, автор считает, что в действительности тут упоминается «Пероз царей родич» (Пероз мепета твиси) — деятельно второй половины IV века, который неоднократно фигурирует в «Картлис Цховреба».

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერი, ალმზრდელი, მოქალაქე

(ს. ყაუხჩიშვილის დაბადების 90 წლისთავი)

1985 წლის 14 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს სიმონ ყაუხჩიშვილს.

სიმონ გიორგის ძე ყაუხჩიშვილი დაიბადა 1895 წლის 14 ოქტომბერს ქუთაისში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და 1913 წ. შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე. ბუნებით ნიჭიერსა და ცოდნამოწყურებულ ახალგაზრდას აქ, პეტერბურგის სახელმოხვეჭილ უნივერსიტეტში, შესაშური პირობები შეექმნა ღრმა და ყოველმხრივი განათლების მისაღებად აქ ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი მის მაღალ პროფესიონალიზმს, ფართო განსწავლულობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ს. ყაუხჩიშვილის მასწავლებლები იყვნენ კლასიკური ფილოლოგიისა და ისტორიის ისეთი უმაღლესი რანგის სპეციალისტები, როგორც თ. ზელინსკი, ს. ჟებელიოვი, ა. ვასილიევი, გრ. წერეთელი და სხვ. მაგრამ ს. ყაუხჩიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის შესწავლით. მას უკვე იმ დროს ნათლად ესახება თავისი მომავალი მოღვაწეობის დედააზრი და მიზანდასახულობა: მან თავისი ცოდნა, პირველ რიგში, მშობელი ერის სამსახურს, მისი წარსულის შესწავლას უნდა მოახმაროს. ამიტომ ს. ყაუხჩიშვილი პარალელურად სწავლას იწყებს აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე, სადაც მისი მასწავლებლები აკად. ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი არიან. ძნელია ინატრო უკეთესი დასი მასწავლებელ-მოძღვართა! უდავოდ დიდი გავლენა ს. ყაუხჩიშვილის, როგორც ქართველოლოგის ფორმირებაზე მოახდინა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ, რომელიც უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილმა დაარსა და რომლის აქტიური წევრი და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. ყაუხჩიშვილი იყო. „სტუდენტთა წრის“ უპრეტენზიო სახელწოდების მიღმა სინამდვილეში იდგა მეტად სერიოზული მეცნიერული საზოგადოება, სადაც ნამდვილ მეცნიერულ წრთობას გადიოდნენ მომავალი მკვლევარნი, სადაც ისინი ეუფლებოდნენ სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და ჩვევებს, აქვე მიმდინარეობდა ქართველი ახალგაზრდობის ჭეშმარიტ პატრიოტებად აღზრდა, პატრიოტებად არა სიტყვით, არამედ საქმით — ასე აფასებდა ამ წრის მუშაობას ს. ყაუხჩიშვილი, როდესაც იგონებდა აქ გატარებულ დროს და ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმართულ მის საქმიანობას.

1917 წ. ს. ყაუხჩიშვილმა წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. აქ იგი თავდაპირველად ანტიკურ ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა თბილისის ქალთა სემინარიაში, ხოლო 1918 წ., როდესაც ქართველი ხალხის დიდი ხნის ნანატრი ქართული უნივერსიტეტი დაარსდა, ს. ყაუხჩიშვილმა, ბუნებრივია, ეროვნული კულტურის ამ ახალ კერას მიაშურა. 1918 წლის დასასრულს იგი საპროფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოროდ მოსამზადებლად იქნა დატოვებული უნივერსიტეტში ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის განხრით. და უკვე 1920 წ. გამოქვეყნდა ახალგაზრდა მეცნიერის პირველი სერიოზული ნაშრომი „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ (გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანი)“, ნაწ. I, ტექსტი. ამავე დროს გადაწყდა ს. ყაუხჩიშვილის მივლინება საბერძნეთსა და გერმანიაში, სადაც იგი შეძლებდა თავისი ცოდნის გაღრმავება-სრულყოფას.

ხუთი თვის მანძილზე (1920 წ. სექტემბერი — 1921 წ. იანვარი) ს. ყაუხჩიშვილი ათენში მუშაობდა, სადაც დაეუფლა ახალ ბერძნულ ენას, გაეცნო ბიზანტიური ეპოქის ბერძნული ლიტერატურის ძეგლებს, ბერძნულ ხელნაწერებს. 1921 წ. იანვარში იგი მიემგზავრება ბერლინში, რომლის უნივერსიტეტში ოთხი სემესტრის განმავლობაში მუშაობდა. და კვლავ მთელი პლეადა დიდი სპეციალისტებისა, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ელინისტებისა და ბიზანტინოლოგებისა: უ. ვილამოვიც-მოლენდორფი, ედ. მეიერი, ჰ. დილსი, უ. ვილკენი, ა. შულცე, პ. მაასი, ედ. ნორდენი და სხვ. მათ ლექციებს ისმენდა, მათი ხელმძღვანელობით იწრთობოდა საისტორიო წყაროთმცოდნეობაში, ბიზანტინოლოგიაში, ბერძნულ ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიაში.

1923 წ. ს. ყაუხჩიშვილი კვლავ თბილისის უნივერსიტეტშია, სადაც კლასიკური ფილოლოგიის დარგს მეთაურობს ელინისტი და პაპიროლოგი გრიგოლ წერეთელი. ს. ყაუხჩიშვილი მხარში ამოუდგა თავის ყოფილ მასწავლებელს; უნივერსიტეტში იგი ასწავლიდა კლასიკურ ენებს, კითხულობდა ბერძნული ლიტერატურისა და ბიზანტიის ისტორიის კურსებს, აგრეთვე სპეციალურ კურსებს კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე.

1926 წ. ს. ყაუხჩიშვილმა განასრულა „გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ქართული თარგმანი, ნაწ. II, გამოკვლევა. ეს შრომა წარმოდგენილ იქნა სადოქტორო დისერტაციად. შრომამ ოპონენტების — ივ. ჯავახიშვილის, გრ. წერეთლის, კ. კეკელიძის — მაღალი შეფასება დაიმსახურა და 1927 წ. 20 მარტს ს. ყაუხჩიშვილს მიენიჭა ბიზანტინოლოგიის დოქტორის წოდება.

1930 წ. ს. ყაუხჩიშვილი არჩეულ იქნა პროფესორად. 1927—1938 წწ. იგი ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ბიზანტინოლოგიის კათედრას, 1939—1940 წწ. მუშაობდა მოსკოვში, სსრკ მეცნ. აკად. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ანტიკური ლიტერატურის განყოფილებაში, სადაც მონაწილეობდა ბერძნული ლიტერატურის მრავალტომეულის გეგმა-კონსპექტის შედგენაში. 1940—1954 წლებში სათავეში ედგა თბილისის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, რომლის პროფესორად გარდაცვალებამდე რჩებოდა. 1945 წ. ს. ყაუხჩიშვილის თაოსნობით დაარსდა ბიზანტინოლოგიის სექტორი საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. 1960 წ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსებისთანავე ეს სექტორი განყოფილების სახით ამ ინსტიტუტში გადმოვიდა. ბიზანტინოლოგიის განყოფილებას ს. ყაუხჩიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა.

ს. ყაუხჩიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; 1950 წ. არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წ. — აკადემიკოსად; დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნის“ ორდენებით. ს. ყაუხჩიშვილი ორასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია.

ასეთია ძალზე მოკლედ და მშრალად გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრების გზა, გზა, რომელიც არ იყო ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი და იოლად გასავლელი. ამ გზაზე მას ნარ-ეკალიც ბევრჯერ შეხვედრია, მძიმე დღეების და წლების დაძლევაც დასჭირებია. მაგრამ თვით იგი იმ გზაზე ყოველთვის მართლად და განუხრელად ვიდოდა, რადგან გზამკვლევად და მეგზურად მუდამ ერთი მიზანი ჰქონდა: უანგარო და პირუთვნელი სამსახური ერისა, მისი წარსულისა, მისი მეცნიერული კულტურის განვითარება და ამით მისი მომავლისთვის ზრუნვა.

ს. ყაუხჩიშვილმა უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა; ამ მემკვიდრეობის უაღრესი ფასეულობისა და დიდი მნიშვნელობის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ სათანადო სიღრმითა და სისრულით იგი დღემდე არაა შესწავლილ-შეფასებული. საქმე ისაა, რომ ამ ამოცანის შესრულებისას გადაულახავ სიძნელეს ვაწყდებით. ს. ყაუხჩიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა იმდენად მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია, რომ მისი შეფასება ერთი რომელიმე დარგის სპეციალისტის შესაძლებლობას აღემატება. ს. ყაუხჩიშვილი გამოჩენილი კლასიკური ფილოლოგებისა და ბიზანტინოლოგების მოწაფე იყო, მაგრამ ამავე დროს იგი ივ. ჯავახიშვილის მოწაფეც იყო. ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი მთელი მოღვაწეობის მიმართულება: კლასიკური ენების, ლიტერატურის, ბიზანტიური კულტურის ბრწყინვალე ცოდნა მან, პირველ რიგში, ქართველოლოგიის სამსახურში ჩააყენა და, პირიქით, ქართულ სიძველეთა ღრმა ცოდნას იგი ოსტატურად იყენებდა კლასიკური და ბიზანტიური ფილოლოგიის კვლევა-შესწავლისათვის.

ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ერთ ადამიანს შეძლებოდა მეცნიერების ესოდენ მრავალფეროვან დარგებში კვლევა-ძიება. საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, ქართული ენა, ბიზანტიის ისტორია და ლიტერატურა, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ქართული და ბერძნული ეპიგრაფიკა, ქართული და ბერძნულ-ლათინური ლექსიკოლოგია, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ძველი ქართული წყაროების მეცნიერული პუბლიკაცია, ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველესი ხალხების ეთნოგენეზისი, ქართულ-ბერძნული და ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები — ესაა საკმაოდ არასრული ნუსხა იმ საკითხთა და პრობლემათა, რომლებიც ს. ყაუხჩიშვილის კვლევის საგანს შეადგენდნენ. ამასთან ცოდნის ყველა ამ დარგში მან უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, საკუთარი სიტყვა თქვა, წარუშლელი კვალი დატოვა.

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი მრავალდარგოვანი მოღვაწეობის თუნდაც ზოგადი მიმოხილვა ძალზე რთულია; ჩვენ შევეცდებით გამოჩენილი მეცნიერის ღვაწლის მხოლოდ ზოგიერთ უმთავრეს მომენტზე შევჩერდეთ.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება ს. ყაუხჩიშვილმა ჯერ კიდევ მეცნიერული გზის დასაწყისშივე განსაზღვრა გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ ძველქართული თარგმანის შესწავლითა და გამოცემით. ამით საფუძველი ჩაეყარა მთელ მიმართულებას ქართველოლოგიაში, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული შუასაუკუნოვანი ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზროვნების, მთარგმნელობითი ხელოვნების შესწავლისათვის და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, თვით ბიზანტიური ლიტერატურის კვლევისთვისაც. ამავე ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პექტში მეცნიერმა შემდგომში შეისწავლა და გამოაქვეყნა მთელი რიგი ქართული ძეგლებისა, რომლებიც ბიზანტიური თხზულებების თარგმანს წარმოადგენდნენ. შეისწავლა რა ისეთი ავტორების თხზულებათა ქართული თარგმანები, როგორიცაა პროკლე დიადოხოსი, მიქელ პსელოსი, ბიზანტიური რომანი „გალაქტიონ და ეპისტემია", აგრეთვე იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვათა ნათარგმნი ნაწარმოებნი, ს. ყაუხჩიშვილმა გამოავლინა ბევრი ისეთი ფაქტი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიური ლიტერატურის, მსოფლმხედველობის, ამ ეპოქის ბერძნული ენის შესწავლისათვის. სწორედ ამ შრომებით გახადა მან ცხადი დღეს მსოფლიო ბიზანტინისტიკაში აღიარებული დებულება, რომ ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ბიზანტიური ლიტერატურის კვლევა.

ს. ყაუხჩიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში საპატიო ადგილი უკავია მის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის" სამტომეულს. ანტიკური და ელინისტური პერიოდების ბერძნული ლიტერატურის განმაზოგადოებელი მიმოხილვის შექმნაში მას ჰყავდა წინამორბედები საბჭოურ მეცნიერებაში; უფრო მეტიც, ქართულადაც არსებობდა გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია". და მაინც, სამტომეულის პირველ ორ ტომშიც არის ბევრი ორიგინალური, ახლებურად დანახული და გააზრებული, თვით ავტორის მრავალწლიანი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ შრომის მესამე ტომი, რომელიც ბიზანტიური ხანის ლიტერატურის ისტორიას შეიცავს. ეს ნაშრომი სრულიად ახალი სიტყვა იყო არა მარტო საბჭოურ, არამედ მსოფლიო ბიზანტინოლოგიურ ლიტერატურაში, რამდენადაც ახალ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ემყარებოდა, ორიგინალურ პრინციპულ დებულებებს აყენებდა და სწყვეტდა. ეს წიგნი მთლიანად ეფუძნება ჯერ კიდევ 1939 წ. მის მიერ წამოყენებულ და შემდგომში განვითარებულ-დასაბუთებულ დებულებას ბიზანტინიზმის, როგორც თავისებური სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ფენომენის არსის შესახებ. ამ დებულების თანახმად ბიზანტინიზმი ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადი საწყისიდან: ელინურობა, რომაულობა, ქრისტიანობა და აღმოსავლურობა; ბიზანტიურ კულტურაში უდიდესი როლი შეასრულეს აღმოსავლეთის ხალხებმა: სლავებმა, სირიელებმა, სომხებმა, ქართველებმა, კოპტებმა და სხვ.[1] თვით ბიზანტიური ლიტერატურა, ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, წარმოადგენდა არა ძველბერძნული ლიტერატურის მონურ მიმბაძველობასა და მკრთალ, დაკნინებულ ანარეკლს, როგორც ამას ბიზანტინისტთა უმეტესობა ამტკიცებდა, არამედ ორიგინალურ ლიტერატურას, განვითარებულს ბიზანტინიზმის პირობებში. ეს დებულებები დღეს საყოველთაოდ მიღებულია საბჭოურ (და არა მარტო საბჭოურ) ბიზანტინოლოგიაში, თუმცა ზოგჯერ ავიწყდებათ იმის აღნიშვნა, რომ ისინი სწორედ ს. ყაუხჩიშვილის მიერ იყო პირველად წამოყენებული. ს. ყაუხჩიშვილი დაწვრილებით იხილავს ბიზანტიური ლიტერატურის მხატვრული ფორმების გენეზისსა და განვითარების ისტორიას, იძლევა მის პერიოდიზაციას, ახასიათებს თითოეულ პერიოდს და აჩვენებს ყოველი ეტაპის თავისებურებებს. ამ თვალსაზრისით ეს ნაშრომი

[1] История греческой литературы, схема-план, раздел X, М.—Л., 1939, გვ. 24; შეად. მისი „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან", წ. I, თბ., 1948, გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ გადადგმული ნაბიჯია მანამდე არსებულ ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიებთან შედარებით, ხოლო საბჭოურ მეცნიერებაში იგი დღემდე რჩება ერთადერთ ფუნდამენტალურ მიმოხილვად, არსებითად სახელმძღვანელოდ ბიზანტიური ლიტერატურისა. ამავე დროს ნაშრომში შესულია მთელი რიგი ორიგინალური გამოკვლევებისა, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნეოპლატონიზმის განვითარება და არეოპაგიტიკის პრობლემები, რომანის „ვარლაამ და იოასაფის“, იოანე მოსხის „ლიმონარის“ წარმომავლობა და მრავალი სხვა. აქ პირველადაა ნაჩვენები ბიზანტიური კულტურის განვითარებაში ქართველ მოღვაწეთა ადგილი და როლი.

ს. ყაუხჩიშვილის მოღვაწეობის ფასდაუდებელ ნაყოფს წარმოადგენს რვა ტომისაგან შემდგარი სერია— „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ანუ მისი სახელგანთქმული „გეორგიკები“. აქ თავმოყრილია V—XV საუკუნეების ბიზანტიური წყაროების ყველა ცნობა, რომელიც — კი საქართველოს შეეხება; წყაროები მოცემულია დედანში, ახლავს ზუსტი მეცნიერული ქართული თარგმანი და დაწვრილებითი ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარი; ზოგიერთი ამ კომენტართაგან დამოუკიდებელ და მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს. „გეორგიკები“ სამაგიდო წიგნია ყველასათვის, ვინც საქართველოს და კავკასიის ისტორიითაა დაინტერესებული. არაერთგზის თქმულა, რომ „გეორგიკებისთანა“ კორპუსი ყველა ცივილიზებული ერის ისტორიოგრაფიისათვის სანატრელი იქნებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. ყაუხჩიშვილმა 1974 წ. საფუძველი ჩაუყარა ახალ სერიას „ძველი ქართული წყაროების ცნობები ბიზანტიის შესახებ“ (Georgica-Byzantina). აქ დაწყებულია ქართული შუასაუკუნოვანი წყაროების ცნობების პუბლიკაცია, რომლებიც ბიზანტიას შეეხება, ამასთან ეს ცნობები მოცემულია რუსულ თარგმანშიც; ამით ს. ყაუხჩიშვილს ქართული წყაროები ფართო მეცნიერულ მიმოქცევაში შეჰქონდა. მის სიცოცხლეში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ტომის გამოცემა მოესწრო, მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის მოწაფეთა ვალია ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე განაგრძონ.

ს. ყაუხჩიშვილის შრომათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნების უდიდესი წარმომადგენლის იოანე პეტრიწის შრომათა მეცნიერულ პუბლიკაციას ორ ტომად (II ტ. შ. ნუცუბიძესთან ერთად). იოანე პეტრიწის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა ადრეც იყო მეცნიერული შესწავლის ობიექტი (ნ. მარი, კ. კეკელიძე) მაგრამ მისი შრომების გამოცემა და მით უფრო მისი ფილოსოფიური შეხედულებების ღრმა გაანალიზება, ახლებური გაგება იყო სწორედ საფუძველი ქართული საფილოსოფიო აზროვნების ისტორიის ახალი მიმართულების — პეტრიწოლოგიის შექმნისათვის და ამ საფუძველის ჩამყრელი, შ. ნუცუბიძესთან ერთად ს. ყაუხჩიშვილიც არის. უაღრესად დიდი მნიშვნელობა, არა მარტო თვით პეტრიწის ნამოღვაწარის გაგებისა, არამედ საერთოდ ქართული ფილოსოფიური აზროვნების შეფასებისათვისაც, ჰქონდა გამომცემელთა მიერ ტექსტისათვის დართულ გამოკვლევებში წარმოდგენილ სრულიად ახალ დებულებას, რომ „განმარტებაჲ პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ მხოლოდ კომენტარები კი არ არის პროკლე დიადოხოსის ნააზრევისა, არამედ დამოუკიდებელი ფილოსოფიური თხზულება, თვით პეტრიწის ფილოსოფიური ტრაქტატი, რომელშიც მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიგინალური მსოფლმხედველობაა გადმოცემული. ს. ყაუხჩიშვილს სხვა მრავალი საკითხიცა აქვს გარკვეული პეტრიწის პრობლემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა თვალთახედვით აქვს ნაკვლევი პეტრიწის მემკვიდრეობა.

არსებობს ს. ყაუხჩიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტოსურათი, რომელზეც მხცოვან მეცნიერს ხელთ „ქართლის ცხოვრების" ყველაზე მონუმენტური IV ტომი უპყრია. ვუყურებ ამ სურათს და უნებურად მახსენდება ქართულ ფრესკებზე კტიტორთა გამოსახულებანი, რომელთაც ხელში მათი დაკვეთითა და საფასით აგებული ტაძრების მოდელები უჭირავთ; მათ ამ გზით სურთ თავისი სახელის უკვდავყოფა. და ასეა აქაც. ს. ყაუხჩიშვილს თავისი სიცოცხლის მანძილზე სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელის უკვდავსაყოფად „ქართლის ცხოვრების" გამოცემაც იკმარებდა, თანაც მარტო ამ ერთისა კი არა, არამედ კიდევ ორი — I და II ტომებისა. ამასთან თუ ძველნი კტიტორნი მხოლოდ დამკვეთ-დამფინანსებელნი იყვნენ, ხოლო ეკლესიათა უშუალო ხუროთმოძღვარ-ოსტატნი უმეტესად უცნობნი რჩებოდნენ, ს. ყაუხჩიშვილი თვით. იყო შემქმნელი ამ მონუმენტური ძეგლისა. დიახ, მე შეცდომას არ ვუშვებ, „ქართლის ცხოვრებაში" შემავალ თხზულებებს, ცხადია, თავთავიანთი ავტორები ჰყავდათ, მაგრამ ამ აკადემიური გამოცემის ჭეშმარიტი შემოქმედი სწორედ ს. ყაუხჩიშვილი იყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ქართლის ცხოვრების" ყველა მანამდე განხორციელებული პუბლიკაცია ერთ რომელიმე ხელნაწერს ემყარებოდა, ხოლო ს. ყაუხჩიშვილმა იგი გ ა მ ო ს ც ა ყ ვ ე ლ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე, ამას კი უაღრესად შრომატევადი, ხანგრძლივი და მძიმე, თანაც დიდად პასუხსაგები მუშაობა დასჭირდა. ახლა ამას დაუმატეთ თითოეული ტომისათვის მეცნიერული გამოკვლევების დართვა, ნუსხების ღრმა ტექსტოლოგიური შტუდიები, ლექსიკონებისა, საძიებლების, კითხვასხვაობათა ნუსხების შედგენა! მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიის, ამასთან საერთოდ ქართული საისტორიო წყაროების და საქართველოს ისტორიის ისეთ ღრმა მცოდნეს, როგორიც იყო. ს. ყაუხჩიშვილი, შესწევდა ძალა და ხელეწიფებოდა ამ შრომის ასე ღირსეულად განსრულება.

ს. ყაუხჩიშვილმა შთამომავლობას დაუტოვა აკადემიური გამოცემა ერთ-ერთი იმ სამ სვეტთაგანისა, რომელსაც, აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია ემყარებოდა". დიახ, „ქართლის ცხოვრება", სახარებასა და „ვეფხისტყაოსანთან" ერთად წარმოადგენდა გამარჯვებული ფეოდალიზმის „წმინდა წიგნს", რომელიც ეროვნული იდეოლოგიის საფუძველიც იყო და ამასთან ანარეკლიც. მისი სანიმუშო გამოცემით ს. ყაუხჩიშვილმა დიდი ეროვნული საქმე გააკეთა და სავსებით კანონზომიერია, რომ „ქართლის ცხოვრების" პირველი ორი ტომის გამოცემისათვის მას ს. ჯანაშიას პრემია მიენიჭა, IV ტომის პუბლიკაციისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია, ხოლო რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების" III ტომს, იგი ბატონ სიმონს დიდი ხანია გამზადებული გამომცემლობაში ჰქონდა ჩაბარებული.

შეუძლებელია თუნდაც ზერელე მიმოხილვა იმ მრავალრიცხოვანი და მრავალთემოვანი გამოკვლევების, პუბლიკაციებისა და სტატიების, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის კალამს ეკუთვნის. აქ ბერძნულ-ბიზანტიური ლიტერატურისა და ენათმეცნიერების პრობლემებიც შედის და ქართული ფილოლოგიურ-ლინგვისტური საკითხებიც, ბიზანტიის ისტორიაც განიხილება და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს ისტორიაც, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერებიც იშიფრება და ონომასტიკური მასალაც მუშავდება. ს. ყაუხჩიშვილის მემკვიდრეობაში შედის ლექსიკონები, კლასიკური ენების შესწავლისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები და სავარჯიშოები... და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სხვადასხვა ხასიათის ნაშრომი, ზოგჯერ მოცულობით მცირე, მაგრამ უაღრესად დატვირთული შინაარსით და დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე.

ახლა გავიხსენოთ ს. ყაუხჩიშვილის მოღვაწეობის მეორე მხარე — მისი ღვაწლი როგორც მეცნიერების ორგანიზატორისა და მასწავლებლის. აქაც ყოვლის მომცველი შეფასება მისი ნაღვაწისა ფრიად ძნელია, მაგრამ უმთავრესი შედეგები ნათელია. ს. ყაუხჩიშვილი, თავის მასწავლებელთან გრ. წერეთელთან ერთად, შემქმნელია საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის სკოლისა, ხოლო შემდეგ თითქმის 45 წლის მანძილზე სწორედ იგი ედგა ამ სკოლას სათავეში, მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის გაშლა, გაფართოება და იმ დიდი სახელის მოპოვება, რომლითაც იგი სარგებლობს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ აღზრდილ კლასიკურ ფილოლოგებს კარგა ხანია გზა აქვთ გაკვლეული საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე და ნიშანდობლივია თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ თბილისში სამგზის (1965, 1971, 1975 წწ.) მოეწყო კლასიკურ ფილოლოგიაში საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციები. თბილისის არჩევა ამგვარი კონფერენციების ორგანიზაციის ადგილად, პირველ რიგში, თვით ს. ყაუხჩიშვილის და ამასთან მის მიერ შექმნილი სკოლის აღიარების მაჩვენებელია.

ს. ყაუხჩიშვილმა საფუძველი ჩაუყარა და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ქართულ ბიზანტინოლოგიას, იგი არსებითად ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის შემქმნელი და მისი წარმატებების უშუალო შემოქმედია. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ საქართველო საბჭოური ბიზანტინოლოგიის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად ითვლება და ქართულ ბიზანტინოლოგიურ სკოლას საერთაშორისო აღიარება აქვს მოპოვებული. შემთხვევითი როდი იყო, რომ 1979 წ. თბილისი იქნა არჩეული ბიზანტიური კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარების ადგილად, სიმპოზიუმისა, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის, აშშ, საფრანგეთის, გფრ, გდრ, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ბულგარეთის, რუმინეთის გამოჩენილი ბიზანტინისტები, რომელთაც აქ ჩამოსვლით და სიმპოზიუმში მონაწილეობით, მათივე არაერთგზისი აღიარებით, პატივი მიაგეს საბჭოური ბიზანტინოლოგიის „პატრიარქს“ და ქართული ბიზანტინოლოგიის დამფუძნებელს. პირველ რიგში თვით ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევათა და მის მოწაფე-მიმდევართა ნაშრომების წყალობითაა, რომ 1981 წ. ბიზანტინისტთა მსოფლიო კონგრესზე ქ. ვენაში ბიზანტინისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა აკად. ჰ. ჰუნგერმა ხაზგასმით აღნიშნა თავის ძირითად მოხსენებაში კონგრესის გახსნისას: „დღეს ეჭვი აღარაა, რომ ქართულ მასალათა გარეშე ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის კვლევა შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია ეს კვლევა ქართველ ბიზანტინისტთა გამოკვლევების გაუთვალისწინებლად“.

ს. ყაუხჩიშვილს, სხვა შესანიშნავ თვისებებთან ერთად, ახასიათებდა ერთი საოცარი თვისება — უჩვეულო მადლიერების გარძნობა თავის მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელთა მიმართ, უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნება მათი ხსოვნისადმი. სწორედ ამ თვისებითა და გრძნობით იყო ნაკარნახევი ის დიდი გარჯა და შრომა, რომელიც მან მოახმარა თუნდაც ივ. ჯავახიშვილის შრომების გამოცემის საქმეს, მასზე და გრ. წერეთელზე საგანგებო წიგნების შექმნა და ის სიფხიზლე და შეუვალობა, რომლითაც იგი სადარაჯოზე ედგა ივ. ჯავახიშვილის სახელის და ღვაწლის დაფასებას. დიახ, ს. ყაუხჩიშვილი სამაგალითო მოწაფე იყო! და იქნებ ამიტომაც იგი თვითაც ასევე სამაგალითო მასწავლებელი ბრძანდებოდა. ს. ყაუხჩიშვილი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ თავის დიდ მასწავლებელთა ნაანდერძევი თავისი მოწაფეებისათვის გადაეცა. არანაირ შრომასა და გარჯას არ იშურებდა, გამოჩენილი მეცნიერი არ თაკილობდა და არ იზარებდა ჩვენთვის ენა, ანბანი და გრამატიკის საწყისები, ნაშრომის უბრალო ტექნიკური გაფორმება ესწავლებინა. საოცრად მომთხოვნი, იგი ამავ დროს არასოდეს გვზღუდავდა საკუთარ აზროვნებაში, პირიქით, ყოველმხრივ ცდილობდა ეს თვისება ჩვენში წაეხალისებინა და განევითარებინა. თავის ზღვა ცოდნას უშუალოდ გვიზიარებდა და რაოდენ ბედნიერი იყო, თუ ხედავდა, რომ მისი ცდა და ზრუნვა პოხიერ ნიადაგს პოულობდა.

ს. ყაუხჩიშვილი მარტო კონკრეტულ სპეციალობაში და მეცნიერულ ცოდნაში, კვლევა-ძიების მეთოდიკაში კი არ წრთვნიდა თავის მოწაფეებს; თვით ნირშეუცვლელი პატრიოტი და უმწიკვლო მოქალაქე, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, იგი ცდას არ აკლებდა, რომ თავისი მოწაფეები ნამდვილ მამულიშვილებად, ერის სამსახურისთვის გამოსადეგ და მზადმყოფ მოქალაქეებად გაეზარდა. ამიტომაცაა, რომ ს. ყაუხჩიშვილის მოწაფეობა არადვილი და ამასთან საპატიო წოდებაცაა. დიახ, საპატიო და საამაყო წოდება, ზოგჯერ უფრო მეტი და ქმედითი, ვიდრე რომელიც გნებავთ ოფიციალური დიპლომი, ხარისხი თუ წოდება. რამდენჯერ დამხვედრია წინ ეს გარემოება! მოსკოვსა თუ ლენინგრადში, კიევსა თუ სვერდლოვსკში, ერევანსა თუ ქერსონესში, საზღვარგარეთაც კი, გაიგებდნენ თუ არა კლასიკური ფილოლოგები, ბიზანტინისტები თუ კავკასიოლოგები, რომ მე ს. ყაუხჩიშვილის ყოფილი ასპირანტი, მისი მოწაფეთაგანი ვარ, აღარ მჭირდებოდა არავითარი რეკომენდაცია ან ატესტაცია, ყველა მზად იყო სამსახურად და თანადგომად.

ოთხი წელი გავიდა, რაც ს. ყაუხჩიშვილი აღარ არის. ცხოვრება გრძელდება, ის დარგებიც, რომელთაც იგი მესვეურობდა, განაგრძობენ ფუნქციონირებას და განვითარებას, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რაოდენ დიდი ძალა დაგვაკლდა, რამდენი რამ წაიღო თან, რამდენი ხარვეზი აღმოჩნდა შეუვსებელი... და ეს იმიტომ, რომ მას თავისი მრავალმხრივი განათლებითა და ცოდნით, უფართოესი ერუდიციითა და გამოცდილებით, მოქალაქისა და ერისკაცის სწორუპოვარი თვისებებით, ისეთი ადგილი ეკავა ჩვენს მეცნიერებასა და საზოგადოებაში, რომლის დაკავება უაღრესად ძნელია და იქნებ საერთოდაც შეუძლებელი.

ნოდარ ლომოური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. სონღულაშვილი, საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი, „მეცნიერება“, თბ., 1985 წ.

თითოეულ ქალაქს, სოფელს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ისტორია აქვს. ამასთან, საქართველოს გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნების გამო, ერთმანეთის მეზობელ ხეობებში მდებარე ქალაქებსა და სოფლებს განვითარების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ეტაპები აქვთ განვლილი. რიგ შემთხვევაში, საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის ვითარებაში, ისინი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში ექცეოდნენ, ხშირად სხვადასხვა სამეფო-სამთავროებში მდებარეობდნენ მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა. ამდენად, საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ისტორიის დაწერის დროს დამატებით სიძნელეებს ვაწყდებით. სწორედ ამიტომ თითქმის შეუძლებელია გამოვიმუშავოთ ერთიანი უნივერსალური თარგი, ვარგისი ყველა ქალაქისა და სოფლის ისტორიის დასაწერად. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველწყაროების სიმწირის გამო, ხშირად იძულებული ვხდებით შემოვიზღუდოთ არსებული მასალით.

ამთავითვე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ზემოთ აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით, ავთანდილ სონღულაშვილის წიგნი „საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი“ მიძღვნილი სოფელ დიღმის ისტორიის შესწავლისადმი, ვფიქრობ, ქართული სოფლის ისტორიის დაწერის თვალსაზრისით სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს.

სოფლის ისტორიის დაწერა გულისხმობს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს წარმოსახვას. თუ დასახლება ძველია, საჭიროა უძველესი დროიდან მისი განვითარების სპეციფიკურად სრულიად განსხვავებული ეტაპების შესწავლა. აუცილებელია ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მასალის მოხმობა. ერთი სიტყვით, საჭიროა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ფონზე სოფლის განვითარების ჩვენება. წიგნის ავტორის სამართლიანი შენიშვნით „ყოველი სოფლის ისტორია ერთიანი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია“. ცხადია, განსახილველი საკითხების მრავალფეროვნება, მრავალპროფილიანობა მოითხოვს, რომ ისტორიკოს-მკვლევარს დიდი ერუდიცია, ფართო თვალსაწიერი უნდა ჰქონდეს. ამავე დროს შეუძლებელია ადამიანს, თუნდაც კარგ სპეციალისტს საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა ეტაპის თანაბარი ცოდნა ჰქონდეს, შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერების დონეზე, იგი თანაბარი ღირსების გეოგრაფიის სპეციალისტი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი იყოს. ამდენად, საკითხების ფართო წრის შესწავლის დროს უპირველესად ყოვლისა იგულისხმება ის მომენტი, რომ მეცნიერ-მკვლევრის ყველაზე დიდი ღირსება ის არის, რომ მან იცის სამეცნიერო ლიტერატურის ჯეროვანი გამოყენება, მან იცის სად რას მიაკვლიოს. ამ თვალსაზრისით ავთანდილ სონღულაშვილის მიერ გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა ავტორის ინტერესების ფართო წრეზე, მის კარგ და საფუძვლიან განათლებაზე მიგვითითებს. ამასთან უნდა დავძინო, რომ ლიტერატურა ავტორს გამოყენებული აქვს ყოველთვის ზუსტად კონკრეტული მომენტების გასაშუქებლად, არსად არ შეიმჩნევა საკუთარი განათლებით თავმოწონების სურვილი.

მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ანალიზის მშვენიერი უნარით არის მოცემული წიგნში ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს აღწერა, კარგად არის გადმოცემული თანამედროვე არქეოლოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევები. დიღმის ეტიმოლოგიის დასადგენად მშვენივრად არის მოხმობილი ქართველური ენების ზოგადი ლინგვისტიკის დებულებები, სამართლიანად მოსჩანს ავტორის მიერ გაზიარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ დიღომს გარკვეული წვლილი მიუძღვის თბილისის გადედაქალაქების საქმეში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ წიგნში ზედმეტი არაფერი არ არის. ავტორი თავისუფალია მეცნიერების ჰუმანიტარულ დარგებში, სამწუხაროდ, გავრცელებული ჭარბი მრავალსიტყვიანობისაგან. იგი მეტად ლაკონიური, შინაარსობრივად კარგად დატვირთული, ტევადი წინადადებებით წერს. ეკონომიკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ისტორიის წარმოსახვისას, ავტორი ყოველთვის სძლევს ცდუნებას მიატოვოს კონკრეტული საკითხის გარშემო მსჯელობა და ფართოდ შეეხოს საქართველოს ან თუნდაც ქართლის სამეფოს ისტორიას. მის მიერ მოხმობილი მასალა ყოველთვის უშუალოდ სოფლის ისტორიას ეხება და მსჯელობა ზოგადისტორიული პროცესების შესახებ ყოველთვის კონკრეტულად დიღმის ისტორიის უფრო სრულად წარმოჩენის საქმეს ემსახურება.

შესანიშნავად, დაკვირვებული სპეციალისტის დონეზე, არის ნაჩვენები დიღმის ისტორია ფეოდალური ძნელბედობის ხანაში.

წიგნში კარგად, კონკრეტულ-სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ცვლილებები, რომელიც სოფელმა განიცადა ფეოდალიზმიდან ახალ კაპიტალისტურ ფორმაციაში გადასვლასთან დაკავშირებით, საარქივო მასალის, პრესის მონაცემებით კარგად არის გამოკვეთილი გასული საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი. მოწონებას იმსახურებს სოფლის ძირძველი მკვიდრების, ხანდაზმული ადამიანების მონათხრობის საფუძველზე დახატული სურათი სოფლის რელიგიის, საკულტო ნაგებობების, ხალხური ტრადიციების შესახებ.

სოფლის ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით, ავტორს კარგად აქვს გაანალიზებული ქართულ-სომხური ძირძველი ურთიერთობის მომენტები. მის მიერ წარმოჩენილი კონკრეტული მასალა, გონივრულად გაკეთებული დასკვნები გარკვეული თვალსაზრისით, საქართველოს მასშტაბით გლობალური ხასიათისაა. აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაშიც ავტორი ძალიან კარგად, ოსტატურად იყენებს ქართული ლიტერატურის, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მასალებს.

ცნობილია, რომ როგორც თითქმის ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც რელიგია, კონკრეტულად კი ქრისტიანული რელიგია, ხალხზე იდეოლოგიური ზემოქმედების ერთადერთი და მძლავრი საშუალება იყო ძველად. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია ავტორის მიერ წარმოჩენილი და შესწავლილი რელიგიურ-საკულტო ისტორიის მასალები. ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის წმინდა სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორია კულტის მსახურებთან.

აღსანიშნავია, რომ დიღმის ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნის უმეტესი ნაწილი მიძღვნილია ამ სოფელში სოციალისტური მშენებლობის ეტაპების აღწერისადმი. მეცნიერულად არის შესწავლილი ჩვენი დღევანდელობის აქტუალური საკითხები. ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოჩენილია ის დიდი ძვრები, რომლებიც მოხდა სოფელ დიღომში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან. მკითხველს ეძლევა საშუალება გაადევნოს თვალი პირველი სამელიორაციო ამხანაგობების ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიას, სოფლის თანმიმდევრული ელექტრიფიკაციის ეტაპებს. დახატულია იმის ნათელი სურათი, თუ როგორ მომძლავრდა სოფელი ხარისხობრივად განსხვავებული განვითარების ახალ, სოციალისტურ ეტაპზე. ცალკეა წარმოჩენილი საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვების ისტორია, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდა.

ციფრობრივ-დოკუმენტური მასალების მომარჯვებით, დიდი გულითადობითა და სითბოთი წარმოსახულია ის ჯეროვანი წვლილი, რომელიც სოფელმა დიღომმა გაიღო დიდი სამამულო ომის წლებში. წიგნში აღნიშნულია, რომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლი 800 დიღმელი ვაჟკაციდან, 570 შინ აღარ დაბრუნებულა. კონკრეტულად, გვარსახელებით არის აღნიშნული ის ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ასევე კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია ის სათანადო ეკონომიკური წვლილი, რომელიც სოფელმა მტერზე გამარჯვების საქმეში შეიტანა.

წიგნის ავტორმა კარგად აჩვენა, რომ სოფელმა დიღომმა, მსგავსად ჩვენი ქვეყნის მრავალი სოფლისა, კარგად ჩააბარა სამამულო ომის პერიოდის მძიმე გამოცდა.

ცალკე ქვეთავი აქვს წიგნში მიძღვნილი შინმოუსვლელთა უკვდავყოფისათვის გამიზნულ ღონისძიებებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელად.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავი მიძღვნილი ომისშემდგომი პერიოდის ისტორიისა და სოციალისტური განვითარების თანამედროვე ეტაპისადმი. ამ თავში მდიდარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების შედეგად სრული ისტორიული სურათია დახატული. ამასთან ნიშანდობლივია, რომ დაწერილია იგი კონკრეტულ-სოციალური კვლევა-ძიების მეთოდებს კარგად დაუფლებული დაკვირვებული მეცნიერის მიერ, ამიტომ სოფელ დიღმის განვითარების პერსპექტივების დანახვის თვალსაზრისით უდავო ღირსებები გააჩნია. ამ კონკრეტულ შემთხ ევაში და საერთოდ მთელ წიგნში კარგად, ორგანულად არის განხორციელებული ისტორიკოსის მიერ წარმოჩენილი მასალის მჭიდრო კავშირი დღევანდელობასთან, მომავალთან.

წიგნი დაწერილია სოფელ დიღმის მკვიდრი ისტორიკოს-მკვლევრის მიერ. კარგად ჩანს, რომ ავტორს სათუთად უყვარს თავისი მშობლიური სოფელი. ბუნებრივია, მას ახარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სადღეისო წარმატებანი. სხვა შემთხვევაში ალბათ კალმის ხელში აღებას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ დიდად დასაფასებელია, რომ წიგნი თავისუფალია ყოველგვარი ზერელე პლაკატურობისაგან, არ არის მასში ზეაწეული ფუჭი ფრაზეოლოგია. ავტორს გულთან ახლოს მიაქვს სოფლის ძველი ისტორიის, თუ თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხები. იგი ავ-კარგს პირუთვნელად აღწერს და ამიტომ მკითხველმაც უფრო მკაფიოდ უნდა დაინახოს სოფლის განვითარების პერსპექტივები.

მისთვის ჩვეული საფუძვლიანობით, კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალით აქვს წარმოსახული ავტორს სოფელ დიღმის კულტურა-განათლების ისტორია. ნაჩვენებია თუ როგორ იკიდებდა განათლება ფეხს სოფლის გლეხ-კაცობაში. ბუნებრივია, წარმოჩენილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დიდი როლი. კარგად არის ნაჩვენები ის უდიდესი მნიშვნელობის ხარისხობრივი ხასიათის ძვრები, რაც აღნიშნული თვალსაზრისით მოხდა სოფელში საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

განათლების ისტორიის განვითარების თვალსაზრისით ნიშანდობლივია წიგნში დამოწმებული ციფრობრივი მონაცემები.

ცხადია, სოფლის ისტორია, კონკრეტულ შემთხვევაში კი სოფელ დიღმის ისტორია არ იქნებოდა სრული მასში ცალკე რომ არ იყოს ლაპარაკი სოფლის გამოჩენილ ადამიანებზე. საამაყოა მათი უბრალო ჩამოთვლაც კი (ცნობილი დრამატურგი აქვსენტი ცაგარელი, გამოჩენილი ისტორიკოსი-ფილოლოგი და ლინგვისტი ალექსანდრე ცაგარელი, ცნობილი მეცნიერი-პედიატრი მარიამ უგრელიძე).

განსაკუთრებული სითბოთი წერს წიგნის ავტორი თავისი ახლო წინაპრის, შესანიშნავი ადამიანის, იროდიონ სონღულაშვილის შესახებ. ი. სონღულაშვილს სულ ახლახან თავის მოგონებებში გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით გამთბარი სტრიქონები მიუძღვნა აკად. ვ. ბერიძემ.

ვისაც საქართველოს მუზეუმში ერთხელ მაინც მოუსმენია საქართველოს სიძველეებში შეყვარებული მამულიშვილის, ი. სონღულაშვილის იშვიათი უშუალობითა და გულწრფელობით გამთბარი საუბარი მას არასოდეს დავიწყდება სოფელ დიღმის ეს შესანიშნავი მკვიდრი.

რეცენზიის დასკვნაში სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სოფელ დიღმის მკვიდრმა მეცნიერმა ისტორიკოსმა ავთანდილ სონღულაშვილმა მშობლიური სოფლის ისტორიას ისეთი შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა, რომ ზოგადად იგი საქართველოს სხვა სოფლების ისტორიის დასაწერ ნიმუშადაც გამოდგება. ამ კარგი ნობათისათვის ეს ახალგაზრდა კაცი უკვე თამამად შეიძლება ჩაირიცხოს სოფლის რჩეულ მკვიდრთა შორის.

წიგნი იმდენად კარგად არის დაწერილი, რომ რეცენზიის წერისას ძნელია გაუძლო ცდუნებას და მისი მოკლე შინაარსის გადმოცემას არ შეუდგე, მაგრამ, ცხადია, უმჯობესია მკითხველი უშუალოდ გაეცნოს წიგნს.

განსაკუთრებით საწყენია, რომ კარგად დაწერილ წიგნს არ ახლავს ილუსტრაციები, თვალსაჩინოების თვალსაზრისით წიგნი დიდად მოიგებდა დიღმის სანახებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ილუსტრაციით. თვალსაჩინოდ გამოჩნდებოდა სოფლის განვითარების დინამიკა, სოფლის ძველი და ახალი ხედების ჩვენებით, მეტად ფასეული იქნებოდა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ფოტო-მასალა, ფოტოები სოფლის მკვიდრთა საოჯახო ალბომებიდან.

კვლავ მინდა გავიმეორო: წიგნი სანიმუშოა სოფლების ისტორიის დაწერის თვალსაზრისით. მისი მნიშვნელობა არ იფარგლება მარტოოდენ სოფელ დიღმის კონკრეტული ისტორიით. ამდენად, დაინტერესებს ფართო მკითხველ საზოგადოებას. სამწუხაროა მხოლოდ, რომ იგი შედარებით მცირე ტირაჟით დაიბეჭდა.

ჯუმბერ ოდიშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

СЕССИЯ МОЛОДЫХ УЧЕНЫХ

19 апреля 1985 г. в Институте истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН ГССР состоялась сессия молодых научных сотрудников, посвященная 40-летию победы советского народа в Великой Отечественной войне. В работе сессии приняли участие молодые ученые из Баку и Еревана.

Р. Л. Хуршудян (Институт истории АН Армянской ССР) в своем докладе «Молодежь Советской Армении в Великой Отечественной войне» отметил: «В дни Великой Отечественной войны плечом к плечу с другими братскими народами совершал ратные и трудовые подвиги в тяжелый час испытаний и народ Советской Армении. В его рядах находилась достойная наследница славных традиций воинов и трудящихся нашей страны — молодежь Советской Армении, ведомая своим боевым авангардом — ленинским комсомолом. В политдонесениях, в дивизионных, армейских и фронтовых газетах на страницах центральной и республиканской печати можно встретить описание тысячей подвигов сынов и дочерей армянского народа. Юноши и девушки Советской Армении внесли свою достойную лепту в большой вклад советской молодежи в победу советского народа в Великой Отечественной войне».

Доклад Г. А. Хачатряна (г. Ереван) «Социалистическое соревнование в Армянской ССР в годы Великой Отечественной войны» был посвящен развитию социалистического соревнования рабочего класса Советской Армении в годы Великой Отечественной войны. В нем отражены формы и методы социалистического соревнования, которые способствовали повышению производительности труда и выпуску продукции, необходимой Красной Армии для разгрома фашизма.

В докладе А. Н. Алиева (г. Баку) «Деятельность местных Советов г. Баку в годы Великой Отечественной войны (1941—1945 гг.)» отмечалось: «Великая Отечественная война явилась одной из самых трудных и в то же время самых героических страниц истории нашей страны».

В годы войны многогранная деятельность Бакинского городского и районных Советов занимала важное место в устройстве эвакуированного населения и оказания помощи семьям военнослужащих. В этой статье с помощью архивных документов и фактических материалов показана роль местных Советов.

Доклад Г. Г. Махмуряна (г. Ереван) «Против фальсификации истории Великой Отечественной войны» был посвящен анализу советологических изданий, их приемам и методам фальсификации истории Второй мировой войны и роли Советского Союза в разгроме фашизма. В нем выявлены основные направления антисоветской пропагандистской кампании, ее политический смысл и научная несостоятельность.

Агазаде Т. Д. (г. Баку) в докладе «Здравоохранение Азербайджана в годы Великой Отечественной войны» отметил: «Великая Отечественная война потребовала от медицинских работников Советского Азербайджана перестройки всей своей работы применительно к требованиям военного времени. В статье речь идет об усовершенствовании организации лечения, ухода за больными, о широком применении новейших методов лечения, улучшении качества обслуживания раненых бойцов Советской Армии и инвалидов Отечественной войны, эвакуированного из оккупированных районов страны населения, усилении связи между больницами и амбулаторно-поликлинической сетью, о профилактической работе, проводимой с тру-

ეროვნული ბიბლიოთეკა

жениками тыла, расширении подсобных хозяйств с целью улучшения качества питания больных и раненых.

Были также проведены мероприятия по обеспечению высококвалифицированной помощи раненым и больным в широко разветвленной сети эвакогоспиталей и по недопущению развития различного рода эпидемий при появлении их в отдельных районах республики.

В докладе Г. Магалашвили (Тбилиси) «К вопросу подготовки рабочих в системе трудовых резервов Грузии в годы Великой Отечественной войны» на основе архивного материала и литературы рассмотрено состояние трудовых резервов Грузинской ССР в годы Великой Отечественной войны. Показаны основные направления и методы подготовки их, напряженная работа по формированию и сплочению трудовых коллективов, что позволило, преодолев все объективные трудности, обеспечить кадрами промышленность и удовлетворить нужды фронта. Эта работа была частью огромного труда советского народа, который привел его к победе над врагом.

В докладе Н. Авалиани (г. Тбилиси) «Критика некоторых суждений буржуазной историографии о роли Грузии в Великой Отечественной войне» отмечалось: «Фальсификаторы истории искажают источники патриотизма грузинского народа в войне с фашизмом. Вынужденные говорить о стойкости, мужестве и героизме грузин, они отрицают их преданность социалистическому строю. Основными причинами, якобы побудившими грузинский народ подняться на смертельную борьбу с фашистскими агрессорами, были инстинкт самосохранения и национализм, возникшие в ответ на планы гитлеровцев, в частности Розенберга и других представителей нацистского режима уничтожить грузин.

Участие Грузии в Великой Отечественной войне рассматривается на фоне национализма. Интернационалистская суть борьбы грузинского народа подменяется национализмом».

В докладе М. М. Сиоридзе (г. Тбилиси) «Участие воинов из Грузии в движении сопротивления во Франции», на основе неопубликованных документов и воспоминаний бывших партизан, рассмотрено участие грузинских воинов в борьбе за освобождение Франции, их число, ареал их действий, а также национальный состав и число воинов первого советского полка, действующего в южной Франции.

Г. М. Арахамия (г. Тбилиси) в докладе «Письма с фронта как один из источников изучения истории Великой Отечественной войны» подчеркнул источниковедческое значение фронтовых писем в деле изучения морально-психологического настроения советских воинов.

В докладе Ш. Ахалая (г. Тбилиси) «Молодежь Грузии на фронтах Великой Отечественной войны (1941—1945 гг.)» рассмотрены ратные подвиги молодых воинов из Грузии на фронтах Великой Отечественной войны Советского Союза. Девяносто воинов из Грузии, которые были моложе 30 лет, получили высокое звание Героев Советского Союза. Более 170 тыс. комсомольцев из Грузии геройски сражались в годы войны как в оборонительных, так и в наступательных боях на всех фронтах войны.

На сессии было отмечено, что проведение таких совместных мероприятий способствует дальнейшему сближению молодых ученых закавказских республик, является хорошим подспорьем для развития советской исторической науки, в которую столь хорошо и органично вливается молодая гвардия ученых Азербайджана, Армении и Грузии.

З. ДЖАМБУРИА
М. ХАРБЕДИА

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაბაშვილი

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ისტორიკოსი, ქართველ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვალერიან ნიკოლოზის ძე გაბაშვილი.

ვ. ნ. გაბაშვილი დაიბადა 1911 წელს. 1932 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. ვ. გაბაშვილს წილად ხვდა ბედნიერება, უშუალოდ, დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მიეღო მეცნიერული წრთობა.

1937 წელს მუშაობა დაიწყო ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. ამავე დროს ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე. 1942 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1957 წელს — სადოქტორო დისერტაციები.

1945 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იხსნება აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც ვ. გაბაშვილი კითხულობს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ზოგად და სპეციალურ კურსებს. იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ აღმოსავლეთის ისტორიის კათედრას. 1957—1960 წლებში იგი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილებას. 1960 წლიდან გარდაცვალებამდე იგი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობდა.

დიდია ვ. გაბაშვილის ღვაწლი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე, მის გამოკვლევებში მოცემულია ფართო მეცნიერული განზოგადებანი, ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი ფეოდალური ხანის საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მრავალი საკითხი. ფართო სპეციალურმა ერუდიციამ, მკვლევრის იშვიათმა ნიჭმა განაპირობა მეცნიერის წარმატებანი საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის აქტუალური პრობლემების კვლევა-ძიების საქმეში.

ვ. გაბაშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)", რომელშიც აღმოსავლური, ქართული, რუსული, ევროპული და სომხური წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ქართული ფეოდალური ურთიერთობის ძირითადი საკითხები აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობასთან კავშირში, სამაგიდო წიგნია საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალური ხანის ისტორიაზე მომუშავე მკვლევართათვის.

მრავალი საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა ვ. გაბაშვილმა ვახუშტი ბაგრატიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძვლიანად შეფასებას, ახლო აღმოსავლეთის ქალაქების საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობა-ხელოსნობისა და სოციალური მოძრაობის შესწავლას.

ვ. გაბაშვილი განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სარედაქციო სამუშაოს. ამ საქმეში მისთვის არ არსებობდა წვრილმანი და მეორეხარისხოვანი. ამის სანიმუშო მაგალითა ვ. გაბაშვილის მიერ რედაქტირებული მისი დიდი მასწავლებლის აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა თორმეტტომეულის პირველი ორი ტომი, რომლებიც შეიცავენ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ორ წიგნს. ვ. გაბაშვილის როგორც რედაქტორის მუშაობის ძირითადი პრინციპი იყო სარედაქციო მასალის მკაცრი, მაგრამ საქმისათვის სასარგებლო კრიტიკული თვალით გადახედვა, გათვალისწინება ყველა წინარე გამოცემის თავისებურებებისა, თუკი წიგნი დასასტამბავად მზადდებოდა, მისი შეჯერება ავტორისეული ხელნაწერის ტექსტთან, თუკი საამისო საშუალება იყო, საეჭვო ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენის ხელახალი გადასინჯვა, დაზუსტება-დაკონკრეტება, მოშველიება მრავალი წყაროსა და სპეციალური ლიტერატურისა. ვ. გაბაშვილის მიერ რედაქტირებულია ოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ძალზე ნაყოფიერი იყო ვ. გაბაშვილის თანამშრომლობა ჟურნალ „მაცნეს“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქციასთან. ვ. გაბაშვილი არა მხოლოდ ხშირად ბეჭდავდა, არამედ იგი ამავე დროს იყო ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი აქტიური წევრი. მრავალჯერ უთქვამს მას სარედაქციო კოლეგიის სხდომებზე თავისი ავტორიტეტული და კომპეტენტური სიტყვა ამა თუ იმ საეჭვო, გადაუჭრელ თუ სადავო საკითხთან დაკავშირებით და მისი კოლეგებიც მუდამ გულისყურით იღებდნენ მის მრავლისმეტყველ აზრსა და წინადადებებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. გაბაშვილის დამსახურება აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ოცდაათზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია იქნა დაცული.

ვ. გაბაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისმა თავდადებულმა შრომამ, მეცნიერებისადმი უანგარო სამსახურმა სათანადო შეფასება დაიმსახურა. იგი დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის ორდენითა და მედლებით.

წავიდა ჩვენგან მოკრძალებული, შრომისმოყვარე, უაღრესად ერუდირებული, სპეტაკი მეცნიერი და მოქალაქე, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი. მისი ნათელი სახე წარად ემახსოვრება მის კოლეგებს, მეგობრებსა და მოწაფეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ბ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი; შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; ჟურნალ „მაცნეს“ რედაქცია